



Հայրական ԱՀՊԵՅ
Ահմետավազանը Կալես Սահման Թողթաշնունդի Հոգած

ილტიფატ ლიატიფოვი, შუკორ მუსტაფა

ქიმია



ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 კლასისათვის ქიმიის საგნის
სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი გამოხმაურება,
შენიშვნები და წინადაღებები გამოაგზავნოთ **bn@bakineshr.az** და
derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!

B

A

K

I



N

Ә

Ş

R

ბაქო – 2017

ქიმია

შინაარსი

გაეცანით სახელმძღვანელოს!..... 7

I. მეტალები

თავი 1. მეტალების ზოგადი დახასიათება

1. მეტალების მიმოხილვა; ბუნებაში გავრცელება და მიღების ზოგადი მეთოდები.	8
მეტალთა შენადნობები	
2. მეტალების ზოგადი ფიზიკური და ქიმიური თვისებები.	13
მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი.....	
3. მეტალთა კოროზია. კორიზისგან დაცვა	18
შემაჯამებელი დავალებები.....	22

თავი 2. ძირითადი ქვეჯგუფების მეტალები

4. ლითოუმის ქვეჯგუფის ელემენტები. ნატრიუმი, კალიუმი და მათი ნაერთები.....	23
5. ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტები. კალციუმი	27
6. სამრეწველო ხერხით მიღებული კალციუმის უმნიშვნელოვანესი ნაერთები.	
ნილის სისისტე და მისი თავიდან აცილების ხერხები	30
7. ბორის ქვეჯგუფის ელემენტები. ალუმინი და მისი ნაერთები.....	34
შემაჯამებელი დავალებები.....	39

თავი 3. თანაური ქვეჯგუფების მეტალები

8. თანაური ქვეჯგუფების მეტალების მოკლე მიმოხილვა. რკინა. რკინის ოქსიდები და პიტორქსიდები.....	40
9. თუჯისა და ფოლადის ნარმოება	44
10. სპილენძი, თუთია და ქრომი	48
11. პრაქტიკული სამუშაო 1. მეტალების და მათი ნაერთების თვისებები	54
შემაჯამებელი დავალებები.....	55

II. არამეტალური

12. არამეტალურის ზოგადი დახასიათება 56

თავი 4. ფოთორის ქვეჯგუფის ელემენტები

13. ფოთორის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება	60
14. ქლორო	62
15. ქლორნებალბადი და მარილმჟავა	65
16. ჰოლოგენების შედარებითი დახასიათება	68
შემაჯამებელი დავალებები	73

თავი 5. ჟანგბადის ქვეჯგუფის ელემენტები

17. ჟანგბადის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება	74
18. გოგირდი	76
19. გოგირდნებალბადი	79
20. გოგირდის დიოქსიდი. გოგირდოვანი მჟავა. გოგირდის ტრიოქსიდი	81
21. გოგირდმჟავა	84
შემაჯამებელი დავალებები	88

თავი 6. აზოტის ქვეჯგუფის ელემენტები

22. აზოტის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება. აზოტი და მისი ოქსიდები	89
23. ამიაკი	93
24. ამონიუმის მარილები	96
25. აზოტმჟავა	98
26. აზოტმჟავას მარილები. აზოტის მიმოქცევა ბუნებაში	103
27. ფოსფორი	106
28. ფოსფორ (V)-ის ოქსიდი და ორთოფოსფორმჟავა	109
29. პრაქტიკული სამუშაო 2. არამეტალურის და მათი ნაერთების თვისებები	113
30. მინერალური სასუქები და მათი კლასიფიკაცია. აზოტიანი სასუქები	114
31. ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები	117
შემაჯამებელი დავალებები	120

თავი 7. ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტები

32. ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება. ნახშირბადი	121
33. ნახშირბადის ოქსიდები	125
34. ნახშირმჟავა და მისი მარილები. ნახშირბადის მიმოქცევა ბუნებაში	128
35. სილიციუმი	132
36. სილიციუმის დიოქსიდი და მეტასილიციუმის მჟავა	134
37. სილიციუმის ბუნებრივი ნაერთები და ტექნიკური მათი გამოყენება	138
შემაჯამებელი დავალებები	142

III. ორგანული ქიმიის შესავალი უგარტიველი ორგანური ნივთიერებების გაცეობა

38. რას შეისწავლის ორგანული ქიმია?	143
39. ორგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თეორია.	
ორგანული ნივთიერებების კლასიფიკაცია	147

თავი 8. ნახშირწყალბადები

40. ნაჯერი ნახშირწყალბადები (ალკანები). მეთანი	151
41. უჯერი ნახშირწყალბადები. ეთილენური რიგის ნახშირწყალბადები (ალკენები). ეთილენი	154
42. აცეტილენური და დიენური ნახშირწყალბადები. აცეტილენი	158
43. ციკლური ნახშირწყალბადები – ციკლოპარაფინები და არომატული ნახშირწყალბადები	162
44. ნახშირწყალბადების ბუნებრივი წყაროები და მათი გადამუშავება შემაჯამებელი დავალებები	165
	168

თავი 9. ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნაწარმები

45. ნაჯერი სპირტები. ეთანოლი, ეთილენგლიკოლი და გლიცერინი	169
46. ნაჯერი ალდეჰიდები. ძმრის ალდეჰიდი	173
47. კარბონიმუშავები. ძმარმუშავა და უბალლესი კარბონიმუშავები	176
48. რთული ეთერები. ცხიმები. საპონი და სხვა გამრეცხი საშუალებები	179
49. ნახშირწყლები	182
50. ცილები	186
51. მაღალმოლეკულური ნივთიერებები – პოლიმერები	190
52. პრაქტიკული სამუშაო – 3. ორგანულ ნივთიერებათა თვისებები შემაჯამებელი დავალებები	194
	195

ტერმინები და ქიმიური ცნებები	197
დანართები	201

გაეცაით სახელმძღვანელოს

I გერალური

თავი 1 გერალური ზოგადი და ხასიათის

1 გერალური განვითარებული და განვითარებული მდგრადი და შექმნილი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

IX კლასის ქმანების უკუნისესობა მდგრადი და განვითარებული განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე? მდგრადი და განვითარებული განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე? აუკირატული მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე? აუკირატული მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

საქმიანობა

მასალა მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

კლასი	I	IIA	IIIA	IVA	V	VI	VIIA	VIII
1 (H)							H	He
2 Li	Be	B	C	N	O	F	Ne	
3 Na	Mg	Al	Si	P	S	Cl	Ar	
4 K	Ca	Ge	As	Se	Br	Kr		
5 Rb	Sr	In	Sn	Sb	Te	I		Xe

III განვითარებული მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

კუნძულის მდგრადი და განვითარებული მრავალი მიზანის მიზანის გარეშე? კუნძულის მდგრადი და განვითარებული მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

II გერალური და განვითარებული მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

1. 2 და 3 C₆H₆ ნიმუშით დაგენერიროთ. რაგოვე აქვთ ერთ და ერთ შეფერხვა?
2. გრძელ მრავალი არამინ და არამინ გაფერხვა პროცესი C-C და პროცესი C-H
3. გრძელ მრავალი არამინ და არამინ გაფერხვა პროცესი C-C და პროცესი C-H

III განვითარებული მდგრადი და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

1. რამდენიმე მდგრადი გაფერხვა ასწოვება და გაფერხვა მდგრადი გაფერხვა ასწოვება?
a) Ca, Al, Fe
b) Cu, Fe, Al
c) Au, Ag, Zn
d) Cu, Fe, Cr

I გერალური და განვითარებული მდგრადი მრავალი მიზანის მიზანის გარეშე?

ა) საცდებული ინტერაქცია მდგრადი გაფერხვა ასწოვება.
б) ასიმეტრიული KCl მდგრადი გაფერხვა ასწოვება.
в) NaH₄-ეჭვა ასწოვებული ადგილი.

ა) დაცვული მდგრადი გაფერხვა ასწოვება – რეაქცია და განვითარებული მდგრადი გაფერხვა ასწოვება.
б) დაცვული მდგრადი გაფერხვა ასწოვება – რეაქცია და განვითარებული მდგრადი გაფერხვა ასწოვება.
в) დაცვული მდგრადი გაფერხვა ასწოვება – რეაქცია და განვითარებული მდგრადი გაფერხვა ასწოვება.

- **მოტივაცია** – ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც იწვევს გაკვეთილის თემისადმი ინტერესს.
- **განვითარებები** – გაკვეთილის თემის შინაარსის შემადგენელი ძირითადი ცრებები, განსაზღვრებები, წესები და განვითარებები.
- **ინტეგრაციული ბლოკი** – ქიმიის კავშირი სხვა საგნიბოან, ძირითადად, ბიოლოგიასთან, ფიზიკასთან, მათემატიკასთან, გეოგრაფიასთან და სხვ.
- **საქმიანობა** – ცდები ან თეორიული დავალებები, რომლებიც ხელს უწყობს მოცემულ თემაში გადმოცემულ ცოდნასა და ადრე თეორიულ ცოდნას შემოსის კავშირის დამყარებება, განაპირობებს აქტიურ შემცნებით საქმიანობას.
- **ცოდნის ზერდაშება** – თემის უფრო ღრმად და ფარიოდ შესწავლის ხელშემწყობი ცოდნა.
- **ნიმუში** – გაკვეთილის თემასთან დაკავშირებული ამოცანების ან თეორიული დაცვულებების ამოცსის მაგალითები; ბოლოში მოტანილია ამოცანა ან დავალება, რომელიც სრულდება დამოუკიდებლად.
- **ეს საინტერესოა** – ინფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს ქიმიური თვალსაზრისის გზითოროებას და ამდიდრებს ცოდნას.
- **საკვანძო სიტყვები** – ყოველი თემის უმნიშვნელოვანების ტერმინები და ცნებები.
- **ცოდნის გამოყენება და შემოწმება** – კითხვები და დავალებები, რომლებიც ემსახურება შესწავლილი მასალის გამოყენებასა და განმტკიცებას; ავლენს ცოდნის სუსტ მხარეებს და ხელს უწყობს შემოქმედებითი ურარის განვითარებას.
- **შემაჯამებელი დავალებები** – ყოველი თავის ბოლოს შემოთავაზებული კითხვები და დავალებები, რომლებიც აჯამბეჭდის მოცემულ თავში შესწავლილ მასალას.
- **ტერმინები და ქიმიური ცნებები** – სახელმძღვანელოში გამოყენებულ უმთავრესი ტერმინებისა და ცნებების შემცნელობები.

თავი

1 გეტალების ზოგადი დახასიათება

1 გეტალების მიმოხილვა; ჩურეაში გავრცელება და მიღების ზოგადი მათოდები. გეტალთა შენაღობები



– რატომ მზადდება უპირატესად მეტალებისგან მანქანებისა და მექანიზმების ძირითადი ნაწილები?

IX კლასში ქიმიის შესწავლას მეტალებით ვიწყებთ. დღეისათვის ცნობილი 118 ქიმიური ელემენტიდან 90 მეტალია. მეტალების გარეშე შეუძლებელია დედამინის სფეროს წარმოდგენა. დედამინის ბირთვი შედგება ძირითადად რკინისგან და ნიკელისგან, მანტია – ალუმინის ნაერთებისგან, ლითონსფერო (დედამინის ქერქი) – მრავალი მეტალის ნაერთებისგან.

ქიმია და ბიოლოგია. მეტალები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმების (ცხოველებების) მაგალითად, ფოტოსინთეზის პროცესის მიმდინარეობს მაგნიტის როგანული ნაერთების (ქლოროფილის) მინანილეობით. ადამიანის ორგანიზმში ფერმენტების, ქვლოვანი ქსოვილის, სისხლის და სხვ. ორგანოების შედგენილობაში არსებული მეტალები მართავს ასობით უმნიშვნელოვანეს ქიმიურ პროცესს.

საქმიანობა

მთავარი ქვეჯგუფების მეტალების მდებარეობა
პერიოდულ სისტემაში

მთავარი ქვეჯგუფების მეტალების პერიოდულ სისტემაში მდებარეობის მიხედვით უპასუხეთ კითხვებს:

პერიოდი	I A	II A	III A	IV A	V A	VI A	VII A	VIII A
1	(H)		ა რ ა მ ე ტ ა ლ ე ბ ი			H	He	
2	Li	Be	B	C	N	O	F	Ne
3	Na	Mg	Al	Si	P	S	Cl	Ar
4	K	Ca	Ga	Ge	As	Se	Br	Kr
5	Rb	Sr	In	Sn	Sb	Te	I	Xe
6	Cs	Ba	Tl	Pb	Bi	Po	At	Rn
7	Fr	Ra		მ ე ტ ა ლ ე ბ ი				

– ძირითადად პერიოდული სისტემის რომელ ჯგუფებშია განლაგებული მთავარი ქვეჯგუფების მეტალები?

– როგორ ფიქრობთ, რით არის ეს განპირობებული?

– რატომ იზრდება მეტალების რიცხვი პერიოდის ნორის გაზრდასთან ერთად?

ამგვარად, მეტალები პერიოდულ სისტემაში განლაგებულია ბერილიუმიდან ასტატამდე (At) გავლებული დიაგონალის ქვემოთ და მარცხნივ (ე.ი. მეტალებია I-III ჯგუფების მთავარი ქვეჯგუფების (H და B გარდა) და I-VIII ჯგუფების თანაური ქვეჯგუფების ელემენტები, მათ შორის, მოკლეპერიოდიანი პერიოდული სისტემის ბოლოს განლაგებული ლანთანიდები და აქტინიდები).

მეტალთა ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე, ჩვეულებრივ, განლაგებულია 1-დან 3-მდე ელექტრონი. როგორც წესი, ყოველ პერიოდში ამ ატომებს აქვს უდიდესი რადიუსი და ადვილად გასცემს სავალენტო ელექტრონებს. ამის გამო მეტალები ძლიერი აღმდეგენებია და ნაერთებში ამჟღავნებს მხოლოდ დადებით ჟანგვის რიცხვს.

ეს საინტერესოა

დღემდე აღმოჩენილი სპილენძის უდიდესი ზოდის მასაა 420 ტ, ვერცხლის ზოდისა – 13,5 ტ, ოქროსი კი – 112 კგ.



მეტალების გავრცელება ბუნებაში


დედამინაზე ყველაზე გავრცელებული მეტალია ალუმინი ($\approx 8\%$), შემდეგ კი – რკინა ($\approx 5\%$).

ბუნებაში მეტალები გავრცელებულია თავისუფალ მდგომარეობაში და ნაერთების სახით. თავისუფალ მდგომარეობაში (ზოდების სახით), ჩვეულებრივ, გვხვდება მცირედ აქტიური მეტალები (Au, Pt, Ag, Cu). ნაერთების სახით მეტალები გვხვდება ოქსიდებისა და მარილების შედგენილობაში:

ნაერთი	მინერალის შედგენილობა და სახელწოდება	მინერალის შედგენილობა და სახელწოდება
ოქსიდები	$Al_2O_3 \cdot nH_2O$ – ბოქსიტი	Fe_3O_4 – მაგნეტიტი
სულფიდები	FeS_2 – პირიტი	HgS – სინგური
კარბონატები	$CaCO_3$ – კალციტი	$FeCO_3$ – სიდერიტი
ქლორიდები	$NaCl$ – ჰალიტი	KCl – სილვინი
სულფატები	$CaSO_4 \cdot 2H_2O$ – თაბაშირი	$Na_2SO_4 \cdot 10H_2O$ – გლაუბერის მარილი

მეტალების მიღების ზოგადი ხერხები

მაღნებიდან მეტალებს იღებენ მეტალთა კატიონების აღდგენის გზით:



მრეწველობაში მეტალებს იღებენ ძირითადად სამი – პირომეტალურგიული, პიდრომეტალურგიული და ელექტრომეტალურგიული – ხერხით.

1. პირომეტალურგია არის მადნებიდან მეტალების მიღება მათი ალდგენით (C, CO, H₂, აქტიური მეტალები) მაღალ ტემპერატურაზე (ტოლ.: 1, 2, 3a). სულფოდებსა და კარბონატებს ჯერ გადაიყვანენ ოქსიდებში (ტოლ.: 3a).



თუ ალდგენი აქტიური მეტალი (Al, Mg, Na) ან წყალბადია, პროცესს უწოდებენ, შესაბამისად, მეტალთერმიას ან წყალბადთერმიას; მაგალითად:



2. ჰიდრომეტალურგიული მეთოდი გულისხმობს მეტალის ნაერთის გადაყვანას სხსარში, საიდანაც მეტალს აღადგენენ უფრო აქტიური მეტალით ან ელექტრული დენით. ასე იღებენ ოქროს, ვერცხლს, სპილენძს, თუთიას, ვოლფრამს (W) და სხვ.:




3. ელექტრომეტალურგია არის მეტალთა მიღება მათი ნაერთების ნალლობების ელექტროლიზით. ამ ხერხით, ჩვეულებრივ, იღებენ აქტიურ მეტალებს (Na, K, Al, Ca და სხვ.). მაგალითად:



მარილებისა და ტუტების ნალლობების ელექტროლიზი

თუ ნატრიუმის ქლორიდის ნალლობში ჩაშვებულ ელექტროდებს შევაერთებთ მუდმივი დენის წყაროსთან, მაშინ დადებითად დამუხტული Na⁺ კათონები გაემართება კათოდისკენ (K⁻), ხოლო უარყოფითად დამუხტული Cl⁻ ანიონები – ანოდისკენ (A⁺). Na⁺ კატიონები კათოდისგან შეიძენს ელექტრონებს და ალდგება, ხოლო Cl⁻ ანიონები საკუთარ ელექტრონებს ანოდს გადასცემს და იუანგება, ე.ო. კათოდზე გამოიყოფა მეტალური ნატრიუმი, ანოდზე კი – ქლორი. ეს ორი პროცესი შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ელექტრონული ვანტოლებებით:






ცოდნის ზარდაში

- კათოდი – უარყოფითად დამუხტული ელექტროდი ზედაპირზე ჭარბი ელექტრონებით.
- ანოდი – დადებითად დამუხტული ელექტროდი ზედაპირზე არასაკმარისი ელექტრონებით.

• უანგვა-ალდგენით რეაქციებს, რომლებიც ელექტროდებზე მიმდინარეობს მუდმივი ელექტრული დენის ზემოქმედებით, ელექტროლიზი ეწოდება.




კათოდსა და ანოდზე მიმდინარე ელექტრონული რეაქციების მარჯვენა და მარცხენა ნაწილების შეჯამებით შევადგინოთ (3) მოლეკულური ტოლობა (გაცემული და მიღებული ელექტრონების რიცხვის გათანაბრების მიზნით კათოდური პროცესის ელექტრონულ განტოლებას ვამრავლებთ 2-ზე):

(3) ნატრიუმის ქლორიდის ელექტროლიზი



ელექტროლიზის მოლეკულური ტოლობა

(3) ტუტის ელექტროლიზი (KOH)




ტიხარი კათოდსა და ანოდს შორის

ტუტების ნალობების ელექტროლიზიც ანალოგიურად მიმდინარეობს: კათოდზე ალფება მეტალთა კატიონები, ხოლო ანოდზე იუანგება OH^- ანიონები (3).

გამოთვლები ელექტროლიზის რეაქციის ტოლობის საფუძველზე
რამდენი ლ (ნ.პ.) ქლორი გამოიყოფა ანოდზე, თუ ნატრიუმის ქლორიდის ნალობის ელექტროლიზისას კათოდზე გამოიყო 0,2 მოლი ნატრიუმი. $A_f(\text{Na}) = 23$.

ამოსნა:

ნატრიუმის ქლორიდის ნალობის ელექტროლიზის ტოლობიდან გამოვთვალით ქლორის მოცულობა:



ამოცანა. გამოთვალეთ მეტალის ფარდობითი ატომური მასა, თუ MCl შეფენილობის მისი მარილის ნალობის ელექტროლიზისას კათოდზე გამოიყო 2,3 გ მეტალი, ხოლო ანოდზე – 1,12 ლ (ნ.პ.) ქლორი.



ჰუფრი დევი
1778 – 1829
ინგლისელი
ქიმიკოსი

• მარილებისა და ტუტების ელექტროლიზით მიღლო მეტალური კალური, ნატრიუმი, ბარიუმი, კალციუმი, აგრეთვე სტრონიუმისა და მაგნეზიუმის ამალგამები. ამალგამა მეტალის შენადნობი, რომელიც აქ მეტალის უერცხლისწყალში გახსნის შედეგად მიიღება.

ცოდნის ზარდახშა • მრეწველობის დარგს, რომელიც მეტალებისა და მათი შენადნობების მიღებას ემსახურება, მეტალურგია ეწოდება. მეტალურგიაში მეტალებს იღებენ მაღნებიდან. მაღნები მეტალების სამრეწველო მიღებისთვის გამოსა-დეგი ბუნებრივი ნივთიერებებია. მაღანათა უმრავლესობაში მეტალის შემცველობა ძალიან მცირეა (მაგ., 0,6%). ამიტომ მაღნებს ჯერ გადამუშავებენ – აცილებენ ფუჭებს, ამდადრებენ, ე.ი. გარდაქმნას კონცენტრატად.

მაღნების სამატულო საბადოების გადამუშავებაში დიდი წლილი მოუქლევის აზერბაიჯანელ მეცნიერს, ჰაბიბ ჟახმატინსკის და მის სამეცნიერო სკოლას.



მეტალთა შენადნობები

ტექნიკური მეტალები ძირითადად შენადნობების სახით გამოიყენება.

- სისტემებს, რომლებიც შედგება ორი ან მეტი მეტალისგან ან მეტალისგან და არამეტალისგან, **შენადნობები** ეწოდება.

ცოდნის ზარდახშა • შენადნობების მისაღებად მეტალებს ერთად ალლობენ, ურევენ და აცივებენ.

როგორც წესი, შენადნობების სიმტკიცე უფრო მაღალია, ვიდრე მისი კომპონენტებისა ხოლო ლობის ტემპერატურა, ბზინვარება და ელექტროგამტარობა კი – უფრო დაბალი.

კლასიფიკაცია. ტექნიკური შენადნობები სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირდება. მაგალითად, დამახასიათებელი თვისებების მიხედვით – ძნელლობადი (ნიქრომი) და ადვილლობადი (ბრინჯაო, თითბერი, სარჩილი), უჟანგავი (ქრომირებული ფოლადი); საფუძვლად ალებული ძირითადი მეტალის მიხედვით – შავი (თუჯი, ფოლადი) და ფერადი [ბრინჯაო (Cu, Sn), თითბერი (Cu, Zn), მელქიორი], მსუბუქი [დურალუმინი (Al, Mg, Cu), ელექტრონი]; შენადნობის კომპონენტების რიცხვის მიხედვით (ორმაგი, სამხავი და ა.შ.).

შენადნობის შედგენილობაში ზოგიერთი მეტალის და არამეტალის შეყვანისას იღებენ სასარგებლო თვისებების მქონე შენადნობებს (ამ პროცესს ლეგირება ეწოდება). მაგალითად, ქრომი **Cr** შენადნობს ანიჭებს სიმაგრეს და კოროზიამედეგობას, სილიციუმი **Si** – მუავების მოქმედებისადმი მდგრადობას, ვოლფრამი **W** – სიმაგრეს და ცეცხლგამძლეობას, ტიტანი **Ti** – ცეცხლგამძლეობას, კოროზიისადმი მედეგობასა და მექანიკურ სიმტკიცეს.

ცოდნის ზარდახშა • შენადნობების სინთეზის, მათი შედგენილობისა და თვისებების შესწავლის საქმეში ქიმიურ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აზერბაჯანელმა მეცნიერებმა: **ალიჰუსეინ გულიევმა**, პაშა რუსტამოვმა და მათმა სამეცნიერო სკოლებმა.

ქიმია და გარემო. მეტალურგიული წილების შედგენილობაში შედის ისეთი მეტალები, როგორიცაა: კალციუმი, მაგნიუმი, რკინა, მანგანუმი, სპილენდი, ნიკელი, კობალტი, ტყვია, კადმიუმი და სხვ. წილიდან მათი გამოყოფა ეფუძნება გამლლვარი წილიდან ნახმირით ალდგენას კირქვის თანაობისას. მეტალურგიული სანარმოების გამდინარე წყლების გასუფთავება მავრე მეტალების კატიონებისგან ეფუძნება ამ კატიონების დალექციას სულფიდების (PbS, HgS, CuS და სხვ.) სახით:



ეს საინტერესოა

ხუთი ყველაზე მოხმარებადი მეტალი მათი გამოყენების კლების მიხედვით არის: რკინა, ალუმინი, სპილენდი, თუთია, მანგანუმი.

საკვანძო
სიტყვები

• მადანი • პირომეტალურგია • პიდრომეტალურგია •
ელექტრომეტალურგია • ელექტროლიზი • შენადნობები •

ცოდნის გამოყენება და შემთხვება

1. რომელი მეტალები გვხვდება ბუნებაში თავისუფალ მდგომარეობაში?

- ა) Ca, Al, Fe
- ბ) Cu, Fe, Al
- გ) Au, Pt, Ag
- დ) Au, Ag, Zn
- ე) Cu, Fe, Cr

2. რომელი სქემა ასახავს მეტალის მიღების პიდრომეტალურგიულ ხერხს?

- a) $\text{WO}_3 + \text{H}_2 \xrightarrow{\text{t}}$
- б) $\text{ZnO} + \text{C} \xrightarrow{\text{t}}$
- გ) $\text{Cr}_2\text{O}_3 + \text{Al} \xrightarrow{\text{t}}$
- დ) $\text{CuSO}_4 + \text{Fe} \xrightarrow{\text{t}}$
- ე) $\text{Al}_2\text{O}_3(\text{ნაღდ}) \xrightarrow{\text{ჰუ-ლიზ}}$

3. მეტალთა რომელ ნაერთებს ეწოდება მაღანები? რომელიმე მაგალითი.

4. რომელი ძირითადი აღმდეგები გამოიყენება მეტალთა მიღების თითოეულ ხერხში?

5. რატომ არ იღებენ პიდრომეტალურგიული ხერხით ტუტე და ტუტემინა მეტალებს?

6. დაასახელეთ 3-4 მეტალი, რომელიც მიღება ელექტრომეტალურგიული ხერხით.

7. როთ განსხვავდება ელექტროლიზი გალვანურ ელექტრონულში მიღდინარე პროცესისგან?

8. შეადგინეთ KBr -ისა და MgCl_2 -ის ნალლობების ელექტროლიზის ტოლობები.

9. რამდენი კვ სპილენი მიღება 12 ტ გამდიფრებული მთის ქანიდან, რომელიც 20% სპილენ(I)-ის სულფიდს შეიცავს? სპილენის პრაქტიკული გამოსავალი შეადგენს 80%-ს.

2

მეტალების ზოგადი ფიზიკური და ეიზოური თვისებები.

მეტალების ძაბვათა ელექტროეიზოური რიგი



– რატომ ამზადებენ მეტალისგან საჭმლის მოსახარშად განკუთვნილ ჭურჭელს?

მეტალების ზოგადი ფიზიკური თვისებებია: 1. მეტალური პზინვარება, 2. მაღალი თბო – და ელექტროგამტარობა, 3. პლასტიკურობა.

საქმიანობა

მეტალების ზოგადი ფიზიკური თვისებები

განიხილეთ მეტალების ფიზიკური თვისებების ცვლის თანმიმდევრობა და უპასუხეთ კითხვებს.


თბო – და ელექტროგამტარობა იზრდება
 $\xrightarrow{\text{Hg Pb Fe Zn Mg Al Au Cu Ag}}$

პლასტიკურობა იზრდება
 $\xrightarrow{\text{Fe Zn Pb Sn Cu Ag Au}}$

- რომელი მეტალია ყველაზე პლასტიკური? რომელი მაგალითებით შეგიძლიათ ამის დადასტურება?
- რომელი მეტალის ელექტროგამტარობაა ყველაზე მაღალი?
- მაშინ რატომ ამზადებენ ელექტროსაფენებს სპილენისგან და ალუმინისგან?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ამზადებენ დაკიდებულ მაღალვოლტაჟურ ელექტროსადენებს ალუმინისგან და არა – სპილენისგან?

მეტალთა პლასტიკურობა არის მეტალების უნარი, გარე ძალის ზემოქმედებისას შეიცვალოს ფორმა, ისე რომ არ დაიმსხვრეს.

ცოდნის ზარდაშე • პლასტიკურობის მოვლენაში გარკვევისთვის შევადაროთ გარე ძალის ზემოქმედებისას ფენების გადაადგილება იონური და მეტალური მესრის მქონე კრისტალებში. იონურ კრისტალებში, მაგალითად, ნატრიუმის ქლორიდში (ა), ფენების გადაადგილებისას ერთნაირად დამუხტყული იონები განლაგდება ურთიერთსაპირისპიროდ და მათ შორის განზიდვა იწვევს იონური კრისტალის მსხვრევას:



ფენებისათვის გადაადგილება იონურ (ა) და მეტალურ (ბ) კრისტალებში მეტალური ნიმუშის (ბ) დეფორმაციისას, თუმცა ფენები გადაადგილდება ერთმანეთის მიმართ, თავისუფალი ელექტრონების საშუალებით მათი ურთიერთმიზიდვა ნარჩუნდება, რის გამოც მეტალის ნიმუში არ იმსხვრევა.


მეტალური ბზინვარება განპირობებულია თავისუფალი ელექტრონების მიერ სინათლის ძლიერი არეკვლით. ყველაზე ბზინვარეა ვერცხლისნყალი და ვერცხლი.

მეტალების მაღალი თბო- და ელექტროგამტარობა განპირობებულია მათ კრისტალურ მესრში თავისუფალი ელექტრონების მოძრაობით.

ეს საინტერესოა

1 გ ოქრო შეიძლება გაიწეოს 3 კმ სიგრძის ძაფად. ოქროსგანვე შეიძლება დამზადდეს 0,003 მმ სისქის „ოქროს ფოლგა“.

ყველა მეტალი, გარდა ვერცხლისნყლისა ($t_{დ.} = -39^{\circ}\text{C}$) ჩვეულებრივ პირობებში ($\approx 20\text{--}25^{\circ}\text{C}$) მყარი ნივთიერებაა.



(გ) თახის ტემპერატურაზე ($20\text{--}25^{\circ}\text{C}$) ვერცხლისნყალი თხევად მდგრადი მასაში იმყოფება.

ყველაზე ადვილდნობადი მეტალია ვერცხლისნყალი, ყველაზე ძნელდნობადი – ვოლფრამი ($t_{დ.} = 3390^{\circ}\text{C}$). 1000°C -ზე მეტი დნობის ტემპერატურის მქონე მეტალებს ეწოდება ძნელდნობადი (Au, Ag, Cu, Fe, Cr), უფრო ნაკლებისას – ადვილდნობადი (Li, Na, Zn, Al, Ca).

ყველაზე მსუბუქი მეტალია ლითიუმი ($\rho = 0,53 \text{ г/сმ}^3$), ყველაზე მტიმე ერთ-ომიუმი Os ($\rho = 22,6 \text{ г/сმ}^3$). 5 გ/სმ 3 -ზე მეტი სიმკვრივის მქონე მეტალებს ეწოდება მძიმე (Zn, Fe, Cu, Hg, Ag, Pt), ხოლო 5 გ/სმ 3 -ზე ნაკლები სიმკვრივისას – მსუბუქი (Li, Na, Mg, Al).

ყველაზე მაგარი მეტალია ქრომი, ხოლო ყველაზე რბილი – ტუტე მეტალები; მაგალითად, ნატრიუმი და კალიუმი შეიძლება დანით გავჭრათ.

ტექნიკაში გამოყოფენ შავ და ფერად მეტალებს. შავ მეტალებს მიეკუთვნება რკინა და მისი შენადნობები, ფერადს – დანარჩენები.

Au, Ag, Pt, Pd და სხვ. მიეკუთვნება ძვირფას მეტალებს.

მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი

წყალსნარებში მეტალთა აქტიურობის (აღმდგენი თვისებების) შესადარებლად იყენებენ მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიურ რიგს.

ცხრილი 2.1. მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი

ატომების აღმდგენი უნარი ($M^0 - n\bar{e} \rightarrow M^{n+}$) იზრდება																	
Li	K	Ca	Na	Mg	Al	Mn	Zn	Cr	Fe	Pb	H ₂	Cu	Hg	Ag	Au		
Li ⁺	K ⁺	Ca ²⁺	Na ⁺	Mg ²⁺	Al ³⁺	Mn ²⁺	Zn ²⁺	Cr ²⁺	Fe ²⁺	Pb ²⁺	H ⁺	Cu ²⁺	Hg ⁺	Ag ⁺	Au ³⁺		
კატიონების მუნგავი უნარი ($M^{n+} + n\bar{e} \rightarrow M^0$) ძლიერდება																	

ამ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ მეტალთა აქტიურობა მცირდება, ხოლო მათი კატიონების მუნგავი უნარი იზრდება:

ეს საინტერესოა


ეს რიგი პირველმა შემოგვთავაზა რუსმა მეცნიერმა ნ. ბეკეტოვმა, 1865 წელს, შეტალების მიერ შარილთა წყალსნარებიდან ურთიერთ-გამოძევების უნარის შესავლის საფუძველზე: $M + MA \rightarrow MA + M'$.

ძაბვათა ელექტროქიმიური რიგის საფუძველზე შეიძლება შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. რაც მარცხნივაა მოთავსებული მეტალი ამ რიგში, მით მეტად აქტიურია ის, ადგილად იუანგება და ავლენს ძლიერ აღმდგენ თვისებებს;


2. რაც მარჯვნივაა მოთავსებული მეტალი ამ რიგში, მით ნაკლებად აქტიურია ის და ძნელად იუანგება;

3. წყალბადის მარცხნივ მოთავსებული მეტალები განზავებული მუავებიდან (აზოტმუავას გარდა) აძევებს წყალბადს. წყალბადის მარჯვნივ მოთავსებული მეტალები (Cu, Hg, Ag, Au) განზავებული მუავებიდან წყალბადს არ აძევებს:



ცოდნის ზარდაშე • ტყვია, მიუხედავად იმისა, რომ წყალბადის მარცხნივაა მოთავსებული, მარილმუავაში და განზავებულ გოგირდმუავაში არ იხსნება, რადგან რეაქციის დაწყებისას ნარმოქმნილი უსსნადი $PbCl_2$ და $PbSO_4$ ილექტრო ტყვიის ზედაპირზე და ხელს უშლის რეაქციის შემდგომ მიმდინარეობას.

4. ტუტე და ტუტემინა მეტალების გარდა, ყოველი მეტალი აძევებს წყალ-ხსნარებიდან ძაბვათა რიგში მის მარჯვნივ განლაგებულ მეტალებს; მაგალითად:




შებრუნებული მიმართულებით ეს რეაქციები არ წარიმართება.

ტუტე და ტუტემინა მეტალები ძაბვათა რიგში
რატომ არ აძევებს ტუტე და ტუტემინა მეტალები მარილთა ხსნარებიდან სხვა მეტალებს, რომლებიც ძაბვათა რიგში მათგან მარჯვნივაა განლაგებული?

პასუხი:

ტუტე მეტალი, მაგალითად, კალიუმი, ხსნარში პირველ რიგში რეაგირებს წყალთან ტუტის წარმოქმნით, რომელიც შემდგომ მარილთან ურთიერთქმედებს:





დავალება. შეადგინეთ $\text{Ba} + \text{CuSO}_4 \rightarrow$ სისტემაში მიმდინარე რეაქციათა ტოლობები.



მეტალების ქიმიური თვისებები

მეტალების ქიმიური თვისებები განპირობებულია მათი ატომების უნარით, ადგილად გასცეს სავალენტო ელექტრონები, გარდაიქმნას რა დადებითად დამუხტულ იონებად: $\text{M} - n\text{e}^- \rightarrow \text{M}^{+n}$. ამიტომ ქიმიურ რეაქციებში მეტალთა ატომები (M) ყოველთვის აღმდგენებია.


მეტალები, გარდა ოქროსი, ვერცხლისა და პლატინისა, უშუალოდ რეაგირებს ჟანგბადთან. ამ დროს, როგორც წესი, წარმოქმნება ოქსიდები (გარდა Na -ისა და K -ისა. იხ. გვ. 24).





ჰალოგენებთან მეტალები წარმოქმნის ჰალოგენიდებს, ხოლო გოგირდთან – სულფიდებს:




აზოტთან ლითიუმი ოთახის ტემპერატურაზე, ხოლო დანარჩენი მეტალები – მაღალ ტემპერატურაზე რეაგირებს ნიტრიდების წარმოქმნით:



I და II ჯგუფების მთავარი ქვეჯგუფების მეტალები (გარდა ბერილიუმისა) წყალბადთან გაცხელებისას წარმოქმნის ჰიდრიდებს:





ძაბვათა რიგში წყალბადის მარცხნივ მოთავსებული მეტალები წყლიდან აძევებს წყალბადს:





ტუტე და ტუტემინა მეტალები, აგრეთვე ალუმინი, რომლის ზედაპირიც გასუფთავებულია ოქსიდის აფსისიგან (მაგალითად, ალუმინის ამალგამა), წყალთან რეაგირებს გაცხელების გარეშე.

მეტალთა აქტიურობის რიგის შესაბამისად, მეტალები აძვევებს წყალბადს განზავებული მჟავებიდან (აზოტმჟავას გარდა) და ნაკლებად აქტიურ მეტალს – მისი მარილის ხსნარიდან:



ორმაგი ქიმიური თვისებების მქონე მეტალები (Be, Zn, Al) რეაგირებს როგორც მჟავებთან, ისე ტუტებთან*:



უფრო დღვიულებით მეტალთა ქიმიური თვისებები განხილული იქნება განყოფილებებში „მთავარი ქვეჯვაუფების მეტალები“ და „თანაური ქვეჯვაუფების მეტალები“.

*

$\text{Na}_2[\text{Be}(\text{OH})_4]$ (ბერილატები), $\text{Na}_2[\text{Zn}(\text{OH})_4]$ (ცინკატები) და $\text{Na}[\text{Al}(\text{OH})_4]$ (ალუმინატები) ტიპის ნაერთები მიეკუთვნება კომპლექსურმარილებს. მათ წყალხსნარებში $[\text{M}(\text{OH})_4]^{n-}$ ონებში არსებობს არადისოცირებული ფორმით.

საკვანძო სიტყვები

- მეტალური ბზინვარება • თბო-და ელექტროგამტარობა • პლასტიკურობა • მეტალური ბმა • მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელ მეტალები გამოიჩინევა უდიდესი ბზინვარებით?

- a) Hg
b) Mn
c) Cu
d) Ag
e) Fe

- a) 1,2,3
b) 1,3,4
c) 1,4
d) მხოლოდ 3
e) 1,4,5


2. რომელი რეაქცია არ მიმდინარეობს?

- a) $\text{K} + \text{H}_2\text{O} \rightarrow$
b) $\text{Zn} + \text{H}_2\text{SO}_4(\text{გან.}) \rightarrow$
c) $\text{Zn} + \text{HCl} \rightarrow$
d) $\text{Fe} + \text{CuSO}_4 \rightarrow$
e) $\text{Ag} + \text{HCl} \rightarrow$

3. ქვემოთ მოცემული მეტალების (1-10) გამოყენებით შეავსეთ ცხრილი.

მძიმე მეტალები	ყველაზე მსუბუქი მეტალი	ყველაზე მძიმე მეტალი	ყველაზე ადგილობრივი მეტალი	ყველაზე ძნელობრივი მეტალი	ყველაზე მაღარი მეტალი	ყველაზე რბილი მეტალები
... 1. Os 2. Fe 3. Cu 4. Li 5. Cr 6. Na 7. Hg 8. Al 9. K 10. W

4. შეადგინეთ წყალხსნარებში მიმდინარე რეაქციათა ტოლობები.



5. რატომ აქვს მეტალებს საერთო ფიზიკური თვისებები?

6. რას ახასიათებს მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი?

7. შეესაბამება თუ არა მეტალების ძაბვათა ელექტროქიმიური რიგი პერიოდულ სისტემაში ტუტე და ტუტემინა მეტალების აქტიურობის ცვლის კანონზომიერებებს? რაში მდგომარეობს ეს განსხვავება?

8. რატომ არის მეტალები ქიმიურ რეაქციებში მხოლოდ აღმდგენები?

9. თუთის ურთიერთებულებით სპილენდ(II)-ის სულფატის ხსნართან გამოიყო 12,8 გ სპილენდი. გამოთვალეთ, რამდენი გ თუთია შევიდა რეაქციაში. $A_r(\text{Cu}) = 64$, $A_r(\text{Zn}) = 65$.

3 მეტალთა კოროზია. კოროზიისგან დაცვა




– რა არის რკინის დაუნგვა და როგორ დავიცვათ თავი მისგან?

- გარემოს ზემოქმედების შედეგად მეტალებისა და მათი შენადნობების დაშლას კოროზია ეწოდება (ლათინური დანართ „corrodere“ – ამოჭმა).

საქმიანობა

კოროზიაზე მოქმედი ფაქტორები

სურათზე ნაჩვენებია ცვლილებები, რომლებიც შეიმჩნევა რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა პირობებში რკინის ლურსმნის მოთავსებისა. მათ საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:




დასტილირებულ წყალი, რომელიც არ შეიცავს გახსნილ უანგბადს (ჰაერს)

- პირველ 3 სინჯარაზე დაკვირვების შედეგად დაასახელეთ კოროზიის წარმართვის-თვის აუცილებელი ორი ფაქტორი.
- როგორ ფიქრობთ, მარილის ხსნარი ასუსტებს თუ აძლიერებს კოროზიას?
- როგორ მოქმედებს კოროზიის სიჩქარეზე მუავას ხსნარი?

ყოველწლიურად კოროზიის შედეგად მწყობრიდან გამოდის მეტალთა ნაკეთობების (მეტალკონსტრუქციები, ავტომობილების მეტალის ნანილები და ა.შ.) 25%. მეტალების დაშლა სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემებსაც ქმნის. კოროზიისგან დაშლილი მილსადენებიდან აირის, ნავთობის და მავნე პროდუქტების გაუზოვა, აბინძურებს რა გარემოს, უარყოფითად მოქმედებს ადამიანების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. ამიტომ მეტალებისა და შენადნობების კოროზიისგან დაცვაზე უზარმაზარი სახსრები იხარჯება.

კოროზიის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ რკინის ურთიერთქმედება ჰაერის უანგბადთან. ამ დროს რკინის ზედაპირი იფარება ოქსიდის აფსკით:




კოროზია ნელი ქიმიური პროცესია, ოლონდ აქტიური მეტალების შემთხვევაში ის სწრაფად მიმდინარეობს. ზოგიერთი მეტალი, მაგალითად, ოქრო (Au), პლატინა (Pt) კოროზიას არ განიცდის.

კოროზიის სიჩქარე, მეტალის აქტიურობასთან ერთად, დამოკიდებულია მეტალის ზედაპირზე ნარმოქმნილი ოქსიდური აფსკის თვისებებზეც. მაგალითად, ისეთი აქტიური მეტალების, როგორიცაა Mg, Zn და Cr, ზედაპირზე ნარმოქმნილი ოქსიდური აპის აირშეულწევადობა და მაღალი სიმტკიცე იცავს მათ გარემოს-თან კონტაქტისგან და ამით ხელს უშლის შემდგომ კოროზიას.

პირიქით, რკინის ზედაპირზე წარმოქმნილი შედარებით ფაშარი და არამტკიცე ოქსიდური აფსკი ვერ იცავს ამ მეტალს და კოროზია კიდევ უფრო ღრმად მიღის.

რკინისა და ფოლადის ნაკეთობების კოროზიას, ჩვეულებრივ, დაუანგვას უწოდებენ.

ზემოთ მოტანილი ცდების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ჰაერზე მიმდინარე რკინის კოროზია დამოკიდებულია წყლისა და ჟანგბადის არსებობაზე. ამიტომ რკინის დაუანგვის პროცესი შეიძლება გამოვსახოთ ტოლობით:



შენიშვნა:

უფრო ზუსტად ჟანგის შედგენილობა შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით $\text{Fe}_2\text{O}_3 \cdot n\text{H}_2\text{O}$.

ამგვარად, რკინის ნაკეთობის კოროზიის არსი რკინის ჟანგვაა. მუანგავის როლში გამოდის ჰაერის ჟანგბადი, ხსნარის H^+ იონები და ა.შ.

კოროზისგან დაცვა

კოროზისგან დასაცავად გამოიყენება ძირითადად ოთხი ხერხი:

1. მეტალის ზედაპირის დაფარვა დამცავი საფარით. დამცავი საფარი შეიძლება იყოს მეტალური ან არამეტალური. მეტალურ საფარად იყენებენ თუთის, კალის, ტყვიის, ნიკელის, ქრომის, ოქროსა და ვერცხლის საფარებს (ა და ბ):

ქრომის (ა), კალის (ბ) და ემალის (გ) საფარით დაცული მეტალის ნაკეთობები.



არამეტალურ საფარად იყენებენ სალებავებს, ლაქებს, ემალს, ფისებს, ზოგიერთ საპოხ ზეთს, აგრეთვე პოლიმერების, ოქსიდების, ნიტრი-დების, სილიციდების საფარებს, რომლებიც დაიტანება მეტალის ზედაპირზე (გ). ამ მეთოდის ნაკლი ისაა, რომ თუ საფარი დაზიანდა, ის მეტალს დაშლისგან მეტად ალარ დაიცავს.

ეს საინტერესოა



1889 წელს აგებული ეიფელის კოშკის კოროზისგან დასაცავად მას პერიოდულად დებავენ. 324 მ სიმაღლისა და 200 000 გ ფართობის მეტე კოშკის შესაფებად დაასლოებით 60 ტონა სალებავი იხარჯება.

ცოდნის ზარდახში • თუ რკინა დაფარულია ნაკლებ აქტიური მეტალით (Cu , Au , Ag და Sb), ვიდრე თვითონა, მაშინ იმ ადგილზე, სადაც საფარი დაზიანდება, ინყება რკინის კოროზია. თუ საფარი შედგება უფრო აქტიური მეტალისგან (Zn , Cr), ვიდრე რკინაა, მაშინ ის დაზიანებისასაც კი იცავს რკინას და თვითონ განიცდის კოროზიას.

2. კოროზიამედეგი (ლეგირებული) შენადნობების მიღება. თუ შენადნობის შედგენილობაში შევიტანთ ისეთ მეტალებს, როგორიცაა: Ni , Co , Cu და Cr , წარმოქმნება კოროზიამედეგი შენადნობები; მაგალითად, თუ ფოლადის შედგე-

ნილობაში შევიტანთ დაახლოებით 12% ქრომს, ნარმოქმნება კოროზიისადმი მედეგი, უჯანგავი ფოლადი. ფოლადის ზედაპირზე ნარმოქმნილი ქრომ(III)-ის ოქსიდის აფსკის სისქე მხოლოდ 0,000 001 მმ-ია.

3. ელექტროქიმიური ხერხები. ამ ხერხებიდან ყველაზე ხშირად იყენებენ პროტექტორულ დაცვას. ეს მეთოდი გამოიყენება ელექტროლიტის არეში (ზღვის წყალი, მიწისქვეშა წყლები და სხვ.). პროტექტორული დაცვისას დასაცავ ნაკეთობას (გემის კორპუსი, ნავთობსადენები და გაზსადენები) მიარჩილავენ პროტექტორს (დ) – უფრო აქტიური მეტალის (Mg, Al, Zn) ფირფიტას. ამ შემთხვევაში კოროზიას განიცდის უფრო აქტიური მეტალი (დ-ში ეს თუთია), ხოლო ძირითადი ნაკეთობა (რკინის კორპუსი) დაცულია: თუთის ელექტრონები რკინის კორპუსის მეშვეობით გადადის წყალში გახსნილ ჟანგბადზე, ნარმოქმნის რა OH⁻ იონებს. ამ მეთოდის ნაკლი ისაა, რომ სრული დაშლის შემდეგ პროტექტორი პერიოდულად ახლით უნდა შეიცვალოს.



4. არის შედგენილობის შეცვლა. კოროზიის ალსაკვეთად ან მისი სიჩქარის შემცირების მიზნით მეტალთან კონტაქტში მყოფ არეს უმატებენ ინჰიბიტორებად ნიველიზირებულ სპეციალურ ნივთიერებებს. მაგალითად, გოგორდმუავას ფოლადის ცისტერნებში შენახვისას ან ტრანსპორტირებისას იყენებენ ინჰიბიტორებს.

კოროზიის სახესხვაობებს X კლასში გაცნობით.

დაცვის პროტექტორული მეთოდი

კითხვა:

რატომ იყენებენ კოროზიისგან პროტექტორულ დაცვას და არა დამტკიცებული საფორენის რკინიგზის რელსების, მიწისქვეშა და წყალქვეშა გაზდა ნავთობსადენების, ხომალდების კორპუსების დასაცავად?

პასუხი:

დამტკიცებული საფარი ზემოთ ჩამოთვლილი კონსტრუქციების ექსპლუატაციის პირობებში ან მუდმივი არა, ან მისი დაშლისას დამტკიცებულია საფარის ხელახლი დატანა პრაქტიკულად შეუძლებელია. პროტექტორული დაცვისას კი პროტექტორის შეცვლა ხდება საკმოდ სწრაფად და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე.

დავალება: მიუთითეთ კოროზიისგან დაცვის პროტექტორული მეთოდის ნაკლიზე.

**საკვანძო
სიტყვები**

• კოროზია • დამცავი საფარი • პროტექტორული დაცვა • ინჰიბიტორი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. შეარჩიეთ არასმორი გამონათქვამი:

- კოროზია – მეტალის ზედაპირზე მისი ჟანგვის პროდუქტების წარმოქმნა;
- ჟანგვა – რკინისა და ფოლადის კოროზია;
- რკინის კოროზიაში გარემო არიდან მონაწილეობს ჟანგბადი და წყალი;
- არეში (ხსნარში) მარილის არსებობა აჩქარებს კორიზის;
- კოროზია დამოკიდებული არ არიას მეტალის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსიდური აპკის თვისებებზე.

2. რომელი მეტალით უნდა დაიფაროს ფოლადის ნაკეთობის ზედაპირი, რომ ის დაცული იქნას კოროზისაგან?

1. Hg 2. Cr 3. Sn 4. Ni 5. Ca 6. Li

3. მიუთითო მეტალები, რომელთა ფოლადში შეტანა ზრდის მის კორიზიამედეგობას:

1. Cr 2. K 3. Ni 4. Ba

4. რატომ არ იქანგება მირჩილულ ამპულაში ადულებულ წყალში ჩაშვებული რკინის ლურსმანი?

5. რატომ იქანგება ავტომობილები უფრო სწრაფად ზღვის სანაპიროზე ექსპლუ-ატაციისას?

6. რატომ მიმდინარეობს კოროზია უფრო სწრაფად იმ რაიონებში, სადაც ჰაერი dლიერ დაბინძურებულია ისეთი აირებით, როგორიცაა: H_2S , HCl , SO_2 , NO և NO_2 ?

7. როგორ ფიქრობთ, ჰეტეროგენული თუ ჰომოგენური პროცესია კოროზია? რატომ?

8. როგორ გავლენას ახდენს კოროზიის სიჩქარეზე გარემოს ტემპერატურა და მჟანგავის კონცენტრაცია? რატომ?

9. რატომაა ქრომი და თუთია კოროზიისადმი უფრო მდგრადი, ვიდრე რკინა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რკინაზე აქტიურებია?

შემაჯამებელი დავალებები

1. შეარჩიეთ სწორი გამონათქვამები. დედამინის ქერქში...

1. ალუმინი ყველაზე გავრცელებული მეტალია;
2. რკინი ყველაზე გავრცელებული მეტალია;
3. ნატრიუმი გვხვდება მხოლოდ მარილების შემადგენლობაში;
4. რკინი და ვერცხლი გვხვდება თავისუფალ მდგომარეობაში;
5. ალუმინი და რკინი გვხვდება მხოლოდ ოქსიდების სახით.

- ა) 1,3,4,5
ბ) 2,3,4,5
გ) მხოლოდ 3
დ) 1,3,4
ე) მხოლოდ 4

2. რომელი გამონათქვამია მცდარი მადნებთან მიმართებაში?

- ა) მეტალთა სამრეწველო მიღებისთვის გამოსადეგი ბუნებრივი ნაერთებია;
- ბ) შეიძლება შედგებოდეს ოქსიდებისა და მარილებისგან;
- გ) მეტალთა მიღებისას გოგირდებელი მადნები ჯერ გადაჰყავთ ოქსიდებში;
- დ) მადნებიდან მეტალებს იღებენ სამი ხერხით;
- ე) მადნებიდან აქტიურ მეტალებს იღებენ პიდრომეტალურგიული ხერხით.

3. რომელი მეტალის ფირფიტა უნდა მიარჩილონ ხომალდის რკინის კორპუსს კოროზიისგან დაცვის მიზნით?

- ა) Mg
ბ) Pb
გ) Cu
დ) Sn
ე) Ag

4. რვეულში გადაწრეთ და დაასრულეთ სქემები, რომელთა მიხედვითაც მეტალის მიღება შეიძლება.

1. $\text{Fe}_3\text{O}_4 + \text{CO} \xrightarrow{\text{t}}$
2. $\text{Fe}_3\text{O}_4 + \text{Al} \xrightarrow{\text{t}}$
3. $\text{K}_2\text{O} + \text{H}_2 \xrightarrow{\text{t}}$
4. $\text{ZnO} + \text{C} \xrightarrow{\text{t}}$
5. $\text{CaO} + \text{C} \xrightarrow{\text{t}}$

5. შეარჩიეთ სწორი გამონათქვამები. მეტალების ძაბვათა რიგის თანახმად...

1. ლითოუმის იონი ყველაზე სუსტი მუანგავია
2. კალიუმი ყველაზე ადვილად წარმოქმნის კატიონს
3. თუთია აღადგენს ტყვიის იონს
4. ოქრო ყველაზე ძნელად იუანგება

- ა) 2,3,4
ბ) 2,3
გ) 2,4
დ) 1,3,4
ე) მხოლოდ 1

6. შეადგინეთ კალციუმის ბრომიდისა და კალიუმის ქლორიდის ნალლობების ელექტროლიზის რეაქციათა ტოლობები.

7. რვეულში გადაწრეთ და დაასრულეთ სქემები.



8. რამდენი კგ მეტალური ნატრიუმი შეიძლება მიგილოთ 234 კგ ნატრიუმის ქლორიდის ნალლობის ელექტროლიზით? $A_r(\text{Na}) = 23$; $A_r(\text{Cl}) = 35,5$.

9. რადენი გ თითოეული მეტალი უნდა ავილოთ 200 გ ბრინჯაოს მისალებად, რომელიც 90% სპილენძსა და 10% კალას შეიცავს? $A_r(\text{Cu}) = 64$, $A_r(\text{Sn}) = 119$.

10. სპილენძ(III)-ის სულფატის სსნარში ჩაშვებული თუთიის ფირფიტია მასა 0,2 გ-ით შემცირდა. განსაზღვრეთ, რამდენი გ სპილენძი გამოიყო თუთიის ფირფიტის ზედაპირზე. $A_r(\text{Cu}) = 64$, $A_r(\text{Zn}) = 65$.

თავი

2

ძირითადი ქვეჯგუფების მეტალები

4

ლითიუმის ქვეჯგუფის ელემენტები. ნატრიუმი, კალიუმი და მათი ნერობები



- რატომაა ტუტე მეტალები ყველაზე აქტიური მეტალები?
- როგორ იცვლება ატომთა რადიუსები პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ?
- რომელი ტუტე მეტალის მარილი გამოიყენება ფართოდ ყოფაში?

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში.

ლითიუმის* ქვეჯგუფში შედის: ლითიუმი Li, ნატრიუმი Na, კალიუმი K, რუბიდიუმი Rb, ცეზიუმი Cs და ფრანციუმი Fr. მათი ჰიდროქ-სიდები ტუტეებია, ამიტომ მათ ტუტე მეტალებს უწოდებენ.



სახელწოდება **ლითიუმი** წარმოქმნა ლათინური „litos“ - ქვიდან, ნატრიუმი – არაბული „natrum“ – სოდიდან, კალიუმი – არაბული „alkali“ – ტუტიდან.

საქმიანობა

ტუტე მეტალების შესახებ

ცხრილში მოტანილი მონაცემების საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

ელემენტი	${}_3\text{Li}$	${}_11\text{Na}$	${}_19\text{K}$	${}_37\text{Rb}$	${}_55\text{Cs}$	${}_87\text{Fr}$
სავალნო ელექტრონები	$2s^1$	$3s^1$	$4s^1$	$5s^1$	$6s^1$	$7s^1$
უანგვის რიცხვი	+1	+1	+1	+1	+1	+1

- რატომ ეწოდება ამ ელემენტებს **s-ელემენტები**?
- რომელია ყველაზე აქტიური ტუტე მეტალი? ახსნით მიზეზი.
- რა ტიპის ქიმიური ბმა ახასიათებს ამ მეტალებს ნაერთებში? რატომ?
- როგორ ფიქრობთ, რომელი საერთო ფიზიკური და ქიმიური თვისებებია მათვის დამახასიათებელი?
- შეიძლება თუ არა, ისინი ბუნებაში არსებობდეს თავისუფალ მდგომარეობაში? პასუხი დასაბუთეთ.

ბუნებაში გაცრცელება. დიდი აქტიურობის გამო ტუტე მეტალები ბუნებაში მხოლოდ ნაერთების სახით გვხვდება. ყველაზე ფართოდ გაცრცელებულია ნატრიუმისა და კალიუმის ნაერთები. ფრანციუმი ხელოვნურადაა მიღებული.

ფიზიკური თვისებები. ტუტე მეტალები ძალზე მსუბუქი (Li, Na, K წყალზე მსუბუქია) და რბილია. ყველა მათგანი, გარდა ლითიუმისა, დანით იჭრება (ს). მათ აქეს მეტალური ბზინგარება, მაღალი თბო- და ელექტროგამტარობა, შედარებით დაბალი წნობის ტემპერატურა. ლითიუმიდან ცეზიუმისკენ მათი სიმკვრივე ძირითადად იზრდება, ხოლო დნობის ტემპერატურა – მცირდება.


ქიმიური თვისებები. ტუტე მეტალები ძლიერი აღმდგენებია. ისინი ყველაზე აქტიური მეტალებია და უშუალოდ ურთიერთებულებს ბევრ არამეტალთან. მიღებულ ნაერთებში ბმა ძირითადად იონურია.



(ს) ნატრიუმის შენახვა
ნავთში და მისი
გაჭრა

ცოდნის ზარდაბში • ჩვეულებრივ პირობებში ტუტე მეტალები იქანგება ჰაერის ჟანგბადით, იფარება რა M_2O შედგენილობის ოქსიდის აფსკით (Li , Na , K). ამიტომ მათ (Na , K) ნავთში ინახავენ. ლითიუმი ნავთზე მსუბუქია, ამიტომ მას ვაზელინის ფენის ქვეშ ინახავენ.

ჟანგბადში წვისას ლითიუმი წარმოქმნის ოქსიდს (Li_2O), ნატრიუმი – პეროქსიდს (Na_2O_2), ხოლო კალიუმი, რუბიდიუმი და ცეზიუმი – MO_2 შედგენილობის სუპეროქსიდებს:



ტუტე მეტალების ოქსიდები წყალთან ურთიერთქმედებისას წარმოქმნის ტუტეებს:



ტუტე მეტალები ჰალოგენებთან და გოგირდთან წარმოქმნის მარილებს, ხოლო წყალბადთან – ჰიდროდებს:



აზოტთან ლითიუმი ოთახის ტემპერატურაზე, ხოლო დანარჩენები – გახურებისას რეაგირებს ნიტრიდების წარმოქმნით:



ტუტე მეტალები და მათი ჰიდრიდები რეაგირებს წყალთან წყალბადის გამოყოფით:



ტუტე მეტალები არ აძვევებს მარილთა წყალსნარებიდან ნაკლებად აქტიურ მეტალებს, რადგან პირველ რიგში რეაგირებს წყალთან ტუტის წარმოქმნით.

გამოყენება. ტუტე მეტალებიდან ნატრიუმი გამოიყენება, როგორც აღმდგენი ფერად მეტალურგიაში და როგორც თბომატარებელი ბირთვულ რეაქტორებში. მას აგრეთვე იყენებენ კატალიზატორად კაუჩუკის სინთეზის დროს. ცეზიუმი გამოიყენება ფოტოელემენტებში, რომლებიც სინათლის ენერგიას გარდაქმნის ელექტრულ ენერგიად. ტუტე მეტალებიდან ყველაზე ფართოდ გამოიყენება ნატრიუმი და კალიუმი.

ნატრიუმი, კალიუმი და მათი ნაერთები

ბუნებაში გავრცელება. ნატრიუმის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი ნაერთებიდან აღსანიშნავია: ჰალიტი $NaCl$, სილიკიტი $NaCl \cdot KCl$, ჩილეს გვარჯილა $NaNO_3$ და კრიოლიტი $Na_3[AlF_6]$. კალიუმის ნაერთებიდან ფართოდ გავრცელებულია: სილვინი KCl , სილვინიტი $NaCl \cdot KCl$, კაინიტი $KCl \cdot MgSO_4 \cdot 3H_2O$ და სხვ. მინერალები.

მიღება. მრეწველობაში ნატრიუმსა და კალიუმს იღებენ მათი ქლორიდების ნალობთა ელექტროლიზით, ნატრიუმს კი – $NaOH$ -ის ნალლობის ელექტროლიზითაც:





ფიზიკური და ქიმიური თვისებები (იხ. ტუტე მეტალების ფიზიკური და ქიმიური თვისებები).


Na₂O და **K₂O** – მყარი ნივთიერებებია აქტიური ოქსიდების თვისებებით; ჩვეულებრივ პირობებში რეაგირებს წყლის ორთქლოთან და ჰაერის ნახშირორფანგთან.

NaOH და **KOH** ძლიერ ჰიდროკარбონული ნივთიერებებია. ამიტომ ნატრიუმისა და კალიუმის ოქსიდებსა და ჰიდროქსიდებს ინახავენ ჰერმეტულად დახურულ ჭურჭელში.

ცოდნის ზარდაში • Na₂O და K₂O მიიღება პეროქსიდისა და სუპეროქსიდის გახურებით შესაბამის მეტალთან:



ნატრიუმის პეროქსიდა (და კალიუმის სუპეროქსიდა) იყენებენ აგრეთვე უანგბადის მისაღებად და ჰაერის რეენერაციისთვის (ალდგენისთვის) წყალქვეშა ნავებსა და კომოსურ ხომალდებში:




ნატრიუმის ჰიდროქსიდი გამოიყენება ნავთობის გადამუშავების პროცესების გასასუფთავებლად, ქაღალდის ნარმოებაში, მუავების ნეოტრალიზაციისთვის და შესაბამისი მარილების მისაღებად, ორგანულ ნაერთა ჰიდროლიზისას, მყარი საპნის ნარმოებაში, ელექტროლიტად აკუმულატორებში, საღებავების ნარმოებაში და მრავალი სხვა არაორგანული და ორგანული სინთეზისას.

კალიუმის ჰიდროქსიდი ძირითადად თხევადი საპნის ნარმოებაში გამოიყენება.

ნახშირმჟავა აირის (ნ.პ.) რა მოცულობა შევა რეაქციაში 78 გ ნატრიუმის პეროქსიდთან? რამდენი ლ უანგბადი გამოიყოფა ამ დროს? A_r(Na) = 23, A_r(O) = 16.

ამოხსნა:

1. ვიპოვოთ CO₂-ის მოცულობა (x), რომელიც რეაქციაში შევა 78 გ ნატრიუმის პეროქსიდთან და ამ დროს გამოყოფილი უანგბადის მოცულობა (y):



$$x = \frac{78\text{ g} \cdot 44,8\text{ л}}{156\text{ г}} = 22,4\text{ л}$$

$$y = \frac{22,4\text{ л} \cdot 78\text{ g}}{156\text{ г}} = 11,2\text{ л}$$

ამოცანა. რამდენი ლ (ნ.პ.) წყალბადი ნარმოებნება 12 გ ნატრიუმის ჰიდროქსიდთან ურთიერთებული გამოიყოფა? A_r(Na) = 23, A_r(H) = 1.

ნატრიუმისა და კალიუმის მარილები იონური მესრის მქონე წყალში ხსნადი კრისტალური ნივთიერებებია.

ნატრიუმის ქლორიდი NaCl (სუფრის მარილი) გამოიყენება საჭმლის დამზადებისას, საკვები პროცესების დაკონსერვებისას, კერამიკულ ნარმოებაში, ყინულთან ნარევის სახით, როგორც გამაცივებელი ნარევი და მელიცინაში. მრეწველობაში ნატრიუმის ქლორიდიდან იღებენ ნატრიუმის ჰიდროქსიდს, ქლორს, მეტალურ ნატრიუმს, წყალბადს, მარილმჟავას, სოდას, ნატრიუმის ჰიპოქლორიტს (NaClO), ნატრიუმის ქლორატს (NaClO₃); ის გამოიყენება, როგორც ნედლეული ნატრიუმის ციანიდის (NaCN) ნარმოებაში.

ნატრიუმის სულფატი გლაუბერის მარილის Na₂SO₄ · 10H₂O სახით გამოიყენება მინის, სოდის, ნატრიუმის სულფიდის, სამკურნალო პრეპარატების ნარმოებაში და ბამბის ქსოვილების ღებვისას.

ნატრიუმის კარბონატი კრისტალური სოდის $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ სახით გამოიყენება მინის, ქალალდისა და საპნის წარმოებაში.

ნატრიუმის ჰიდროკარბონატი NaHCO_3 (ჩაის, სასმელი, საჭმელი სოდა) გამოიყენება ყოფაში, კვების მრეწველობაში და მედიცინაში.

კალიუმის ქლორიდი KCl გამოიყენება სასუქად სოფლის მეურნეობაში.

კალიუმის კარბონატი K_2CO_3 (პოტაში) გამოიყენება თხევადი საპნის, ძნელ-დნობადი მინის წარმოებაში, აგრეთვე, როგორც სასუქი – ხისა და ტორფის ნაცრის შედგენილობაში.

განსაზღვრა. ნატრიუმის ნაერთები ალს აფერადებს ყვითლად, კალიუმისა კი – ისფრად.

ეს საინტერესოა

ნატრიუმისა და კალიუმის იონები მნიშვნელოვან როლს არსულებს ცოცხალ ორგანიზმებში: ისინი აკონტროლებს სისხლის წნევას, მარილთა ხსნარების გადაადგილებას მცნარეთა ფესვებიდან ფოთლებში, კალიუმი კი აგრეთვე ხელს უწყობს გულის კუნთების მუშაობას. ყველაზე მეტ კალიუმს შეიცავს ჭერმის ჩირი, სოია, მწვანე ბარდა, შავი ქლიავი და ქიმმიში. კალიუმის ნაკლებობისას მცენარეებში ფერხდება ფოტოსინთეზის პროცესი.

საკანძო სიტყვები

• ტუტე მეტალები • ჰეროქსიდები და სუპეროქსიდები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. ტუტე მეტალების რომელი თვისებები ძლიერდება ქვეჯგუფში ზემოდან ქვემოთ?

1. იონიზაციის ენერგია
2. მეტალური თვისებები
3. ალმდგენი თვისებები
4. აფომის რადიუსი

- ა) 1,2,3,4
- ბ) 1,2
- გ) 1,2,3
- დ) 1,3
- ე) 2,3,4

2. ტუტე მეტალების (R) ბინარული ნაერთების რომელი ფორმულაა არასწორი?

- ა) RH ბ) RO გ) RCl დ) R_3N ე) R_2S

3. რა არის სწორი ნატრიუმისთვის?

1. გამოიყენება, როგორც თბომატარებელი პირთვულ რეაქტორებში
2. ალს აძლევს იისფერ შეფერვას
3. ილებენ ელექტრომეტალურგიული მეთოდით
4. მისი იონი მომწამლავია
5. როგორც აღმდგენი, წყალბადზე ძლიერია

- ა) 1,2,3,4,5
- ბ) 1,2,3,4
- გ) მხოლოდ 3
- დ) 3,4,5
- ე) 1,3,5

4. რომელი ნაერთები შეიძლება წარმოიქმნას ნატრიუმის ზედაპირზე მისი ჰაერზე ხანგრძლივი შენახვისას?


1. NaOH 2. NaHCO_3 3. Na_2CO_3 4. Na_3N

5. რატომ არის ტუტე მეტალები მეტალთა შორის ყველაზე აქტიური?

6. ძირითადად რა ტიპის ნაერთებს წარმოქმნის ტუტე მეტალები არამეტალებთან?

7. რატომ არ გვხვდება ნატრიუმი და კალიუმი ბუნებაში თავისუფალი სახით?

8. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:



9. რამდენი ლ წყალბადი (ნ.3.) გამოიყოფა 0,1 მოლი ტუტე მეტალის წყალთან ურთიერთ ქმედებისას?

10. შეადგინეთ გარდაქმნების ტოლობები: $\text{Na} \xrightarrow{1} \text{Na}_2\text{O}_2 \xrightarrow{2} \text{Na}_2\text{O} \xrightarrow{3} \text{NaOH} \xrightarrow{4} \text{Na}_2\text{SO}_4$

5

ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტები. კალციუმი



- რატომ ეწოდება Ca-ს, Sr-ს, Ba-სა და Ra-ს ტუტემინა მეტალები?
- რატომაა ამ მეტალების აღმდგენი თვისებები უფრო სუსტად გამოსახული, ვიდრე იმავე პერიოდების ტუტე მეტალებისა?

ბერილიუმის ქვეჯგუფში შედის ბერილიუმი Be, მაგნიუმი Mg, კალციუმი Ca, სტრონციუმი Sr, ბარიუმი Ba და რადიუმი Ra.

საქმიანობა

ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტების ოქსიდების თვისებები

მიუხედავად იმისა, რომ Be-ს ქვეჯგუფის ყველა ელემენტი ჩვეულებრივ პირობებში ჰარმონიული იქანება, მათგან მხოლოდ ტუტემინა მეტალებს ინახავენ ნავთში. ამ ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

- რომელი ორი მეტალის ზედაპირზე (Be, Mg და Ca შორის) წარმოქმნილი ოქსიდური აფსეი იცავს მათ კოროზიისგან? პასუხი დაასაბუთოთ.
- ოქსიდთაგან – CaO, MgO, BeO – რომელი შედის რეაქციაში ჰაერში არსებულ ნყლის ორთქლთან და ნახშირორუანგთან? შეადგინეთ ამ რეაქციების ტოლობები.
- როგორ ფიქრობთ, რომელია ამ სამ ოქსიდს შორის ამფოტერული? რატომ?
- ამ ოქსიდთაგან რომელს უწოდებენ ჩაუმქრალ კირს? რატომ უწოდებენ ასე?

ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტების ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე ორი $S\text{-ლექტრონია}$ ($n=2$). ამიტომ ისინი $S\text{-ლემენტებია}$. ამ ორი ელექტრონის გაცემის შედეგად ეს ელემენტები ნაერთებში ამჟღავნებს უანგვის +2.

ტუტემინა მეტალები d ლიერი აღმდგენებია, ოღონდ მათი აღმდგენი თვისებები უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე იმავე პერიოდებში განლაგებული ტუტე მეტალებისა. ეს აიხსნება სავალენტო ელექტრონების უფრო d ლიერი მიზიდვით ტუტემინა ელემენტის ატომის ბირთვის მიერ.

რიგში $\text{Be} \rightarrow \text{Mg} \rightarrow \text{Ca} \rightarrow \text{Sr} \rightarrow \text{Ba} \rightarrow \text{Ra}$ იონიზაციის პოტენციალი მცირდება, მეტალური თვისებები კი – d ლიერდება.

ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტები ჰაერზე იუანგება R_2O შედგენილობის ოქსიდების წარმოქმნით, რომელთაც შეესაბამება R(OH)_2 ჰიდროქსიდები. ამ ჰიდროქსიდების ფუძე თვისებები, აგრეთვე ნყალში სხნადობა იზრდება ბერილიუმიდან რადიუმისკენ; Be(OH)_2 და BeO ამფოტერული ნივთიერებებია.

ბერილიუმი წყალთან არ რეაგირებს; მაგნიუმი რეაგირებს გაცხელებისას, დანარჩენი მეტალები კი – ჩვეულებრივ პირობებში:



R = Mg (გაცხელებისას), Ca, Sr, Ba

Be-ის ქვეჯგუფის ყველა ელემენტი წყალბადთან წარმოქმნის RH_2 შედგენილობის ჰიდროქსებს. ბერილიუმი წყალბადთან უშუალოდ არ რეაგირებს, ამიტომ მის ჰიდროქსიდი BeH_2 იღებენ არაპირდაპირი გზით.

ბერილიუმის ქვეჯგუფის მეტალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კალციუმი.


კალციუმი

აღმოჩენა. პირველად კალციუმი მისი მარილის ნალლობის ელექტროლიზით (1808 წ., დეივი, ინგლისი). ლათინურად „კალც“ (calx) რბილ ქას, კირს ნიშნავს.


მდებარეობა ჰერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. კალციუმი მოთავსებულა მე-4 ჰერიოდში, II ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა – $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 4s^2$.

ბუნებაში გავრცელება. დედამინის ქერქში გავრცელების მიხედვით კალციუმი მეხუთე ელემენტია. ბუნებაში ის გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით. მათგან უმნიშვნელოვანესია: კალციტი $CaCO_3$ (შედის მარმარილოს, კირქვის, ცარცის შეფენილობაში), დოლომიტი $CaCO_3 \cdot MgCO_3$, თაბაშირი $CaSO_4 \cdot 2H_2O$, ანჰიდრიტი $CaSO_4$, ფოსფორიტი $Ca_3(PO_4)_2$, ფთორ-, ქლორ- და ჰიდროქსოაპატიტი $3Ca_3(PO_4)_2 \cdot CaX_2$ ($X=F, Cl, OH$) და ფლუორიტი CaF_2 . ადამიანის ორგანიზმში – ძვლებსა და კინებულებებში – ფოსფატის სახით შედის დაახლოებით 2% კალციუმი.

კალციუმის მინერალები






მიღება. მრეწველობაში კალციუმი მიღება კალციუმის ქლორიდის ნალლობის ელექტროლიზით:



ფიზიკური თვისებები. კალციუმი მოვერცხლისფრო-თეთრი, საკმაოდ მაგარი, მსუბუქი ($\rho=1,55$ გ/სმ 3) და ადვილდნობადი ($t_{\text{დნ.}}=851^\circ C$) მეტალია.

ქიმიური თვისებები. ჩვეულებრივ პირობებში კალციუმი ურთიერთქმედებს ჰაერის ჟანგბადთან და წყალთან. ამიტომ მას ნავთში ინახავენ. ჩვეულებრივ პირობებში ის აგრეთვე ურთიერთქმედებს ჰალოგენებთან, გაცხელებით კი – სხვა არამეტალებთანც:



კალციუმი აძევებს წყალბადს წყლიდან და განზარებული მჟავებიდან (გარდა აზოტმჟავასი):



მაგნიუმი და კალციუმი აღადგენს ტიტანს, ვანადიუმს, ვოლფრამს და სხვ. მეტალებს მათი ოქსიდებიდან.


გამოყენება. კალციუმი გამოიყენება ტყვეის-კალციუმის შენადნობების წარმოებაში, რომელთაგან საკისრებს ამზადებენ, ძნელლობადი მეტალების (ტიტანი, ცირკონიუმი და სხვ.) აღსადგენად მათი ოქსიდებიდან.

განსაზღვრა. კალციუმის ნაერთები აღს აძლევს აგურისფერ-წითელ შეფერვას.

კალციუმის კარბიდისა და მაგნიუმის ფოსფიდის პიდროლიზი

რამდენი ლ (ნ.პ.) აცეტილენი (C_2H_2) შეიძლება მივიღოთ 32 გ კალციუმის კარბიდი-დან რეაქციით $CaC_2 + 2HOH \rightarrow C_2H_2 + Ca(OH)_2$, თუ რეაქციის გამოსავალია 90%? ამოხსნა:

1. გამოვითვალოთ აცეტილენის თეორიულად მოსალოდნელი მოცულობა ($V_{თეორ.}$):



2. რადგან პრაქტიკული გამოსავალი 90%-ია, აცეტილენის რეალური მოცულობა იქნება:

$$90\% = \frac{V_{პრაქტ.} \cdot 100\%}{V_{თეორ.}} \quad V_{პრაქტ.} = \frac{90\% \cdot 11,2\text{ლ}}{100\%} = 10,8\text{ლ}$$

ამოცანა. რამდენი გ აირადი ფოსფინი (PH_3) შეიძლება მივიღოთ 0,5 მოლი მაგნიუმის ფოსფიდიდან? $A_r(P) = 31$, $A_r(H) = 1$.

ეს საინტერესოა

კალციუმი, მონანილეობს რა ძვლოვანი უჯრედების წარმოქმნაში, შედის ძელებისა და კბილების შედგენილობაში. კალციუმის იონები არეგულირებს გულის მუშაობას და სისხლის შედედებას.

საკვანძო სიტყვები

• ტუტემინა მეტალები • კალციტი • აპატიტი • კალციუმის კარბიდი •


ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის არასწორი II ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებთან მიმართებაში?

- ა) ს-ელემენტებია;
 - ბ) აქვთ 2 სავალენტო ელექტრონი;
 - გ) ამჟღავნება ჟანგვის რიცხვს +2;
 - დ) ყველა მათგანს ერთდება ტუტემინა მეტალი;
 - ე) ნაკლებად აქტიურებია, ვიდრე იმავე პერიოდში მოთავსებული ტუტე მეტალები.
2. კალციუმის რომელი ნაერთი არ გვხვდება ბუნებაში?

- ა) $CaCO_3$
- ბ) $CaSO_4 \cdot 2H_2O$
- გ) $Ca(OH)_2$
- დ) $Ca_3(PO_4)_2$
- ე) $CaCO_3 \cdot MgCO_3$

3. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომელთა წარმართვაც შესაძლებელია.



4. რა არის მართებული კალციუმის სფერო?

- 1. მძიმე მეტალი
- 2. უფრო ძლიერი ალმდგენია, ვიდრე წყალბადი;
- 3. მაგნიუმზე აქტიურია;
- 4. აღს აძლევს აგურის ფერ-წითელ შეფერვას;
- 5. ბუნებაში გვხვდება თავისუფალ მდგომარეობაში და ნაერთების სახით.

5. რატომ არ მიიღება მეტალური კალციუმი ჩაუმჯრალი კირის (CaO) წყალბადით ან ნახშირბადით აღდგენის გზით?

6. ჩამოთვალეთ კალციუმისა და მისი ნაერთების გამოყენების სფეროები.

7. რამდენი კგ კალციუმი შეიძლება მივიღოთ 555 კგ კალციუმის ქლორიდის ელექტროლიზით? $A_r(Ca) = 40$; $A_r(Cl) = 35,5$.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები. $Ca \xrightarrow{1} CaCl_2 \xrightarrow{2} Ca(NO_3)_2 \xrightarrow{3} CaCO_3 \xrightarrow{4} CaO$

6 სამაცელო ხარხით მიღებული კალციუმის

უმნიშვნელოვანესი ნაერთები. ყველის სისისტე და
მისი თავიდან აცილების ხერხები



- კალციუმის რომელი ნაერთი შედის ჩამქრალი კირისა და კირიანი წყლის შედგენილობაში?
- რომელი აირის განსაზღვრისთვის გამოიყენება კირიანი წყალი?

საქმიანობა

კირის ჩაქრობის რეაქციის შესახებ

კირის ჩაქრობის რეაქციის ($H_2O + CaO \rightarrow Ca(OH)_2 + Q$) საფუძველზე უპასუხეთ შემზევებს:

- ქიმიურ რეაქციათა რომელ ტიპს მიეკუთვნება მითითებული რეაქცია?
- რაში მდგრამრებობს კალციუმის ოქსიდისა და ჰიდროქსიდის პრაქტიკული მნიშვნელობა?
- რა პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეაქციას შემრეცულ წარსულში?

კალციუმის ნაერთთა უმრავლესობა მრეწველობაში მიიღება მინერალებისგან, რომელიც ძირითადად კალციუმის კარბონატს $CaCO_3$ შეიცავს.


კალციუმის კარბონატი ბუნებაში ცარცის, კირქვისა და მარმარილოს სახით გვხვდება. მას იყენებენ ჩაუმქრალი კირის, ნახშირბადის დიოქსიდის, სოდის, თუფისა და ფორლადის, მინის, ცემენტის ნარმოებაში, სამშენებლო სამუშაოებში, აგრეთვე ნიადაგის მუავიანობის შესამცირებლად.

მოკლედ განვიხილოთ კალციუმის შემდეგი ნაერთების მიღება, თვისებები და გამოიყენება: CaO , $Ca(OH)_2$, $CaSO_4 \cdot 2H_2O$ და CaC_2 .

კალციუმის ოქსიდი CaO (ტექნიკური სახელწოდება – ჩაუმქრალი კირი) თეთრი ფერის ძნელდნობადი ნივთიერებაა ($t_{\text{დ}}=2570^{\circ}\text{C}$). მრეწველობაში იღებენ კირქვის ან ცარცის დამლით $1000-1200^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე:



კალციუმის ოქსიდი გამოიყენება ძირითადად ჩამქრალი კირისა და კალციუმის კარბიდის მისაღებად:



კალციუმის ჰიდროქსიდი $Ca(OH)_2$ მიეკუთვნება ტუტებს. ის გამოიყენება ჩამქრალი კირის, კირრძისა და კირიანი წყლის სახით.

1. ჩამქრალი კირი ნაცრისფერი, წყალში მცირებდ ხსნადი ნივთიერებაა (20°C -ზე 1 ლ წყალში იხსნება 1,56 გ). ქვიშასთან და წყალთან მის ნარევს ეწოდება სამშენებლო ანუ კირის ხსნარი და გამოიყენება მშენებლობაში. სამშენებლო ხსნარის გამაგრება ქვემოთ მოტანილი რეაქციების შედეგია:



2. კირრძე რძის მსგავსი ტივტივარაა. მას იღებენ ჩამქრალი კირის წყალთან შერევის შედეგად. გამოიყენება ქლორინანი კირის მისაღებად, წყლის დროებითი სიხისტის მოსაცილებლად, შაქრის, მცენარეთა დაავადებებისა და მათი მავნებლების საწინააღმდეგო საშუალებების ნარმოებაში, აგრეთვე შენობებისა და ხის ძირების შესათეთრებლად.

3. კირიანი წყალი არის კალციუმის ჰიდროქსიდის გამჭვირვალე წყალხსნარი. მას იღებენ კირძის გაფილტვრით. ლაბორატორიაში გამოიყენება ნახშირბადის დიოქსიდის განსაზღვრისთვის: ნახშირბადის დიოქსიდის კირიან წყალში გატარებისას ხსნარი იმდვრევა უხსნადი კალციუმის კარბონატის წარმოქმნის გამო (ჰ ტოლობა). ოლონდ, თუ ნახშირმჟავა აირს ხსნარში დიდხანს გავატარებთ, კალციუმის კარბონატის ხსნად ჰიდროკარბონატად გარდაქმნის გამო, სიმღვრივე ქრება (ჰ ტოლობა):



ქლორიანი კირი მიიღება ჩამქრალ კირზე ქლორის ზემოქმედებისას:




მას იყენებენ საღებავების გასაუფერულებლად, აგრეთვე დეზინფექციისა და დეგაზაციისთვის.

ცოდნის ზარდახში • ქლორიანი კირის აქტიური ნანილია კალციუმის ჰიპოქლორიტი. წყლისა და ნახშირმჟავა აირის (ჰაერიდან) ზემოქმედებისას ჰიპოქლორიტიდან მიიღება არამდგრადი ქვექლოროვანი მჟავა (HClO). მისი დაშლისას წარმოქმნილი ატომური ჟანგბადი, ჟანგვას რა საღებავებს, აუფერულებს მათ:




თაბაშირი $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$ ბუნებაში გვხვდება, ამიტომ მას ბუნებრივ თაბაშირს უწოდებენ. გაცხელებისას ($150\text{--}180^\circ\text{C}$) ბუნებრივი თაბაშირი ნაწილობრივ კარგავს წყალს და გარდაიქმნება ალებასტრად ანუ გამომწვარ თაბაშირად $(\text{CaSO}_4)_2 \cdot \text{H}_2\text{O}$:



ალებასტრისა და წყლის ნარევი სწრაფად მაგრდება; ამ დროს ალებასტრი, იერთებს რა წყალს, ისევ თაბაშირად გარდაიქმნება. ალებასტრის ამ თვისებას იყენებენ მხატვრული ნაკეთობების დამზადებისას, მედიცინაში – თაბაშირის სახევევების დადგებისას, ხოლო კირთან, ქვიშასთან და წყალთან ნარევის სახით – სამშენებლო საქმეში.

180°C -ზე მაღლა თაბაშირი მთლიანად კარგავს კრისტალიზაციურ წყალს და გარდაიქმნება უწყლო (CaSO_4) ანუ მკვდარ თაბაშირად, რომელიც, ალებასტრისან განსხვავებით, წყალს აღარ იერთებს:




კალციუმის კარბიდი CaC_2 ტექნიკაში აცეტილენის მისაღებად გამოიყენება.

წყლის სიხისტე და მისი თავიდან აცილების ხერხები

• წყალს, რომელიც Ca^{2+} და Mg^{2+} იონებს მცირე რაოდენობით შეიცავს, ენთდება რბილი წყალი, ხოლო თუ დიდი რაოდენობით – ხისფი წყალი.

ხისფი წყალი ბევრი ტექნიკური მიზნისთვის გამოიყენება, ამიტომ აუცილებელია წყლის სიხისტის თავიდან აცილება, ე.ი. Ca^{2+} და Mg^{2+} იონების დალექვა.

ცოდნის ზარდაბეჭვი • ორთქლის ქვაბებში ხისტი წყლის გამოყენებისას ნარმოიქმნება მინალულის სქელი ფენა, რომელიც ინვევს ქვაბების დამლას და სათბობის დიდ ხარჯს. ხისტი წყალში რეცხვისას ქსოვილის ხარისხი უარესდება და ბევრი საპონი იხარჯება:





მინალული
ელექტროსპირალის
ზედაპირზე




ასხვავებენ წყლის კარბონატულ (დროებით) და არაკარბონატულ (მუდმივ) სიხისტეს.

კარბონატული ანუ დროებითი სიხისტე განპირობებულია წყალში კალციუმისა და მაგნიუმის ჰიდროკარბონატების არსებობით.

კარბონატულ სიხისტეს თავიდან იცილებენ წყლის ადულებით, კირრძის ან სოდის მოქმედებით:





წყლის დუღილისას ჰიდროკარბონატები იშლება, გარდაიქმნება რა უხსნად კარბონატებად. სწორედ ამიტომ უწოდებენ მას დროებით სიხისტეს. ბუნებაში ის ჩნდება კირქვასთან და დოლომიტთან ნახშირმჟავა აირის და წყლის ურთიერთებების შედეგად:



წყლის არაკარბონატულ ანუ მუდმივ სიხისტეს განაპირობებს კალციუმისა და მაგნიუმის ელორიდებისა და სულფატები.

მუდმივ სიხისტეს იცილებენ სოდის ან ნატრიუმის ორთოფოსფატის მოქმედებით:



სოდით და ნატრიუმის ორთოფოსფატით შეიძლება წყლის დროებითი სიხისტის თავიდან აცილებაც.

ამგვარად, Ca^{2+} და Mg^{2+} იონების დალექცის მეთოდები დამოკიდებულია ამ კატიონებთან მიერთებული მუავას ნაშთის ბუნებაზე.

ეს საინტერესოა

წყლის დასარბილებლად გამოიყენება აგრეთვე კატიონტები. იონიტები მყარი ნივთიერებებია, რომლებიც შეიცვალება გარემო არის იონებთან მიმოცვლის უნარის მქონე ქვრად იონებს. თუ ძერად იონს ნარმალებებს კატიონი, იონიტს ეწოდება კატიონიტი, თუ ანიონი – ანიონიტი. წყლის სიხისტის თავიდან ასაცილებლად იყენებენ კატიონიტებს – იონგამცვლელ ფისებს და ალუმინილიკატებს, მაგალითად, $\text{Na}_2[\text{Al}_2\text{Si}_2\text{O}_8 \cdot n\text{H}_2\text{O}]$.

წყლის **საერთო** სიხისტე ნარმოადგენს დროებით და მუდმივ სიხისტეთა ჯამს.

წყლის **საერთო** სიხისტე განისაზღვრება Ca^{2+} და Mg^{2+} კატიონების მილიმოლების (მმოლი) რიცხვით 1 ლ წყალში.

წყალს ეწოდება რბილი, თუ მისი საერთო სიხისტე 2 მმოლი/ლ ნაკლებია, 2-დან 10-მდე საერთო სიხისტის მქონე წყალი საშუალო სიხისტისაა, ხოლო 10 მმოლი/ლ მეტი სიხისტისა კი – ხისტი.

ყოფამი გამოყენებული წყლის სიხისტე არ უნდა აღემატებოდეს 7 მმოლი/ლ.

საკვანძო სიტყვები

- მარმარილო • ჩამქრალი კირი • კირრექ • კირიანი წყალი • ქლორიანი კირი • თაბაშირი • დროებითი და მუდმივი სიხისტე • საერთო სიხისტე •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელ რეაქციას არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა?

- $\text{CaCO}_3 \xrightarrow{\text{ }} \text{CaO} + \text{CO}_2$
- $2\text{Ca} + \text{O}_2 \rightarrow 2\text{CaO}$
- $\text{CaO} + \text{H}_2\text{O} \rightarrow \text{Ca}(\text{OH})_2$
- $\text{Ca}(\text{OH})_2 + \text{CO}_2 \rightarrow \text{CaCO}_3 + \text{H}_2\text{O}$
- $2\text{Ca}(\text{OH})_2 + 2\text{Cl}_2 \rightarrow \text{Ca}(\text{ClO})_2 + \text{CaCl}_2 + 2\text{H}_2\text{O}$

2. რომელი ნივთიერება გამოიყენება წყლის როგორც დროებითი, ისე მუდმივი სიხისტის ასაცილებლად?

- Na_2CO_3
- NaHCO_3
- Na_2SO_4
- $\text{Ca}(\text{OH})_2$
- $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$

3. რომელ ნივთიერებას ეხება გამონათქვამები?

- მიღება ეგზოთერმული რეაქციის შედეგად;
- შედის კირიანი წყლის შედგენილობაში;
- გამოიყენება ქლორიანი კირის მისაღებად;
- გამოიყენება CO_2 -ის განსაზღვრისთვის.

- $\text{Ca}(\text{OH})_2$
- CaO
- HClO
- $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$
- $\text{Ca}(\text{ClO})_2$


4. რომელი სქემით ცილებენ წყლის დროებით სიხისტეს?

- $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2 \xrightarrow{100^\circ\text{C}}$
- $\text{Mg}(\text{HCO}_3)_2 + \text{Na}_2\text{CO}_3 \rightarrow$
- $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2 + \text{NaHCO}_3 \rightarrow$
- $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2 + \text{Ca}(\text{OH})_2 \rightarrow$
- a) 1,2,3,4 b) მხოლოდ 1 c) მხოლოდ 4 d) მხოლოდ 2 e) 1,2,4

5. წყალში კალციუმის (ან მაგნიუმის) რომელი ნაერთების არსებობა განაპირობებს მის დროებით და მუდმივ სიხისტეს?

- რით არის განპირობებული ქლორიანი კირის მათეთრებელი თვისებები?
- 100 კგ კალციუმის კარბონატის დაშლისას გამოიყო 22 კგ ნახშირბადის დიოქსიდი. გამოთვალეთ მყარ ნაშთში კალციუმის ოქსიდის მასური წილი $M_r(\text{CaCO}_3)=100$; $M_r(\text{CO}_2)=44$; $M_r(\text{CaO})=56$.
- რამდენი მგ Ca^{2+} იონებს შეიცავს 7 მმოლი/ლ საერთო სიხისტის მქონე 100 მლ წყალი? (Mg^{2+} იონები არ გაითვალისწინოთ).
- გამოთვალეთ წყლის მასური წილი (%) აღებასტრსა და თაბაშირში. $M_r(\text{H}_2\text{O})=18$, $M_r(\text{CaSO}_4)=136$.

10. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები.



7 ქორის ქვეჯგუფის ელემენტები.

ალუმინი და მისი ნაერთები



– რით არის განპირობებული ალუმინისა და მისი შენადნობების ფართო გამოყენება
რაკეტებისა და ავიაშენებლობაში, აგრეთვე საავტომობილო წარმოებაში?

საქმიანობა

ალუმინის ურთიერთებების მუცელთან და ტუტეებთან

უზრუნველყოფა: ალუმინის ნაჭრები, ორი სინჯარა, მარილმჟავა, NaOH-ის კონცენტრირებული ხსნარი.

სამუშაოს შესყიდვლობა: ორიდან ერთ-ერთ სინჯარაში, რომლებშიც 2-3 ნაჭერი ალუმინია, ფრთისილად ჩაასხით 5-6 მლ მარილმჟავა, მეორეში კი – ტუტის ხსნარი და დააკვირდით, რა მოხდება.

განიხილეთ შედეგები:

- ქმიტური რეაქციის რომელი ნიშნები შეამჩნიეთ თოთოეულ სინჯარაში?
- რას უნდოებენ ნივთიერებებს, რომლებიც რეაგირებს მუცელთან და ტუტეებთან?
- თქვენი აზრით, როგორ ირეაგირებს მუცელთან და ტუტეებთან ალუმინის ოქსიდი და ჰიდროქსიდი?
- როგორ შეძლება ალუმინის ამ თვისებების დაკავშირება მის მდებარეობასთან პერიოდულ სისტემაში?

ალუმინი მოთავსებულია ბორის ქვეჯგუფში. ამ ქვეჯგუფში შედის აგრეთვე ბორი B, გალიუმი Ga, ინდიუმი In და თალიუმი Tl. ყველა ეს p-ელემენტებია. მათი ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე იმყოფება 3 ელექტრონი (ns^2np^1), ამიტომ, გასცემს რა ამ 3 ელექტრონს, ნაერთებში ამჟღავნებს უანგვის რიცხვს +3.

ბორის ქვეჯგუფის ელემენტების მეტალური თვისებები უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე იმავე პერიოდში განლაგებული ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტებისა.

ქვეჯგუფში ბორიდან თალიუმისკენ მეტალური თვისებები *ძლიერდება*:

B – არამეტალია, Al – ორმაგი ბუნების მეტალია, In და Tl მეტალებია.

ბორის ქვეჯგუფის ყველა ელემენტი ნარმოქმნის R_2O_3 ტიპის ოქსიდებს, რომელსაც შეესაბამება $R(OH)_3$ შედგენილობის ჰიდროქსიდები. ჰიდროქსიდებიან: $B(OH)_3$ ანუ H_3BO_3 მუცელა, $Al(OH)_3$, $Ga(OH)_3$ და $In(OH)_3$ ამფორული თვისებების მქონე ჰიდროქსიდებია.

ალუმინი და მისი ნაერთები


ალმოჩენა. სუფთა ალუმინი პირველად მიიღეს ალუმინის ქლორიდის კალიუმით აღდგენის გზით უპარერო არეში (1827 წ., ველერი, გერმანია).

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის ალნაგობა. ალუმინი მე-3 პერიოდის III ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტია. მისი ატომის ელექტრონული ალნაგობაა – $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^1$.

ბუნებაში გავრცელება. ბუნებაში გავრცელების მიხედვით ალუმინი ელემენტებს შორის – მე-3, ხოლო მეტალებს შორის – 1-ელ ადგილზეა. ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით. უმნიშვნელოვანესი ნაერთებია ალუმინილიკატები, ბოქსიტი ($Al_2O_3 \cdot nH_2O$), კორუნდი (Al_2O_3) და კრიოლითი ($Na_3[AlF_6]$).

ცოდნის ზარდაბში • ალუმინისლიკატები ალუმინის, სილიციუმის, ტუტე და ტუტემინა მეტალების ოქსიდებისგან წარმოქმნილი მარილებია. მარილითად, წეფელინი $\text{Na}_2\text{O}\cdot\text{Al}_2\text{O}_3\cdot2\text{SiO}_2$, მინდვრის შპატი $\text{K}_2\text{O}\cdot\text{Al}_2\text{O}_3\cdot6\text{SiO}_2$. აზერბაიჯანში ალუმინი გაფართოვება მინერალ ალუმინის ($\text{K}_2\text{SO}_4\cdot\text{Al}_2(\text{SO}_4)_3\cdot2\text{Al}_2\text{O}_3\cdot6\text{H}_2\text{O}$) შედგენილობაში (ზეილიქის საბადო, დაშქესანის რაიონი).

მიღება. მრეწველობაში ალუმინის იღებენ ალუმინის ოქსიდის (ბოქსიტის) ნალღობის ელექტროლიზით (ს). შედარებით დაბალ ტემპერატურაზე განხორციელების მიზნით, ელექტროლიზს უქვემდებარებენ არა თვით Al_2O_3 -ს [$t_{\text{დ}} = 2050^\circ\text{C}$], არამედ მის სსნარს კრიოლითში ($\text{Na}_3[\text{AlF}_6]$). ამ შემთხვევაში პროცესი მიმდინარეობს 950°C -ზე და ელექტროლიზის სქემა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:




ჩვენს რესპუბლიკაში ალუმინი ამ მეთოდით მიღება ქალაქ განჯაში. **ფიზიკური თვისებები.** ალუმინი მოვერცხლისფრო-თეთრი, მსუბუქი ($\rho = 2,7 \text{ г/см}^3$), პლასტიკური და ადეილდნობადი (660°C) მეტალია. ელექტროგამტარობით მხოლოდ ვერცხლს, სპილენძსა და ოქროს ჩამორჩება. 600°C -ზე ალუმინი მყიფე ხდება და შეიძლება გარდავქმნათ ფხენილად.

ქიმიური თვისებები. ალუმინი ძლიერი აღმდგენია. ჰაერზე ის წამიერად იუანგება, იფარება რა იქსიდის აპკით. ოქსიდის აპკით დაფარული ალუმინი წყალთან არ რეაგირებს. თუ ალუმინის ზედაპირს გავხეხავთ ვერცხლისწყლის მარილით (HgCl_2), ოქსიდური აპკი დაირღვევა და ალუმინი გამოაქვებს ვერცხლისწყალს მარილიდან. ვერცხლისწყალი და ალუმინი წარმოქმნის ალუმინის ამაღლამას ($\text{Al}_{\text{აალ}}$), რომელიც შემდგომში ჩვეულებრივ პირობებში რეაგირებს წყალთან:



გაცხელებისას ალუმინი რეაგირებს ჰალოგენებთან, გოგირდთან, აზოტთან, ნახშირბადთან:




წყალბადთან ალუმინი უშუალოდ არ ურთიერთქმედებს.

ჩვეულებრივ პირობებში ალუმინი არ ურთიერთქმედებს ძლიერ განზავებულ და კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან, აგრეთვე კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან; ამ არები ის პასიურდება. მარილმჟავაში და განზავებულ გოგირდმჟავაში ალუმინი იხსნება წყალბადის გამოძევებით:




ალუმინი ბევრ მეტალს (Fe, Mn, Cr, V, W) აღადგენს მათი ოქსიდებიდან. რეაქციები ეგზოთერმულია.





ოქსიდებიდან მეტალების ალუმინით აღდგენას ალუმინთერმია ეწოდება.

8:3 მოლური თანაფარდობით აღებულ ალუმინის მტვრისა და რკინის ხენჯის (Fe_3O_4) ნარევს თერმიტი ეწოდება, ხოლო თვით პროცესს, რომელიც მათ შორის მიმდინარეობს – თერმიტული შედუღება.



როგორც ორმაგი ბუნების ელემენტი, ალუმინი რეაგირებს აგრეთვე ტუტე-ებთან:




ეს საინტერესო


თერმიტული შედუღებისას გამოყოფილი სითბოს ხარჯზე რკინა დნება და ეს მოვლენა გამოიყენება რელსების შედუღებისას.



❸ – რელსების თერმიტული შედუღება ალუმინთერმიის ხერხით;
❹ – რელსი თერმიტული შედუღების შემდეგ.




განსაზღვრა. Al^{3+} იონის განსაზღვრისთვის ალუმინის მარილის ხსნარს უმატებენ ტუტის ხსნარს. ამ დროს გამოიყოფა ალუმინის ჰიდროქსიდის თეთრი ლაბისებრი ნალექი. ჭარბ ტუტები ნალექი იხსნება (ნარმოიქმნება ხსნადი ალუმინატები):



წყალბადის მიღება ალუმინის მონანილეობით
რამდენი ლ (ნ.პ.) წყალბადი გამოიყოფა 5,4 გ ალუმინის ჭარბ მარილმჟავასთან
ურთიერთქმედებისას? $A_r(\text{Al}) = 27$.

ამოხსნა:

ტოლობის მიხედვით გამოვთვალოთ ნარმძნილი წყალბადის მოცულობა:



ამოცანა. სპილენძისა და ალუმინის 10 გ ნარევზე იმოქმედეს KOH-ის ჭარბი კონცენტრირებული ხსნარით. გამოიყო 4,48 ლ (ნ.პ.) წყალბადი. გამოთვალეთ ალუმინის მასური ნილი (%) საწყის ნარევში.

ალუმინის ოქსიდი Al_2O_3 ძლიერ მაგარი თეთრი ფერის ნივთიერებაა. ლდვება
მაღალ ტემპერატურაზე (2050°C). ბუნებაში გვხვდება კორუნდის ან მისი
ნაწარმების სახით.

ცოდნის ზარდაბში • კორუნდის გამჭვირვალე ცისფერ კრისტალებს ეწოდება
საფირონი, წითელს – ლალი (ვ). მათ იყენებენ ქვირფას სამკაულების სახით,
ხოლო ლალი გამოიყენება საათის მექანიზმების დამზადებაში, ელექტროტექნიკაში
– ლაზერებში. კორუნდი გამოიყენება აგრეთვე ზუმფარის ქაბლდისა და სალესი
ქვების დასამზადებლად.


ბოქსიტი



კორუნდი





ლალი



საფირონი

(ვ) ალუმინის ოქსიდის ბუნებრივი მინერალები

ლაბორატორიაში ალუმინის ოქსიდის მიღება შეიძლება ალუმინის ფევნილის
უანგბადში დაწვით ან ალუმინის ჰიდროქსიდის დაშლით:




მრეწველობაში ალუმინის ოქსიდს იღებენ ბოქსიტის გადამუშავებით.

როგორც ამფიტერული ოქსიდი, ის არ ისხნება და არ რეაგირებს წყალთან;
ურთიერთქმედებს როგორც მჟავებთან, ისე ტუტეებთან:



სანარში

ალუმინის ჰიდროქსიდი $\text{Al}(\text{OH})_3$ – თეთრი ფერის წყალში უხსნადი ნივთიერებაა. მისი მიღება შეიძლება ალუმინის მარილის ხსნარზე ტუტის ხსნარის
მოქმედებით:



ალუმინის ჰიდროქსიდი, როგორც ამფოტერული ნივთიერება, ურთიერთქმედებს მუვებთან და ტუტეებთან:



გამოყენება. ალუმინი გამოიყენება სადენებისა და ელექტროსადენების, სამზარეულოს ჭურჭლის, საკვები პროდუქტების შესაფუთი ფოლგის, კონდენსატორების, ფეთქებადი ნივთიერებების ($\text{Al} + \text{NH}_4\text{NO}_3$), სილიციუმთან შენადნობის – სილუმინის დასამზადებლად. მისი შენადნობი დურალუმინი ფართოდ გამოიყენება თვითმფრინავთმშენებლობაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

ალუმინის იყენებენ ოქსიდებიდან მეტალების აღსადგენას. ის გამოიყენება აგრეთვე ფოლადისა და თუჯის ნაკეთობების აღიტირებით კოროზისგან დასაცავად. ალიტირება არის ნაკეთობის ზედაპირის ალუმინის მტვრით გაჯერება მაღალ ტემპერატურაზე.

საკვანძო
სიტყვები


• ბოქსიტი • კორუნდი • ალუმინთერმია • თერმიტული შედუღება •
თერმიტი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება


1. რა არის მცდარი ალუმინისთვის (LiAl)?

- ა) მსუბუქი მეტალია;
- ბ) ადვილდნობადი მეტალია;
- გ) ს-ელემენტია;
- დ) მის იონს აღმოაჩენენ ტუტის ხსნარით;
- ე) ნარმოქმნის ამფოტერულ ოქსიდსა და ჰიდროქსიდს.


2. განსაზღვრეთ \mathbf{X} , \mathbf{Y} და \mathbf{Z} ნივთიერებები.



3. დაასრულეთ რეაქციათა სქემები და აღნიშნეთ ალუმინთერმული მეთოდის ამსახველი ტოლობები.



4. დაასრულეთ შესაძლო რეაქციათა სქემები.




5. შეადგინეთ ალუმინის ნიტრიდისა და კარბიდის ფორმულები. გამოთვალეთ ამ ნაერთებში აზოვისა და ნახშირბადის უანგვის რიცხვი.

6. ალუმინისა და მისი შენადნობების რომელ თვისებებზეა დამყარებული მათი გამოყენება ტექნიკაში?

7. გამოთვალეთ ბოქსიტში ალუმინის ოქსიდის Al_2O_3 მასური წილი (%), თუ ცნობილია, რომ სრული ელექტროლიტისას 1,2 ტ ბოქსიტიდან მიღება 0,54 ტ ალუმინი. $M_r(\text{Al}_2\text{O}_3) = 102$.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები.



9. დაწერეთ რეაქციატი თემაზე: „მეტალები ტექნიკაში“.

შემაჯამებელი დავალებები

- 1. განსაზღვრეთ მცდარი გამონათქვამი.**
 - სილვინიტი ორი ტუტე მეტალის მარილია;
 - NaCl-ისა და KCl-ის ნალღობების ელექტროლიზით იღებენ შესაბამის მეტალებს;
 - NaH-ს აქვს არამოლეკულური აღნაგობა;
 - კალიუმის ჰიდრიდში წყლისადმის უანგვის რიცხვია -1;
 - ტუტე მეტალებს არ იღებენ ტუტეების ელექტროლიზით.
- 2. მეტალების რომელი თვისებები იზრდება რიგში: Be, Mg, Ca, Sr, Ba ?**

1. იონიზაციის ენერგია;	2. მეტალური თვისებები;			
3. ალმდგენი თვისებები;	4. ელექტროუარყოფითობა.			
ა) 1,2,3,4	ბ) 1,2,3	გ) 2,3	დ) 1,4	ე) 1,3
- 3. რვეულში გადაწერეთ რეაქციათა სქემები და დაასრულეთ ისინი.**

1. $Al + Fe_3O_4 \xrightarrow{\cdot}$	2. $3C + CaO \xrightarrow{\cdot}$	3. $Ca + P \xrightarrow{\cdot}$
4. $Li + O_2 \xrightarrow{\cdot}$	5. $Na + O_2 \xrightarrow{\cdot}$	6. $LiH + H_2O \rightarrow$
- 4. რომელი გამონათქვამი არ უხება კალციუმსა და მის იონს?**
 - მოვერცხლასფრო-თეთრი მეტალია;
 - მძიმე მეტალია;
 - ადვილდნობადი მეტალია;
 - Ca ნაკლებ აქტიურია, ვიდრე Ba;
 - მისი იონი მონანილეობს სისხლის შედედებაში.
- 5. რომელი იონები განაპირობებს ნყლის დროებით სიხისტეს?**
 - $Mg^{2+}, Ca^{2+}, HCO_3^-$
 - $Mg^{2+}, Ca^{2+}, CO_3^{2-}$
 - $Mg^{2+}, Ca^{2+}, SO_4^{2-}$
 - K^+, Ca^{2+}, HCO_3^-
 - Na^+, Ca^{2+}, CO_3^{2-}
- 6. რვეულში გადაწერეთ რეაქციათა სქემები და დაასრულეთ ისინი:**

1. $Al + NaOH + H_2O \xrightarrow{\cdot}$	2. $Al_2O_3 + NaOH + H_2O \rightarrow$
3. $Ca(HCO_3)_2 + Ca(OH)_2 \rightarrow$	4. $Ca(HCO_3)_2 + Na_2CO_3 \rightarrow$
5. $MgSO_4 + Na_3PO_4 \rightarrow$	6. $CO_2 + H_2O + CaCO_3 \rightarrow$
- 7. რომელი გამონათქვამია მცდარი ნყლის სიხისტესთან მიმართებაში?**
 - განასხვავებენ კარბონატულ და არაკარბონატულ სიხისტეს;
 - განასხვავებენ დროებით და მუდმივ სიხისტეს;
 - თავიდან იცილებენ სოდის მოქმედებით;
 - ნყლი დისტილაციისას თავიდან იცილებენ ორივე ტრპის სიხისტეს;
 - ყოფაში გამოყენებული ნყალს უნდა ჰქონდეს 7 მმოლი/ლ მეტი სიხისტე.
- 8. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. ალუმინი...**
 - ჩვეულებრივ პირობებში პასიურდება კონცენტრირებულ გოგირდმუქაში;
 - ჩვეულებრივ პირობებში პასიურდება კონცენტრირებულ აზოტმჟავაში;
 - ვერცხლისნყალთან ნარმოქმნის ამაღლამას;
 - ჰაერზე იფარება ოქსიდური აფსკით;
 - ხსნარში იონიზაციის სახით შეიძლება განისაზღვროს $Cu(OH)_2$ -ის ხსნარის მოქმედებით.
 - 1,2,3,4,5
 - 2,3,4,5
 - 1,2,3,4
 - 1,3,4,5
 - 3,4
- 9. რამდენმა გ ლითიუმმა უნდა ირეაგიროს ნყალთან, რომ მივიღოთ იმავე მოცულობის ნყალბადი, რა მოცულობაც მიღება 69 გ ნატრიუმის ნყალთან ურთიერქმედების შედეგად? $A_r(Li) = 7, A_r(Na) = 23.$**
- 10. ერთნაირი მასით აღებულ მეტალებსა Mg, Ca და Ba შორის რომელი გამოყოფს მარილ-მჟავასთან ურთიერთქმედებისას უდიდესი მოცულობის ნყალბად?**

თანაური ქვეჯგუფის მატალები

8 თანაური ქვეჯგუფის მატალების მოკლე მიმოხილვა.
რეინა. რეინის ოქსიდები და ჰიდროქსიდები



– რომელი მეტალი გამოიყენება ტექნიკაში ყველაზე ფართოდ? რატომ?

თანაური ქვეჯგუფის მეტალების ზოგადი დახასიათება

მე-4-მე-7 პერიოდების თანაური ქვეჯგუფების ელემენტებს გარდამავალი ელემენტები ეწოდება. ყოველ პერიოდში ეს ელემენტები განლაგებულია **s-** და **p-**ელემენტებს შორის. როგორც წესი, მათი ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე ერთი ან ორი **s-ელექტრონია**, ხოლო გარედან მეორე (**d-შემთხვევაში**) და მესამე (**f-შემთხვევაში**) **d-** და **f-ელედონები** ნაწილობრივაა შევსებული, ამიტომ მათ **d-** და **f-ელემენტებსაც უწოდებენ** (სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ატომებში **d-ქვედონები** დასრულებულია (**d¹⁰**)).

გარდამავალ **d-ელემენტებში** სავალენტო ელექტრონებია **s-** და **d-ელექტრონები**.

გარდამავალ მეტალებს ახასიათებს რიგი თავისებურებანი:

1. ყველა მათგანი მეტალია;
2. ბევრი მათგანი ამჟღავნებს უანგვის ცვალებად რიცხვს;
3. მათი იონები და ნაერთები ხშირად შეფერილია.

გავეცნოთ პრაქტიკული თვალასაზრისით უმნიშვნელოვანესი თანაური ქვეჯგუფების მეტალების – რეინის, სპილენძის, თუთიისა და ქრომის – მიღების ხერხებს, თვისებებსა და გამოყენებას.

რეინა. რეინის ოქსიდები და ჰიდროქსიდები

საქმიანობა

რეინის ურთიერთქმედება მჟავებთან

უზრუნველყოფა: რეინის ბურბუშელა, მარილმჟავა, განწიავებული და კონცენტრირებული გოგირდმჟავა, კონცენტრირებული აზოტმჟავა, 4 სინჯარა, სპირტქურა.

სამუშაოს მიმდინარეობა: ოთხივე სინჯარაში მოათავსეთ რეინის ბურბუშელა 0,5გ ოდენობით. 1-ელ სინჯარაში ჩაასხით ცოტაოდენი მარილმჟავა, მე-2 და მე-3 სინჯარებში – განწიავებული და კონცენტრირებული გოგირდმჟავა, მე-4-ში – კონცენტრირებული აზოტმჟავა და დააკვირდით, რა მოხდება. ცოტა ხნის შემდეგ სინჯარები კონცენტრირებული მჟავებით სუსტად გააცხელეთ.

განხილულ შედეგები

- რომელ სინჯარებში შეამჩნიეთ ქიმიური რეაქციის ნიშნები გაცხელების გარეშე?
- რა შეამჩნიეთ გაცხელებისას კონცენტრირებული მჟავების შეტცველ სინჯარებში?
- ერთნაირია თუ არა რეინის უანგვის რიცხვი რეაქციის პროდუქტებში? რატომ?

აღმოჩენა. რეინას ადამიანები უძველესი დროიდან იცნობენ.


რეინის უანგვის რიცხვი ნაერთებში ძირითადად არის +2 და +3.

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. რკინა მოთავსებულია მე-4 პერიოდში, VIII ჯგუფის თანაურ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^6 4s^2$, ე.ი. რკინა d-ელემენტია. ნაერთებში, $4s$ -ელექტრონების დაკარგვისას, ის ამჟღავნებს ჟანგვის რიცხვს +2, ხოლო კიდევ ერთი ელექტრონის (ერთ-ერთი d-ელექტრონის) დაკარგვისას – ჟანგვის რიცხვს +3.

ბუნებაში გავრცელება. რკინა, ალუმინის შემდეგ, ბუნებაში ყველაზე გავრცელებული მეტალია (5,1%). გვხვდება ძირითადად ჟანგბადშემცველი და გოგირდშემცველი ნაერთების სახით. მათგან უმნიშვნელოვანესია: მაგნეტიტი Fe_3O_4 (მაგნიტური რკინაქვა), ჰემატიტი Fe_2O_3 (ნითელი რკინაქვა), ლიმონიტი $Fe_2O_3 \cdot nH_2O$ (მურა რკინაქვა), პირიტი FeS_2 (გოგირდის ანუ რკინის ალმადანი) და სიდერიტი $FeCO_3$ (რკინის შპატი). რკინის ონები შედის მრავალი მინერალური წყლისა და სისხლის ჰემოგლობინის შედგენილობაში.

აზერბაიჯანში რკინა გვხვდება დაშქესანის რკინისა და ფილიზჩას პოლიმეტალურ საბადოებში.


რკინის მინერალები:
ჰემატიტი (ა) და სიდერიტი (ბ)



მიღება. რკინა შეიძლება მივიღოთ ორვალენტიანი რკინის მარილების ელექტროლიზით ან ოქსიდების აღდგენით:



მრეწველობაში რკინა (თუჭისა და ფოლადის სახით) მიიღება ძირითადად რკინა(III)-ის ოქსიდის ნახშირბადის მონორქსიდით აღდგენის გზით:



ფიზიკური თვისებები. რკინა ბზინვარე მოვერცხლისფრო-თეთრი პლასტიკური მეტალია. კარგად ატარებს სითბოსა და ელექტროდენს. მიეკუთვნება მძიმე ($\rho=7,87$ გ/სმ 3) და ძნელდნობად ($t_{\text{და}}=1539^{\circ}\text{C}$) მეტალებს. ადვილად მაგნიტდება.


ქიმიური თვისებები. რკინა საშუალო აქტიურობის მეტალია. ის რეაგირებს მარტივ და რთულ ნივთიერებებთან:

ა) ჟანგბადთან და სხვა არამეტალებთან:




($FeO \cdot Fe_2O_3$ -ში რკინის ჟანგვის რიცხვია, შესაბამისად, +2 და +3).



ბ) ტენიან ჰაერთან, ხოლო მაღალ ტემპერატურაზე – წყლის ორთქლთანაც:





ვ) ნაკლებად აქტიური მეტალების მარილების ხსნარებთან:



გ) მარილმჟავასთან და განზავებულ გოგირდმჟავასთან:




კონცენტრირებულ გოგირდისა და აზოტის მჟავებში, ჩვეულებრივ პირობებში, რკინა პასიურდება და მათთან არ რეაგირებს. გაცხელებისას ის ზემოხსენებულ მჟავებთან შემდეგნაირად რეაგირებს:




ცოდნის ზარდახშა • რკინაზე მარილმჟავას ან განზავებული გოგირდმჟავას მოქმედებისას მიღება თრვალენტიანი რკინის მარილები, ხოლო რკინის ქლორში დაზისას ან კონცენტრირებულ გოგირდისა და აზოტის მჟავებთან გაცხელებისას – სამვალენტიანი რკინის მარილები.

განსაზღვრა. Fe^{3+} იონების ხსნარში განსაზღვრა ეფუძნება რკინა(III)-ის ჰიდროქსიდის მურა წითელი ფერის ნალექის ნარმოქმნას ტუტეების მოქმედებისას, აგრეთვე სისხლისფერ-წითელი ხსნარის ნარმოქმნას როდანიდების, მაგალითად, კალიუმის როდანიდის მოქმედებისას:




მურა წითელი ფერის ნალექი



სისხლისფერ-წითელი ხსნარი

Fe^{2+} იონების ხსნარში აღმოჩენისთვის აგრეთვე ტუტე გამოიყენება, ოღონდ ამ შემთხვევაში წარმოქმნება რკინა(II)-ის ჰიდროქსიდის მომწვანო ფერის ნალექი, რომელიც ჰაერზე თანდათანობით მუქდება:





რკინის ოქსიდები და ჰიდროქსიდები



რკინის ოქსიდები – FeO , Fe_3O_4 და Fe_2O_3 – მყარი, წყალში უხსნადი ნივთიერებებია. ისინი იხსნება მჟავებში. FeO ხასიათდება ფუძე, ხოლო Fe_2O_3 – სუსტი ამფოტერული თვისებებით. Fe_3O_4 ($\text{FeO} \cdot \text{Fe}_2\text{O}_3$) შერეული ოქსიდია.



რკინა(II)-ის ოქსიდი მიღება რკინა(III)-ის ოქსიდის ალდგენით, ხოლო რკინა(III)-ის ოქსიდი – რკინა(II)-ის ჰიდროქსიდის თერმული დამლით, მრეწველობაში კი – პირიტის დაწვით:



როგორც ამფოტერული ოქსიდი, Fe_2O_3 რეაგირებს მჟავებთანაც და ტუტეებთანაც:



ნატრიუმის მეტაფერიტი

ცოდნის ზარდახშა • რკინის ჰიდროქსიდები Fe(OH)_2 და Fe(OH)_3 მიიღება ორ და სამგალენტიანი რკინის მარილთა ხსნარებზე ტუტეების მოქმედებით. რკინა(III)-ის ჰიდროქსიდი მიიღება აგრეთვე რკინა(II)-ის ჰიდროქსიდის დაჟანგვით:



ტოლობები მარჯვენა მხარეს მიუთითებს Fe^{2+} იონის ადგილად დაჟანგვის უნარზე.

Fe(OH)_2 ავლენს ფუძე, ხოლო Fe(OH)_3 – სუსტ ამფოტერულ თვისებებს, ე.ი. რკინა(III)-ის ჰიდროქსიდი უფრო სუსტი ფუძეა, ვიდრე რკინა(II)-ის ჰიდროქსიდი.

ეს საინტერესოა

ზრდასრული ადამიანის ორგანიზმში დახახლოებით 4-5 გ რკინაა. რკინა სისხლის ჰემოგლობინის ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ჰემოგლობინს კი ფილტვებიდან უკარისებს სიკანკების გადააქცევს ჟანგბადი. ბევრი ფერმენტი რკინის ნაერთია. რკინით განსაკუთრებით მდიდარია ლიპიდი და ელექტრო სისხლნაკლებობისას რეერმენდებულია რკინით მდიდარი საკვები (წინიბურა, ვაშლი, სალათის ფოთლები).

საკვანძო სიტყვები

• თანაური ქვეჯგუფების ელემენტები • ჰემატიტი • სიდერიტი • დამაგნიტება • კალიუმის როდანიდი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი სქემის მიხედვით არ წარმოიქმნება რკინა?

- a) $\text{Fe}_2\text{O}_3 + \text{H}_2 \xrightarrow{t}$ b) $\text{Fe}_2\text{O}_3 + \text{Al} \xrightarrow{t}$ c) $\text{Fe}_3\text{O}_4 + \text{Al} \xrightarrow{t}$
 d) $\text{Fe}_3\text{O}_4 + \text{Cu} \xrightarrow{t}$ e) $\text{Fe}_3\text{O}_4 + \text{CO} \xrightarrow{t}$

2. რომელი ნივთიერების დახმარებით შეიძლება განისაზღვროს ხსნარში Fe^{2+} და Fe^{3+} იონები?

- a) H_2SO_4 b) KOH c) KCl d) HNO_3 e) Cl_2

3. დაასრულეთ სქემები და აღიშნეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებშიც წარმოიქმნება H_2O_2 -გალენტიანი რკინის მარილები:

1. $\text{Fe} + \text{HNO}_3(\text{კონც.}) \xrightarrow{t}$
2. $\text{Fe} + \text{HCl}(\text{კონც.}) \rightarrow$
3. $\text{Fe} + \text{H}_2\text{SO}_4(\text{განჩ.}) \rightarrow$
4. $\text{Fe} + \text{H}_2\text{SO}_4(\text{კონც.}) \xrightarrow{t}$
5. $\text{Fe} + \text{Cl}_2 \xrightarrow{t}$

4. რატომ ეწოდება მე-4-მე-7 პერიოდების თანაური ქვეჯგუფების ელემენტებს d- და f- ელემენტები?

5. რომელი ფიზიკური თვისების მიხედვით შეიძლება, რკინა განვასხვაოთ სხვა მეტალების უმრავლესობისგან?

6. +2 თუ +3 ჟანგვის რიცხვი უფრო დამახასიათებელია რკინის ნაერთებისთვის? ჟანგვის რომელ მდგომარეობაში მყოფი რკინის ნაერთებია ჰაერზე უფრო მდგრადი?

7. სპილენდ(II)-ის სულფატის ხსნარში ჩაშვებული რკინის ფირფიტის მასა გაიზარდა 0,2 გ-ით. გამოთვალეთ, რამდენი გ სპილენდი გამოიყო რკინის ფირფიტაზე? $A_r(\text{Fe}) = 56$, $A_r(\text{Cu}) = 64$.

8. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:

1. $\text{Fe}_2\text{O}_3 \xrightarrow{1} \text{Fe} \xrightarrow{2} \text{FeCl}_2 \xrightarrow{3} \text{Fe(OH)}_2 \xrightarrow{4} \text{FeO} \xrightarrow{5} \text{FeSO}_4 \xrightarrow{6} \text{FeCl}_2$
2. $\text{Fe} \xrightarrow{1} \text{FeCl}_3 \xrightarrow{2} \text{Fe(OH)}_3 \xrightarrow{3} \text{Fe}_2\text{O}_3 \xrightarrow{4} \text{Fe}_2(\text{SO}_4)_3 \xrightarrow{5} \text{Fe}(\text{SCN})_3$

9 მუჯისა და ფოლადის ნარმოება



- ძირითადად რა სახით გამოიყენება რკინა ტექნიკაში? რატომ?
- რატომ იღებენ თუჭსა და ფოლადს არა სუფთა რკინისგან, არამედ რკინის მაღნებისგან?


• **თუჭი** რკინის შენადნობია, რომელიც შეიცავს 2-დან 4%-მდე ნახშირბადს, აგრეთვე სილიციუმს, მანგანუმს, ფოსფორსა და გოგირდს.

საქმიანობა

ბრძმედული პროცესი

ბრძმედში მიმდინარე პროცესების ტოლლებების საფუძვლზე უბასუეთ კითხვებს:



- რატომ ტეირთავენ ბრძმედში (ზემოდან) ჯერ კოქსს და არა - მადანს?
- რომელ ტემპერატურაზე იწყება მადნის აღდგენა?
- რატომ აღნევს ბრძმედში ტემპერატურა 800°C-ს და მეტს?
- რა თანმიმდევრობით იცვლება მადნის შედგენილობა Fe_2O_3 -ს აღდგენისას?




(a) ბრძმედი

თუჭს იღებენ ბრძმედში (5). ამ მიზნით ბრძმედში მორიგეობით ჩატვირთავენ ჯერ კოქსს (C), შემდეგ კი – რკინის მადანს (Fe_2O_3 ან Fe_3O_4) ფლუსთან (ჩვეულებრივ, CaCO_3) ერთად. ქვემოდან ბრძმედში უბერავენ 800°C-მდე გაცხელებულ, უანგბადით გამდიდრებულ ჰაერს. ცხელი ჰაერის მოქმედებით კოქსი ეგზო-თერმულად იწვის და ტემპერატურა იზრდება 1500°C-მდე (ტოლ.1).





მიღებული CO_2 რეაგირებს გავარაორებულ ნახშირბადის მონო-ოქსიდის ნარმოქმნით (ტოლ. 2), რომელიც რკინის ოქსიდებს აღადგენს თავი-სუფალ მეტალამდე (ტოლ.3-5. იხ. ბრძმედის სქემა). რკინის აღდგენაში მონაწილეობს აგრეთვე კოქსი:



რკინის ნაწილი, რეაგირებს რა გავარვარებულ კოქსთან და ნახშირბადის მონოქსიდთან, ნარმოქმნის რკინის კარბოდს (ცემენტიტს) Fe_3C :




ზემოხსენებულ პროცესებთან ერთად, მიმდინარეობს ნაერთებიდან სილიციუმის, მანგანუმის, ფოსფორისა და გოგირდის აღდგენა. ეს ნაერთები ძნელდნებადი მინარევების სახით არსებობს მადნის თანმხლებ ფუჭ ქანში და კოქსში:



ამგვარად, ბრძმედული პროცესის მიმდინარეობისას წარმოქმნილი სილიკური, ფოსფორი, გოგირდი და მანგანუმი, აგრეთვე ცემენტიტი და ნახშირბადი, იხსნება რა გამდანარ რკინაში, წარმოქმნის თხევად თუჯს.

ცოდნის ზარდაბშა • ფუჭი ქანის აღუდგენელ ნაწილს, ფლუსის მეშვეობით, გამოყოფენ წილის სახით. თუ ფუჭი ქანი სილიკიუმის დორესიდისგან შედგება, ფლუსად გამოიყენება კირქვა ან დოლომიტი (და პრიქით):



წარმოქმნილი ადვილდნობადი წილა გროვდება თუჯის ზედაპირზე და იცავს მას დაუანგვისგან.

ბრძმედილან გამომავალ აირს ბრძმედის აირი ენოდება. ის შედგება CO_2 -ს, N_2 -ს და CO_2 -სგან. მას იყენებენ რეგენერატორებში, ბრძმედში ჩასაბერი ჰაერის გასათბობად. ბრძმედში მმდინარე რეაქტორის დასაჩქარებლად შემდეგ პირობებს იცავენ:

1. ბრძმედში ჩასაბერი ჰაერი მდიდრდება ყაზგბადით და თხება რეგენერატორებში.
2. ბრძმედში, ჰაერთან ერთად, ჩაბერავენ ბუნებრივ აირს (CH_4). შედეგად ბრძმედში იზრდება ალმდგენის (CO) კონცენტრაცია და დამატებით ჩნდება ახალი ალმდგენი (H_2):



3. მადანი მდიდრდება.

4. მადნის, კიბესისა და ფლუსის ნატეხები მუშავდება ოპტიმალური ზომის ნაწილა-კების მიღებამდე.

ამგვარად, ბრძმედული პროცესის ქიმიური არსი მდგომარეობს რკინის მადნის ნახშირბადის მონორესიდით ალდგენაში.

ასხვავებენ თეთრ და რუხ თუჯს. რუხ თუჯს უწოდებენ სამსხმელო თუჯს, ხოლო თეთრს – გადასამუშავებელს. რუხი თუჯი შეიცავს ნახშირბადს ვრაფიტის სახით. ტექნიკაში მისგან ამზადებენ მიღებს, მანქანებისა და დაზგების დეტალებს, გათბობის ბატარეებს.

თეთრ თუჯში ნახშირბადი შედის ცემენტიტის სახით. თეთრ თუჯს ძირითადად ფოლადის სანარმოებლად იყენებენ.

ფოლადის წარმოქა

• ფოლადი რკინის შენადნობია, რომელიც $0,1$ -დან 2% -მდე ნახშირბადს და მცირე რაოდენობით სხვა მინარევებს ($\text{Si}, \text{Mn}, \text{S}, \text{P}$) შეიცავს.

საქმიანობა

თუჯისგან ფოლადის წარმოება


თუჯიდან ფოლადის მიღების არსი მდგომარეობს უანგვის გზით მინარევების მოცილებაში. ამ ცოდნის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

- თუჯში თუ ფოლადში მეტია რკინის მასური ნილი? პასუხი დასაბუთეთ.
- რა ტიპის ოქსიდები წარმოიქმნება ფოლადის წარმოებისას? რატომ?
- ძირითადად რა ტიპის: ეგზო- თუ ენდოთერმული რეაქციები მიმდინარეობს? რატომ?
- რა გავლენას ახდენს ნახშირბადის არსებობა ფოლადის ხარისხზე?

თუჯიდან ფოლადის მიღება მდგომარეობს თუჯში არსებული C, S, P, Si და Sb. მინარევების მოცილებაში, რაც მიიღწევა მათი დაუანგვით.

ცოდნის ზარდაშვა • თუჯის შედგენილობაში ფოსფორისა და გოგირდის არსებობა განსაკუთრებით არასასურველია, ვინაიდან ფოსფორი მას ინიჭებს სიმყიფეს ჩვეულებრივ პირობებში დამუშავებისას, ხოლო გოგირდი - ცხლად მექანიკური დამუშავებისას. ამიტომ ფოლადის წარმოებისას ცდილობენ, რაც შეიძლება სრულად მოაცილონ ისინი.

ფოლადის წარმოებას საფუძვლად უდევს ქვემოთ მოტანილი რეაქციები. უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან პროცესის მიმდინარეობისას წარმოიქმნება ბევრი რკინა(II)-ის ოქსიდი, უანგბადთან ერთად, ისიც მონაწილეობს მინარევების დაუანგვაში:



სილიციუმისა და ფოსფორის ოქსიდები თუჯს სცილდება კირქვის მეშვეობით, ნიდის სახით:



რკინა(II)-ის ოქსიდის სრული აღდგენისთვის გამდნარ ფოლადს უმატებენ აღმდგენებს, მაგალითად, ფერომანგანუმს (ანუ ფეროქრომს, გვ. 51). ფერომანგანუმი რკინის შენადნობია მანგანუმთან. მანგანუმი, ართმევს რა უანგბადს რკინა(II)-ის ოქსიდს, გარდაიქმნება მანგანუმ(II)-ის ოქსიდად, უერთდება SiO_2 -ს და გამოიყოფა ნიდის სახით:



თუჯიდან ფოლადს სამი - მარტენის, უანგბად-კონვერტორული და ელექტრო-თერმული - მეთოდით იღებენ.

მარტენის მეთოდით პროცესი ხორციელდება მარტენის ლუმელში, რომელიც აბაზანისა და 4 რეგენერატორისგან შედგება. მაღალი ტემპერატურის ($1700-1750^{\circ}C$) უზრუნველსაყოფად აბაზანაში თუჯის ზედაპირზე წვავენ წვად აირს. თხევადი თუჯის შემცველ აბაზანაში ამატებენ აგრეთვე რკინის ჯართსა და მადანს. ამ შემთხვევაში თუჯის მინარევების (C, S, P, Si) დაუანგვაში მონაწილეობს ამ დანამატებში არსებული უანგბადიც.


დანარჩენ ორ მეთოდთან შედარებით მარტენის მეთოდის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ადვილად შეიძლება, ვაკონტროლოთ თუჯის გადამუშავების პროცესი და მივიღოთ სხვადასხვა მარკის ფოლადი. პროცესის ხანგრძლივობა 6-8 საათია.

უანგბად-კონვერტორული მეთოდის უპირატესობა მის ეკონომიურობაში მდგომარეობს. პროცესისთვის აუცილებელი ტემპერატურა ($1700-1750^{\circ}\text{C}$) მიიღნება მინარევების უანგვის ეგზოთერმული რეაქციების ხარჯზე. კონვერტორში სათბობის დაწვა საჭირო არ არის. მარტენის მეთოდთან შედარებით, პროცესი უფრო სწრაფად მთავრდება.

ელექტროთერმულ მეთოდი ელექტ-რული რკალის მეშვეობით მიიღწევა უფრო მაღალი ტემპერატურა (2000°C), ვიდრე დანარჩენ ორ მეთოდში. ეს საშუალებას იძლევა, მივიღოთ მაღალხარისხოვანი ლეგირებული ფოლადები. გარდა ამისა, ელექტროლუმლების აღჭურვა უფრო იაფი ჯდება, ხოლო ფოლადის გამოდნობის პროცესი უფრო სწრაფად მთავრდება.

ფოლადის თვისებები. რაც მეტი ნახშირბადია ფოლადში, მით მაგარია ის. 0,7-1,3% ნახშირბადის შემცველ ფოლადს ინსტრუმენტული ენოდება. ამგვარი ფოლადისგან დამზადებული ინსტრუმენტები გამოიყენება ხის, პლასტმასების, მეტალების დამუშავებისას. 0,3-0,7% ნახშირბადის შემცველ ფოლადს კონსტრუქციული ენოდება. მისგან ამზადებენ რკინიგზის რელისებს, ლერძებს, ლილვებს. 0,3%-ზე ნაკლები ნახშირბადის შემცველი ფოლადი ადვილად იჭედება, იშტამპება, შედუღდება და იქრება. მისგან ამზადებენ ავტომობილების ძარებს, კომპიუტერების კორპუსებს, გადასახური მასალების ფურცლებს.

ცოდნის ზარდახშა • უანგბად-კონვერტორული მეთოდის ფუძემდებელია ინგლისელი მეცნიერი ჰ. ბესემერი. ამ მეთოდის გამოყენებისას შსხლის ფორმის კონვერტორში მოთავსეულ გამდნარ თუჯში, 1 მპა ნევის ქვეშ, ქვემოდან უბერავენ უანგბადს ან უანგბადით გამდიდრებულ ჰაერს. მინარევების წიდაში გადასაყვანად კონვერტორში ამატებენ კირქვას.



საკვანძო სიტყვები

• რკინის მადანი • კოქსი • ფლუსი • წიდა • ფუჭი ქანი • სამსხმელო და გადასამუშავებელი თუჯი • ინსტრუმენტული და კონსტრუქციული ფოლად •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- ჩამოთვლილ ნივთიერებათაგან რომელი გამოიყენება თუჯის წარმოებაში?
 - 1.ფლუსი
 2. რკინის მადანი
 3. წიდა
 4. კოქსი
 5. მხოლოდ 2
 6. გ) 2,3,4
 7. დ) 1,2,4
 8. ე) 1,2,3
- რომელი სქემით აღდგება Fe_2O_3 თუჯის წარმოებისა?
 - $\text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{FeO} \rightarrow \text{Fe}$
 - $\text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{Fe}_3\text{O}_4 \rightarrow \text{Fe}$
 - $\text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{Fe}_3\text{O}_4 \rightarrow \text{FeO} \rightarrow \text{Fe}$
 - $\text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{FeO} \rightarrow \text{Fe}_3\text{O}_4 \rightarrow \text{Fe}$
 - $\text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{Fe}_3\text{O}_4 \rightarrow \text{Fe}_2\text{O}_3 \rightarrow \text{FeO} \rightarrow \text{Fe}$
- რაში მდგომარეობს კოქსის როლი ბრძმელულ პროცესში? შეიძლება თუ არა ამ პროცესისას სუფთა რკინის მიღება?
 - რაში მდგომარეობს ფლუსის როლი ბრძმელულ პროცესში? რა უნდა გამოვიყენოთ ფლუსად, თუ რკინის მადანი ფუჭი ქანის სახით კირქვას შეიცავს?
 - ჩამოთვლეთ თუჯის ფოლად გადამუშავების სამი მეთოდის განმასხვავებელი ნიშნები.
 - რატომ გამოიყენება რკინის უპირატესად თუჯისა და ფოლადის სახით?
 - შეაღგიერთ თუჯისა და ფოლადის წარმოების პროცესში მიმდინარე რეაქციების ტოლობები.
 - რა პირობებს ქმნიან ბრძმელული პროცესის დასაჩქარებლად?
 - რით განსხვავდება შედგენილობის მხრივ ინსტრუმენტული ფოლადი კონსტრუქციულისგან?

10 სპილენძი, თუთია და ეროვნი



- რატომ ამზადებენ ელექტროსაფენებს და სითბოგამცვლელ აპარატებს სპილენძისგან?
- რატომ ამზადებენ რიგ სამშვენისებს სპილენძის კალასთან შენადნობისგან - ბრინჯა-ოსგან?

სპილენძი

საქმიანობა

სპილენძის ზოგიერთი ქიმიური თვისება

უზრუნველყოფა: სპილენძის მავთული, სპირტქურა, მარილმჟავა, სპილენძისა და გოგირდის ფხვნილები, სინჯარა, ჭიქა, წყალი.

სამუშაოს შევლელობა:

ა) სპირტქურაზე გაახურეთ სპილენძის მავთული, სანამ მისი ზედაპირი არ დაიფარება შავი ნაფიფექით, ჩაუშვით ის მარილმჟავები და დააკვირდით, რა მოხდება.

ბ) სპილენძისა და გოგირდის ფხვნილების დახსროებით 0,5 გ ნარევი ჩაყრეთ სინჯარაში და გაახურეთ სპირტქურაზე, სანამ გოგირდი არ დაიწყებს განღობას. ამის შემდეგ გახურება შეწყვიტეთ. სინჯარის შიგთავსი გაცივების შემდეგ ჩაყრეთ წყალში.

განიხილეთ შედეგები:

- რატომ ნარმოქმნება შავი ნაფიფექი სპილენძის მავთულის ზედაპირზე?
- რა მოსდის შავ ნაფიფექს მარილმჟავაში? რატომ?
- დაასახელეთ სპილენძისა და გოგირდისგან ნარმოქმნილი ნივთიერება. იხსნება თუ არა ის წყალში?
- რეაქციათა რომელ ტიპებს მიეკუთვნება ჩატარებული რეაქციები? შეადგინეთ მათი ტოლობები.

აღმოჩენა. სპილენძი ცნობილია უძველესი დროიდან.

ნაერთებში სპილენძის უანგვის რიცხვია +1 და +2.

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. სპილენძი მოთავსებულია მე-4 პერიოდში, I ჯგუფის თანაურ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^1$. ნაერთებში, $4s^1$ -ელექტრონის გაცემის ხარჯზე, სპილენძი ამჟღავნებს უანგვის რიცხვს +1. ქიმიური ბმის ნარმოქმნაში კიდევ ერთი ელექტრონის (ერთ-ერთი $3d$ -ელექტრონის) მონაშილეობისას სპილენძი ავღენს უანგვის რიცხვს +2.

ბუნებაში გავრცელება. სპილენძი ბუნებაში ძირითადად ნაერთების სახით გვხვდება. მისი უმნიშვნელოვანესი მინერალებია: კუპრიტი Cu_2O , სპილენძის კრიალა Cu_2S , სპილენძის ალმადანი $CuFeS_2$ და მალაქიტი $(CuOH)_2CO_3$. ზოგჯერ სპილენძი გვხვდება თაფისუფალ მდგომარეობაშიც – ზოდების სახით. აზერბაიჯანში სპილენძი გვხვდება ძირითადად ფილიზჩას პოლიმეტალურ საბადოში.

სპილენძის მინერალები:

- მალაქიტი
- სპილენძის ალმადანი
- მალაქიტის ნაკეთობა






მიღება. მრეწველობაში სპილენძს იღებენ სპილენძის კრიალასგან, ორ სტადიად. სპილენძის კრიალა Cu_2S ჯერ გარდაიქმნება სპილენდ(I)-ის ოქსიდად, რომელიც შემდეგ რეაგირებს ჭარბ Cu_2S -თან:



უფრო სუფთა სპილენძის მისაღებად იყენებენ ელექტროლიზის მეთოდს.

ფიზიკური თვისებები. სპილენძი ლია ვარდისფერი პლასტიკური, საკმაოდ რბილი მეტალია. ის მიეცუთხნება მძიმე ($\rho = 8,96 \text{ г/см}^3$) და ძნელდნობად ($t_{\text{დ}} = 1083^\circ\text{C}$) მეტალებს. სპილენძი კარგად ატარებს ელექტროდენს.

ქიმიური თვისებები. მშრალ ჰაერზე ჩვეულებრივ ტემპერატურაზე სპილენძი არ იცვლება. მაღალ ტემპერატურაზე ის რეაგირებს მარტივ და რთულ ნივთიერებებთან. მუავებიდან სპილენძი ურთიერთქმედებს მხოლოდ მუანგავ მუავებთან (აზოტმჟავასთან და კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან):



ცოდნის ზარდაში • ტენიან ჰაერზე, ჰაერის ჟანგბადით დაუანგვის შედეგად სპილენძის ზედაპირზე წარმოქმნება მწვანე ფერის ნაფიფქი, რომელიც სპილენძ(II)-ის ჰიდროქსოკარბონატისგან ($\text{Cu(OH)}_2\text{CO}_3$ შედგება:



(სპილენძ(II)-ის ჰიდროქსოკარბონატი (მალაქიტის შემადგენელი ნანილი)

გამოყენება. სუფთა სპილენძი გამოიყენება ელექტროსადენების, კაბელების, სხნადი ანიდების (ელექტროდების) დასამზადებლად, აგრეთვე სითბოგამცვლელ აპარატებში. ის გამოიყენება სხვადასხვა შენადნობის (თითბერი, ბრინჯაო) წარმოქმნაში.

შაბაიამანი $\text{CuSO}_4 \cdot 5\text{H}_2\text{O}$ გამოიყენება სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად.

თუთია

— რატომ ფარავენ მეტალთა ნაკეთობების ზედაპირს თუთიით კოროზიისგან დასაცავად?

საქმიანობა

თუთიის ურთიერთქმედება მუავებთან და ტუტეებთან

უზრუნველყოფა: ორი სინჯარა, კონცენტრირებული მარილმჟავა, NaOH -ის კონცენტრირებული სხსარი.

სამუშაოს მსვლელობა: ორივე სინჯარაში მოათავსეთ თუთიის თითო გრანულა. ერთს დაუმატეთ 2-3 მლ მარილმჟავა, NaOH -ის სხსარი და დააკვირდით, რა მოხდება.

განიხილეთ შედეგები:

- რა ვიზუალური ცვლილება შეიმჩნევა თითოეულ სინჯარაში?
- თუთიის რომელ თვისებებს ასახავს სინჯარებში მიმდინარე მოვლენები?
- შეადგინეთ განხორციელებულ რეაციათა ტოლობები.

ალმოჩენა. თუთია სპილენძთან შენადნობების სახით უძველესი დროიდან არის ცნობილი.

ნაერთებში თუთიის ჟანგვის ხარისხია $+2$.

მდებარეობა ჰერიოდულ სისტემაში და ატომის ალნაგობა. თუთია მოთავსებულია მე-4 პერიოდში, II ჯგუფის თანაურ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული ალნაგობა: $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^{10} 4s^2$.

ბუნებაში გვრცელება. თუთია ბუნებაში მხოლოდ ნაერთების სახით გვხვდება. მაგალითად, სფალერიტი ZnS , ჰალმეტი ZnCO_3 (თუთიის შპატი) და სხვ.



აზერბაიჯანში თუთია გვხვდება ძირითადად ვიუმიუშლინსკის ტყვია-თუთიის (ნახიჩევანი) და ფილიზჩასკის პოლიმეტალურ საბადოებში.

მიღება. მრეწველობაში თუთიას იღებენ სფალერიტიდან 2 სტადიად:




ფიზიკური თვისებები. თუთია ადვილდნობადი ($t_{\text{დ.}} = 419,5^{\circ}\text{C}$), მძიმე ($\rho = 7,1 \text{ გ/სმ}^3$), მოცისფრო-მოვერცხლისფრო მეტალია. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე მყიფეა, $100-150^{\circ}\text{C}$ -ზე ადვილად იგლინება ფურცლებად. 200°C -ზე მაღლა ისევ მყიფე ხდება.


ქიმიური თვისებები. ჩვეულებრივ პირობებში თუთია იუანგება ჰაერის უანგბადით და იფარება ოქსიდის მტკიცე აფსკით. ამავე პირობებში აფსკი იცავს თუთიას შემდგომი დაუანგვისგან და წყალთან ურთიერთქმედებისგან. გაცხელებისას თუთია რეაგირებს მარტივ და რთულ ნივთიერებებთან:






განზავებული გოგირდმჟავადან თუთია აძევებს წყალბადს. კონცენტრირებულ მჟავასთან, პირობებისგან – მჟავას კონცენტრაციისა და ტემპერატურისგან – დამოკიდებულებით, თუთია რეაგირებს H_2S -ის, SO_2 -ის ან S -ის გამოყოფით:



კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან თუთია რეაგირებს NO -ს გამოყოფით:



ალუმინის მსგავსად, თუთია ურთიერთქმედებს მჟავებთან და ტუტებთან. ორივე რეაქციისას გამოიყოფა წყალბადი:



ნატრიუმის ტეტრაჰიდროქსოცინკატი

თუთიის ოქსიდი და ჰიდროქსიდი ამფორტერული ნივთიერებებია.

გამოყენება. ვინაიდან თუთიის ზედაპირზე წარმოქმნილი ოქსიდური აფსკი მდგრადია ჰაერის უნგბადისადმი და წყლისადმი, თუთიას იყენებენ კოროზიისგან დამცავ საფარად. სიმყიფის გამო თუთია გამოიყენება ძირითადად შენადნობების, მაგალითად, თითბრის – სპილენძთან შენადნობის სახით. ZnO გამოიყენება თერმი სალებავის – თუთიის თეთრას სახით.

ხსნარში Zn^{2+} იონებს **საზღვრავენ** ტუტის მოქმედებისას თეთრი ნალექის – თუთიის ჰიდროქსიდის გამოყოფით, რომელიც იხსნება ჭარბ ტუტეში.



ეს საინტერესოა

თუთია შედის 200-ზე მეტი ფერმენტის შედგენილობაში. ის გვევლინება სისხლში ჰქონის შემცველობის მარეგულირებული ინსულინის შემადგენელ ნაწილად, არეულირებს ადამიანის ზრდას, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩრნწმისა და იმუნური სისტემის ჩამოყალიბებაში. თუთია შედის შვრის, ხორბლის, ნინიბურას, ბარდის, კედრის კალის, მდნარი ყველის, არაქის, ლობის შედგენილობაში. მას შეიცავს აგრეთვე საქონლის, ცხვრის, ინდაურის ხორცი.

ქრომი



- რატომ აქვს ქრომის ფართო გამოყენება შენადნობების წარმოებისას?
- რაში მდგომარეობს ქრომის როლი უჯანგავ ფოლადში?

საქმიანობა

ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდის მიღება და თვისებები

უზრუნველყოფა: ქრომ(III)-ის სულფატის, ნატრიუმის ჰიდროქსიდის, მარილმჟავას ხსნარები, ძტატივის სინჯარებით.

სამუშაოს მსვლელობა: საშ სინჯარაში ჩაასხით 5-6 მლ ქრომ(III)-ის სულფატის ხსნარი; ერთ-ერთ მათგანში ჩაუშვით ჩაუშვით ლურჯი ლაკმუსის ქაღალდი, დანარჩენ ორს კი წვეთწვეთობით დაამატეთ ტუტის ხსნარი ნალექის გამოყოფამდე. დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს. ერთ-ერთ ხალექიან სინჯარაში წვეთწვეთობით დაამატეთ მარილმჟავა, მეორეში კი – ტუტის ხსნარი, ნალექის სრულ გახსნამდე.

განიხილეთ შედეგები:

- რატომ შეიცვალა ლაკმუსის ქაღალდის ლურჯი შეფერვა? რა ემართება მარილს წყალსხნარში?
- რა ფერის და რომელი ნივთიერებისაა ნალექი?
- როგორი თვისებები აქვს ქრომ(III)-ის ჰიდროქსიდს? პასუხი დაასაბუთეთ და შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.
- ასეთივე თვისებებით ხსნათდება ქრომ(III)-ის ოქსიდი?
- როგორ ფიქრობთ, როგორი თვისებები ექნება ორ- და ექვსვალენტიანი ქრომის ოქსიდებსა და ჰიდროქსიდებს?

ალმოჩენა. ქრომი აღმოაჩინა ფრანგმა ქიმიკოსმა ლ. ვოკლენბა, 1797 წ.

ნაერთებში ქრომის უანგვის რიცხვია ძირითადად +2, +3 და +6.

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. ქრომი მოთავსებულია მე-4 პერიოდში, VI ჯგუფის თანაურ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^6 3d^5 4s^1$.


ბუნებაში გავრცელება. ქრომი ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით, მისი უმნიშვნელოვანესი მინერალია ქრომოვანი რკინაქვა ანუ რკინა(III)-ის ქრომიტი $FeO \cdot Cr_2O_3$ [ანუ $Fe(CrO_2)_2$]. ბუნებაში ის გვხვდება აგრეთვე ქრომ(III)-ის ოქსიდისა და სხვა ნაერთების სახით.

მიღება. რკინა(II)-ის ქრომიტის ნახშირით აღდგენის შედეგად მიიღება რკინისა და ქრომის შენადნობი – ფეროქრომი. სუფთა ქრომის მისაღებად ქრომ(III)-ის ოქსიდს აღადგენენ აღუმინით:



ფიზიკური თვისებები. ქრომი მონაცრისფრო-თეთრი ბზინგარე მეტალია. კარგად ატარებს სითბოსა და ელექტროდენს. მიეკუთვნება მძიმე ($\rho = 7,1$ გ/სმ 3) და ძნელდნობად ($t_{\text{და}} = 1890^\circ\text{C}$) მეტალებს. ქრომი ყველაზე მაგარი მეტალია.

ქიმიური თვისებები. ჩვეულებრივ პირობებში ქრომის ზედაპირი იფარება კოროზიისადმი ძალიან მდგრადი ოქსიდური (Cr_2O_3) აფსკით, ამიტომ ტენიან ჰაერზე ქრომი ცვლილებებს არ განიცდის. აზოტმჟავაში და კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში ქრომი პასიურდება (ამ შემთხვევაში ოქსიდური ფენა უფრო მტკიცე ხდება). გასურებისას ქრომი რეაგირებს ორივე მჟავასთან:



მარილმჟავა და განზავებული გოგირდმჟავა ქრომთან რეაგირებს მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ, როცა ოქსიდური აფსკი დაიშლება:



ორვალენტიანი ქრომის ნაერთები *d*-ლიერი აღმდგენებია. ფხვნილის სახით ქრომი რეაგირებს ფთორთან ჩევულებრივ პირობებში, ხოლო ქლორთან და უანგბადთან – მაღალ ტემპერატურაზე:



ოქსიდებსა და ჰიდროქსიდებს შორის CrO და Cr(OH)_2 ავლენს ფუძე, Cr_2O_3 და Cr(OH)_3 – ამფოტერულ, CrO_3 , H_2CrO_4 (ქრომის მჟავა) და $\text{H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ (დიქრომის მჟავა) – მჟავურ თვისებებს. მაგალითად,



CrO_3 *d*-ლიერი მჟანგავია. მაგალითად, თუ მას დავასველებთ ეთილის სპირტით, ენერგიული უანგვის შედეგად სპირტი აალიდება, ხოლო CrO_3 ალდგება Cr_2O_3 -მდე.

გამოყენება. ქრომი გამოიყენება მაგარი, უჯანგავი ფოლადის მისაღებად, აგრეთვე ფოლადის სხვადასხვა ნაკეთობის მოქრომვისთვის. მაღალი ელექტრული წინაღობის მქონე ქრომის შენადნობები, მაგალითად, მისი შენადნობი ნიკელთან – ნიკრომი გამოიყენება ელექტრული გამათბობელი მოწყობილობების დასამზადებლად. ქრომის ნაერთები – ქრომატები და დიქრომატები – ფართოდ გამოიყენება მჟანგავებად.

საკვანძო სიტყვები

- მალაქიტი • სპილენდის კრიალა • ამფოტერულობა • თუთიის თეთრა • ფეროქრომი • ქრომისა და დიქრომის მჟავები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება სპილენდი (1-6) • თუთია (7-12) • ქრომი (13-18)


1. სპილენდის რომელი ნაერთი გვხვდება ბუნებაში?

- a) Cu_2S b) CuSO_3 c) Cu_2O d) CuFeS_2 e) $(\text{CuOH})_2\text{CO}_3$

2. მიუთითოთ სპილენდან მიმართებაში მცდარი გამონათევაში:

- a) პლასტიკური მეტალია; b) მძიმე მეტალია; c) ძნელდნობადი მეტალია;
d) მთავარი ქვეჯგუფის ელემენტია; e) კარგად ატარებს ელექტროდენს.

3. დაასრულეთ რეაქციების სქემები:




4. შეადგინოთ სპილენდის კრიალადან სპილენდის სამრეწველო მიღების რეაქციათა ტოლობები.

5. მიუთითეთ სპილენძისა და მისი ნაერთების გამოყენების სფეროები:

1. ელექტროლიტებიკა;
2. ხსნადი ანოდების დამზადება;
3. შენადნობების ნარმოება;
4. მეტალთა ოქსიდების აღდგენა;
5. მცვნარეთა მავნებლებთან ბრძოლა.


6. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



7. რომელი ტოლობაა არასწორად შედგენილი?

- | | | |
|--|---|---|
| ა) $\text{Zn} + \text{S} \xrightarrow{\text{t}} \text{ZnS}$ | ბ) $\text{Zn} + \text{Cl}_2 \xrightarrow{\text{t}} \text{ZnCl}_2$ | გ) $2\text{Zn} + \text{O}_2 \xrightarrow{\text{t}} 2\text{ZnO}$ |
| დ) $\text{Zn} + 2\text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{t}} \text{Zn}(\text{OH})_{2+} \text{H}_2\uparrow$ | | ე) $\text{Zn} + 2\text{NaOH} \xrightarrow{\text{t}} \text{Na}_2\text{ZnO}_2 + \text{H}_2\uparrow$ |

8. მიუთითეთ სპილენძისა და თუთიის სამრეწველო მიღების სქემები:



9. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებიც მიმდინარეობს ჩვეულებრივ პირობებში:




10. რა არის სწორი თუთიისთვის?

1. Zn^{2+} იონს საზღვრავენ ტუტით;
2. ტიპური მეტალია;
3. შედის ბრინჯაოს შედგენილობაში;
4. შედის თითბრის შედგენილობაში;
5. მისი ოქსიდი შედის თეთრი საღებავის შედგენილობაში.

11. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



12. მიუთითეთ თუთიისა და ქრომის ბუნებრივი ნაერთები:



13. რა არის საერთო ქრომისა და სპილენძის ატომების ელექტრონულ აღნაგობაში?

14. მიუთითეთ არასწორი გამონათქვამი. ქრომი...

- ა) კოროზიისადმი მდგრადია;
- ბ) მძიმე მეტალია;
- გ) ძნელდნობადი მეტალია;
- დ) ყველაზე მაგარი მეტალია;
- ე) რბილი მეტალია.


15. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:



16. განსაზღვრეთ სწორი გამონათქვამები:

1. CrO ფუძე იქსიდია;
2. Cr_2O_3 მუვა იქსიდია;
3. $\text{Cr}(\text{OH})_3$ ამფოტერული იქსიდია;
4. CrO_3 ნარმოქმნის ქრომისა და დიქრომის მუვავები;
5. სუფთა ქრომის მრეწველობაში იღებენ ალუმინთერმული მეთოდით.

17. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



18. ჩამოთვალეთ იქსიდების – Al_2O_3 , Fe_2O_3 და Cr_2O_3 – საერთო ფიზიკური და ქიმიური თვისებები. შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.

19. დანერეთ რეაქციატი თემაზე: „მეტალები ადამიანის ორგანიზმში და მათი ბიოლოგიური

როლი“.

11 პრაქტიკული სამუშაო – 1. მეტალების და მათი ნაირთვების თვისებები

ც დ ა

1

თუთიის, რკინისა და სპილენძის ურთიერთქმედება მარილმჟავასთან და განზავებულ გოგირდმჟავასთან

უზრუნველყოფა: თუთიის გრანულები, რკინისა და სპილენძის ბურბუშელა, მარილმჟავა და განზავებული გოგირდმჟავა, სპირტქურა, 6 სინჯარა, 6 პიპეტი, საათის მინი.

სამუშაოს მსვლელობა: ორ სინჯარაში მოათავსეთ თუთიის 2-2 გრანულა, სინჯარების მეორე წყვილში – 2-3 რკინის ბურბუშელა, მესამე წყვილში – ამდენივე სპილენძის ბურბუშელა. თუთიის შემცველ ერთ-ერთ სინჯარაში ჩაასხით 2 მლ გოგირდმჟავა, მეორეში – ამდენივე მარილმჟავა. ასევე მოიქეცით რკინისა და სპილენძის ბურბუშელების შემცველი სინჯარების შემთხვევაში. თვალყური ადევნეთ მომხდარ მოვალენებს. შემდეგ თითოეული სინჯარიდან ხსნარის 1-2 წვეთი პიპეტით გადაიტანეთ საათის მინაზე და სპირტქურაზე ამოაშრეთ.

განიხილეთ შედეგები:

- რომელი მეტალი უფრო ენერგიულად რეაგირებს მჟავებთან?
- ქიმური რეაქციების რომელი ნიძნები შეამჩნიეთ ჩატარებულ ცდებში?
- რომელი მეტალი არ აქვებს მჟავადან წყალბადს?
- რომელ შემთხვევაში არ დარჩა მინაზე მყარი ნაშთი აორთქლების შემდეგ?

ც დ ა

2

ჩატარეთ რეაქციები, რომლებიც ადასტურებს კალციუმის ქლორიდის თვისებით შედგენილობას. შეადგინეთ ამ რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

ც დ ა

3

მიმოცვლის რეაქციით მიიღეთ ალუმინის ჰიდროქსიდი. დაამტკიცეთ მისი ამფოტერული ხასიათი. შეადგინეთ ამ რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

ც დ ა

4

რკინა(III)-ის ქლორიდიდან მიიღეთ რკინა(III)-ის ოქსიდი. შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

ც დ ა

5

სპილენძ(II)-ის ოქსიდიან მიიღეთ სპილენძ(II)-ის სულფატის ხსნარი და გამოყავით მისგან შაბიამნის კრისტალები. შეადგინეთ ორივე რეაქციის ტოლობა.

შემაჯამებელი დავალებები

1. რა არის მცდარი გარდამავალ ელემენტებთან მიმართებაში?

- ა) ყველა მათგანი მეტალია;
- ბ) აქვთ უანგვის ცვალებადი რიცხვი;
- გ) ^{26}Fe ატომს აქვს კონფიგურაცია ... $3s^23p^63d^64s^2$;
- დ) ^{24}Cr ატომს აქვს კონფიგურაცია ... $3s^23p^63d^54s^1$;
- ე) ^{29}Cu ატომს აქვს კონფიგურაცია ... $3s^23p^63d^94s^2$.

2. რომელი სქემაა მცდარი რკინისთვის (M)?

- ა) $M + O_2 \xrightarrow{\text{წვა}} MO$
- ბ) $M + CuSO_4 \rightarrow MSO_4 + Cu$
- გ) $M + HNO_3(\text{ყონ.ც.}) \xrightarrow{20^\circ\text{ C}} \text{პასიურდება}$
- დ) $M + H_2O(\text{ორთქლი}) \xrightarrow{t} M_3O_4 + H_2 \uparrow$
- ე) $M + H_2SO_4(\text{ყონ.ც.}) \xrightarrow{20^\circ\text{ C}} M_2(SO_4)_3 + SO_2 \uparrow + H_2O$

3. რომელი გამოთქმაა მცდარი Fe^{3+} ონისთვის?

- ა) შეიძლება განისაზღვროს კალიუმის როდანიდით;
- ბ) შეიძლება განისაზღვროს ტუტით;
- გ) მისი ჰიდროქსიდი არ რეაგირებს ტუტესთან;
- დ) მისი ჰიდროქსიდი მურა ფერის ნალექია;
- ე) ხსნადი მარილები განიცდის ჰიდროლოზის.

4. რვეულში გადაწერეთ სქემები და დაასრულეთ ისინ:

- | | | |
|---|---|--|
| 1. $\text{Fe} + H_2O + O_2 \rightarrow$ | 2. $\text{Fe} + H_2O(\text{ორთქლი}) \xrightarrow{t} \text{Fe}_3O_4$ | 3. $\text{Fe} + H_2SO_4(\text{ყონ.ც.}) \xrightarrow{t} \text{Fe}_2(SO_4)_3 + H_2 \uparrow$ |
| 4. $Zn + H_2O(\text{ორთქლი}) \xrightarrow{t} Zn(OH)_2 + H_2 \uparrow$ | 5. $Zn + NaOH \xrightarrow{t} Zn(OH)_2 + NaCl$ | 6. $Zn + NaOH + H_2O \xrightarrow{20^\circ\text{ C}} Zn(OH)_2 + NaCl + H_2 \uparrow$ |

5. შეარჩიეთ სწორი გამონათქვამები:

1. ბრძმედში მიმდინარეობს უანგვისა და ალდგენის რეაქციები;
2. ბრძმედში მიმდინარეობს ჩანაცვლების, დაშლისა და შეერთების რეაქციები;
3. ჰიდროსი ერთად ბუნბრივი არის ჩაბრუა გავლენას არ ახდენს ბრძმედულ პროცესზე;
4. ბრძმედში წიდა იცავს თუჯს დაჟანგვისება;
5. სამსხმელო თუჯი ნახშირბადს შეიცავს უპირატესად ცემენტიტის სახით.

6. რვეულში გადაწერეთ სქემები და დაასრულეთ ისინ:

- | | | |
|--|----------------------------------|--|
| 1. $\text{Cr} + H_2SO_4(\text{ყან.}) \rightarrow$ | 2. $\text{Cr} + HCl \rightarrow$ | 3. $\text{Fe(OH)}_2 + H_2O + O_2 \rightarrow$ |
| 4. $\text{Fe}_2O_3 \xrightarrow[-CO_2]{+CO} \dots$ | $\xrightarrow[-CO_2]{+CO} \dots$ | $\xrightarrow[-CO_2]{+CO} \text{Fe} + CO_2 \uparrow$ |

7. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები:

1. სპილენდი ძნელდნობადი მეტალია;
2. 200°C -ზე სპილენდი მშრალ ჰაერზე არ იუანგება;
3. სპილენდი რეაგირებს აზოტმჟავასთან და კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან;
4. 200°C -ზე ქრომი პასიურდება კონცენტრირებულ აზოტმჟავში;
5. ორგალენტიანი ქრომის ნაერთები ძლიერი ალმდგენებია;
6. CrO_3 ძლიერი მჟანგავია.

8. მიუთითოთ მეტაქრომოვანი, ქრომისა და დიქრომის მჟავების შესაბამისი მარილები:

- 1. $\text{Na}_2\text{Cr}_2\text{O}_7$
- 2. NaCrO_2
- 3. Na_2CrO_4

9. რომელ ნივთიერებებთან შედის რეაქციაში თუთია?

- 1. H_2O
- 2. HCl
- 3. KOH
- 4. O_2
- 5. $MgSO_4$

10. რკინისა და რკინა(III)-ის ოქსიდის 9 გ ნარევის სრული ალდგენისას მიიღეს 7,4 გ რკინა. განსაზღვრეთ რკინის მასური წილი (%) საწყის ნარევში. $A_r(\text{Fe})=56$, $A_r(\text{O})=16$.

12 პრაგატიკული ზოგადი დახასიათება



- პერიოდული სისტემის რომელ ნაწილშია განთავსებული არამეტალები? პასუხი დაასაჭირო ქიმიური ელემენტების ატომების ელექტრონული აგებულების საფუძველზე.
- რომელი არამეტალები გხვდებათ ყოველდღიურ ცხოვრებაში?

როგორც იცით, არამეტალთა რიცხვი (22) მეტალების რიცხვზე ბევრად მცირეა. თუმცა, ამის მიუხედავად, გარემომცველ სამყაროში მათი როლი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მეტალებისა. გეოგრაფიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის გაკვეთილებიდან თქვენთვის ცნობილია, რომ არამეტალების გარეშე არა მხოლოდ დედამინის სფეროს, არამედ მთელი სამყაროს წარმოდგენაც ძნელია. მზე და მზის სისტემის უდიდესი პლანეტა – იუპიტერი ძირითადად წყალბადისგან შედგება; დედამინის ქერქის მასის 49% უანგბადია, ხოლო 27% – სილიკიუმი. დედამინის ატმოსფერო შეიცავს 78% (მოცულობით) აზოტს და 21% უანგბადს; ჰიდროსფერო ძირითადად შედგება უანგბადისგან და წყალბადისგან; ბიოსფეროს წარმომქმნელი ცოცხალი ორგანიზმებიც ძირითადად არამეტალებისგან შედგებიან.

საქმიანობა

არამეტალების ატომების ელექტრონული აღნაგობის შესახებ

ატომების ელექტრონული აღნაგობის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

ა) ... $3s^23p^4$	გ) $1s^1$	ე) ... $3s^23p^3$	ზ) ... $2s^2$
ბ) ... $2s^22p^2$	დ) ... $2s^1$	ვ) ... $2s^22p^5$	თ) ... $2p^63s^2$

- რომელი ელექტრონული კონფიგურაციები შეესაბამება არამეტალების ატომებს?
- ამ არამეტალთაგან რომლის ალოტროპიული სახესხვაობებია თქვენთვის ცნობილი?
- რომელი ელექტრონული კონფიგურაცია შეესაბამება უდიდესი მუანგავი უნარის მქონე არამეტალს?
- მიუთითეთ იმ არამეტალების ატომების ელექტრონული კონფიგურაციები, რომლებსაც რეაქციებში შეუძლია როგორც მუანგავი, ისე აღმდგენი უნარის გამომულავნება.

გავეცნოთ არამეტალების მდებარეობას პერიოდულ სისტემაში, მათ ზოგად ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებს, აგრეთვე მიზეზებს, რომლებიც ამ თვისებებს განაპირობებს.

1. მდებარეობა პერიოდულ სისტემაში.

პერიოდულ სისტემაში არამეტალები ძირითადად განლაგებულია მარჯვენა ზედა კუთხეში. წყალბადისა და ჰელიუმის გამოკლებით (s-ელემენტები), არამეტალები p-ელემენტებია (ცხრ.12.1).

ცხრილი 12.1. არამეტალების მდებარეობა პერიოდულ სისტემაში

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	(H _{1s¹})						H	He 1s ²
				ა რ ა მ ე ტ ა ლ ე ბ ი				
			ns ² np ¹	ns ² np ²	ns ² np ³	ns ² np ⁴	ns ² np ⁵	ns ² np ⁶
2	მთავარ ქვეჯგუ- ფების ატომების რადიუსი იზრდება,	B	C	N	O	F	Ne	
3	რადიუსი იზრდება,		Si	P	S	Cl	Ar	
4	ელექტროუნიფი- თობა მცირდება,			As	Se	Br	Kr	
5	არამეტალური ფების სუსტდება.				Te	I	Xe	
6						At	Rn	
7								

პერიოდში მარცხნიდან მარჯვნივ ატომების რადიუსი მცირდება, ელექტროუარყოფითობა იზრდება, არამეტალური ფების სუსტდება.

2. ატომის აღნაგობის თავისებურებანი.

არამეტალების ატომებში გარე ენერგეტიკული დონე ან დასრულებულია, ან ახლოსაა დასრულებასთან. მაგალითად, ინერტული აირების გარე დონის აღნა-გობაა – ns²np⁶ (ჰელიუმისა 1s²), ჰალოგენების – ns²np⁵, VIა ჯგუფის ელემენტებისა (ქალოგენებისა) – ns²np⁴.

ატომის ელექტრონული აღნაგობის ცვლილებასთან ერთად ელემენტების მეტალური და არამეტალური თვისებები იცვლება ისე, როგორც ეს 12.1 ცხრილშია მითითებული.

3. მარტივი ნივთიერებების აღნაგობის თავისებურებანი.

მარტივი ნივთიერებების სახით არამეტალებს აქვს როგორც მოლეკულური, ისე არამოლეკულური აღნაგობა. მოლეკულური აღნაგობის მარტივი ნივთიერებებია: ჰალოგენები, უანგბადი, წყალბადი, აზოტი, ოზონი O₃, თეთრი ფოსფორი P₄, კრისტალური გოგირდი S₈ და სხვ. მათი კრისტალური მესრის კვანძებში განლაგებულ მოლეკულებს შორის მიზიდვის ძალები უმნიშვნელოა; ამიტომ ამგვარი ნივთიერებები ხასიათდება დნობისა და დუღილის დაბალი ტემპერატურით. მაგალითად, მოლეკულური (კრისტალური) გოგირდი (S₈) დნება 112-119°C-ზე, თეთრი ფოსფორი – 440°C-ზე, გათხევადებული მარტივი ნივთიერებები: წყალბადი, აზოტი და უანგბადი დუღილს იწყებს – 200°C არეში.

არამოლეკულური აღნაგობის არამეტალებს (C, Si, B ანუ C_n, Si_n, B_n) აქვს ატომური კრისტალური მესერი. ამგვარი ნივთიერებები გამოირჩევა დიდი სიმაგრითა და მაღალი დნობის ტემპერატურით. მაგალითად, ალმასი ყველაზე მაგვარი ნივთიერებაა, გრაფიტი კი 3800°C-ზე დნება.



4. მყარი ნივთიერებების ფიზიკური თვისებების თავისებურებანი.

არამეტალები მყარ მდგომარეობაში, როგორც წესი, ან დიელექტრიკულია, ან – ელექტრობისა და სითბოს ცუდი გამტარები; ისნი მყიფე ნივთიერებებია, არ ხასიათდება პლასტიკურობით, მეტალური ბზინვარებით.



ცოდნის ზარდაბა • კრისტალურ ბორსა და სილიციუმს ნახევარგამტარული თვისებები აქვს. არამეტალებს შორის გრაფიტი, იოდი და სილიციუმი გამოირჩევა მეტალური ბზინვარებით, ხოლო გრაფიტი – ელექტროგამტარობითაც.

5. ქიმიური ოვისებების თავისებურებანი

არამეტალები მეტალებთან რეაქციებში ყოველთვის მჟანგავებია, ანუ ელექტ-რონებს იძენს. ყველაზე ძლიერი მჟანგავია ფთორი:



ერთმანეთთან ურთიერთქმედებისას არამეტალები შეიძლება იყოს როგორც მჟანგავები, ისე აღმდგენები:



მხოლოდ ფთორი სხვა მარტივ ნივთიერებებთან ურთიერთქმედებისას არა-სოდეს გვევლინება აღმდგენად.

არამეტალების მჟანგავი უნარი სუსტდება ელექტროუარყოფითობის შემცირებასთან ერთად:



არამეტალები (R) წყალბადთან წარმოქმნის RH_n ზოგადი ფორმულის მქონე აირად ან აქროლად ნივთიერებებს ($n = 8 - N$; N – ჯგუფის ნომერია პერიოდულ სისტემაში, რომელშიც მოთავსებულია R ელემენტი).

აქტიურ მეტალებთან ჰალოგენები წარმოქმნის ნაერთებს იონური ბმით: KCl , NaF და სხვ.

1. პერიოდებში მარცხნიდან მარჯვნივ აქროლადი წყალბადნაერთების წყალსნარების მჟავური თვისებები ძლიერდება. მაგალითად, ქვემოთ მოცემულ რიგში PH_3 (ფოსფინი) ავლენს სუსტ ფუძე, H_2S – სუსტ მჟავურ, HCl კი – ძლიერ მჟავურ თვისებებს.



2. ძირითად ქვეჯგუფებში ზემოდან ქვემოთ აქროლადი წყალბადნაერთების აღმდგენი თვისებები, ხოლო წყალსნარებში – მჟავური თვისებებიც ძლიერდება.



არამეტალები ჟანგბადთან, როგორც წესი, წარმოქმნის მჟავა ოქსიდებს: SO_2 , SO_3 , P_2O_5 და სხვ.

3. პერიოდულ სისტემაში მარცხნიდან მარჯვნივ უმაღლესი ოქსიდების მჟავური თვისებები ძლიერდება, ხოლო ზემოდან ქვემოთ – სუსტდება.

მთავარი ქვეჯგუფების არამეტალების უმაღლესი ოქსიდებისა და წყალბადნაერთების მჟავური თვისებების ცვლილების შესახებ

დავალება: შეადგინეთ აზოტის, ფოსფორისა და დარიშხანის (As) უმაღლესი ოქსიდების ფორმულები და განალაგეთ ისნი მჟავური თვისებების ზრდის მიხედვით.

ამონს:

ვინაიდან აზოტი, ფოსფორი და დარიშხანი მოთავსებულია V ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში, მათი უმაღლესი ოქსიდების ფორმულები იქნება: N_2O_5 , P_2O_5 და As_2O_5 . მე-3 ნესის მიხედვით, ქვეჯგუფში ოქსიდების მჟავური თვისებები სუსტდება ზემოდან ქვემოთ; შესაბამისად, ოქსიდების – N_2O_5 , P_2O_5 და As_2O_5 – მჟავური თვისებები ძლიერდება შემდეგი თანმიმდევრობით:



დავალება: ახსენით პალიგენნყალბადების წყალბსნარების მჟავური თვისებების გაძლიერება რიგში: $\text{HF} \rightarrow \text{HCl} \rightarrow \text{HBr} \rightarrow \text{HI}$.

საკვანძო სიტყვები

- არამეტალების მჟანგავი და ალმდგენი თვისებები • არამეტალების წყალბადნაერთები

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რა არის მცდარი არამეტალების წყალბადნაერთებისთვის?
 - ჩვეულებრივ პირობებში აქროლადი ნივთიერებებია;
 - მყარ მდგომარეობაში აქვთ მოლექულური აღანგობა;
 - წყალბსნარებში ზოგიერთ მათგანს შეუძლია მჟავური თვისებების გამომჟღვნება;
 - RH_4 შედგენილობის საერთები შეესაბამება IVა ჯგუფის არამეტალებს;
 - RH_5 შედგენილობის ნაერთები შეესაბამება Vა ჯგუფის არამეტალებს.
- დაადგინეთ შესაბამისობა არამეტალის სავალენტო ელექტრონებსა და ჯგუფის ნომერს შორის, რომელშიც მოთავსებულია არამეტალი:

1. ns^2np^1	2. ns^2np^2	a. VII	b. VI
3. ns^2np^3	4. ns^2np^4	g. V	d. IV
5. ns^2np^5		e. III	
- მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. მთავარ ქვეჯგუფში ზემოდან ქვემოთ არამეტალების...
 - იონზაფიის ენერგია მცირდება;
 - მჟანგავი უნარი სუსტდება;
 - არამეტალური თვისებები სუსტდება;
 - სავალენტო ელექტრონების რიცხვი იზრდება.
- რა თანმიმდევრობით იზრდება წყალბსნარების მჟავური თვისებები?
 - HCl
 - HBr
 - HI
 - HF
- რით განსხვავდება არამეტალები მეტალებისგან ფიზიკური და ქიმიური თვისებების მიხედვით?

6. მოიტანეთ სხვადასხვა ტიპის კრისტალური მესრის მქონე არამეტალების მაგალითები. განიხილეთ მათი ფიზიკური თვისებების განმასხვავებელი თავისებურებანი.
- ჩამოთვალეთ ექვსი ბიოგენური ელემენტი.
- განსაზღვრეთ ელემენტების ჟანგვის რიცხვები ნაერთებში: SF_6 , ClF_3 , SiF_4 და P_2S_5 და შეადგინეთ თითოეული მათგანის სტრუქტურული ფორმულა.
- რომელ ელექტრონულ ოვალს (s, p, d, f) ეკუთვნის არამეტალები?
- მეტალები თუ არამეტალები მეტია (%) ლითოსფეროსა და ბიოსფეროში?
- ბიოლოგიისა და ქიმიის გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნის საფუძველზე დაწერეთ რეფერაცი თემაზე: „არამეტალების ბიოლოგიური როლი ცოცხალ ბუნებაში“.

13 ვთორის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება




რა აერთიანებს სულტრის მარილს, იოდის ნაყენს, კბილის პასტას, წყალს, ჰაერს?

პერიოდული სისტემის VII ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში განთავსებულ ელემენტებს: ფთორს F, ქლორს Cl, ბრომს Br, იოდსა I და ასტატს At ჰალოგენები ენოდება (ლათინურად „ჰალოგენი“ მარილმბადს ნიშნავს).

საქმიანობა

ჰალოგენთა ატომების ვალენტური შესაძლებლობანი

გათვალისწინეთ განსხვავებულობა ჰალოგენთა ატომების გარე ენერგეტიკული დონის აღნაგობაში და უპასუხეთ კითხვებს:



- რაში მდგომარეობს განსხვავება F, Cl, Br და I ატომების გარე დონის აგებულებაში?
- ყველა ჰალოგენის ატომშია შესაძლებელი განყვილებული S- და p-სავალენტო ელექტრონების განცალკევება? რასთანაა ეს დაკავშირებული?
- აისახება თუ არა F და Cl ატომების აღნაგობას შორის განსხვავება ნაერთებში მათ მიერ გამოვლენილ ვალენტობაზე? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითებით.

ყოველ პერიოდში ჰალოგენებს აქვს უდიდესი არამეტალური თვისებები. მათ გარე ენერგეტიკულ დონეზე განლაგებულია 7 ელექტრონი – ns^2np^5 . დონეს დამთავრებამდე აკლია ერთი ელექტრონი. გარდა ამისა, ჰალოგენების ატომებს, მიცემული ჰერიოლის სხვა ატომებთან შედარებით, აქვს პირთვის უდიდესი მუხტი და უმცირესი რადიუსი. ამ მიზეზების გამო ჰალოგენები d-ლიგრი მუნგავებია: იერთებს რა ერთ ელექტრონის, ისინი წყალბადთან და მეტალებთან ნაერთებში ამჟღავნებს ჟანგვის რიცხვს –1.

რიგმი $F \rightarrow Cl \rightarrow Br \rightarrow I \rightarrow At$ ჰალოგენების არამეტალური თვისებები სუსტდება.


ფთორი, როგორც უდიდესი ელექტროუარყოფითობის მქონე ელემენტი, ნაერთებში მხოლოდ -1-ის ტოლ ჟანგვის რიცხვს ამჟღავნებს. ელემენტები Cl და Br, -1-თან ერთად, ფთორთან და ჟანგბადთან ნაერთებში ამჟღავნებს აგრეთვე ჟანგვის რიცხვს: +1, +3, +5 და +7. ფთორი, ატომში d-ქვედონის არარსებობის გამო, არ ამჟღავნებს III, V და VII-ვალენტიანობას.

ცოდნის ზარდაშება • ცხრილი 13.1. ჰალოგენთა ზოგიერთი მახასიათებელი

ელემენტი	სავალენტო ელექტრონები	ფარდობითი ელექტროუარყოფითობა	ჟანგვის რიცხვი ნაერთებში
ფორმი, F	$2s^2 2p^5$	4,0	მხოლოდ -1
ქლორი, Cl	$3s^2 3p^5$	3,0	-1, +1, +3, +5, +7
ბრომი, Br	$4s^2 4p^5$	2,8	-1, +1, +3, +5, +7
იოდი, I	$5s^2 5p^5$	2,5	-1, +1, +3, +5, +7

ჰალოგენწყალბადების (HR) წყალხსნარები წარმოადგენს მუავებს. ამ მუავების ძალა იზრდება რიგში: $\text{HF} \rightarrow \text{HCl} \rightarrow \text{HBr} \rightarrow \text{HI}$, რადგანაც, ჰალოგენის ატომის რადიუსის ზრდასთან ერთად, წყალბადის ონის H^+ მოწყვეტა HR მოლეკულიდან თანდათანობით ადვილდება ($\text{HR} \rightleftharpoons \text{H}^+ + \text{R}^-$). ამავე მიზეზით რიგში: $\text{HF} \rightarrow \text{HCl} \rightarrow \text{HBr} \rightarrow \text{HI}$ ჰალოგენწყალბადების (ჰალოგენიდ-იონების) აღმდგენი თვისებები ძლიერდება, ხოლო სტაბილურობა – მცირდება.

ფორმის გარდა, ყველა ჰალოგენი წარმოქმნის ჟანგბადიან მუავებს. მაგალითად, ქლორი წარმოქმნის შემდეგი ტიპის მუავეს: HClO_4 (ქლორმუავა), HClO_3 (ქვე-ქლორმუავა), HClO_2 (ქლოროვანი მუავა) და HClO (ქვექლოროვანი მუავა). ქლორის ჟანგვის რიცხვის შემცირებასთან ერთად მათი მუავური თვისებები სუსტდება:



ქლორის ჟანგვის რიცხვის შემცირებასთან ერთად მუავური თვისებები სუსტდება

ქლორის, ბრომისა და იოდის ერთი ტიპის, მაგალითად, HRO_4 ტიპის მუავების მუავური თვისებები ქლორიდან იოდისკენ სუსტდება. HClO_4 ერთ-ერთი უძლიერესი მუავაა.

ჰალოგენები მარტივი ნივთიერებების სახით ორატომიან მოლეკულებს წარმოქმნის. რიგში $\text{F}_2 \rightarrow \text{Cl}_2 \rightarrow \text{Br}_2 \rightarrow \text{I}_2$ მათი რეაქციისუნარიანობა მცირდება, ამიტომ ამ რიგის ყოველი წინ მდგომი ჰალოგენი აძევებს მომდევნოს HR ტიპის მუავებიდან და მარილებიდან (დაწვრილებით იხ. გვ. 70).

ჰალოგენთა აქტიურობისა და HRO_4 ტიპის მუავების მუავური თვისებების შესახებ
7,1 მგ ქლორის KI -ის ჭარბად ალებულ ხსნარში გატარებისას გამოიყო 12,7 მგ იოდი. გამოთვალეთ იოდის გამოსავალი (%). $A_f(\text{Cl})=35,5$, $A_f(\text{I})=127$.

ამონება:

1. ვიპოვოთ იოდის თეორიულად მოსალოდნელი მასა, x (გამოსავალი 100%).

$$\text{Cl}_2 + 2\text{KI} \rightarrow 2\text{KCl} + \text{I}_2 \downarrow \quad x = m_{\text{თეორ.}} = \frac{7,1\text{გ} \cdot 254\text{გ}}{71\text{გ}} = 25,4\text{გ}$$

2. გავითვალისწინოთ სინამდვილეში მილებული იოდის მასა ($m_{\text{ასაჭ.}} = 12,7$ მგ) და გამოთვალოთ იოდის გამოსავალი (η , %):

$$\eta(\%) = \frac{m_{\text{ასაჭ.}} \cdot 100\%}{m_{\text{თეორ.}}} = \frac{12,7\text{გ} \cdot 100\%}{25,4\text{გ}} = 50\%$$

დავალება. ახსენით მუავური თვისებების შესუსტების მიზეზი რიგში:



იმასთან დაკავშირებით, რომ რიგში $F_2 \rightarrow Cl_2 \rightarrow Br_2 \rightarrow I_2$ მოლეკულათაშორისი მიზიდვა ძლიერდება, ჰალოგენების ზოგიერთი ფიზიკური თვისება ამავე მიმართულებით კანონზომიერად იცვლება (გვ. 69).

საკვანძო სიტყვები

• ჰალოგენები • ჰალოგენებადები • ჰალოგენთა უანგბადშემცველი მუავები • ჰალოგენთა აქტიურობა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რა არის მცდარი ჰალოგენების ატომებთან მიმართებაში?
 - გარე ენერგეტიკულ დონეზე აქვს 7 ელექტრონი;
 - ყოველ პერიოდში უდიდესი ელექტროუარყოფითობა აქვს;
 - ერთი ელექტრონის შექმნისას ადგილად იძენს კონფიგურაციას $s^2 p^6$;
 - ძირითად მდგომარეობაში აქვს 1 გაუწყვილებელი ელექტრონი;
 - ყოველ პერიოდში უდიდესი რადიუსი აქვს.
- ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა იზრდება ჰალოგენის ატომის რადიუსის ზრდასთან ერთად?
 - იონიზაციის ენერგია;
 - მუავგავი თვისებები;
 - ელექტროუარყოფითობა;
 - აღმდეგები თვისებები;
 - არაგერალური თვისებები.
- მიუთითეთ ჰალოგენების წყალბადნაერთების და უმაღლესი ოქსიდების ფორმულები (ფორმულაში ნუ განიხილავთ):
 - HR ; RO_4
 - HR ; R_2O_5
 - HR ; R_2O_7
 - H_2R ; R_2O_5
 - HR ; RO_3
- განსაზღვრეთ უდიდესი მუავგავი უნარის მქონე ატომის ელექტრონული კონფიგურაცია:
 - $...2s^2 2p^5$
 - $...3s^2 3p^5$
 - $...4s^2 4p^5$
 - $...5s^2 5p^5$
 - $...6s^2 6p^5$
- რომელ ნაერთშია შეცდომით მითითებული ჰალოგენის უანგვის რიცხვი?
 - $CaCl_2$
 - $KBrO_3$
 - SCl_2
 - Cl_2O
 - Cl_2O_7
- თითოეულ რიგში განსაზღვრეთ ყველაზე ძლიერი მუავა:
 - HCl (ხსნ.), HBr (ხსნ.), HI (ხსნ.)
 - $HClO_4$, $HBrO_4$, HIO_4
- რატომ აქვს ჰალოგენებს უდიდესი მუავგავი უნარი?
- რატომ არ ახდენს ორგანიზმები მავნე ზემოქმედებას: III, V და VII?
- როგორ აიხსნება მუავური თვისებების გაძლიერება რიგში: $HF \rightarrow HCl \rightarrow HBr \rightarrow HI$?
- რომელ ნაერთშია წყალბადის მასური წილი (%) უდიდესი?
 - HF
 - HCl
 - HBr
 - HI

14 ქლორი



- ქლორის რომელმა თვისებამ განაპირობა ქიმიური იარაღის სახით მისი გამოყენება პირველ მსოფლიო ომში?
- რატომ არ ახდენს ორგანიზმები მავნე ზემოქმედებას სუფრის მარილის შედგენილობაში არსებული ეს ჰალოგენი?

ალმოჩენა. ქლორი თავისუფალ მდგომარეობაში პირველად მიიღეს მარილმუავს კალიუმის პერმანგანატით დაჟანგვის გზით (1774 წ., კ. შეელე, შვედეთი). ქლორის უანგვის რიცხვი ნაერთებში არის: -1, +1, +3, +5 და +7.



მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნავობა. ქლორი მე-3 პერიოდის VII ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტია. მისი ატომის ელექტრონული აღნავობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^5$.

ბუნებაში გავრცელება. როგორც აქტიური ელემენტი, ქლორი ბუნებაში მხოლოდ ნაერთების სახითაა გავრცელებული. მისი უმნიშვნელოვანესი ნაერთებია: ჰალიტი NaCl , სილვინი KCl , სილვინიტი $\text{NaCl} \cdot \text{KCl}$, კარნალიტი $\text{KCl} \cdot \text{MgCl}_2 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ და სხვ. ქლორის ნაერთები გვხვდება ოკეანების, ზღვებისა და ტბების წყლებში, აგრეთვე მცენარეებისა და ცხოველების ორგანიზმებში.

მიღება. ლაბორატორიაში ქლორი შეიძლება მივიღოთ მარილმჟავაზე ძლიერი მჟანგავების (MnO_2 , KMnO_4 , $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ და KClO_3) მოქმედებით:




მრეწველობაში ქლორი მიიღება ნატრიუმის ქლორიდის ნალღობის ან კონცენტრირებული ხსნარის ელექტროლიზით:



ფიზიკური თვისებები. ქლორი მოყვითალო-მიმწვანო ფერის, მკვეთრი მხუთავი სუნის მქონე აირია. **მომნამდლავი!** ჰაერზე 2,5-ჯერ მტბმეა. 1 ლ წყალში იხსნება 2,5 ლ ქლორი (20°C). მის წყალსხსნარს ქლორიანი წყალი ეწოდება. ქლორი ალიზიანებს სასუნთქ გზებს, ხოლო დიდი რაოდენობით შესუნთქვისას – იწვევს სიკვდილს. წნევის ქვეშ ქლორი თხევადფება და თხევად მდგომარეობაში ინახავენ ფოლადის ბალონებში.

ქიმიური თვისებები. ქლორი ძლიერი მჟანგავია. ის უმჯობეს არ ურთიერთქმედებს უანგბადთან, აზოტთან და ნახშირბადთან. წყალბადთან ქლორი რეაგირებს სინათლის დასხივებისას ($h\nu$), სტიბიუმთან (Sb) და აქტიურ მეტალებთან – ოთახის ტემპერატურაზე, სხვა მარტივ ნივთიერებებთან კი – გაცხელებით:




საქმიანობა

ქლორის ქიმიური თვისებები


ქლორის ქიმიური თვისებების ამსახველი რეაქციების საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:

- რომელ რეაქციებშია ქლორი მჟანგავი?
- რა პირობებში ნარმოიქმნება მარტივი ნივთიერებებიდან PCl_3 და რა პირობებში – PCl_5 ?
- რატომ ნარმოების რეანა ქლორთან FeCl_3 -ს, ხოლო მარილმჟავასთან – FeCl_2 -ს?
- რომელ ქლორშემცველ ნაერთებში ავლენს ელემენტი ორის ტოლ ვალენტობას? რატომ განსხვავდება მათი ფორმულები ერთმანეთისგან?



ქლორის ურთიერთქმედება როგორ ნივთიერებებთან. ქლორი რეაგირებს წყალთან, ნარმოების რა მარილმჟავას (ქლორწყალბადებას) და ქვექლოროვან მჟავას:




ნარმოქმნილ ხსნარს ქლორიანი წყალი ენოდება. ქვექლოროვანი მჟავა არა-მდგრადი ნივთიერებაა, ამიტომ იძლება. მისი დაშლისას ნარმოქმნილი ძლიერი მჟანგავი – ატომური ჟანგბადი აუფერულებს ორგანულ სალებავებს:




ქლორიანი წყლის ეს თვისება განაპირობებს მის გამოყენებას მათეთრებლად. ქლორი ურთიერთქმედებს ტუტეებთან. მაგალითად, ჩვეულებრივ პირობებში ქლორი KOH -ის ან NaOH -ის ხსნარებთან ნარმოქმნის უაველის წყალს, ხოლო ჩამქრალ კირთან – ქლორიან კირს, რომლებსაც აგრეთვე აქვს მათეთრებელი უნარი:





უაველის წყლისა და ქლორიანი (მათეთრებელი) კირს გამათეთრებელ უნარს განაპირობებს ქვექლოროვანი მჟავა, რომელიც ნარმოქმნება წყლისა და ჰაერის ნახშირორჟანგის ზემოქმედებით. მაგალითად,



ცოდნის ზარდახშა • ქლორის ტუტესთან გაცხელებისას ნარმოქმნება ქვექლორ-მჟავას (HClO_3) მარილები:



ქლორი უფრო ძლიერი მჟანგავია, ვიდრე ბრომი და იოდი; ამიტომ ის აძევებს ბრომება და იოდება წყალბადთან და მეტალებთან ბინარული ნაერთებიდან:



ქლორი ურთიერთქმედებს ორგანულ ნივთიერებებთან.

გამოყენება. ქლორს იყენებენ სასმელი წყლის გასაუვნებლებლად, ქსოვილებისა და ქალალდის გასათეთრებლად. მისი ძირითადი ნაწილი იხარჯება ძარილმჟავას, ქლორიანი კირის, აგრეთვე სხვა ქლორშემცველი არაორგანული და ორგანული ნივთიერებების საწარმოებლად.

საკვანძო
სიტყვები

• ქლორიანი წყალი • ქვექლოროვანი მჟავა • უაველის წყალი •
მათეთრებელი ნივთიერებები • ჰალოგენთა ჩანაცვლების რეაქციები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ქლორთან მიმართებაში?

- ა) მომნამდევრი აირია;
- ბ) ლაბორატორიაში იღებენ მართლმჟავადან;
- გ) გამოირჩევა დიდი ქიმიური აქტიურობით;
- დ) მრցველობაში იღებენ სუფრის მარილიდან;
- ე) ბუნებაში გვხვდება თავისუფალ მდგომარეობაში.

2. რომელი სქემით მიიღება (უშუალოდ) მარტივი ნივთიერება?
1. $\text{KOH} + \text{Cl}_2 \rightarrow$
 2. $\text{KBr} + \text{Cl}_2 \rightarrow$
 3. $\text{KI} + \text{Cl}_2 \rightarrow$
 4. $\text{H}_2\text{O} + \text{Cl}_2 \rightarrow$
- ა) 1,2 ბ) მხოლოდ 2 გ) 1,2,3,4 დ) 2,3 ე) მხოლოდ 3
3. შეადგინეთ შესაძლებელი რეაქციების ტოლობები:
1. $\text{K} + \text{Cl}_2 \rightarrow$
 2. $\text{H}_2 + \text{Cl}_2 \xrightarrow{\text{hv}}$
 3. $\text{Al} + \text{Cl}_2 \xrightarrow{\text{t}}$
 4. $\text{O}_2 + \text{Cl}_2 \xrightarrow{\text{t}}$
 5. $\text{P} + \text{Cl}_2 \xrightarrow{\text{t}}$
4. დაასრულეთ რეაქციათა სქემები. მიუთითეთ ტოლობები, რომელთა მიხედვითაც წარმოიქმნება, შესაბამისად, უაველის წყლი და ქლორინი კარი:
1. $\text{Cl}_2 + \text{H}_2\text{O} \rightarrow$
 2. $\text{Cl}_2 + \text{KOH} \rightarrow$
 3. $\text{Cl}_2 + \text{KOH} \xrightarrow{100^\circ\text{C}}$
 4. $\text{Cl}_2 + \text{Ca}(\text{OH})_2 \rightarrow$
5. რომელი მჟავების მარილებია კალიუმის ჰიპოქლორიტი და ბერთოლეს მარილი? დაწერეთ ამ მჟავების მოლეკულური და სტრუქტურული ფორმულები.
6. როგორ აიხსნება ქლორინი წყლისა და უაველის წყლის მათეთრებელი უნარი?
7. გამოთვალეთ 1 ლ (6.3.) ქლორის მასა. განსაზღვრეთ ქლორის ფარდობითი სიმკვრივე წყალბადისა და ჰაერის მიმართ. $A_i(\text{Cl}) = 35,5$; $M_f(\text{ჰაერი}) = 29$.

15 ქლორცალური და მარილური



– რომელი ნივთიერება მონაწილეობს კუჭში საჭმლის მონელებაში?

საქმიანობა

მარილმჟავას ქიმიური თვისებები



ალქურვილობა: 5 სინჯარა, მარილმჟავა, მაგნიუმის ბურბუშელა, სპილენდის მავთული, სპილენდ(III)-ის ოქსიდი, სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდი, სოდა ან ცარცის ფევნილი.

სამუშაოს მსვლელობა: ხუთიდან ერთ-ერთ სინჯარაში მოათავსეთ მაგნიუმის ბურბუშელა, მეორეში – სპილენდის მავთული, მესამეში – სპილენდ(III)-ის ოქსიდი, მეოთხეში – სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდი, მეხუთეში – სოდა ან ცარცის ფევნილი და თითოეულ მათგანს დაამატეთ 2-3 მლ მარილმჟავა. დააკვირდით, რა მოხდება.


განიხილეთ შედეგები:

- შევიდა თუ არ მარილმჟავა რეაქციაში ორივე მეტალთან?
- როგორ აიხსნება ცისფერი ხსნარების წარმოქმნა მე-3 და მე-4 სინჯარებში და აირის გამოყოფა – მე-5 სინჯარაში?
- შეადგინეთ სამუშაოს მსვლელობისას განხორციელებული რეაქციების ტოლობები.

მიღება. ლაბორატორიაში ქლორნებადი მიიღება სულფატური ხერხით:



მრეწველობაში, ძირითადად, ქლორში წყალბადის წვით:



ფიზიკური თვისებები. ქლორნებადი უფერო, მკვეთრი მხუთავი სუნის მქონე აირია. ჰაერზე ოდნავ მძიმეა. ტენიან ჰაერზე „ბოლაგს“. 0°C -ზე 1 ლ წყალში იხსნება 500 ლ ქლორნებადი. მის წყალხსნარს მარილმჟავა ენოდება. შესუნთქვისას იჩენს მხუთავ ზემოქმედებას.

ქიმიური თვისებები. ქლორნყალბადი, მარილმჟავასგან განსხვავებით, ჩვეულებრივ პირობებში არ რეაგირებს მეტალებთან და მათ ოქსიდებთან.





გამოყენება. ქლორნყალბადი გამოიყენება ძირითადად მარილმჟავას სახით, აგრეთვე პლასტმასებისა და კაუჩუკის ნარმოებაში.

მარილმჟავა

მარილმჟავას მიღება. მარილმჟავა მიიღება ქლორნყალბადის წყალში გახსნით. **ფიზიკური თვისებები.** მარილმჟავა მცვეთრი სუნის მქონე უფერო ხსნარია. კონცენტრირებული მარილმჟავა ჰაერზე „ბოლავს“. ყველაზე კონცენტრირებული მარილმჟავა 40%-იანია. გაყიდვაში არსებული მარილმჟავას კონცენტრაცია არ აღემატება 37%-ს. კუჭის წვენში მარილმჟავას კონცენტრაცია 0,3%-ს შეადგენს.

ქიმიური თვისებები. მარილმჟავას, მჟავების საერთო თვისებებთან ერთად, აქვს სპეციფიკური თვისებებიც.

1. მარილმჟავა ძლიერი მჟავაა. ხსნარში ის მთლიანად დისოცირდება იონებად და ფერს უცვლის ინდიკატორებს. ის ურთიერთუმედებს ძაბვათა რიგში წყალბადამდე მოთავსებულ მეტალებთან, ფუძე და ამფოტერულ ოქსიდებთან, ფუძეებთან და მარილებთან, გარდა გოგირდმჟავას, აზოტმჟავას და ორთოფოსფორმჟავას მარილებისა (გამონაკლისია ვერცხლის (II) ნიტრატი):




II. მარილმჟავას სპეციფიკური თვისებები

1. კონცენტრირებული მარილმჟავას ორთქლი რეაგირებს ამიაკთან თეთრი კვამლის ნარმოქმნით, ომელიც ამონიუმის ქლორიდის ნანილაკებისგან შედგება (ჰ ტოლ.):



2. მარილმჟავა და მისი ხსნადი მარილები ვერცხლის(II) ნიტრატის ხსნართან ნარმოქმნის წყალში და მჟავებში უხსნად თეთრ ნალექს AgCl (ჰ ტოლ.). ეს რეაქცია გამოიყენება მარილმჟავას და მისი მარილების განსაზღვრისთვის:



3. აქვს რა აღმდეგნი თვისებები, მარილმჟავა (ქლორიდ-იონი) რეაგირებს მჟანგავებთან. მისი ეს თვისება გამოიყენება ქლორის მიღებისას:



გამოყენება. მარილმჟავა გამოიყენება მისი მარილების მისაღებად, საღებავების სინთეზში, შეფულებისას მეტალების ზედაპირის ოქსიდური აფსკისგან გასათავისუფლებლად, კვების მრეწველობაში (გლუკოზისა და ჟელატინის მიღებისას), ტყავის ნარმოებაში (ტყავის თრიმვლისას), მედიცინაში (ნამლების ნარმოებაში) და ა.შ.

ცოდნის ზარდაბეჭა • მარილმჟავას მარილების გამოყენება: **NaCl** – ნატრიუმის ჰიდროქსიდის, მარილმჟავას, ქლორის, მეტალური ნატრიუმის, სოდის, საპნის, სალებავების წარმოებაში და ყოფაში; **KCl** – როგორც ფასეული მინერალური სასუქი; **ZnCl₂** – ხის ნაკეთობების გასაუღენთად მათი ლპბისგან დაცვის მიზნით; **BaCl₂** – როგორც სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის საშუალება; **CaCl₂** – აირთა გასაშრობად; **AlCl₃** – როგორც ორგანული სინთეზის კატალიზატორი.

ქლორნყალბადისა და ქლორიდ-ანიონის განსაზღვრა. ქლორნყალბადს საზღვრავენ ამიაკთან (Ag^+ ტოლ.) თეთრი კვამლის წარმოქმნის მიხედვით, ქლორიდ-ანიონს კი – Ag^+ იონთან თეთრი ნალექის AgCl წარმოქმნის მიხედვით (Ag^+ ტოლ.).

საკვანძო სიტყვები

• ქლორნყალბადი • მარილმჟავა • მარილმჟავას სპეციფიკური თვისებები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რომელი სქემით მიიღება ქლორნყალბადი, შესაბამისად, წარმოებაში და ლაბორატორიაში?
 - $\text{Cl}_2 + \text{HBr} \rightarrow$ ა) 2,1
 - $\text{NaCl}(\text{ჰრისტ.}) + \text{HNO}_3(\text{ჸონც.}) \rightarrow$ ბ) 1,2
 - $\text{H}_2 + \text{Cl}_2 \xrightarrow{t}$ გ) 3,4
 - $\text{NaCl}(\text{ჰრისტ.}) + \text{H}_2\text{SO}_4(\text{ჸონც.}) \xrightarrow{t}$ დ) 2,3
 - $\text{NaCl}(\text{ჰრისტ.}) + \text{H}_2\text{O}_2 \rightarrow$ ე) 1,4
- დაასრულეთ რეაქციათა სქემები და მიუთითეთ მარილმჟავას სპეციფიკური თვისებების ამსახველი ტოლობები:
 - $\text{HCl} + \text{Mg} \rightarrow$
 - $\text{HCl} + \text{Cu}(\text{OH})_2 \rightarrow$
 - $\text{HCl} + \text{BaO} \rightarrow$
 - $\text{HCl} + \text{MgCO}_3 \rightarrow$
 - $\text{HCl} + \text{AgNO}_3 \rightarrow$
 - $\text{HCl} + \text{MnO}_2 \rightarrow$
- განსაზღვრეთ ნივთიერებები, რომლებიც არ რეაგირებს მარილმჟავასთან.
 - Fe_2O_3
 - Ag
 - SiO_2
 - $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7$
 - SO_2
 - NH_3
 - BaSO_4
 - CaCO_3
- ჟნგვა-ალდგენით რეაქციაში $\text{HCl} + \text{KMnO}_4 \rightarrow \text{Cl}_2 + \text{MnCl}_2 + \text{KCl} + \text{H}_2\text{O}$ მიუთითეთ: მჟანგავი, ალმდგენი, ჟნგვის პროცესები და ალდგენის პროცესები. დაწერეთ კოეფიციენტები ელექტრონული ბალანსის მეთოდით.
- შეადგინეთ ქლორნყალბადის მიღების ორი შეთოდის შესაბამისი ტოლობები. რატომ არ გამოიყოფა ქლორნყალბადი ნატრიუმის ქლორიდისა და გოგირდმჟავას განსავებული ხსნარების შერევისას?
- ხსნარში რომელი იონების არსებობა განაპირობებს, შესაბამისად, მარილმჟავას მჟანგავ და ალმდგენ თვისებებს?
- გამოთვალეთ მარილმჟავას კონცენტრაცია (%), თუ ცნობილია, რომ 1 მოცულობა წყალში გახსნილია 448 მოცულობა (ნ.პ.) ქლორნყალბადი. წყლის სიმკვრივე მიიღეთ 1 გ/სმ³ ტოლად. $M_r(\text{HCl}) = 36,5$.

16 ჰალოგენის შედარებითი დასასიათება



- როგორ ფიქრობთ, რომელი ჰალოგენის ნაერთი შედის კბილის პასტის შედგენილობაში?
- რომელი ჰალოგენის 5%-იანი ხსნარი ეთილის სპირტში გამოიყენება ჭრილობების დეზინფეციისთვის?
- რომელი ჰალოგენის იონი შედის სუფრის მარილის შედგენილობაში?

საქმიანობა

ჰალოგენიდ-იონების ურთიერთქმედება ვერცხლის (I) ნიტრატთან და კალციუმის ქლორიდთან

უზუნველყოფა: მარილების – NaF , NaCl , NaBr , NaI , CaCl_2 და AgNO_3 – ხსნარები; 8 სინჯარა; შტატივი სინჯარებისთვის, ორი პიპეტი.

სამუშაოს მსვლელობა: ა) 4-დან თითოეულ სინჯარებში ჩაასხით 2-3 მლ NaF -ის, NaCl -ის, NaBr -ისა და NaI -ის ხსნარები. თითოეულ სინჯარას დაამატეთ 3-4 წვეთი ვერცხლის (I) ნიტრატის ხსნარი და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

ბ) ზუსტად ასევე, NaF -ის, NaCl -ის, NaBr -ისა და NaI -ის ხსნარებს ოთხ სხვა სინჯარებში დაამატეთ კალციუმის ქლორიდის ხსნარი და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

განიხილეთ შედეგები:

- რომელი მარილების ხსნარებიდან გამოიყო ნალექი AgNO_3 -ის ხსნარის დამატებისას (ა) ექსპერიმენტში?
- რომელი ჰალოგენის იონი ნარმოქმნის ნალექს კალციუმის იონთან (ბ) ექსპერიმენტში?
- დანერეთ (ს) და (ბ) ექსპერიმენტებში განხორციელებული რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლიძები.

აღმოჩენა. ფთორი პირველად მიიღეს თხევადი ფთორწყალებადის ელექტროლიზით (1886 წ., ა. მუასანი, საფრანგეთი), ქლორი – მარილმჟავას მანგანუმის დიოქსიდით დაუანგვით (1774 წ., კ. შეელე, შვედეთი), ბრომი (1826 წ., ა. ბალარი, საფრანგეთი) და ოდი (1811 წ., ბ. კურტუა, საფრანგეთი) – ზღვის წყალმცვარეების ნაცრიდან.

ბერძნულად „ფთოროს“ ნიშნავს დამანგრეველს, „ქლოროს“ – ყვითელ-მწვანეს, „ბრომოს“ – მყრალი სუნის მქონეს, „იოდეს“ – იისფერს.

ბუნებაში გავრცელება. ჰალოგენები ბუნებაში გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით.

ცოდნის ზარდახშა • ფთორის უმნიშვნელოვანები ბუნებრივი ნაერთებია: ფლუორიტი (მლობი შპატი) CaF_2 , კრიოლიტი Na_3AlF_6 და ფთორაპატიტი $3\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2\text{CaF}_2$. ბრომი ძირითადად გვხვდება ქლორის ყველა საბადოში მარილების: NaBr , KBr და MgBr_2 სახით, აგრეთვე ზღვის წყალმცენარეებში. წლის განმანგლობაში ზღვის წყლითან ატმოსფეროში გადადის დაახლოებით 4 მლნ ტონა ბრომი, ამიტომ ზღვების სანაპიროებზე ჰალოგენების შემცველობა ბევრად მეტია, ვიდრე სხვა რაონებში. იოდი ძირითადად გვხვდება კალიუმის იოდიდისა და ნატრიუმის იოდიდის სახით, აგრეთვე, ბრომის მსგავსად, შედის ზღვის წყალმცენარის – ლამინარის შედგენილობაში.

(ს) ჰალოგენები ბუნებაში:

- 1 – ქვამარილი (NaCl),
- 2 – სილვინი (KCl),
- 3 – ფლუორიტი (CaF_2),
- 4 – ლამინარი (შეიცავს ბევრ იოდი)



აზერპაიჯანში ჰალოგენთა ნაერთები გვხვდება ნახიჩევანში (ძირითადად NaCl-ის სახით) და ზღვისა და ჭაბურღილების წყლებში ქალაქების: ბაქოსა და ნეფთჩალას მახლობლად (იოდიდებისა და ბრომიდების სახით).

მიღება. 1. ფთორი შეიძლება მივიღოთ კალიუმის ან კალციუმის ფთორიდების ნალღობთა ელექტროლიზით:




2. ქლორის მიღება იხ. გვ. 63.

3. ბრომს ლაბორატორიაში იღებენ მუანგავების (MnO_2 , KMnO_4 , KClO_3 და სხვ.) მოქმედებით ბრომწყალბადმჟავაზე ან მის მარილებზე:




მრეწველობაში მას იღებენ ბრომიდებზე ქლორის მოქმედებით:



4. იოდს ლაბორატორიაში იღებენ სუსტი მუანგავების (Fe^{3+} , Cu^{2+} და სხვ.) მოქმედებით იოდწყალბადმჟავაზე ან მის მარილებზე:



მრეწველობაში კი – იოდიდებზე ქლორის მოქმედებით:



ფიზიკური თვისებები. ფთორი და ქლორი, შესაბამისად, ღია ყვითელი და მოყვითალო-მწვებელი ფერის მომწამლავი აირებია.

ბრომი მურა წითელი ფერის სითხეა, რომლის ორთქლი მომწამლავია. იოდი ადვილად სუბლიმირდება გაცხელებისას, მუქი ისფერი კრისტალური ნივთიერებაა.


რიგში $\text{F}_2 \rightarrow \text{Cl}_2 \rightarrow \text{Br}_2 \rightarrow \text{I}_2$, ატომებისა და მოლეკულების ზომების გაზრდის გამო, იზრდება მოლეკულათა მორისი მიზიდვის ძალები. შედეგად, ამ რიგში ძლიერდება ჰალოგენების შეფერვის ინტენსივობა, იზრდება სიმკვრივე, აგრეთვე დნობისა და დუღილის ტემპერატურა.

ჰალოგენები წყალში მცირდება ხსნადებია. კარგად იხსნება სპირტში, ბენზინსა და ნავთში. იმის გამო, რომ ფთორი ჩვეულებრივ პირობებში შეუქცევადად რეაგირებს წყალთან, შეუძლებელია მისი წყალსნარის მიღება.


ქიმიური თვისებები. ჰალოგენთა ქიმიური აქტიურობა მცირდება ფთორიდან იოდისკენ. ამიტომ ფთორი, სხვა ჰალოგენებთან შედარებით, უფრო აქტიურად შედის რეაქციებში; მაგალითად, ჩვეულებრივ პირობებში ის ენერგიულად რეაგირებს ნაშირბადთან, ფოსფორთან, გოგიოდთან და ბევრ მეტალთან:



სხვა ჰალოგენები რეაქციებში შედის ძირითადად გაცხელებისას.




წყალბადთან ფთორი რეაგირებს სიბნელეში, აფეთქებით, ქლორი – სინათლის დასხივებისას ან გაცხელებით, ბრომი და იოდი – გაცხელებით:




ცოდნის ზარდახშა • HBr და HI არამდგარადი ნივთიერებებია, ამიტომ ისინი მიიღება არაპირდაპირი გზით.

მრეწველობაში ფთორნყალბადიც მიიღება არა მარტივი ნივთიერებებიდან, არამედ მინერალ ფლუორიტზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით:




ჰალოგენნყალბადების წყალხსნარები მჟავებს წარმოადგენს, რომელთა ძალა იზრდება რიგში: $\text{HF} \rightarrow \text{HCl} \rightarrow \text{HBr} \rightarrow \text{HI}$. ფთორნყალბადმჟავა (მლოდობი მჟავა) რეაგირებს მინის შედგენილობაში არსებულ სილიციუმის დიოქსიდთან:



მისი ეს თვისება გამოიყენება პრაქტიკაში მინაზე მოხატულობისა და წარწერების გაკეთების მიზნით.


ჰალოგენნყალბადმჟავების მარილებს ეწოდება ფთორიდები, ქლორიდები, ბრომიდები და იოდიდები. ხსნარებში ამ მარილთა გამოსაცნობად გამოიყენება მათი რეაქციები ვერცხლის (II) ნიტრატთან (გვ.71).

ჰალოგენთა მჟანგავი უნარი სუსტდება რიგში: $\text{F} \rightarrow \text{Cl} \rightarrow \text{Br} \rightarrow \text{I}$. ამიტომ HX და MX ტიპის ნაერთებიდან ($\text{X}=\text{F}, \text{Cl}, \text{Br}, \text{I}$) ქლორი აძევებს ბრომსა და იოდს, ბრომი კი – მხოლოდ იოდს.




ფთორს მსგავსი რეაქციები არ ახასიათებს, რადგან ის რეაგირებს წყალთან.

ცოდნის ზარდახშა • ფთორი, რეაგირებს რა წყალთან, აძევებს მისგან უანგბადს (შეიმჩნევა წვის მოვლენა):



ფთორისგან განსხვავებით, ქლორი და ბრომი სუსტად რეაგირებს წყალთან. ამ დროს, ჰალოგენნყალბადთან ერთად, მიიღება ქვექლოროვანი (HClO) და ქვებრომოვანი (HBrO) მჟავები:



იოდი წყალთან არ რეაგირებს. უნდა ალინიშნოს, რომ ჰალოგენიდ-იონების ალმდგენი თვისებები იზრდება რიგში: $\text{F}^- \rightarrow \text{Cl}^- \rightarrow \text{Br}^- \rightarrow \text{I}^-$.

ჰალოგენების გამოყენება. ჰალოგენებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება ქლორი (გვ.64).

ფთორი და მისი ნაერთები გამოიყენება ფთორორგანული ნაერთების (ფრეონი, CF_2Cl_2), პოლიმერების (ტეფლონის ($-\text{CF}_2-\text{CF}_2-$)_n) სინთეზში, კრიოლითის $\text{Na}_3[\text{AlF}_6]$ წარმოებაში, მინაზე მოხატულობის დასატანად, აგრეთვე კბილის პასტების დანამატად.

ბრომის ნაერთები გამოიყენება ფოტოგრაფიაში (AgBr), მედიცინაში, ნერვული სისტემის დასამშვიდებლად (NaBr, KBr) და რიგი საღებავების საწარმოებლად.

იოდის ნაერთები გამოიყენება სუფრის მარილის იოდიზირებისთვის (NaI), ზოგიერთი დავადების, მაგალითად, ფარისებრი ჯირკვლის დაავადების სამ-

კურნალოდ, აგრეთვე ჭრილობების სადეზინფექციოდ ეთილის სპირტში იოდის 5%-იანი ხსნარით.

ადამიანის ორგანიზმში იოდი ხვდება წყლიდან, ჰაერიდან და საკვებიდან (რძე, პური, კვერცხი, მარილი, ზღვის კომბოსტო).



რძე



პური



კვერცხი




ზღვის კომბოსტო


(ა) იოდშემცველი პროდუქტები

F⁻, Cl⁻, Br⁻ და I⁻ იონების, აგრეთვე მოლეკულური იოდის განსაზღვრა


„საქმიანობის“ განცყოფილებაში მოცემული ცდებიდან გამომდინარეობს, რომ F⁻, Cl⁻, Br⁻ და I⁻ იონები ხსნარში შეიძლება განვსაზღვროთ ვერცხლის (I) ნიტრატის დახმარებით: ამ დროს ვერცხლის იონები Ag⁺ ქლორიდ-იონებთან Cl⁻ ნარმოქმნის ვერცხლის (I) ქლორიდის AgCl თეთრ ნალექს, ბრომიდ-იონებთან Br⁻ – ვერცხლის (I) ბრომიდის AgBr მოვითალო ნალექს, ხოლო იოდიდ-იონებთან I⁻ – ვერცხლის (I) იოდიდის AgI ყვითელ ნალექს. იმის გამო, რომ AgF წყალში ხსნადია, Ag⁺ და F⁻ იონები ნალექს არ ნარმოქმნის (სინჯარა 1).

(დ) Cl⁻, Br⁻ და I⁻ იონების განსაზღვრა

მაგრამ F⁻ იონები, Cl⁻, Br⁻ და I⁻ იონებისგან განსხვავებით, Ca²⁺ და Mg²⁺ იონებთან ნარმოქმნის წყალში უხსნად, შესაბამისად, თეთრი (CaF₂) და ყვითელი (MgF₂) ფერის ნალექებს.



თეთრი ნალექი



ყვითელი ნალექი

მოლეკულური იოდის განსაზღვრა ეფუძნება მუქი ლურჯი შეფერვის ნარმოქმნას იოდის განზაგებული სპირტსნარის სახამებელზე ზემოქმედებისას (გვ.183).

ქიმია და გარემო. ჰალოგენნაერთებს შორის უდიდეს ეკოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს ქლორშემცველი ჰესტიციდები, ფრეონები (ნახშირბადის ფთორ-ქლორნარმები: CFCl_3 , CF_2Cl_2 და სხვ.) და ქლორნყალბადი, რომელიც ხელს უწყობს ნიადაგის მჟავიანობის გაზრდას. დედამიწის ატმოსფეროში წარმოქმნილი ფრეონების ფოტოლიზის პროდუქტები, ურთიერთქმედებს რა ოზონთან, იწვევს ატმოსფეროში ე.წ. „ოზონის ხერელის“ წარმოქმნას. ამიტომ მსგავსი ნაერთები წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს პლანეტის იზონის ფენის შენარჩუნების ასპექტით. დღეისათვის საშიში ჰესტიციდებისა და ფთორნარმოებულების გამოყენება ან საერთოდ აკრძალულია, ან შეზღუდულად ნებადართულია განსაზღვრული წესების დაცვისა და ატმოსფეროში მათი შემცველობის მუდმივი კონტროლის პირობით.

საკვანძო
სიტყვები

• ჰალოგენების აქტიურობა • ჰალოგენიდ-იონების აქტიურობა •
ჰალოგენიდ-იონების განსაზღვრის რეაქციები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ჰალოგენებისთვის? რიგში F_2 — Cl_2 — Br_2 — I_2 ...

- ა) ძლიერდება შეფერვის ინტენსივობა;
- ბ) იზრდება ლლობის ტემპერატურა;
- გ) მცირდება ქიმიური აქტიურობა;
- დ) მცირდება სიმკვრივე;
- ე) იზრდება მოლეკულაში ბმის სიგრძე.

2. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი ჰალოგენულბადებთან მიმართებაში:

- ა) HI ყველაზე ძლიერი ალმდგენია;
- ბ) HF ყველაზე სუსტი ალმდგენია;
- გ) R-H ბმის სიგრძე ყველაზე ნაკლებია HF მოლეკულაში;
- დ) HI ყველაზე სუსტი მჟავა (ხსნარში);
- ე) HF გამოიყენება მინაზე მოხატულობის დასატანად.

3. დაასრულეთ შესაძლებელი რეაქციების სქემები:

1. $\text{CaF}_2(\text{ნალღობი}) \xrightarrow{\text{ჰა-ლაზ}} \text{F}_2$
2. $\text{C} + \text{Cl}_2 \rightarrow$
3. $\text{C} + \text{F}_2 \rightarrow$
4. $\text{S} + \text{F}_2 \rightarrow$
5. $\text{P} + 5\text{Cl}_2 \rightarrow$

4. შეადგინეთ ოქსიდის Cl_2O_7 შესაბამისი მჟავას მოლეკულური და სტრუქტურული ფორმულა.

5. შეადგინეთ რეაქციების ტილობები, რომელთა შედეგადაც მიიღება ჰალოგენი:



6. განსაზღვრეთ ქიმიური ბმის ტიპი და ელემენტების უანგვის რიცხვი ნაერთებში: KBr , Cl_2 , BF_3 და HI .

7. რატომ არ შეიძლება ფთორიანი ნელის დამზადება? რაში მდგომარეობს ქვემოთ მოცემული ორი რეაქციის მსგავსება?



შემაჯამებელი დავალებები

1. რომელი ელექტრონული ფორმულები შეესაბამება ჰალოგენების ატომებს?
 1. ... $2s^22p^5$
 2. ... $2s^22p^6$
 3. ... $3d^64s^1$
 4. ... $3s^23p^5$
 5. ... $3s^23p^4$

ა) 1,2,3 ბ) 1,2 გ) მხოლოდ 1 დ) 1,3,4,5 ე) 1,4
2. რომელ პერიოდში და ჯგუფშია მოთავსებული უდიდესი მჟანგავი თვისებების მქონე ელემენტი?

ა) 1; VII ბ) 2; VII გ) 2; VI დ) 3; VII ე) 6; VII
3. რა არის სწორი ქლორისტვის?
 1. ბუნებაში გვხვდება ნაერთების სახით;
 2. ჰაერზე მძიმე აირია;
 3. მრეწველობაში იღებენ მარილმჟავადან;
 4. ლაბორატორიაში იღებენ მარილმჟავადან.

ა) 1,2,3,4 ბ) 2,3,4 გ) 2,3 დ) 1,2,3 ე) 1,2,4
4. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. მარილმჟავა...

ა) არ არის სუფთა ნივთიერება; ბ) რეაგირებს რკინასთან;
 გ) შედის კუჭის ნევნის შედგენილობაში; დ) არსებობს 40%-ზე მეტი კონცენტრაციით;
 ე) შეიძლება განისაზღვროს ვერცხლის (II) ნიტრატის ხსნარით.
5. რა არის სწორის ქლორნყალბადისტვის?
 1. აქვს მკვეთრი სუნი;
 2. ტენიან ჰაერზე ბოლავს;
 3. კარგად იხსნება წყლში
 4. რეაგირებს ამიაკთან;
 5. ჩვეულებრივ პირობებში სითხეა.
6. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ რეაქციათა სქემები:

1. $\text{Cl}_2 + \text{H}_2\text{O} \rightarrow$	2. $\text{Ca}(\text{OH})_2 + \text{Cl}_2 \rightarrow$	3. $\text{KOH} + \text{Cl}_2 \rightarrow$
4. $\text{HCl} + \text{MnO}_2 \rightarrow$	5. $\text{Fe} + \text{Cl}_2 \xrightarrow{-t}$	6. $\text{HF} + \text{SiO}_2 \rightarrow$
7. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. ჰალოგენნყალბადებს შორის...
 1. HCl ყველაზე ძლიერი აღმდგენია;
 2. HF ხსნარში ყველაზე ძლიერი მჟავაა;
 3. HF ყველაზე პოლარული მოლეკულაა;
 4. HI გახსნისას ყველაზე ადვილად დისოცირდება;
 5. HBr ძლიერ მდგრადია და გახურებისას არ იმლება.
8. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ რეაქციათა სქემები:

1. $\text{NaBr} + \text{Cl}_2 \rightarrow$	2. $\text{Sb} + \text{Cl}_2 \xrightarrow{20^\circ\text{C}}$	3. $\text{Al}_2\text{O}_3 + \text{HCl} \rightarrow$
4. $\text{K}_2\text{Cr}_2\text{O}_7 + \text{HCl} \rightarrow$	5. $\text{KClO}_3 + \text{HCl} \rightarrow$	6. $\text{CaCO}_3 + \text{HCl} \rightarrow$
9. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. F^- , Cl^- , Br^- და I^- იონებს შორის...
 1. F^- ყველაზე სუსტი აღმდგენია;
 2. I^- ყველაზე ძლიერი აღმდგენია;
 3. F^- ყველაზე ძლიერ იზიდავს H^+ იონებს;
 4. I^- იონს აქვს უდიდესი რადიუსი.
10. მანგანუმის დიოქსიდის მარილმჟავასთან ურიერთქმედების შედეგად მიიღეს 33,6 ლ (6.3.) ქლორი. გამოთვალეთ რეაქციაში შესული მანგანუმის დორქსიდის მასა (გ). $M_r(\text{MnO}_2) = 87$.

17 ჟანგბადის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება




- რომელი ნივთიერების საშუალებით შეიძლება იატაკზე დაღვრილი ვერცხლისწყლის გაუვინებლება?
- რომელი აირი განაპირობებს ლაზე კვერცხი სუნს?

VI ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში შედის: უანგბადი **O**, გოგირდი **S**, სელენი **Se**, ტელური **Te** და რადიოაქტიური პოლონიუმი **Po**. ამ ელემენტებს ქალკოგენები ეწოდება („ქალკოგენები“ მაღალი ნარმომქმნელს ნიშნავს).

საქმიანობა

ქალკოგენების ატომების ვალენტური შესაძლებლობანი

გაითვალისწინეთ განსხვავებულობა ქალკოგენების ატომების გარე ენერგეტიკული დონეების აღნაგობაში და უპასუხეთ კითხვებს:



- რაში მდგომარეობს განსხვავება **O**, **S**, **Se** და **Te** ატომების გარე დონის აგებულებაში?
- ყველა ქალკოგენის ატომშია შესაძლებელი განყვილებული **s**- და **p**-სავალენტო ელექტრონების განცალკევება? რასთანაა ეს დაკავშირებული?
- აისხება თუ არა **O** და **S** ატომების აღნაგობას შორის განსხვავება ნაერთებში მათ მიერ გამოვლენილ ვალენტობაზე? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითებით.

ქალკოგენების ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე განლაგებულია 6 ელექტრონი: **ns^2np^4** . იერთებს რა ოქტეტის მიღწევისთვის აუცილებელ 2 ელექტრონს, ისნი წყალბადთან და მეტალებთან ნაერთებში ავლენს უანგვის რიცხვს -2 . გოგირდი, სელენი და ტელური უანგბადთან და ჰალოგენებთან ნაერთებში, ხოლო უანგბადი – მხოლოდ ფთორთან ნაერთში ავლენს უანგვის რიცხვს $+2$. უანგბადისგან განსხვავებით, გოგირდი, სელენი და ტელური ავლენს აგრეთვე უანგვის რიცხვს $+4$ და $+6$.

ატომის გარე (მე-2) დონეზე **d**-ქვეფონის არარსებობის გამო უანგბადი არ ავლენს **IV**- და **VI**-ვალენტიანობას და, შესაბამისად, უანგვის რიცხვს $+4$ და $+6$ (ცხრ. 17.1).

უანგბადის ქვეჯგუფის ელემენტები წყალბადთან ნარმოქმნის **H₂R** ზოგადი ფორმულის მქონე ნაერთებს: **H₂O**, **H₂S**, **H₂Se**, **H₂Te**. წყალსნარებში **H₂S**, **H₂Se**, **H₂Te** ნარმოქმნის მჟავებს. ამ მჟავების ძალა იზრდება რიგში: **H₂S**→**H₂Se**→**H₂Te**.

წყალი უმნიშვნელო ხარისხით დისოცირდება იონებად (**H⁺** და **OH⁻**).

ცხრილი 17.1 . უანგბადისა და გოგირდის ზოგიერთი მახასიათებელი

ელემენტი	სავალენტო ელექტრონები	ფარდობითი ელექტრო- უარყოფითობა	უანგბის რიცხვი (ნაერთებში)
უანგბადი, O	$2s^2 2p^4$	3,5	ძირითადად -2
გოგირდი, S	$3s^2 3p^4$	2,5	-2, -1, +2, +4, +6

გოგირდი, სელენი და ტელური უანგბადთან წარმოქმნის RO_2 და RO_3 შედგენილობის ოქსიდებს. ამ ოქსიდებს შეესაბამება H_2RO_3 და H_2RO_4 ($H_2TeO_4 \cdot 2H_2O$) ტიპის მჟავები.

ქვეჯგუფში, R ელემენტის რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, ზემოხსენებული მჟავების ძალა სუსტდება. ვინაიდან ამ მჟავებში R-ის უანგვის რიცხვია, შესაბამისად, +4 და +6, ყველა მათგანს აქვს მჟანგავი თვისებები. H_2RO_3 ტიპის მჟავებს აქვს აგრეთვე აღმდეგი თვისებები, რადგან R ელემენტის უანგვის რიცხვი (+4) ამ მჟავებში შეუალებურია.

ქალკოგენების უანგბადიანი და უჟანგბადო მჟავები

რატომ ძლიერდება მჟავური თვისებები რიგში: $H_2S \rightarrow H_2Se \rightarrow H_2Te$?
ამოხსნა:

რიგში: $H_2S \rightarrow H_2Se \rightarrow H_2Te$, ატომის ზომის ზრდის გამო, R-H ბმის სიგრძე იზრდება, მისი სიმტკიცე კი – მცირდება. შედეგად, წყლის პოლარული მოლეკულები უფრო ადვილად მოწყვეტს H^+ იონს H_2R მოლეკულიდან.

დავალება. რატომ ავლენს R ელემენტი მხოლოდ მჟანგავ თვისებებს H_2RO_4 ტიპის მჟავებში?

რიგში $O \rightarrow S \rightarrow Se \rightarrow Te$ ელემენტების მჟანგავი (არამეტალური) თვისებები სუსტდება, ხოლო აღმდეგი თვისებები ძლიერდება.

საკვანძო
სიტყვები

• ქალკოგენები • ქალკოგენების ზრდა • უანგბადშემცველი მჟავები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რა არის მცდარი VI ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელემენტებისთვის?
 - წარმოქმნის მაღნებს;
 - ეწოდება ქალკოგენები;
 - წარმოადგენს s- და p-ელემენტებს;
 - წაკლებად აქტიურებია, ვიდრო იმავე პერიოდების ჰალიგენები;
 - მათი ატომების გარე დონეზე 6-6 ელექტრონია.
- ქალკოგენების რომელი თვისება იზრდება ატომის რადიუსის ზრდასთან ერთად?
 - იონზაფიის ენერგიია;
 - მჟანგავი თვისებები;
 - ელექტროურყოფითობა;
 - აღმდეგი თვისებები;
 - არამეტალური თვისებები.
- რომელი კონფიგურაციის ატომს აქვს ყველაზე ძლიერი მჟანგავი თვისებები?
 - ... $2s^2 2p^4$
 - ... $4s^2 4p^4$
 - ... $5s^2 5p^4$
 - ... $3s^2 3p^4$
 - ... $6s^2 6p^4$
- რომელ ნაერთშია არასწორად მითითებული ქალკოგენის უანგვის რიცხვი?
 - H_2O_2
 - H_2SO_4
 - $S Cl_2$
 - H_2SeO_4
 - H_2Te
- დაერეთ ქალკოგენების წყალბადნერთებისა და უმაღლესი ოქსიდების ზოგადი ფორმულები.
- რომელი მჟავაა ყველაზე ძლიერი თითოეულ რიგში?
 - H_2S (ხსნ.), H_2Se (ხსნ.), H_2Te (ხსნ.)
 - H_2SO_4 , H_2SeO_4 , H_2TeO_4

18 ბოგილი




- რომელ ნივთიერებას იყენებდნენ ძველთვანევე კოსმეტიკური საშუალებების დასამზადებლად?
- რომელი ნივთიერება გამოიყენება კანის დაავადებების სამკურნალოდ?

საქმიანობა

კრისტალური და პლასტიკური გოგირდი

გოგირდის ალოტროპიული სახესხვაობების მოდელებზე დაყრდნობით უპასუხეთ კითხვებს:



კრისტალური გოგირდი

პლასტიკური გოგირდი, S_n

- რა შეიძლება ითქვას გოგირდის ალოტროპიული სახესხვაობების აგებულებაზე და ფიზიკურ თვისებებზე?
- შეიძლება თუ არა პლასტიკური გოგირდის კრისტალურად უკუგარდაქმნა?
- ჩვეულებრივ, რომელ მოდიფიკაციას ვხვდებით? როგორ წერენ გოგირდს ქიმიურ ტოლობებში?

აღმოჩენა. გოგირდს ადამიანი უძველესი დროიდან იცნობს.

გოგირდის ჟანგვის რიცხვი ნაერთებში ძირითადად არის: -2, -1, +2, +4 და +6. მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის ალნაგობა. გოგირდი მე-3 პერიოდის VI ჯგუფის მთავარი ევენცუფის ელემენტია. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^4$.

ბუნებაში გავრცელება. გოგირდი ბუნებაში გვხვდება თავისუფალი და ბმული სახით. მისი ბუნებრივი ნაერთები უპირატესად სულფიდებისა და სულფატებისაგან შედგება. მაგალითად, რკინის ალმადანი ანუ პირიტი FeS_2 , სფალერიტი ZnS , სინგური HgS , სპილენის კრიალა Cu_2S , თაბაშირი $CaSO_4 \cdot 2H_2O$, მირაბილიტი ანუ გლაუბერის მარილი $Na_2SO_4 \cdot 10H_2O$, გოგირდნყალბადი H_2S და სხვ. გოგირდს შეიცავს მცნარეული და ცხოველური ორგანიზმები (ცილები) და ნავთობის შემადგენელი ორგანული ნივთიერებები.

გოგირდი ბუნებაში


თავისუფალი
გოგირდი



სულფიდების სახით




სულფატების სახით



აზერბაიჯანში გოგირდი ბევრ მადანში გვხვდება (გვ.40).

მიღება. გოგირდი ნაერთებიდან მიღება პირიტის თერმული დაშლით, გოგირდწყალბადის დაჟანგვითა და სხვ. ხერხებით:




ალოტროპიული სახესხვაობები. გოგირდს აქვს შემდეგი ალოტროპიული სახე-სხვაობები: კრისტალური და პლასტიკური (ამორფული). კრისტალური გოგირდი ჩვეულებრივ პირობებში უფრო მდგრადია, ამიტომ დროთა განმავლობაში ამორ-ფული გოგირდი კრისტალურში გადადის.

ფიზიკური თვისებები. კრისტალური გოგირდი ყვითელი ფერის მყარი მყიფე ნივთიერებაა; წყალზე ორჯერ მსუბუქია; დნება $112,8^{\circ}\text{C}$ -ზე და დუღს $444,6^{\circ}\text{C}$ -ზე. როგორც არამეტალი, ის ცუდად ატა-რებს სითბოს და არ ატარებს ელექ-ტრულ დენს. წყალში უხსნადია. კარგად იხსნება გოგირდნახშირბადში CS_2 .

გოგირდის ფხვნილი წყლით არ სველ-დება, ამიტომ ის ტივტივებს წყლის ზედაპირზე. ამავე თვისებით გამოიჩინა გოგირდის ბევრი ბუნებრივი ნაერთი წვრილად დანილადებულ მდგომარეობა-ში. ეს მოვლენა ტექნიკაში გამოიყენება გოგირდის მაღნის დასაცილებლად „ფუ-ჭი ქანებისგან“, რომლებიც სველდება და ილექტრის. მაღნების გამდიდრების ზემოხსენებულ მეთოდს ფლოტაცია ეწოდება.


ქიმიური თვისებები. გოგირდი ტიპური არამეტალია. ქიმიურ რეაქციებში ის ავლენს როგორც მჟანგავ, ისე აღმდგენ თვისებებს (ქიმიურ ტოლობებში გო-გირდს გამოსახავენ ქიმიური ნიშნით S).

გოგირდი, როგორც მჟანგავი. გოგირდი ჟანგავს მეტალებს (ოქროს, ირიდიუმისა და პლატინის გარდა), აგრეთვე არამეტალებს, რომელთა ელექტრო-უარყოფითობა უფრო მცირეა, ვიდრე თვითი გოგირდისა. ტუტე და ტუტემინა მეტალებთან, აგრეთვე ვერცხლისნყალთან გოგირდი ჩვეულებრივ პირობებში რეაგირებს:




ცოდნის ზარდახშა • გოგირდის ვერცხლისნყალთან შეერთების რეაქცია საფუძვლად უდევს დალგონილი ვერცხლისნყლის (მაგრამ თერმომეტრიდან) გაუვნებლებას. ვერცხლისნყლის ხილვად წვეთებს აგროვებენ, ხოლო ხვრელებში მოხვედრილ ვერცხლისნყალს გოგირდს აყრიან. ამ პროცესს დემერკურიზაცია ეწოდება.

გოგირდი, როგორც ალმდგენი. როგორც ალმდგენი, გოგირდი რეაგირებს პალვენებთან, ჟანგბადთან და ზოგიერთ რთულ ნივთიერებასთან. იოდთან, აზოტთან და წყალთან გოგირდი არ ურთიერთქმედებს:




ცოდნის ზარდახშა • პლასტიკური გოგირდის მისალებად საჭიროა, ადულებამდე გაცხელებული გოგირდი ჩავასხათ ცივ წყალში. ამ დროს ის იძლევა გამჭვირვალე, რეზინისებრ მყარ მასას.





ტუტეებთან გაცხელებისას გოგირდი გვევლინება მუანგავადაც და აღმდენადაც (შედის დისპროპორციონირების რეაციაში):



გამოყენება. გოგირდის ძირითადი ნაწილი იხარჯება გოგირდმჟავას წარმოებაზე. გოგირდი გამოიყენება კაუზუკის ვულკანიზაციისას, შავი დენთის ($\text{KNO}_3 + \text{S} + \text{C}$), ასანთის, გოგირდნახშირპადის წარმოებისას. გოგირდის ფხვნილი გამოიყენება მცენარეთა მავნებლებთან და მათი დაავადებების გამომწვევებთან საბრძოლველად. გოგირდშემცველი მალამოები გამოიყენება მედიცინაში, კანის დაავადებების სამკურნალოდ.

ეს საინტერესოა

გოგირდი დიდ როლს ასრულებს ორგანიზმში ენერგიის გამოყოფაში, სისხლის შედედებაში, ცილა კოლაგენისა და ზოგიერთი ფერმენტის წარმოქმნაში. გოგირდს „სილამაზის“ ელემენტს უწოდებენ. ორგანიზმში მისი ნაკლებობისას შეიმჩნევა თმის ცვენა, ძვლებისა და ფრჩხილების სიმყიფე და მსხვრევადობა.

საკვანძო სიტყვები

• კრისტალური და პლასტიკური გოგირდი • ფლოტაცია •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი ნივთიერებების სახით გვხვდება გოგირდი ბუნებაში?

1. H_2S , S, PbS 2. ZnS , FeS_2 , Cu_2S 3. K_2S , CaS , MgS
 ა) მხოლოდ 1 ბ) მხოლოდ 2 გ) 1,2,3 დ) 1,2 ე) 1,3

2. რა არის მცდარი კრისტალური გოგირდისთვის?

- ა) შედგება 8-ატომიანი მოლეკულებისგან;
 ბ) აქვს მოლეკულური აღნაგობა;
 გ) ჩვეულებრივ პირობებში ნაკლებად მდგრადია, ვიდრე პლასტიკური გოგირდი;
 დ) მისი ნაღლობი წყალში ჩასხმისას გარდაიქმნება პლასტიკურ გოგირდად;
 ე) ფხვნილის მდგომარეობაში წყლით არ სცელდება.

3. განსაზღვრეთ X, Y, Z და K ნივთიერებები.



4. დაასრულეთ სქემები და მიუთითოთ რეაციები, რომლებშიც თავისუფალი გოგირდი (S) გამოიდის როგორც მუანგავის, ისე აღმდეგის როლში.

1. $\text{NaOH} + \text{S} \rightarrow$ 2. $\text{Na}_2\text{S} + \text{S} \rightarrow$ 3. $\text{H}_2\text{SO}_4(\text{კონც.}) + \text{S} \rightarrow$
 4. $\text{C} + \text{S} \rightarrow$ 5. $\text{HNO}_3(\text{კონც.}) + \text{S} \rightarrow$

5. რომელ ნივთიერებებთან არ რეაგირებს გოგირდი?

1. იოდთან 2. ნიკლთან 3. ტუტესთან 4. ვერცხლთან 5. ოქროსთან

6. რამდენი მოლი P₂S₅ წარმოიქმნება 32 გ გოგირდის 15,5 გ ფოსფორთან გაცხელებისას?

$$A_r(\text{S}) = 32, A_r(\text{P}) = 31.$$

19 პოგირდენალგაზი



- ჰალიალტისა (შაბრანი) და ბაფოს (ისმაილი) წყლებში რომელი ნივთიერების არსებობა განაპირობებს მათ განსხვავებას ისტისუს, ბადამლისა და სირაბის მინერალური წყლებისგან?

საქმიანობა-1

ნატრიუმის სულფიდის ურთიერთქმედება ქლორიან ნიალთან და ბრომიან ნიალთან

უზრუნველყოფა: 2 სინჯარა, ნატრიუმის სულფიდის ხსნარი, ქლორიანი წყალი და ბრომიანი წყალი.

სამუშაოს მსვლელობა: ორი სინჯარიდან თითოეულში ჩასახით ცოტაოდენი ნატრიუმის სულფიდის ხსნარი. ერთ-ერთ მათგანს დაამატეთ ქლორიანი, მეორეს კი – ბრომიანი წყალი და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

განიხილეთ შედეგები:

- რა შეამჩნიეთ სინჯარებში? როგორ ახსნით ამ მოვლენებს?
- შეადგინეთ ამ რეაქციათა ტოლობები.

მოლეკულის აღნაგობა. გოგირდნყალბადის სტრუქტურული ფორმულა: $H-S-H$. $S-H$ ბმა პოლარულია. ვინაიდან მოლეკულას კუთხეური აღნაგობა აქვს ($\angle HSH \approx 92^\circ$), მთლიანობაში ის პოლარულია (ს).

ბუნებაში გავრცელება. ბუნებაში გოგირდნყალბადი გვხვდება ვულკანურ აირებში და ზოგიერთ მინერალურ წყალში (პიატიგორ-სკი, მაცესტა, ჰალაალტი).


მიღება. ლაბორატორიაში გოგირდნყალბადი მიიღება რკინა (II)-ის სულფიდზე მარილმჟავას ან განზავებული გოგირდმჟავას მოქმედებით:






მრენველობაში გოგირდნყალბადი წარმოიქმნება, როგორც თანაური პროდუქტი ნავთობის, ბუნებრივი და სამრეწველო აირების განმენდისას.

ფიზიკური თვისებები. გოგირდნყალბადი უფერო, ჰერწე ღრძნავ მძიმე, ლაპე კვერცხის სუნის მექნე აირია (უფრო ზუსტად, ლაპე კვერცხს აქვს გოგირდნყალბადის სუნი). ძლიერ მომზამლავია, მისი დიდი ოდენობით შესუნთქვას სიკვდილის გამოწვევა შეუძლია. 200°C -ზე 1 ლ წყალში იხსნება 2,5 ლ გოგირდნყალბადი. მის წყალხსნარს გოგირდნყალბადმჟავა ეწოდება.

ქიმიური თვისებები. გაცხელებისას გოგირდნყალბადი იშლება:



H₂S – ძლიერი აღმდგენია. როგორც აღმდგენი, ის რეაგირებს უანგბადთან, გოგირდის დიოქსიდთან და ბრომიან წყალთან:



წყალხსნარში გოგირდნყალბადი ძალიან სუსტი ორფუძიანი მუავაა:



იონურ ტოლობებში გოგირდნყალბადმჟავა, ისევე როგორც წყალი, ინერება მოლეკულური სახით.

გოგირდნყალბადმჟავა წარმოქმნის მარილების ორ რიგს: სულფიდებსა (K_2S , CuS) და ჰიდროსულფიდებს ($NaHS$, $Ca(HS)_2$).

საქმიანობა-2

Pb^{2+} და Cu^{2+} იონების ურთიერთებების გოგირდნყალბადთან

რეაქციათა ტოლობების საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:




- რომელია ყველაზე სუსტი რეაქციაში მონაცილე მჟავებს – H_2S , HNO_3 და HCl – შორის?
- ხომ არ ენინააღმდეგება ეს ორი რეაქცია წესს, რომლის მიხედვითაც ძლიერი მჟავა აძვებს მარილებიდან უფრო სუსტს?
- გავლენას ახდენს თუ არა PbS და CuS წარმოქმნა ამ რეაქციების მიმდინარეობაზე?

ამგვარად, თუ წარმოქმნება რეაქციის მიმდინარეობის პირობებში უხსნადი სულფიდები, გოგირდნყალბადმჟავა მარილებიდან აძვებს ძლიერ მჟავებს.

გამოყენება. უხსნადი სულფიდების სხვადასხვაგვარი შეფერილობა (ZnS თეთრი ფერისა, PbS , CuS და HgS – შავი, CdS – ყვითელი) გამოიყენება მეტალთა კატიონების განსაზღვრისა და ურთიერთდაცილებისთვის. ბუნებრივი გოგირდნყალბადთანი წყლები გამოიყენება სამურნალო აბაზანების სახით.

განსაზღვრა. გოგირდნყალბადმჟავასა და მისი მარილების დამახასიათებელი განსაკუთრებულობაა, Cu^{2+} იონებთან, აგრეთვე Pb^{2+} იონებთან წარმოქმნას შავი ფერის ნალექი. მაგალითად, სპილენდ(II)-ის სულფიდი ასე წარმოქმნება:



საკვანძო სიტყვები

- გოგირდნყალბადმჟავა • სულფიდები და ჰიდროსულფიდები •
- გოგირდნყალბადმჟავას აღმდგენი თვისებები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის სწორი გოგირდნყალბადისთვის?
 - ა) ჰაერზე მსუბუქი არია; ბ) წყალში არ იხსნება; გ) მომწამლავი არაა;
 - დ) შთაინთქმება $NaOH$ -ისა და $Pb(NO_3)_2$ -ის ხსნარებით; ე) არ გვხვდება ბუნებაში.
2. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ რეაქციები, რომლებშიც H_2S არ ამჟღავნებს აღმდგენ თვისებებს:

1. $2H_2S + 3O_2 \rightarrow \dots + \dots$	2. $H_2S + SO_2 \rightarrow \dots + \dots$
3. $H_2S + 2KOH \rightarrow \dots + \dots$	4. $H_2S + FeCl_3 \rightarrow FeCl_2 + HCl + \dots$
3. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება გოგირდნყალბადის მიღება:

$$1. FeS + H_2SO_4(\text{განზ.}) \rightarrow \quad 2. H_2 + S \xrightarrow{t} \quad 3. Cu + H_2SO_4(\text{კონც.}) \xrightarrow{t} \quad 4. FeS + HCl \rightarrow$$
4. მიუთითეთ სწორი გამონათევამები, გოგირდნყალბადმჟავა ...
 1. ძლიერი მჟავაა;
 2. წარმოქმნის მჟავა და საშუალო მარილებს;
 3. აღმდგენია;
 4. წარმოქმნის შავ ნალექს Cu^{2+} იონებთან.
5. რამდენი გ გოგირდნყალბადის მიღება შეიძლება 160 გ გოგირდისგან, თუ რეაქციის გამოსავალია 60%? $A_r(S) = 32$, $M_r(H_2S) = 34$.
6. რომელი მარილი მიღება და რა რაოდენობით (მოლი), თუ 5,6 ლ (6.3.) გოგირდნყალბადს გავატარებთ KOH -ის 280 გ 20%-იან ხსნარში? $M_r(KOH) = 56$
7. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები: $S \rightarrow K_2S \rightarrow H_2S \rightarrow SO_2 \rightarrow S$

20 გოგირდის დიოქსიდი. გოგირდოვანი მჟავა.

გოგირდის ტრიოქსიდი



– რომელი აირის სუნს ვგრძნობთ ასანთის ანთებისას?

საქმიანობა

სულფიდების, სულფიტებისა და სულფატების განსაზღვრა

უზრუნველყოფა: სამი სინჯარა, რომელთაგან თითოეულში არის, შესაბამისად, დაახლოებით 0,5 გ ნატრიუმის სულფატი, სულფიტი და სულფიდი; კონცენტრირებული მარილმჟავა.


სამუშაოს მსვლელობა: თითოეულ სინჯარაში ჩაასხით 2-3 მლ მარილმჟავა და დააკვირდით მომწდარ ცვლილებებს.

განიხილეთ შედეგები:

- რომელ სინჯარებში ნარიმართა ქიმიური რეაქცია? რატომ თვლით ასე?
- მიუთითეთ თითოეული შემჩნეული რეაქციის ნიშანი.
- ახსენით, რატომ მიმდინარეობს რეაქცია ზოგიერთ სინჯარაში და არ მიმდინარეობს სხვა სინჯარებში.

გოგირდის დიოქსიდი

მიღება. ლაბორატორიაში გოგირდის დიოქსიდი მიიღება კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით ნატრიუმის სულფიტზე, გოგირდზე ან სპილენზზე, აგრეთვე გოგირდწყალბადის დაწვით:



მრეწველობაში გოგირდის დიოქსიდი მიიღება გოგირდის, პირიტის (FeS_2) ან ფერადი მეტალების გოგირდშემცველი ნაერთების (ZnS , PbS , Cu_2S და სხვ.) დაწვით:





ფიზიკური თვისებები. გოგირდის დიოქსიდი ანუ გოგირდოვანი აირი მკვეთრი სუნის მქონე, უფერო აირია. 20°C -ზე 1 ლ წყალში იხსნება 40 ლ SO_2 . მის წყალსნარს გოგირდოვანი მჟავა ეწოდება.

ქიმიური თვისებები. გოგირდის დიოქსიდი გოგირდოვანი მჟავას ანჰიდრიდია. ის წყალთან ნარმოქმნის არამდგრად გოგირდოვან მჟავას, მეტალთა ოქსიდებთან და ჰიდროქსიდებთან კი – მარილებს.



ამ რეაქციებში გოგირდის ჟანგვის რიცხვი არ იცვლება. სხვა რეაქციებში გოგირდის დიოქსიდი გვევლინება როგორც ალმდგრენი (ა), ან როგორც მჟანგვი (ბ):




გოგირდის დიოქსიდს აქვს მათეთრებელი და მადეზინფირებელი თვისებები.

გოგირდოვანი მჟავა

გოგირდის დიოქსიდის წყალში გახსნისას ნარმოქმნება გოგირდოვანი მჟავა. არამდგრადობის გამო ის მხოლოდ ხსნარში არსებობს.

გოგირდოვანი მჟავა სუსტი ორფუძიანი მჟავაა. წყალში დისოცირდება ორ სტადიად და წარმოქმნის საშუალო და მჟავა მარილებს – სულფიტებსა და ჰიდროსულფიტებს:



გოგირდის დიოქსიდისა და გოგირდოვანი მჟავას მარილების გამოყენება. გოგირდის დიოქსიდი გამოიყენება აბრეშუმის, ჩალის, სალებავების გასაუფერულებლად, აგრეთვე მიკროორგანიზმების გასანადგურებლად ბოსტნეულის საცავებში და ხილის, წვენების, კენკრის დაკანსერვებისას. მისი ძირითადი ნაწილი იხარჯება გოგირდმჟავას წარმოებაზე.


გოგირდოვანი მჟავას მარილებიდან Na_2SO_3 გამოიყენება ნატრიუმის თიოსულფატის ($\text{Na}_2\text{SO}_3\text{S}$ ანუ $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3$) მისალებად, ნატრიუმის ჰიდროსულფიტი NaHSO_3 – ჭარბი ქლორის მოსაცილებლად ქსოვილების გათეთრების შემდეგ, ხოლო კალციუმის ჰიდროსულფიტან $\text{Ca}(\text{HSO}_3)_2$ ერთად – მერქნიდან ცელულოზის წარმოებისას.

გოგირდის ტრიოქსიდი

მიღება. ლაბორატორიაში გოგირდის ტრიოქსიდი შეიძლება მივიღოთ კალიუმის დისულფატის, ალუმინის ან რკინა(III)-ის სულფატების თერმული დაშლით:




მრეწველობაში გოგირდის ტრიოქსიდს იღებენ გოგირდის დიოქსიდის ჟანგბადით დაჟანგვით, კატალიზატორის (V_2O_5 ან NO) თანაობისას:



ფიზიკური თვისებები. გოგირდის ტრიოქსიდი უფერო სითხეა, რომელიც დებს 450°C -ზე და იყინება 170°C -ზე. კარგად იხსნება წყალში და გოგირდმჟავაში. გოგირდის ტრიოქსიდი ინტენსურად შთანთქავს წყლის ორთქლს ჰაერიდან, ამიტომ მას ინახავენ მჭიდროდ თავდახურულ მინის ჭურჭელში.


ქიმიური თვისებები. გოგირდის ტრიოქსიდი გოგირდმჟავას ანჰიდრიდია. ის სითბოს გამოყოფით რეაგირებს წყალთან, წარმოქმნის რა გოგირდმჟავას; რეაქციაში შედის ფუძე აქსიდებთან და ფუძეებთან:



გოგირდის ტრიოქსიდში გოგირდის ჟანგვის რიცხვია $+6$; ამიტომ ის ავლენს ძლიერი მჟანგავის თვისებებს:



გოგირდის ტრიოქსიდს აქვს აგრეთვე მაღეპიდრატირებელი უნარი:



ძლიერი გახურებისას გოგირდის ტრიოქსიდი შექცევადად იშლება:



გოგირდის ტრიოქსიდი გამოიყენება გოგირდმჟავას წარმოებაში.

საკვანძო
სიტყვები

• გოგირდის დიოქსიდი • გოგირდოვანი მჟავა • სულფიტები და ჰიდროსულ-
ფიტები • გოგირდის ტრიოქსიდი • მაღეპიდრატირებელი უნარი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი რეაქციით არის მიზანშეუწონელი ლაბორატორიაში გოგირდის დიოქსიდის მიღება?

- ა) $4\text{FeS}_2 + 11\text{O}_2 \xrightarrow{\text{t}} 2\text{Fe}_2\text{O}_3 + 8\text{SO}_2 \uparrow$
- ბ) $2\text{NaHSO}_3 + \text{H}_2\text{SO}_4 \rightarrow \text{Na}_2\text{SO}_4 + 2\text{SO}_2 \uparrow + 2\text{H}_2\text{O}$
- გ) $\text{Na}_2\text{SO}_3 + \text{H}_2\text{SO}_4(\text{კონც.}) \rightarrow \text{Na}_2\text{SO}_4 + \text{SO}_2 \uparrow + \text{H}_2\text{O}$
- დ) $\text{S} + 2\text{H}_2\text{SO}_4(\text{კონც.}) \rightarrow 2\text{H}_2\text{O} + 3\text{SO}_2 \uparrow$
- ე) $\text{Cu} + 2\text{H}_2\text{SO}_4(\text{კონც.}) \xrightarrow{\text{t}} \text{CuSO}_4 + \text{SO}_2 \uparrow + 2\text{H}_2\text{O}$

2. რა არის მცდარი გოგირდის ტრიოქსიდისთვის?

- ა) ამჟღავნებს ძლიერ მჟავავ თვისებებს;
- ბ) ინტენსიურად შთანთქავს წყლის ორთქლს;
- გ) იხსნება კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში;
- დ) ჰიდრატაციისას გამოიყოფა სითბო;
- ე) იღებენ გოგირდის დიოქსიდის აღდგენით.

3. რომელ რეაქციებშია გოგირდის დიოქსიდი აღმდგენი?

1. $2\text{SO}_2 + \text{O}_2 \rightarrow 2\text{SO}_3$
2. $\text{SO}_2 + \text{Cl}_2 \rightarrow \text{SO}_2\text{Cl}_2$
3. $\text{SO}_2 + \text{H}_2\text{O} \rightarrow \text{H}_2\text{SO}_3$
4. $\text{SO}_2 + 2\text{HNO}_3 \rightarrow \text{H}_2\text{SO}_4 + 2\text{NO}_2$
5. $\text{SO}_2 + \text{I}_2 + 2\text{H}_2\text{O} \rightarrow 2\text{HI} + \text{H}_2\text{SO}_4$

4. რომელ რეაქციებში ავლენს მხოლოდ მჟავავ თვისებებს +4 უანგვის რიცხვის მქონე გოგირდი?

1. $2\text{H}_2\text{S} + \text{SO}_2 \rightarrow 2\text{H}_2\text{O} + 3\text{S}$
2. $2\text{H}_2 + \text{SO}_2 \rightarrow 2\text{H}_2\text{O} + \text{S}$
3. $8\text{KOH} + 4\text{SO}_2 \rightarrow 3\text{K}_2\text{SO}_4 + \text{K}_2\text{S} + 4\text{H}_2\text{O}$
4. $2\text{H}_2\text{S} + \text{H}_2\text{SO}_3 \rightarrow 3\text{H}_2\text{O} + 3\text{S}$

5. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ რეაქციები, რომლებიც SO_2 -ის მჟავურ თვისებებს ასახავს:

1. $\text{SO}_2 + \text{CaO} \rightarrow$
2. $\text{SO}_2 + \text{H}_2\text{O} \rightleftharpoons$
3. $\text{SO}_2 + \text{KOH} \rightarrow$
4. $\text{SO}_2 + \text{O}_2 \xrightarrow{\text{t, ჰტ.}}$

6. ჩამოთვალეთ გოგირდის დიოქსიდისა და ტრიოქსიდის მსგავსი და განმასხვავებელი თვისებები. თუ შესაძლებელია, პასუხი დაასაბუთოთ რეაქციათა ტოლობებით.

7. რამდენი ლ აირი (ნ.3.) გამოიყოფა 6,4 გ სპილენბის ურთიერთქმედებისას 25 გ ხსნართან, რომელიც 90% გოგირდმჟავს შეიცავს? $M_r(\text{H}_2\text{SO}_4) = 98$, $A_r(\text{Cu}) = 64$.

8. რამდენი m^3 გოგირდის დიოქსიდი წარმოიქმნება 60 m^3 (ნ.3.) გოგირდწყალბადის დაწვისას?

21 ბოგილდება



– რომელი ნივთიერება გამოიყენება ელექტროლიტად ავტომობილების აკუმულატორებში?



საქმიანობა

კონცენტრირებული გოგირდმუქავას წყალწარმონაზე უნარი

უზრუნველყოფა: მაღალი ჭიქა, კონცენტრირებული გოგირდმუქავა, შაქრის პუდრა, მინის ნკირი.

სამუშაოს მსვლელობა: ჭიქაში მოთავსებული შაქრის პუდრა შეასველეთ წყლით და ფრთხილად, მინის ნკირით მუდმივი მორევისას, დაამატეთ გოგირდმუქავა, თან დააკვირდით, რა მოხდება.


ნკირით შეეხეთ ჭიქის კედლებს.



განიხილეთ შედეგები:

- გოგირდმუქავას რომელ თვისებას ასახავს ეს ექსპერიმენტი? რა ეწოდება ამგვარი თვისებების მქონე ნივთიერებებს?
- რატომ აუყვა ჭიქის კედლებს გამოყოფილი ნახშირი? რას წარმოადგენს **X** ნივთიერება?
- ეგზო- თუ ენდოთერმული პროცესია შაქრის პუდრას დანახშირება?
- ავლენს თუ არა გოგირდმუქავა მსგავს თვისებებს სხვა ნივთიერებებთან მიმართებაში?

მიღება. მრეწველობაში გოგირდმუქავას იღებენ ძირითადად კონტაქტური მეთოდით (გვ. 86):



ფიზიკური თვისებები. გოგირდმუქავა უფერო, უსუნო, ზეთისებრი, არააქროლადი მძიმე ($\rho = 1,838$ გ/მლ) სითხეა. ძლიერ ჰიდროსკოპულია. გოგირდმუქავას წყალში გახსნისას შეინიშნება ძლიერი გაცხელება (ს).

შენიშვნა: გოგირდმუქავას განასაკუთრებისას მუქავა წვრილ ნაკადად და მუდმივი მორევის პირობებში უნდა ჩავასხათ წყალში. პირიქით მოქცევა – მუქაზე წყლის დამატება არ შეიძლება!

უანასკნელ შემთხვევაში შეიმჩნევა მუქავას ხსნარის გაშეცვება, რასაც დამწვრობის გამოწვევა შეუძლია.



ცოდნის ზარდახშა • უწყლო გოგირდმჟავა ხსნის 70%-მდე გოგირდის ტრიოქსიდს. SO_3 -ის ხსნარს კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში ოლეუმი ეწოდება. ლაბორატორიაში გამოყენებული გოგირდმჟავა, ჩვეულებრივ, 96%-იანია.


ქიმიური თვისებები. გოგირდმჟავა, მჟავების ზოგად თვისებებთან ერთად, ხასიათდება სპეციფიკური თვისებებით.

I. განზავებული გოგირდმჟავას ქიმიური თვისებები. როგორც ძლიერი ორფუძიანი მჟავა, გოგირდმჟავა წყალხსნარებში დისოცირდება ორ საფეხურად:



მეტალთა ელექტროქიმიურ რიგში წყალბადამდე მოთავსებული მეტალები განზავებული გოგირდმჟავადან აძვებს წყალბადს (ამ რეაქციებში მჟანგავის როლს ასრულებს წყალბადის H^+ იონები). წყალბადის მარჯვნივ განლაგებული მეტალები (Cu , Hg , Ag , Au) განზავებულ გოგირდმჟავასთან არ რეაგირებს. გოგირდმჟავა ურთიერთქმედებს ფუძეებთან, ფუძე და ამფოტერულ ოქსიდებთან, მარილებთან და ამიაკთან.

გოგირდმჟავა და მისი მარილები ბარიუმის ხსნად მარილებთან წარმოქმნის ბარიუმის სულფატის წყალში და მჟავებში უხსნად თეთრი ფერის ნალექს:





გოგირდმჟავასა და მისი მარილებისთვის დამახასიათებელი ეს რეაქცია გამოიყენება ხსნარში SO_4^{2-} იონების განსაზღვრისთვის.

II. კონცენტრირებული გოგირდმჟავას ქიმიური თვისებები.

კონცენტრირებული გოგირდმჟავას სპეციფიკური თვისებები:

ა) მჟანგავი თვისებები. კონცენტრირებული გოგირდმჟავა ძლიერი მჟანგავია. გაცხელებისას ის ურთიერთქმედებს ბევრ მეტალთან (გამონაკლისია Au , Pt და ზოგიერთი სხვა მეტალი). ამ რეაქციებში მჟანგავის როლს ასრულებს არა H^+ იონი, არამედ გოგირდი ჟანგვის რიცხვით $+6$ (SO_4^{2-} იონი). ამიტომ კონცენტრირებული გოგირდმჟავას მეტალებთან ურთიერთქმედებისას წყალბადი არ გამოიყოფა.

კონცენტრირებული გოგირდმჟავას აქტიურ მეტალებთან (Li , Na , K , Ca , Sr , Ba) ურთიერთქმედებისას გამოიყოფა H_2S , ხოლო მეტალებთან: Cu , Hg , Ag – გოგირდოვანი აირი SO_2 . მეორე შემთხვევაში რეაქცია გაცხელებით მიმდინარეობს:




დანარჩენ მეტალებთან რეაქციებში გოგირდმჟავა, კონცენტრაციაზე, მეტალის აქტიურობაზე და ტემპერატურაზე დამოკიდებულებით, ალდგება SO_2 -მდე, S -მდე ან H_2S -მდე.

ჩვეულებრივ პირობებში კონცენტრირებული გოგირდმჟავა არ მოქმედებს რკინზე, ქრომზე, ალუმინზე და ნიკელზე. ის მათ აპასიურებს. გაცხელებისას ეს მეტალები ზემოთ მოცემული წესების მიხედვით რეაგირებს გოგირდმჟავასთან:




ტყვია კონცენტრირებულ გოგირდმჟავასთან რეაგირებს SO_2 -ის გამოყოფით და მჟავე მარილის $\text{Pb}(\text{HSO}_4)_2$ წარმოქმნით (გაცხელებისას).

ბ) მადეპიდრატირებელი (ნიუალნამრთმევი) თვისება. კონცენტრირებული გოგირდმჟავა ენერგიულად რეაგირებს ნიუალთან, წარმოქმნის რა სხვადასხვა ჰიდრატს:




ცოდნის ზარდაზში • როგორც მადეპიდრატირებელი ნივთიერება, კონცენტრირებული გოგირდმჟავა ანაბშირებს ორგანულ ნივთიერებებს (შაქარს, მერქანს, ქალალს და სხვ.), გარდაქმნის რა მათ ნახშირბადის სხვა ნაერთებად:



გ) კონცენტრირებული გოგირდმჟავა გოგირდის ტრიოქსიდთან წარმოქმნის ოლეუმს – $\text{H}_2\text{SO}_4 \cdot \text{nSO}_3$. როცა $n = 1$, მიღება დიგოგირდმჟავა:




დ) გოგირდმჟავა არააქროლადი ძლიერი მჟავაა. ის გამოიყენება ბევრი სხვა მჟავას მისაღებად:



გამოიყენება. გოგირდმჟავა გამოიყენება მინერალური სასუქების წარმოებაში, მჟავათა უმრავლესობის (HCl , HF , H_3PO_4 , CH_3COOH და სხვ.), საღებავების, ფეთქებადი ნივთიერებების, წამლების, ხელოვნური აპრეშუმის, ელექტროლიტური (ელექტროლიზის გზით გასუფთავებული) სპილენძის მისაღებად. ის გამოიყენება აგრეთვე ელექტროლიტად ტყვიის აკუმულატორებში, ნავთობპროდუქტების გასასუფთავებლად და ნივთიერებათა გასაშრობად.

(ბ)



ბარიუმის იონით მოქმედებისას (ბ).


გოგირდმჟავას სამრეწველო მითვის კონტაქტური მეთოდი

გოგირდმჟავას მიღების კონტაქტური მეთოდი მოიცავს სამ სტადიას:

I. პირიტის ან სხვა ნედლეულის (S , ZnS , H_2S და სხვ.) დაწვა:



II. გოგირდის დიოქსიდის დაუანგვა გოგირდის ტრიოქსიდად:



III. გოგირდის ტრიოქსიდის ჰიდრატაცია. გოგირდის ტრიოქსიდი ჯერ შთაინთქმება კონცენტრირებული გოგირდმჟავათი, წარმოქმნება რა ოლეუმი;

შემდეგ, მისი შერევისას გოგირდმჟავას 70%-იან ხსნართან, ოლეუმში გახსნილი გოგირდის ტრიოქსიდი ჰიდრატირდება:



ქმია და გარემო. გოგირდმჟავას წარმოება ქმიის რიგ ეკოლოგიურ პრობლემას. ამ წარმოებაში გარემოს დამაბინძურებელი ძირითადი ნივთიერებებია: გოგირდის დიოქსიდი, გოგირდმჟავას ნისლი, მტკრისებრი მყარი ნანილაკები, რომლებიც მაღინის გადამუშავებისას წარმოიქმნება. ისინი იწვევს ადამიანისა და ცხოველების სასუნთქი სისტემის დაზიანებას, მცენარეთა სიკვდილს, მეტალის კონსტრუქციების კორიზის გაძლიერებას, მარმარილოსა და კირქვებისგან დაზიანდებული ქებლების და სხვა ნაკეთობების დაშლას, ნიადაგის მუავინობის გაზრდას და სხვ.

ჩვეულებრივ, გოგირდის დიოქსიდი შთანთქმება კირიანი წყლით. ატმოსფეროში გოგირდმჟავას ნისლის შესამცირებლად გამოიყენება მაღალპეტული აპარატები და სპეციალური მშთანთქმები ფილტრები, მაგალითად, ბოჭკოვანი ფილტრები.

გოგირდმჟავას წარმოებისას პირიტის გოგირდით შეცვლა მნიშვნელოვნად ამცირებს მყარი ნანილაკებით ატმოსფეროს დაბინძურებას.

საკვანძო სიტყვები

• ოლეუმი • გოგირდმჟავას მაღეპიდრატირებელი და მუანგავი თვისებები •

ცოდნის გამოყენება და შემონმება

- რა არის მცდარი კონცენტრირებული გოგირდმჟავასთვის?
 - ნიულზე მძიმეა;
 - არააქროლადი სითხეა;
 - ნიულში მისი გახსნისას ხსნარი ცხელდება;
 - ჰაერიდან შთანთქავს წყლის ორთქლს;
 - განზავებისას არ შეიძლება მისი წყალში ჩასხმა.
- რომელი მეტალები არ რეაგირებს განზავებულ გოგირდმჟავასთან?
 - Ag,Cu,Hg
 - Zn,Fe,Hg
 - Au,Ca,Cu
 - Cu,Mg,Ca
 - Hg,Cr,Ag
- რომელი ნივთიერებები შეიძლება წარმოქმნას გოგირდმჟავას ალდეგნისას? პასუხი დასაბუთეთ შესაბმისი რეაქციების ტოლლობებით.
 - S
 - H₂S
 - SO₂
 - H₂
- რა არის სწორი გოგირდმჟავასთვის?
 - კონცენტრირებულ მდგომარეობაში ძლიერი მუანგავია;
 - კონცენტრირებულ მდგომარეობაში აპასიურებს Fe-ს, Al-ს და Cr-ს;
 - განზავებულ მდგომარეობაშიც შეიძლება იყოს მუანგავი;
 - წარმოქმნის თეთრ ნალექს Ba²⁺ ითხებთან.
- დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ ტოლლობები, რომლებიც განზავებული გოგირდმჟავას თვისებებს ასახავს:
 - H₂SO₄ + CaO → ... + ...
 - H₂SO₄ + BaCl₂ → ... + ...
 - H₂SO₄ + 2KOH → ... + ...
 - H₂SO₄ + Zn → ... + ...
 - H₂SO₄ + CaCO₃ → ... + ... + ...
- რამდენი მოლი პირიტი უნდა დაიწვას, რომ მივიღოთ 980 გ გოგირდმჟავა? M_r(H₂SO₄)=98.
- განსაზღვრეთ გოგირდმჟავას მასური ნილი (%) 16 გ გოგირდის ტრიოქსიდის 84 გ წყალში გახსნისას მიღებულ ხსნარში. M_r(SO₃) = 80, M_r(H₂SO₄) = 98.

შემაჯამებელი დავალებები

1. განსაზღვრეთ გოგირდის ბუნებრივი ნაერთები:

- | | | | | |
|-----------------------|--------------------|----------|---------------------|---|
| 1. CuFeS ₂ | 2. CS ₂ | 3. HgS | 4. K ₂ S | 5. CaSO ₄ ·2H ₂ O |
| ა) მხოლოდ 1 | ბ) 1,2 | გ) 1,2,3 | დ) 1,3,5 | ე) 1,3,4,5 |

2. რომელი გამონათქვამია მცდარი?

- 1) გოგირდი ბუნებრივი გვხვდება მარილების სახით;
- 2) ჩვეულებრივ პირობებში კრისტალური გოგირდი პლასტიკურზე სტაბილურია;
- 3) SO₃-ის მოლეკულის წარმოქმნაში მონაწილეობას იღებს S-ატომის d-ქვედონე;
- 4) გოგირდი ერთდროულად შედის ჟანგვისა და ალფაგენის რეაქციებში;
- 5) სულფიდ-იონს გამოიცნობენ Ca²⁺ იონით.

3. სად გამოიყენება გოგირდი?

- | | | | | |
|--------------------------------------|------------------------------------|--------|----------|--------|
| 1. სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში; | 2. რეზინისა და ასანთის წარმოებაში; | | | |
| 3. პირიტის მისაღებად; | 4. გოგირდმჟავას წარმოებაში. | | | |
| ა) 1,3,4 | ბ) 1,2,3 | გ) 1,2 | დ) 1,2,4 | ე) 1,4 |

4. რომელი გამონათქვამები შეესაბამება გოგირდოვან მჟავას?

- | | |
|----------------------------------|--|
| 1. ამჟღავნებს მჟანგავ თვისებებს; | 2. არამდგრადი ნაერთია; |
| 3. ამჟღავნებს ალმდგენ თვისებებს; | 4. წარმოქმნის მჟავა და საშუალო მარილებს. |

5. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ რეაქციათა სქემები, რომლებიც ბოლომდე მიმდინარეობს:

- | | |
|---|---|
| 1. H ₂ S + CuCl ₂ → | 2. H ₂ S + Hg(NO ₃) ₂ → |
| 3. Na ₂ S + KNO ₃ → | 4. H ₂ S + Pb(NO ₃) ₂ → |


6. რომელი გამონათქვამები შეესაბამება გოგირდის დიოქსიდს?

- | | |
|--|--------------------------------|
| 1. ამჟღავნებს მჟანგავ თვისებებს; | 2. წარმოქმნის ორფერდინ მჟავას; |
| 3. ამჟღავნებს ალმდგენ თვისებებს; | 4. მომნამდებარებისას აირია; |
| 5. შუალედური ნივთიერებაა გოგირდმჟავას წარმოებისას. | |

7. რომელი ტოლობები ასახავს მხოლოდ კონცენტრირებული გოგირდმჟავას ქიმიურ თვისებებს?


- | |
|---|
| 1. H ₂ SO ₄ + BaCl ₂ → BaSO ₄ + 2HCl |
| 2. 2H ₂ SO ₄ + Zn → ZnSO ₄ + SO ₂ ↑ + 2H ₂ O |
| 3. H ₂ SO ₄ + ZnO → ZnSO ₄ + H ₂ O |
| 4. 2H ₂ SO ₄ + C ₁₂ H ₂₂ O ₁₁ (მაქარი) → 11C + 2SO ₂ ↑ + CO ₂ ↑ + 13H ₂ O |

8. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ სქემები. მიუთითოთ ტოლობები, სადაც გოგირდი არ ამჟღავნებს მჟანგავ თვისებებს:



9. რამდენი ლ (ნ.პ.) აირი გამოიყოფა ჭარბ ვერცხლთან გოგირდმჟავას ხსნარის გაცხელებისას, რომელიც 196 გ მჟავას შეიცავს? M_r(H₂SO₄) = 98.

10. რამდენი ლ (ნ.პ.) აირთა წარევი გამოიყოფა 101 გ კალიუმის ნიტრატის შემცველი შავი დენთის აფეთქებისას? M_r(KNO₃) = 101.



აზოტის ქვეჯგუფის ელემენტები

22 აზოტის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დასასიათება. აზოტი და მისი ოქსიდები




- ალმოჩენისას „უსიცოცხლო“ უწოდეს, მაგრამ სიცოცხლისთვის შეუცვლელი ელემენტი ალმოჩენდა. რომელ „წინააღმდეგობრივ“ ელემენტზეა ლაპარაკი?

V ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში შედის აზოტი N, ფოსფორი P, დარიშხანი As, სტიბიუმი Sb და ბისმუტი Bi.

საქმიანობა

აზოტის ქვეჯგუფის ელემენტთა ატომების ვალენტური შესაძლებლობანი

გათვალისწინეთ განსხვავებულობა აზოტის ქვეჯგუფის ელემენტთა ატომების გარე ენერგეტიკული დონის აღნაგობაში და უპასუხეთ კითხვებს:



- რაში მდგომარეობს განსხვავება N, P, As, Sb და Bi აზოტის გარე დონის აგებულებაში?
- N, P, As, Sb და Bi შორის, ყველა ატომშია შესაძლებელი განვითარებული S-სავალენტო ელექტრონების განცალკევება? რასთანაა ეს დაკავშირებული?
- აისახება თუ არა N და P ატომების აღნაგობას შორის განსხვავება ნაერთებში მათ მიერ გამოვლენილ ვალენტობაზე? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითებით.

აზოტის ქვეჯგუფის ელემენტთა ატომების გარე ენერგეტიკული დონეზე 5 ელექტრონია: ns^2np^3 . ჰალოგენებისა და ქალკოგენების მსგავსად, ისინი ფელემენტებია.

გარე (მე-2) ენერგეტიკულ დონეზე d -ქვედონის არარსებობის გამო, აზოტის ატომს ქიმიური ბერძის წარმოქმნისას შეუძლია მხოლოდ ოთხი (ერთი s და სამი p) ორბიტალის გამოყენება; ამიტომ აზოტის მაქსიმალური ვალენტობა ოთხის ტოლია. ხუთვალენტიანი აზოტი არ გვხედება.

ქვეჯგუფის დანარჩენი ელემენტების ატომებში შესაძლებელია ns^2 სავალენტო ელექტრონების განცალკევება, ამიტომ ისინი ავლენს ხუთის ტოლ ვალენტობას (იხ. სქემა).

გარე დონის ns^2np^3 კონფიგურაციის შესაბამისად, აზოტის ქვეჯგუფის ყველა ელემენტი ნაერთებში აელენს უანგვის მაქსიმალურ რიცხვს +5 და მინიმალურ რიცხვს -3. ისინი ავლენს აგრეთვე უანგვის შეულეურ რიცხვს +3 (იხ. ცხრ. 22.1).

აზოტის ქვეჯგუფის ელემენტები წყალბადთან წარმოქმნის RH_3 ტიპის ნაერთებს: NH_3 ამიაკი, PH_3 ფოსფინი, AsH_3 არსინი, SbH_3 სტიბინი. ჰალოგენებისა და ქალკოგენების წყალბადნაერთებისგან (HR , H_2R) განსხვავებით, ისინი წყალში გახსნისას არ

ნარმოქმნის H^+ ორებს. RH_3 ტიპის ნაერთები (განსაკუთრებით, NH_3), პირიქით, წყალში იერთებს H^+ ორებს და, ამგვარად, ფუძე თვისებებს ამჟღავნებს.

ცხრილი 22.1. აზოტისა და ფოსფორის ზოგიერთი მახასიათებელი


ელემენტი	სავალენტო ელექტრონები	ფარდობითი ელექტროუარყოფითობა	უანგვის რიცხვი (ნაერთებში)
აზოტი, N	$2s^2p^3$	3,0	-3, +1, +2, +3, +4, +5
ფოსფორი, P	$3s^23p^3$	2,1	-3, +3, +5

ქვეჯგუფში ზემოდან ქვემოთ (აზოტიდან ბისმუტისკენ) RH_3 ნაერთების სტაბილურობა მცირდება, ხოლო აღმდგენი თვისებები – ძლიერდება.

აზოტის ქვეჯგუფის ელემენტები უანგბადთან ნარმოქმნის R_2O_3 და R_2O_5 შედგენილობის ოქსიდებს. ფოსფორი ნარმოქმნის ამ ოქსიდების შესაბამის, H_3PO_3 და H_3PO_4 შედგენილობის, ხოლო აზოტი – HNO_2 და HNO_3 შედგენილობის მჟავებს.

ზემოხსენებულ მჟავებში, R ელემენტის უანგვის რიცხვის ზრდასთან ერთად, მჟავას ძალა იზრდება. მაგალითად, აზოტმჟავა HNO_3 უფრო ძლიერია, ვიდრე აზოტოვანი მჟავა HNO_2 .

ქვეჯგუფში, R ელემენტის რიგობრივი ნომრის ზრდასთან ერთად, უანგბად-შემცველი მჟავების მჟავური თვისებები სუსტდება. მაგალითად,



აზოტი და მისი ოქსიდები

აღმოჩენა. აზოტი აღმოჩინეს 1772 წელს (დ. რეზერფორდი, ინგლისი).



ნაერთებში აზოტის უანგვის რიცხვი იცვლება -3-დან +5-მდე.

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა (იხ. გვ.89).

ცოდნის ზარდასშა • ატომის გარე დონეზე d -ქვედონის არარსებობის გამო, აზოტი არ ავლენს ხუთის ტოლ ვალენტობას. ნაკლებად ელექტროუარყოფით ელემენტებთან ნაერთებში აზოტის უანგვის რიცხვია -3 (NH_3 , Ca_3N_2 და Sb_3), ხოლო უანგბადნაერთებში იცვლება +5-დან +1-მდე (N_2O_5 , NO_2 , N_2O და Sb_2O_3).

ბუნებაში გავრცელება. ბუნებაში აზოტი გვხვდება თავისუფალი და ბმული სახით. აზოტი (N_2) შეადგენს ჰაერის მოცულობის 78%-ს. მცირე რაოდენობით, ნიტრატების სახით (ჩილეს გვარვილა $NaNO_3$, ინდური გვარვილა KNO_3 , ნორვეგიული გვარვილა $Ca(NO_3)_2$), აზოტი გავრცელებულია დედამინის ქერქს ზედა ფენებში. ის შედის აგრეთვე ცილებისა და მრავალი ბუნებრივი ორგანული ნივთიერების შედგენილობაში.

მიღება. ლაბორატორიაში აზოტი შეიძლება მივიღოთ ამონიუმის ნიტრიტის ან დიქრომატის თერმული დაშლით, აგრეთვე სპილენდ(III)-ის ოქსიდის ამიაკით აღდენით:









მრეწველობაში აზოტს იღებენ გათხევადებული ჰაერის ფრაქციული დისტილაციით.

ფიზიკური თვისებები. აზოტი (N_2) უფერო, უსუნო, უგემო, ჰაერზე ოდნავ მსუბუქი აირია. წყალში, ჟანგბადთან შედარებით, მცირედ იხსნება: 20°C -ზე ($0,1$ მპა) 1 ლ წყალში იხსნება $15,4$ მლ აზოტი. $0,1$ მპა ნევაზე და -196°C ტემპერატურაზე ის თხევადდება.

ცოდნის ზარდახება • N_2 მოლეკულის აგებულება. აზოტის მოლეკულის სტრუქტურული ფორმულა $\text{N} \equiv \text{N}$, ხოლო ელექტრონული ფორმულა – $:\text{N} :: \text{N}:.$ სამმაგი ბმიდან ერთი σ -, ორი π - ბმაა. ამ ბმების ელექტრონული სიმკვრივის სიმეტრიული განაწილების გამო N_2 მოლეკულა არაპოლარულია.

ქიმიური თვისებები. აზოტი (N_2) ჩვეულებრივ პირობებში მცირედ აქტიურია; ამიტომ ის ბუნებაში გვხვდება თავისუფალი სახით. მისი დაბალი აქტიურობა აზოტის მოლეკულაში $\text{N}\equiv\text{N}$ ბმის დიდ სიმტკიცესთანაა დაკავშირებული. ამის გამო აზოტი (N_2) მხოლოდ მაღალ ტემპერატურაზე ურთიერთქმედებს მეტალებთან და არამეტალებთან. ლითოუმთან აზოტი ჩვეულებრივ პირობებში რეაგირებს:



ცოდნის ზარდახება • ბორის ნიტრიდი (BN) დნება 3000°C -ზე, სიმაგრით კი ახლოსაა ალმასთან. ნიტრიდები ჰიდროლიზდება ამიაკის გამოყოფით:

$$\text{Ca}_3\text{N}_2 + 6\text{H}_2\text{O} \rightarrow 3\text{Ca}(\text{OH})_2 + 2\text{NH}_3 \uparrow$$

აზოტის ოქსიდები

აზოტი წარმოქმნის რამდენიმე ოქსიდს. ამ ოქსიდებში აზოტის ჟანგვის რიცხვი იცვლება $+1$ -დან $+5$ -მდე:

N_2O	NO	N_2O_3	NO_2	N_2O_5
დაზოგის მონოქსიდი	აზოტის მონოქსიდი	დაზოგის ტრიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	დაზოგის პენტაოქსიდი
(+1)	(+2)	(+3)	(+4)	(+5)

ოქსიდები N_2O და NO მარილარნარმოქმნელი, დანარჩენები კი – მუავა ოქსიდებია.


ამ ოქსიდთაგან მხოლოდ აზოტის მონოოქსიდი NO მიღება აზოტის ჟანგბადთან უძუალო ურთიერთქმედებით. ის წარმოქმნება ელექტრული რკალის ტემპერატურაზე (3000°C), მაგალითად, ელექტრისას.

დიაზოტის ტრიოქსიდის (აზოტ(III)-ის ოქსიდს) N_2O_3 შეესაბამება აზოტოვანი მუავა HNO_2 , დაზოგის პენტაოქსიდის (აზოტ(V)-ის ოქსიდს) N_2O_5 – აზოტმუავა HNO_3 , აზოტის დიოქსიდი (აზოტ(IV)-ის ოქსიდი) NO_2 წყალთან წარმოქმნის ერთდროულად ორ – აზოტისა HNO_3 და აზოტოვან HNO_2 – მუავას.



ამიტომ აზოტის დიოქსიდს NO_2 შერეულ ანჰიდრიდს უწოდებენ.

ჭარბი ჟანგბადის თანაობისას აზოტის დიოქსიდის წყალში გახსნისას მიიღება მხოლოდ აზოტმჟავა:



აზოტის დიოქსიდი NO_2 მურა ფერის მომნამღვავი აირია დამახასიათებელი სუნით. ჰაერზე მძიმეა.

გამოყენება. აზოტი ძირითადად ამიაკის სინთეზს ხმარდება, რომელიც შემდეგ აზოტის დანარჩენი ნაერთების: აზოტმჟავას, მინერალური სასუქების, ფეთქებადი ნივთიერებების და სხვ. მისალებად გამოიყენება.

აზოტი გამოიყენება ინერტული ატმოსფეროს შესაქმნელად ელექტრულ ლამპებში, ჰაერისა და ტენისადმი მგრძნობიარე ნივთიერებების შენახვისას და ტრანსპორტირებისას. მისი საშუალებით ხდება ფოლადის ნაკეთობათა ზედაპირის აზოტირება. ამ პროცესის დროს ზედაპირზე წარმოიქმნება რკინის ნიტრიდები, რომლებიც ფოლადს მაღალ სიმტკიცეს ანიჭებს. თხევადი აზოტი გამოიყენება გამაცივებელ სისტემებში.

საკვანძო სიტყვები

- აზოტის ჟანგბადშემცველი მჟავები • მეტალთა ნიტრიდები • აზოტის დიოქსიდი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითოთ აზოტის ქვეჯგუფის ელემენტების წყალბადნაერთებისა და უმაღლესი ოქსიდების ზოგადი ფორმულები:

- A) RH_5 ; R_2O_5 B) RH_5 ; R_2O_3 C) RH_3 ; R_2O_3 D) RH_3 ; RO_3 E) RH_3 ; R_2O_5

2. მიუთითოთ ყველაზე ძლიერი ფუძე რიგში 1-3 და ყველაზე ძლიერი მჟავა რიგში 4-6:

- | | | | | | | |
|------------------|------------------|-------------------|-------------------|----------------------------|-----------------------------|---------|
| 1. NH_3 | 2. PH_3 | 3. AsH_3 | 4. HNO_3 | 5. H_3PO_4 | 6. H_3AsO_4 | |
| ა) 1, 4 | ბ) 2, 5 | გ) 3, 6 | დ) 1, 6 | | | ე) 3, 4 |

3. რომელ ტოლობებში გამოსახავს X მარტივ ნივთიერება აზოტს?

1. $2\text{NH}_3 + 3\text{CuO} \xrightarrow{t} \text{X} + 3\text{Cu} + 3\text{H}_2\text{O}$
2. $\text{NH}_4\text{NO}_2 \xrightarrow{t} \text{X} + 2\text{H}_2\text{O}$
3. $2\text{NH}_4\text{Cl} + \text{Ca}(\text{OH})_2 \xrightarrow{t} \text{CaCl}_2 + 2\text{H}_2\text{O} + 2\text{X}$
4. $(\text{NH}_4)_2\text{Cr}_2\text{O}_7 \xrightarrow{t} \text{Cr}_2\text{O}_3 + 4\text{H}_2\text{O} + \text{X}$

4. რატომ არ ამჟღავნებს აზოტი ნაერთებში ხუთის ტოლ ვალენტობას?

5. როგორი შედგენილობის ოქსიდებს წარმოქმნის აზოტი? რომელი მათგანი რეაგირებს ტუტის ხსნართან? შეადგინეთ ამ რეაქციების ტოლობები.

6. როგორ ახსნით აზოტმჟავას უფრო ძლიერ მჟავურ თვისებებს აზოტოვანმჟავასთან შედარებით?

7. შეადგინეთ ციანწყალბადისა (HCN) და დიციანის სტრუქტურული ფორმულები.

8. რამდენი ლ აზოტი მიიღება 1000 ლ ჰაერიდან (6.პ.)?

9. რამდენი ლ აზოტი მიიღება 4,48 ლ (6.პ.) ამიაკის გატარებით გახურებულ სპილენდ(II)-ის ოქსიდზე? აზოტის გამოსავალი თეორიულის 80%-ია.

23 ქართველი




– რომელ ნივთიერებაზე ლაპარაკი, თუ მისი წყალხსნარიგამოიყენება ადამიანის მიერ გონების დაკარგვისას, აგრეთვე მინერალურ სასუქად?


საქმიანობა

ამიაკის მოლეკულისა და ამონიუმის იონის აღნაგობა

ქვემოთ მოცემული სქემების (ა, ბ, გ) საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



აღნაგობა. ამიაკის მოლეკულის სივრცული აღნაგობა შეიძლება ნარმოვიდგინოთ პირამიდის სახით, რომლის ფუძეში ძევს წყალბადის სამი ატომი, ხოლო წვეროზე – sp^3 ჰიბრიდულ მდგომარეობაში მყოფი აზოტის ატომი (გ).



ცოდნის ზარდაბში • ამიაკის მოლეკულა შეიძლება წარმოვიდგინოთ აგრეთვე ტეტრაედრის სახით, რომლის ცენტრში მოთავსებულია აზოტის ატომი, სამ წვეროზე – წყალბადის ატომები, ხოლო მე-4 წვეროზე – აზოტის გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი (ა).

მიღება. ლაბორატორიაში ამიაკი მიღება ამონიუმის მარილების ტუტესთან გაცემებით, მრეწველობაში კი – აზოტის წყალბადთან ურთიერთქმედებით:



ამიაკის სინთეზის უკანასკნელი რეაქცია არის შექცევადი, ეგზოთერმული და მიმდინარეობს – მოცულობის შემცირებით. ამიზომ, ლუშატელიეს პრინციპის შესაბამისად, ამიაკის სინთეზი ხორციელდება არც ისე მაღალ ტემპერატურაზე ($400-500^\circ\text{C}$), 30 მპა წნევაზე და კატალიზატორის – Al_2O_3 -ისა და K_2O -ს დანამატებით გააქტიურებული რკინის ბურბუშელას – თანამობისას.



ცოდნის ზარდაბშა • ვინაიდან ამიაკის სინთეზის რეაქცია შექცევადღია, მისი განხორციელებისას იყენებენ ცირკულაციურ პროცესს, ე.ი. რეაქციაში შეუსვლელ აზოტ-ნიკლაბადის ნარევს მაცივარში დააშორებენ გათხევადებული ამიაკისგან და უკან აბრუნებენ საკონტაქტო აპარატში. ამ გზით მიიღწევა აზოტ-ნიკლაბადის ნარევის 95%-ის ამიაკად გარდაქმნა.

ფიზიკური თვისებები. ამიაკი უფერო დამახასიათებელი სუნის მქონე აირია; ჰაერზე დაახლოებით 2°C -ზე მსუბუქია. წნევის ქვეშ ან გაცივებისას ამიაკი ადვილად გადადის უფერო სითხეში ($t_{\text{დფ}} = -33,4^{\circ}\text{C}$). თხევად ამიაკს აქვს აორთქლების დიდი სითბო და ამიტომ გამაცივებელ მოწყობილობებში გამოიყენება. კარგად იხსნება ნიკლში (200°C -ზე და $0,1$ მპა-ზე 1 ლ ნიკლში იხსნება 700 ლ ამიაკი). ამიაკის ნიკლსნარს ამიაკიანი ნიკლი ანუ ნიშადურის სპირტი ეწოდება.

ქიმიური თვისებები. ამიაკის ნიკლსნარს აქვს სუსტი ტუტე ხასიათი, ვინაიდან ამიაკის მოლექულების უმნიშვნელო ნაწილი, რეაგირებს რა ნიკლთან, ხსნარში ნარმოქმნის ამონიუმისა NH_4^+ და ჰიდროქსიდ-იონებს OH^- (3):



ამიაკი მჟავებთან ნარმოქმნის მარილებს (3):




თუ კონცენტრირებული მარილმჟავათი დასველებულ მინის ნიკრს მივიტანთ ამიაკით სავსე სინვარის პირთან, ნარმოქმნება თეთრი კვამლი, რომელიც ამონიუმის ქლორიდის ნაწილაკებისგან შედგება (3):





ზემოთ მოცემულ რეაქციებში აზოტის უანგვის რიცხვი არ იცვლება, ვალენტობა კი იზრდება სამიდან ოთხამდე.

ქვემოთ მოცემულ რეაქციებში აზოტის უანგვის რიცხვი იცვლება.


გაცხელებისას ამიაკი იშლება:



სუფთა უანგბადში ამიაკი ყვითელი ალით იწვის. კატალიზატორის თანაობისას გახურებისას ამიაკი უანგბადით აზოტის მონოქსიდამდე იუანგება:




(3) ამიაკის გახსნა 1-2 წვეთი ფენოლფტალეინის სსნარის შემცველ ნიკლში




(3) „უცეცხლო კვამლი“

მეორე რეაქცია აზოტმჟავას წარმოებაში გამოიყენება.

ნახშირბადის დიოქსიდთან ამიაკი წარმოქმნის კარბამიდს $\text{CO}(\text{NH}_2)_2$:



ცოდნის ზარდაშია • ამიაკი ძლიერი ალმდგენია. გაცხელებისას ის ალადგენს მეტალებს მათი ოქსიდებიდან:



გამოყენება. ამიაკის დიდი რაოდენობა გამოიყენება აზოტმჟავას, მინერალური სასუქებს, ფეთქებადი ნივთიერებების, აგრეთვე სოდის (ამიაკური მეთოდით) წარმოებაში. ამიაკის ადვილად გათხევადებს უნარი და ორთქლების დიდი სითბო განაპირობებს მის გამოყენებას სამაცივრო დანადგარებში. ნიმუშურის სპირტის სახელწოდებით ამიაკის წყალხსნარი გამოიყენება მედიცინაში.

განსაზღვრა. აირად ამიაკს გამოიცნობენ სველი წითელი ლაქმუსის ქალალდის გალურჯებით, დამასასიათებელი სუნით ან თეთრი კვამლის წარმოქმნით მასში მარილმჟავათი დასველებული მინის წკირის შეტანისას.

საკანბ
სიტყვები

• ამიაკის მოლეკულის აღნაგობა • ამიაკინი წყალი • ამიაკის ფუძე და ალმდგენი თვისებები • კარბამიდი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი გამონატევამი არ ეხება ამიაკს?


- ჰაერზე მსუბუქი მკვეთრი სუნის მქონე აირია;
- მოლეკულას აქვს ბრტყელი აღნაგობა;
- წყალში კარგად ისხნება;
- წყალთან წარმოქმნის ამიაკიან წყალს;
- მოლეკულას აქვს გაუზიარებელი ელექტრონული წყვილი.

2. როგორ საზღვრავენ აირად ამიაკს?

- დამასასიათებელი სუნით;
 - სველი წითელი ლაქმუსის ქალალდის გალურჯებით;
 - სველი ლაქმუსის ქალალდის განითლებით;
 - ქლორწყალადთან თეთრი კვამლის წარმოქმნით.
- a) მხოლოდ 1 b) მხოლოდ 4 c) მხოლოდ 2 d) 1,2,3 e) 1,2,4

3. დაასრულეთ სქემა და განსაზღვრეთ X ნივთიერება: $\text{NH}_3 + 3\text{O}_2 \rightarrow \text{X} + 6\text{H}_2\text{O}$

4. დაასრულეთ სქემები და მოუთითოთ ამიაკის მიღების ლაბორატორიული მეთოდი:



5. შეადგინეთ ამიაკის ფუძე თვისებების ამასხველი რეაქციების ტოლობები.

6. რამდენი ლ წყალბადი და რამდენი ლ აზოტია საჭირო 300 ლ (ნ.პ.) ამიაკის სინთეზისთვის?

7. რამდენი ლ ამიაკის (ნ.პ.) მიღება შეიძლება ჭარბი ჩამქრალი კირის მოქმედებით 117 გ ამონიუმის ქლორიდზე, რომელიც 10 გ მინარევებს შეიცავს? რამდენი მოლი ჩამქრალი კირი შევა რეაქციაში? $M_r(\text{NH}_4\text{Cl}) = 53,5$.

8. რამდენი მგ (ნ.პ.) ამიაკია საჭირო 0,6 ტ კარბამიდის სინთეზისთვის? $M_r[\text{CO}(\text{NH}_2)_2] = 60$.

24 ქართულის მარილები

- ?**
- რომელ ნივთიერებას იყენებენ შედუღებისას მეტალის ზედაპირის ოქსიდური აფსისიგან გასაწმენდა?
 - რა არის საერთო ამონიუმის ყველა მარილის აღნაგობაში?

საქმიანობა


ამონიუმის ქლორიდის ტუტეებთან ურთიერთქმედება

უზრუნველყოფა: ჭიქა, ამონიუმის ქლორიდისა და ტუტის ხსნარები, ლაკმუსისა და ფენოლფტალინის ქალალდი (ან ხსნარები), სპირტქურა.





სამუშაოს მსვლელობა: ჭიქაში მოთავსებულ 15-20 მლ NH_4Cl -ის ხსნარს დაუტაცეთ ტუტის ამდენივე ხსნარი და გაათხეთ. ჭიქის პირთან მორიგეობით დაიჭირეთ ლაკმუსისა და ფენოლფტალეინის ქალალდი. დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

განხილეთ შედეგები:

- რა ფერს იღებს ჭიქის პირთან ლაკმუსისა და ფენოლფტალეინის ქალალდი? რატომ ხდება ეს?
- შეიძლება თუ არა, ამავე გზით გამოვიცნოთ ამონიუმის სხვა მარილები?
- კიდევ რა თვისებები აქვს ამონიუმის მარილებს?





მიღება. ამონიუმის მარილები შეიძლება მივიღოთ ამიაკის ან ამონიუმის ჰიდროქსიდის მჟავებთან ურთიერთქმედებით. მრავალფუძიანი მჟავას სიჭარბისას ორივე შემთხვევაში მიღება მჟავა მარილები:



ფიზიკური თვისებები. ამონიუმის მარილები წყალში კარგად ხსნადი მყარი კრისტალური ნივთიერებებია. ბევრი მათგანი თეთრი ფერისაა.


ქიმიური თვისებები. ამონიუმის მარილებს აქვს როგორც მარილების ზოგადი, ისე სპეციფიკური თვისებები.

სხვა მარილების მსგავსად, ამონიუმის მარილები ურთიერთქმედებს მჟავებთან, მარილებთან და წყალხსნარებში დისოცირდება იონებად:



ამონიუმის მარილების სპეციფიკურ თვისებებს მიეკუთვნება მათი ურთიერთქმედება ტუტეებთან (ი. საქმიანობა), გახურებით დაშლა და ჰიდროლიზი.

1. ამონიუმის მარილების ტუტეებთან ურთიერთქმედება გამოიყენება მათი განსაზღვრისთვის, ვინაიდან წარმოქმნილი ამონიუმის ჰიდროქსიდი იშლება ამიაკის გამოყოფით, რომელსაც მკვეთრი დამახასიათებელი სუნი აქვს. „საქმიანობის“ განყოფილებაში განხორციელებული რეაქცია შემდეგი ტოლობით აღინიერება:



2. ამონიუმის მარილების გახურებით დაშლის თავისებურებანი განისაზღვრება მარილში არსებული ანიონის ბუნებით. HCl -ის, HBr -ის, H_2CO_3 -ის, H_2SO_3 -ისა და სხვ. მუავების მარილები იშლება ამიაკად და აირად (რომლის წყალხსნარი მუავას ნარმოადგენს), რომლებიც გაცივებისას ისევ მარილს წარმოქმნის:




თუ მარილი შეიცავს ძლიერი მუანგავი თვისებების მქონე მუავას (HNO_3 , HNO_2 , $\text{H}_2\text{Cr}_2\text{O}_7$ და სხვ.) ანიონს, მაშინ წარმოქმნილი ამიაკი იუანგება:



3. ამონიუმის მარილები, როგორც სუსტი ფუძისგან წარმოქმნილი მარილები, განიცდის ჰიდროლიზზ:



გამოყენება. ამონიუმის მარილებიდან ნიტრატი, სულფატი და ჰიდროფოს-ფატი გამოიყენება მინერალურ სასუქებად, ამონიუმის ნიტრატი – აგრეთვე ფეთქებადი ნივთიერებების, მაგალითად, ამონალის წარმოებაში, ამონიუმის ქლორიდი – შედუღებისას:



განსაზღვრა. ამონიუმის მარილების გამოცნობა ემყარება მათ ურთიერთქმედებას ტუტესთან.

საკვანძო
სიტყვები

• ამონიუმის მარილების სპეციფიური თვისებები • დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით წარმოქმნილი კოვალენტური პმა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რა არის მცდარი ამონიუმის მარილებისთვის?
 - შეიცავს დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით წარმოქმნილ ბმას;
 - განიცდის ჰიდროლიზს;
 - ტუტებთან გახურებისას გამოყოფს ამიაკას;
 - თერმული დაშლის პროდუქტები დამოკიდებულია ანიონის ბუნებაზე;
 - ზოგიერთ მათგანს აქვს მოლეკულური აღნაგობა.
- როგორ განვასხვაოთ K_2SO_4 (NH_4)₂ SO_4 -სგან?
 - BaCl_2 -ის ხსნარით; ბ) წყალში ხსნადობის მიხედვით; გ) HNO_3 -ის ხსნარით;
 - ტუტის ხსნარით; ე) ამიაკიანი წყლით.
- დაასრულეთ სქემები და მოუთითეთ რეაქციათა ტოლობები, რომლებშიც წარმოიქმნება ამიაკი:
 - $(\text{NH}_4)_2\text{SO}_3 \xrightarrow{\text{t}}$
 - $\text{NH}_4\text{Cl} \xrightarrow{\text{t}}$
 - $\text{CuO} + \text{NH}_4\text{Cl} \rightarrow$
 - $\text{NH}_4\text{Cl} + \text{KOH} \xrightarrow{\text{t}}$
- მიუთითეთ ქიმიური ბმის ტიპები ამონიუმის ქლორიდში და განიხილეთ მათი წარმოქმნის მექანიზმი.
- როგორ გამოვიცნოთ მარილების – NH_4Cl , (NH_4)₂ SO_4 და NH_4Br – ხსნარები? შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.
- რამდენი ლ (ნ.კ.) ამიაკი გამოიყოფა 110 გ ამონიუმის ქლორიდთან 1 მოლი კალციუმის ჰიდროქსიდის მოქმედებით? $M_r(\text{NH}_4\text{Cl}) = 53,5$.

25 პურიფიკაცია



– ნარმოიქმნება ელტექისას, ზრდის ნიადაგის ნაყოფიერებას. რომელ ნივთიერებაზე ლაპარაკი?

საქმიანობა

კონცენტრირებული აზოტმჟავას თვისებები

უზრუნველყოფა: 3 სიწვარა, კონცენტრირებული HNO_3 , სპილენძის მავთულის ნაჭრები, ალუმინისა და რკინის ბურბუშელა, სპირტქურა, შტატივი, ჭიქა, კვარი, ასანთი.

სამუშაოს მსვლელობა:

ა) სამიდან ერთ-ერთ სიწვარში მოათავსეთ რკინის ბურბუშელა, მეორეში – ალუმინის ბურბუშელა, შესამეში – სპილენძის მავთულის ნაჭრები და სამივეს დაუქმეტეთ მცირეოდენა აზოტმჟავა. დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს. ცოტა ხნის შემდეგ სიწვარა სპილენძის მავთულის ნაჭრებით ოდნავ გააცხლეთ და დააკვირდით, რა მოხდება.

ბ) გაცხელებულ სიწვარში შეიტანეთ მბჟუტავი კვარი და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.


განიხილეთ შედეგები:

– რატომ არ რეაგირებს კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან საქმაოდ აქტიური მეტალები – რკინა და ალუმინი – ჩვეულებრივ პირობებში? რა ემართება ამ მეტალებს?

– რა პირობებში რეაგირებს აქტიურობის რიგში წყალბადის მარჯვნივ მდებარე სპილენძი კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან?


– რა ემართება მბჟუტავ კვარს თბილ აზოტმჟავაში? როგორ ახსნით ამ მოვლენას?

მიღება. ლაბორატორიაში აზოტმჟავა მიღება კრისტალურ ნატრიუმის ან კალიუმის ნიტრატზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით, სუსტი გაცხელებისას:




მრეწველობაში აზოტმჟავას იღებენ ამიაკიდან, სამ სტადიად:

1. ამიაკის კატალიზური დაუანგვა ჰაერის უანგბადით აზოტის მონოქსიდადე NO :



2. აზოტის მონოქსიდის დაუანგვა ჰაერის უანგბადით აზოტის დიოქსიდადე ჩვეულებრივ პირობებში:




3. აზოტის დიოქსიდის წყალში გახსნა ჭარბი ჟანგბადის თანაობისას:



ცოდნის ზარდასში • აზოტმჟავა, რომელსაც მრეწველობაში იღებენ, ჩვეულებრივ, 50-65 და 98%-იანია. განზავებული აზოტმჟავას შენახვისა და ტრანსპორტირებისთვის იყენებენ ფოლადის, ხოლო კონცენტრირებული აზოტმჟავას შეშთხვევაში – ალუმინის ჭურჭელს.

ცოდნის ზარდახშა • აზოტმჟავას მოლეკულაში აზოტის ატომი ქიმიური ბმების წარმოსაქმნელად იყენდს ხუთივე $(2s^2 2p^3)$ სავალენტო ელექტრონს და ამჟღვნებს ჟანგვის რიცხვს +5. აზოტის ვალენტობა კი ოთხის, ანუ ჟნებადის სამ ატომთან დაკავშირებული მისი ორბიტალების (s , p_x , p_y , p_z) რიცხვის (4) ტოლია. ამ აღნაგობას სწორად ასახავს სქემა:








ფიზიკური თვისებები. სუფთა აზოტმჟავა მკვეთრი გამაღიზიანებელი სუნის მქონე უფერო სითხეა. ჰაერზე ის ბოლავს. დუღს 860°C -ზე. კონცენტრირებული აზოტმჟავა, ჩვეულებრივ, ყვითლადაა შეფერილი. მას ფერს აძლევს აზოტის დიოქსიდი, რომელიც წარმოქმნება აზოტმჟავას წაწილობრივი დაშლის შედეგად და იხსნება მჟავაში.

ქიმიური თვისებები. აზოტმჟავას აქვს როგორც მჟავების ზოგადი თვისებები, ისე ზოგიერთი სპეციფიკური თვისება.

I. ზოგადი ქიმიური თვისებები


აზოტმჟავა ძლიერი მჟავაა და სინარში მთლიანად დისოცირდება. განზავებულ მჟავას აქვს სხვა მჟავების დამახასიათებელი ყველა თვისება (გარდა მეტალებიდან წყალბადის გამოძევების უნარისა; იხ. ბ განც.):



II. აზოტმჟავას სპეციფიკური თვისებები

ა) აზოტმჟავა არამდგრადი ნივთიერებაა


გაცხელებით ან სინათლის მოქმედებით აზოტმჟავა წაწილობრივ იშლება. წარმოქმნილი აზოტის დიოქსიდი NO_2 , იხსნება რა მჟავაში, მას აძლევს ყვითელ შეფერვას.



ცოდნის ზარდახშა • აზოტმჟავაში აზოტის ჟანგვის მაღალი რიცხვი (+5) და მისი დაშლისას ჟანგბადის წარმოქმნა განაპირობებს კონცენტრირებული აზოტმჟავას ძლიერ მჟანგავ უნარს.

ბ) აზოტმჟავას მჟანგავი თვისებები

1. აზოტმჟავა სხვადასხვაგვარად რეაგირებს მეტალებთან. როგორც წესი, ამ რეაქციებში წყალბადი არ გამოიყოფა, რადგან აზოტმჟავაში არსებული აზოტი ჟანგვის რიცხვით +5 (NO_3^- იონი) უფრო ძლიერი მჟანგავია, ვიდრე H^+ , ამიტომ მეტალები მჟავას აზოტით იჟანგება. შედეგად, მჟავას კონცენტრაციისა და მეტალის აქტიურობაზე დამოკიდებულებით, აზოტი აღდგება ქვემოთ მოცემული ერთი რომელიმე ნივთიერების, ან რამდენიმე მათგანის წარმოქმნით:



მჟავას აღდგენისას წარმოქმნილი პროდუქტები განისაზღვრება წესით:

რაც განზავებულია მჟავა, აქტიურია მეტალი და მაღალია რეაქციის მიმდინარეობის ტემპერატურა, მით უფრო ღრმად აღდგება აზოტი, ანუ აღდგენის პროდუქტებში აზოტს აქვს უფრო დაბალი უანგვის რიცხვი.

ცხრილში მოცემულია აღდგენის პროდუქტები განზავებული და კონცენტრირებული აზოტმჟავას სხვადასხვა აქტიურობის მეტალებთან ურთიერთქმედებისას:



ცხრილი 25.1. აზოტმჟავას ურთიერთქმედება მეტალებთან

	Na, K, Ca	Mg, Al*, Zn, Cr*, Fe*, Ni*	Pb, Cu, Hg, Ag	Pt, Au**	
კონც. HNO_3	N_2O	NO	NO_2		
განზ. HNO_3	NH_3	სხნარის განზავებისას	N_2O N_2 \downarrow NH_3 (NH_4NO_3)	NO	რეაქცია არ მიმდინა- რეობს
ძლიერ განზ. HNO_3	პროცესი რთულდება				

* დაბალ ტემპერატურაზე მეტალები: Al, Cr, Fe და Ni კონცენტრირებულ აზოტმჟავაში პასიურ-დება. გაცემულებისას გამაპასურებელი ოქსიდური აფსე იხსნება და ეს მეტალები რეაგირებს მჟავასთან.

** მეტალები (Pt, Au), რომლებიც არ რეაგირებს კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან, იხსნება „სამეცნ წყალში“ – ერთი მოცულობა კონცენტრირებული აზოტმჟავასა და სამი მოცულობა კონცენტრირებული მარილმჟავას ნარევში.


25.1 ცხრილის შესაბამისად, ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი რეაქციის ტოლობა:



2. აზოტმჟავა უანგავს აგრეთვე ზოგიერთ არამეტალს (S , P , C , B) და მრავალ თრგანულ ნაერთს. მაგალითად, მბჟუტავი კვარი თბილ აზოტმჟავაში ინთენს (3); სკიპიდარი და ხის ბურბულება მასში იწვის.

გ) კონცენტრირებული აზოტმჟავა ცილებთან ნარმოქმნის მკვეთრი ყვითელი ფერის ნივთიერებას. ამ მიზეზით კანზე კონცენტრირებული აზოტმჟავას მოხვედრისას ნარმოქმნება ყვითელი ლაქები.

გამოყენება. აზოტმჟავა ქიმიური მრეწველობის ერთ-ერთი დიდტონაჟიანი პროდუქტია. ნარმოქმნები მჟავას დაახლოებით 75% იხარჯება სასუქების ნარმოქმბაზე, 15% – ფეთქებადი ნივთიერებების (ჟუვამლო დენთი, ნიტრო-გლიცერინი, დინამიტი და სხვ.) ნარმოქმბაზე, დანარჩენი




(3) მბჟუტავი კვარის ანთება ცხელ აზოტმჟავაში

ნაწილი კი – სალებავების, წამლების, პლასტმასების, ფოტომასალების, მადეზინ-ფეცირებელი ნივთიერებებისა და სხვ. მისაღებად.



(3) აზოტმჟავადან წარმოებული პროდუქტები

(NO_3^-) იონის განსაზღვრა. ნიტრატ-იონები NO_3^- არსებობს აზოტმჟავასა და მისი მარილების ხსნარებში. აზოტმჟავას განსაზღვრა ეფუძნება მურა ფერის აირის (NO_2) გამოყოფას სპილენძთან (3) ურთიერთქმედებისას:



აზოტმჟავას მარილების – ნიტრატების – განსაზღვრისთვის მათ უმატებენ სპილენძის ბურბულებას, ასეამენ კონცენტრირებულ გოგირდმჟავას და აცხელებენ. როგორც აზოტმჟავას შემთხვევაში, აქაც შეიმჩნევა მურა ფერის აირის NO_2 გამოყოფა, ოღონდ პროცესი მიმდინარეობს ორ სტადიად:



საკვანძო
სიტყვები

• აზოტმჟავას სპეციფიკური თვისებები • აზოტმჟავას მოლეკულის
აღნაგობა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება




1. რა არის მცდარი აზოტმჟასთვის?

- ა) არამდგრადი ნივთიერებაა;
- ბ) ძლიერი მჟანგავია;
- გ) ტექნიკში მიიღება სქემით $\text{NH}_3 \rightarrow \text{NO} \rightarrow \text{NO}_2 \xrightarrow{+\text{H}_2\text{O} + \text{O}_2} \text{HNO}_3$
- დ) ლაბორატორიაში მიიღება სქემით $\text{N}_2\text{O}_5 + \text{H}_2\text{O} \rightarrow$
- ე) მეტალებთან რეაქციისას წყალბადი არ გამოიყოფა.

2. რომელ რეაქციაში მონაწილეობს კონცენტრირებული აზოტმჟავა?




- ა) $4\text{Ca} + 9\text{HNO}_3 \rightarrow 4\text{Ca}(\text{NO}_3)_2 + \text{NH}_3 + 3\text{H}_2\text{O}$
- ბ) $3\text{Cu} + 8\text{HNO}_3 \rightarrow 3\text{Cu}(\text{NO}_3)_2 + 2\text{NO} + 4\text{H}_2\text{O}$
- გ) $4\text{Zn} + 10\text{HNO}_3 \rightarrow 4\text{Zn}(\text{NO}_3)_2 + \text{N}_2\text{O} + 5\text{H}_2\text{O}$
- დ) $\text{Hg} + 4\text{HNO}_3 \rightarrow \text{Hg}(\text{NO}_3)_2 + 2\text{NO}_2 + 2\text{H}_2\text{O}$
- ე) $4\text{Mg} + 10\text{HNO}_3 \rightarrow 4\text{Mg}(\text{NO}_3)_2 + \text{NH}_4\text{NO}_3 + 3\text{H}_2\text{O}$

3. რა თანმიმდევრობით იზრდება X, Y და Z მეტალების აქტიურობა?



- ა) Z,Y,X
- ბ) Z,X,Y
- გ) X,Y,Z
- დ) X,Z,Y
- ე) Y,X,Z

4. X, Y და Z ნივთიერებების რომელ რიგში მცირდება მათში შემავალი აზოტის ჟანგვის რიცხვი?



- ა) Y,Z,X
- ბ) Y,X,Z
- გ) Z,X,Y
- დ) X,Z,Y
- ე) X,Y,Z

5. რით არის განპირობებული კონცენტრირებული აზოტმჟავას ძლიერი მჟანგავი თვისებები? რატომ არ აძვებს მეტალები აზოტმჟავადან წყალბადს?

6. სქემის $\text{NH}_3 \rightarrow \text{NO} \rightarrow \text{NO}_2 \rightarrow \text{HNO}_3$ რომელი სტადია კატალიზური და რომელი - შექცევალი რეაქცია?

7. ჩამოთვალეთ აზოტმჟავას გამოყენების სფეროები.

8. რამდენი ლ (ნ.პ.) აირი გამოიყოფა 3,2 გ სპილენის კონცენტრირებულ აზოტმჟავასთან ურთიერთებებისას? $A_r(\text{Cu}) = 64$.

9. რამდენი მგ (ნ.პ.) ამიაკია საჭირო 6,3 ტ აზოტმჟავას მისაღებად? $M_r(\text{HNO}_3) = 63$.

26

პაროგენული გარიფები. აზოტის მიმოქცევა პუნქტი



— მათ იყენებენ შავი დენთის, ფეთქებადი ნივთიერებებისა და სასუქების წარმოებაში. რომელ ნივთიერებებზეა ლაპარაკი?

საქმიანობა

ნიტრატების თერმული დაშლა

ნიტრატების თერმული დაშლის რეაქციათა ტოლობების მაგალითზე უპასუხეთ კითხვებს:



- რომელი ნივთიერება წარმოიქმნება ყოველთვის ნიტრატების დაშლისას?
- დაშლის პროცედურების ხასიათისა და აქტიურობის რიგში მეტალის მდებარეობის გათვალისწინებით, რა შეგიძლიათ თქვათ ნიტრატების დაშლის თავისებურებებზე?
- როგორ ფიქრობთ, ვერცხლი ჰაერზე ვერცხლის ნიტრატის დაშლის ტემპერატურამდე რომ გაგაუროთ, ის ვერცხლის ოქსიდამდე დაიყანვება?

ნატრიუმის, კალიუმის, ამონიუმისა და კალციუმის ნიტრატებს გვარჯილები ეწოდება.

მიღება. ნიტრატების მისაღებად ძირითადად შემდეგი ხერხები გამოიყენება:


1. აზოტმჟავას ურთიერთქმედება მეტალებთან, ფუძე ოქსიდებთან, ფუძეებთან, ამიაკთან და ზოგიერთ მარილთან (გვ. 99);

2. აზოტის დიოქსიდის ურთიერთქმედება ტუტეებთან;

3. მრეწველობაში ნიტრატები მიღება ძირითადად აზოტმჟავას ან აზოტის დიოქსიდის მოქმედებით ტუტე და ტუტემინა მეტალების კარბონატებზე (გვ. 116). ამონიუმის ნიტრატი მიღება ამიაკის აზოტმჟავასთან ურთიერთქმედებით.

თვისებები. ყველა ნიტრატი წყალში კარგად იხსნება და სრულად დისოცირდება. გაცხელებისას ისინი (გარდა NH_4NO_3 -ისა) იშლება უანგბადის გამოყოფით.

ნიტრატების დაშლის პროცედურების ხასიათი დამოკიდებულია მეტალის (M) მდებარეობაზე ძაბუათა ელექტროლიტურ რიგში:



ამონიუმისა და ლითიუმის ნიტრატები შემდეგნაირად იშლება:



გაცხელებისას მიმდინარე დაშლის რეაქციებს **თერმოლიზი** ეწოდება. კალიუმის ნიტრატის პიროტექნიკში და შავი დენთის ($\text{KNO}_3 + \text{C} + \text{S}$) შემადგენელ ნაწილად გამოიყენება სწორედ ნიტრატების დაშლის უნარს ემყარება.

განსაზღვრა (იხ. გვ. 101).

გამოყენება. მძიმე მეტალების ნიტრატები გამოიყენება მეტალთა ოქსიდების მისაღებად, გვარჯილები – მინერალურ სასუქებად. ამონიუმის ნიტრატის საფუძვლზე შექმნილი ფეთქებადი ნარევები – ამონიალები – გამოიყენება სამთამადინო სამუშაოებისას.

აზოტის მიმოქცევა ბუნებაში

ორგანულ ნაერთებში არსებულ აზოტის (ბმულ აზოტის) შეიცავს ნებისმიერი ცხოველური და მცენარეული ორგანიზმი. მეორე მხრივ, ატმოსფეროში არსებობს თავისუფალი აზოტი (78% მოცულობით). გამოკვლევები გვიჩვენებს: მიუხედავად იმისა, რომ ატმოსფეროს თავისუფალი აზოტი (N_2) და ნაერთების შედგენილობაში არსებული აზოტი მუდმივ გარდაქმნებს განიცდის, ნიადაგში ბმული აზოტისა და ატმოსფეროში თავისუფალი აზოტის რაოდენობრივი შემცველობა შესამჩნევად არ იცვლება. ეს განპირობებულია ფაქტით, რომ ცვლილებები ბუნებაში ურთიერთ-საპირისპირო მიმართულებით მიმდინარეობს (იხ. სქემა და სურ. ა), რაც არეგულირებს ბმული და თავისუფალი აზოტის თანაფარდობას.

თავისუფალი აზოტი გადაღის ატმოსფეროში

1. ნიადაგისა და ზღვების ბმული აზოტის ბაქტერიებით დაშლის შედეგად
2. მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ლაპბიას და სათბობის წვის შედეგად

თავისუფალი აზოტი სცილდება ატმოსფეროში


1. ატმოსფეროში ელექტრული განმცემებისას
2. კოურის ბაქტერიების მიერ აზოტის N_2 შეთვისებას შედეგად
3. სასუქების წარმოების პროცესში

გაული აზოტი სცილდება ნიადაგში

1. ნიადაგის ბმული აზოტის ბაქტერიებით დაშლის შედეგად
2. სავარგულებიდნ მოსავლის აღებისას
3. წყლით გამორეცხვის შედეგად
4. მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების საკვების სახით

გაული აზოტი გადაღის ნიადაგში

1. აზოტიანი სასუქების შეტანისას
2. კოურის ბაქტერიების მიერ აზოტის N_2 შეთვისების შედეგად
3. ატმოსფეროში ელექტრული გამცუხტებისას, რომელსაც მოსდევს ნალექი ($N_2 \rightarrow NO \rightarrow NO_2 \rightarrow HNO_3\dots$)
4. მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ლპბის შედეგად



სწორედ სქემაზე მითითებული პროცესების შედეგად მიმდინარეობს აზოტის მიმოქცევა ბუნებაში.

**საკვანძო
სიტყვები**

- ნიტრატები • გვარჯილები • თერმოლიზი • თავისუფალი აზოტის შეთვისება •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. ჩვეულებრივ, რომელი რეაქციით არ იღებენ ნიტრატს?

- KOH + HNO₃ →
- Na₂CO₃ + HNO₃ →
- Na₂SO₄ + HNO₃ →
- Na₂CO₃ + NO₂ →
- KOH + NO₂ →

2. რომელ ტოლობაშია პროდუქტი შეცდომით მითითებული?

- 2NaNO₃ \xrightarrow{t} 2NaNO₂ + O₂↑
- NH₄NO₃ \xrightarrow{t} N₂O↑ + 2H₂O
- 4AgNO₃ \xrightarrow{t} 2Ag₂O + 4NO₂ + O₂↑
- 2Mg(NO₃)₂ \xrightarrow{t} 2MgO + 4NO₂↑ + O₂↑
- 2Cu(NO₃)₂ \xrightarrow{t} 2CuO + 4NO₂↑ + O₂↑

3. რომელი ნივთიერებები გამოიყენება ნიტრატების განსაზღვრისთვის?

- H₂SO₄(განზ.), Cu
- H₂SO₄(კონც.), Cu
- HNO₃, Cu
- H₂SO₄(კონც.), Al
- KOH, Cu

4. დაასრულეთ შესაძლებელი რეაქციების სქემები:



5. რატომ მდიდრდება ნიადაგი აზოტის ნაერთებით ელქტროსისას?


6. განსაზღვრეთ ჟანგბადის მოცულობითი წილი (%) აირთა ნარევში, რომელიც წარმოიქმნება ლითოუმის ნიტრატის დაშლისას.

7. რამდენვალენტიანი მეტალების ნიტრატების დაშლის აირად პროდუქტებშია ჟანგბადის მოცულობითი წილი 20%? პასუხი დაასაბუთეთ კონკრეტული რეაქციის ტოლობით. ლითოუმის ნიტრატს ნუ განიხილავთ.

8. მინარევების შემცველი 20 გ ნატრიუმის ნიტრატის სრული დაშლისას მიიღეს 3,36 ლ (6.3.) ჟანგბადი. გამოთვალეთ საწყის ნარევში მინარევების მასური წილი. M_r(NaNO₃) = 85.

9. ამიაკის გახურებისას დაიშალა მისი საწყისი რაოდენობის 20%. გამოთვალეთ NH₃:N₂:H₂ მოცულობითი თანაფარდობა აირთა მიღებულ ნარევში.

10. შეადგინეთ გარღემნათა ტოლობები:



27 ფოსფორი



- რატომ არ გვხვდება ფოსფორი ბუნებაში, აზოტის მსგავსად, თავისუფალ მდგომარეობაში?

საქმიანობა

თეთრი ფოსფორის შესახებ

თეთრი ფოსფორი თეთრი, მოყვითალო ელეფტის და ძლიერ მომწამლავი კრისტალური ნივთიერებაა. სიბნელეში ანათებს ჰაერზე დაუანგვის გამო. ინახავენ წყალქვეშ. დაფხვნილი ფოსფორი ჰაერზე თვითალდება ჩვეულებრივ პირობებში.

ზემოთქმულის გათვალისწინებით უასახეთ კითხვებს:

- რატომ ინახავენ თეთრ ფოსფორს წყალქვეშ?
- მიუხედავად დიდი აქტიურობისა, რატომ არ იყენებენ თეთრ ფოსფორს ასანთის ნარმოებაში?
- რატომ ალდება დაფხვნილი ფოსფორი?

აღმოჩენა. ფოსფორი აღმოჩნდა 1669 წ. ალქიმიური გამოკვლევებისას (პ.ბრანდი). ბერძნულად „ფოსფორის“ „სინათლის მატარებელს“ ნიშნავს. ფოსფორის ჟანგვის რიცხვი ნაერთობში არის +3, +5 და -3.

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. ფოსფორი მე-3 პერიოდის V ჯგუფის მთავარი ქვეჯგუფის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^3$. აზოტისგან განსხვავებით, ფოსფორი ნაერთობში ამჟღავნებს ხუთის ტოლ ვალენტობას.

ბუნებაში გავრცელება. როგორც აქტიური არამეტალი, ფოსფორი ბუნებაში მხოლოდ ნაერთების სახით გვხვდება. მისი უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი ნაერთებია: ფოსფორიტი $Ca_3(PO_4)_2$ და აპატიტები $3Ca_3(PO_4)_2 \cdot CaX_2$ ($X = F, Cl, OH$). მოზრდილი ადამიანის ორგანიზმი დაახლოებით 1,5 კგ ფოსფორია. ფოსფორს შეიცავს ძირითადად ტრინის უჯრედები, ნერცული და ძვლოვანი ქსოვილები.

მიღება. ფოსფორი მიღება აპატიტიდან და ფოსფორიტიდან. მაგალითად, ფოსფორი წარმოიქმნება ფოსფორიტის $Ca_3(PO_4)_2$, კოქსისა და ქვიშის ნარევის ელექტროლუმელში უჰაეროდ გახურებისას ($1500^{\circ}C$):




ფოსფორის მიღება სხვა ხერხებითაც შეიძლება.

ფიზიკური თვისებები. ფოსფორს აქვს რამდენიმე ალოტროპიული მოდიფიკაცია, მაგალითად, თეთრი, ნითელი და შავი ფოსფორი (P_4).


თეთრი ფოსფორი უფერო ადვილდნობად ($t_{\text{დ}} = 44^{\circ}C$), ნივრის სუნის მქონე კრისტალური ნივთიერებაა. შედარებით რბილია, შეიძლება გავჭრათ დანით (წყლის ქვეშ). წყალში არ იხსნება, გოგირდნახშირადში კარგად ხსნადია. თეთრი ფოსფორი მიღება ნითელი ფოსფორის ორთქლის კონდენსაციით (P_4).

თეთრ ფოსფორს მოლეკულური აღნაგობა აქვს. მის მოლეკულა P_4 (P_4) შედგება ფოსფორის 4 ატომისგან და შეიცავს 6 არაპოლარულ-კოვალენტურ $P-P$ ბმას. თეთრი ფოსფორის რეაქციისუნარიანობა უფრო მაღალია, ვიდრე ნითელი და შავი ფოსფორისა.


(1) თეთრი (1),
ნითელი (2) და
შავი (3)
ფოსფორი და
მათი
კრისტალური
სტრუქტურა.



ცოდნის ზარდახშა • ნითელი ფოსფორი მურა ნითელი ფერის ფხვნილია. არ არის მომ-ნაძლავი. წყალში და გოგირდნაშირბადში არ ისნება. უჟანგბადოდ ძლიერი გახურებისას ის სუბლიმირდება თეთრი ფოსფორის ორთქლად, რომლის გაცივებისას მიიღება თეთრი ფოს-ფორი (3). ნითელ ფოსფორს, ისევე როგორც შავს, აქვს ატომური კრისტალური მესერი. 260°C -ზე ის აალდება. შავი ფოსფორი გარებნულად გრაფიტს ჰგავს. არ არის მომნაძლავი. არ ისნება წყალში და გოგირდნაშირბადში. გრაფიტის მსგავსად, მას აქვს შრეობრივი ატომური კრისტალური მესერი (3). 490°C -ზე აალდება.




ქიმიური თვისებები. ფოსფორი არამეტალია. თეთრ ფოსფორთან რეაქციები უფრო ენერგიულად მიმდნარეობს. არამეტალებს შორის ფოსფორი ყველაზე ადვილად რეაგირებს უანგბადთან, ფთორთან და ქლორთან. მაგალითად, თეთრი ფოსფორი $40-50^{\circ}\text{C}$ -ზე, ფხვნილის სახით კი – ოთახის ტემპერატურაზეც აალდება. უანგბადის, ქლორისა და გოგირდის სიჭარბისას ნარმოიქმნება ხუ-ვალენტიანი ფოსფორის, ხოლო ნაკლებობისას – სამგალენტიანი ფოსფორის ნაერთები. წყალბადთან ფოსფორი არ ურთიერთქმედებს. სხვა არამეტალებთან, აგრეთვე აქტიურ მეტალებთან ფოსფორი რეაგირებს გაცხელებისას:




კალციუმის ფოსფიდი

ცოდნის ზარდახშა • ფოსფორის ნაერთები მეტალებთან – ფოსფიდები წყლისა და მუვების ზემოქმედებისას იშლება ჰაერზე თვითალებადი აირის – ფოსფინის PH_3 ნარმოქმნით:



გამოყენება. ფოსფორის ორგანული ნაერთები, მაგალითად, ქლოროფოსი, დიელოფოსი, თიოფოსი, ფოსფამიდი გამოიყენება ინსექტიციდებად (სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან ბრძოლის საშუალებებად). თეთრი ფოსფორი გამოიყენება ცეცხლგამჩენი ყუმბარების, ხელყუმბარების დასამზადებლად და ნისლის ფარდის (საომარი მიზნით) შესაქმნელად.

მრეწველობაში წითელ ფოსფორის იყენებენ ფერადი მეტალების შენადნობებისა და ასანთის ნარმოებაში. ასანთის კოლოფის გვერდით ზედაპირზე დაიტანება ნარევი, რომელიც შედგება წითელი ფოსფორის, დაფხვნილი მინისა და წებოსგან. ასანთის თავი შედგება მუანგავისგან (ბერთოლეს მარილი $KClO_3$), გოგირდისა და წებოსგან. ასანთის თავის გვერდით ზედაპირზე ხახუნისას ფოსფორი აალდება და მიმდინარეობს რეაქცია:



შავი ფოსფორი გამოიყენება ნახევარგამტარად.

ეს საინცერესოა

ადამიინის ორგანიზმში არსებული ფოსფორი გავლენას ახდენს გონებრივ და კულტობრივ მუშაობაზე. კალციუმთან ერთად, მინანილეობს ქვლოვანი ქსოვილის ნარმოქმნაში, აძლევენ რა სიტყვცეს ქვლება და კბილებს. ის შედის ორგანიზმში ნერგიის მაუკუმულორბელი და გადამტანი ადენოზინ-ტრიფოსფორმჟავას, აგრეთვე ნუკლინის მუავების შედგენილობაში, რომლებიც ინახავს, კვლავანარმოებს და გადასცემს მეტყვიდრეობით ინფორმაციას. ადამიანი ფოსფორის ილებს საკვამდან. ბევრ ფოსფორის შეიცავს ლობიო, ბარდა, შვრის ბურღული, ყველი, ხორცი, კვერცხი, პური, ზღვის პროდუქტები.

საკვანძო სიტყვები

- ფოსფორიტი • აპატიტი • თეთრი, წითელი და შავი ფოსფორი • ფოსფინი • ფოსფიდები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. ფოსფორი...
 - შედის ქლორაპატიტისა და ფოსფორიტის შედგენილობაში;
 - არ შედის ფლუორიტის შედგენილობაში;
 - მიიღება სქემით $2Ca_3(PO_4)_2 + 10C + 6SiO_2 \xrightarrow{1500^{\circ}C}$;
 - დუნებაში ზოგჯერ გვხვდება თავისუფალ მდგომარეობაში;
 - ნაერთების სახით შედის ქვლოვანი და კბილის ქსოვილის შედგენილობაში.
2. მიუთითოთ ფოსფორიტისა და ფოთორიპატიტის ფორმულები:

1. $3Ca_3(PO_4)_2 \cdot CaF_2$	2. Na_3AlF_6	3. $Ca_3(PO_4)_2$	4. $Ca(H_2PO_4)_2$
ა) 1, 2	ბ) 3, 2	გ) 3, 1	დ) 1, 4
ე) 2, 4			
3. დაასრულეთ სქემები და მიუთითოთ რეაქციების ტოლობები, რომელთა მიხედვით ნარმოქმნება ფოსფინი:

1. $Ca_3P_2 + H_2O \rightarrow$	2. $P + Ca \rightarrow$	3. $Mg_3P_2 + HCl \rightarrow$	4. $P + H_2 \rightarrow$
---------------------------------	-------------------------	--------------------------------	--------------------------
4. მიუთითოთ თეთრ ფოსფორთან მიმართებაში სწორი გამონათქვამები:

1. სიბნელეში ანათებს;	2. აქტიური ნივთიერებაა;	3. წყალში არ იხსნება;
4. მომნამლავი არაა;	5. აქეს მოლეკულური აღნაგობა;	6. აქეს აღნაგობა $P \equiv P$.
5. რა არის მცდარი ასანთის ანთების რეაქციასთან $6P + 5KClO_3 \rightarrow 5KCl + 3P_2O_5$ მიმართებაში?
 - გამოიყენება წითელი ფოსფორი,
 - ენდოთერმული რეაქციაა;
 - გამოიყენება თეთრი ფოსფორი, როგორც უფრო აქტიური;
 - ეგზოთერმული რეაქციაა;
 - რეაქციაში მონაწილეობს ფოსფორის 6 ატომის 30 ელექტრონი.
6. რამდენ მ³ (6.3.) ჰაერია საჭირო 6,2 კგ ფოსფორის სრული დაწვისთვის? ჩათვალეთ, რომ ჰაერში ჟანგბადის მოცულობითი ნილი 20%-ია. $A_r(P) = 31$.
7. შეადგინეთ გარდამნათა ტოლობები: $P \rightarrow Mg_3P_2 \rightarrow PH_3 \rightarrow P_2O_5 \rightarrow H_3PO_4 \rightarrow Ag_3PO_4$

28 ფოსფორ(V)-ის ოქსიდი და ორთოფოსფორმჟავა



- პიგროსკოპულია. მიიღება მარტივი ნივთიერებებიდან, თეთრი კვამლის სახით.
- მისი მარილები შედის ძვლებისა და კბილების შედგენილობაში, გამოიყენება სასუჟებად. რომელ ნივთიერებებზეა ლაპარაკი?

საქმიანობა

ორთოფოსფორმჟავას ქიმიური თვისებები

უზრუნველყოფა: 5 სინჯარა, მეტალური Ca , ფარცის ფხვნილი, სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდი, ვერცხლის (I) ნიტრატი, ორთოფოსფორმჟავასა და ნატრიუმის ორთოფოსფატის სხნარები.

სამუშაოს მსვლელობა: ერთ სინჯარაში მოათვავეთ Ca -ის პატარა ნაჭერი, მეორეში – ფარცის ფხვნილი, მესამეში – სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდი, მეოთხეში – ვერცხლის (I) ნიტრატის სხნარი. ყოველ მათგანს დაუმატეთ 2-3 მლ ორთოფოსფორმჟავა და დააკვირდით მომზდარ ცვლილებებს. მეხუთე სინჯარაში ვერცხლის (I) ნიტრატის სხნარს დაუმატეთ ნატრიუმის ორთოფოსფატის სხნარი და დააკვირდით, რა მოზდება.

განხილეთ შედეგები:


- ჩამოთვალეთ ყველა განხორციელებული რეაციის გარეგნული ნიშნები.
- ავლენს თუ არ ირთოფოსფორმჟავა მჟავების ზოგად თვისებებს? რას ნიშნავს ეს?
- რატომ არ წარმოიქმნება ნალექი AgNO_3 -ის სხნარზე ორთოფოსფორმჟავას დამატებისა და წარმოიქმნება – ნატრიუმის ორთოფოსფატის დამატებისას?

ფოსფორის ოქსიდებიდან უმნიშვნელოვანესია ფოსფორ(V)-ის ოქსიდი P_2O_5 .

ცოდნის ზარდაში • ჩვეულებრივ, ფოსფორ(V)-ის ოქსიდის შედგენილობას გამოსახავენ ფორმულით P_2O_5 . სინამდვილეში მისი შედგენილობა უფრო რთულია და შეესაბამება ფორმულას P_4O_{10} .





ფოსფორ(V)-ის ოქსიდი (ფოსფორის პენტაოქსიდი)

ფოსფორ(V)-ის ოქსიდი წარმოიქმნება ჭარბ უანგბადში ფოსფორის დანვისას:



ფოსფორ(V)-ის ოქსიდი ძლიერ პიგროსკოპული თეთრი ფაშარი ფხვნილია. ინახავენ მჭიდროდ თავდასურულ ჭურჭელში.

ფოსფორ(V)-ის ოქსიდი მჟავა აქტიურია. პირობებისგან დამოკიდებულებით, წყალთან წარმოქმნის ფოსფორის სხვადასხვა მჟავას:



გამოყენება. როგორც წყალწამრთმევი საშუალება, ფოსფორ(V)-ის ოქსიდი გამოიყენება აირების გასაშრობად და ზოგიერთი ნივთიერების (HNO_3 , CH_3COOH და სხვ.) დეპიდრატაციისთვის.





ცოდნის ზარდახშა • აზოტისა და ქლორის მჟავების დეპიდრატაცია მიმღინარეობს სქემით:





ორთოფოსფორმჟავა, H_3PO_4

ორთოფოსფორმჟავა მყარი უფერო კრისტალური ნივთიერებაა. წყალში კარგად იხსნება.

მიღება. მრეწველობაში ორთოფოსფორმჟავას იღებენ ორი ხერხით: ბუნებრივი ფოსფორიტის – გოგირდმჟავასთან, ან ფოსფორ(V)-ის ოქსიდის წყალთან გაცხელებით:







ცოდნის ზარდახშა • ლაბორატორიაში ორთოფოსფორმჟავას მიღება შეიძლება ფოსფორის კონცენტრირებული ან განზავებული აზოტმჟავათი დაუაწევის გზით:



ქიმიური თვისებები. ორთოფოსფორმჟავას აქვს მჟავების ზოგადი, აგრეთვე სპეციფიკური თვისებები.

I. ის, სხვა მჟავების მსგავსად, წყალში დისოცირდება H^+ იონების წარმოქმნით, ფერს უცვლის ინდიკატორებს, რეაგირებს აქტიურ მეტალებთან, ფუძე და ამფოტერულ ოქსიდებთან, ფუქსიებთან, უფრო სუსტი მჟავების მარილებთან და ამიაკთან. ორთოფოსფორმჟავა არ რეაგირებს მეტალთა აქტიურობის რიგში წყალბადის მარჯვნივ განლაგებულ მეტალებთან ($\text{Cu}, \text{Hg}, \text{Ag}, \text{Pt}, \text{Au}$).



როგორც სამფუძინი მჟავა, ის სხნარში საფეხურებრივად დისოცირდება.

II. სპეციფიკური თვისებები. 1. გაცხელებისას ორთოფოსფორმჟავა იშლება ორი ახალი მჟავას წარმოქმნით:






2. ორთოფოსფორმჟავას ხსნადი მარილების ვერცხლის (I) ნიტრატის ხსნართან წარმოქმნის ძლიერ მჟავებში ხსნად, მაგრამ წყალში უხსნად ვერცხლის (II) ორთოფოსფატის ყვითელ ნალექს:



ცოდნის ზარდაბში • ორთოფოსფორმჟავა დიდ როლს თამაშობს ცხოველთა და მცენარეთა ცხოველქმედებაში. მისი ნაშთები შედის ადენოზინტრიფოსფორმჟავას (ატფ-ის) და ნუკლეიინის მჟავების – დნმ-ისა და რნმ-ის – შედგენილობაში.

ორთოფოსფორმჟავას მარილები. ორთოფოსფორმჟავა, როგორც სამფუძიანი მჟავა, ფუძეებთან რეაგირებისას, მათი რაოდენობისგან დამოკიდებულებით, წარმოქმნის 3 ტიპის ფოსფატებს: ორთოფოსფატებს, ჰიდრორორთოფოსფატებსა და დიპიდროორთოფოსფატებს:





ამონიუმისა და ტუტე მეტალების ორთოფოსფატები, როგორც წესი, წყალში სინადებია. კალციუმის ორთოფოსფატებს შორის სინადია მხოლოდ დიპიდრო-ორთოფოსფატი $[\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2]$.

ორთოფოსფორმჟავასა და მისი მარილების გამოყენება. ორთოფოსფორმჟავა გამოიყენება ორთოფოსფატებისა და სხვადასხვა იონების ნაერთის მისაღებად, კვების მრეწველობაში – სიროფების დასამზადებლად, მეტალთა ზედაპირზე დამცავი აფსკის მისაღებად.

ორთოფოსფორმჟავას მარილები გამოიყენება წყლის სიხისტის მოსაცილებლად (Na_3PO_4), სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად, მასალებისთვის ცეცხლ-გამდლეობის მისანიჭებლად $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$, აგრეთვე სასუქებად.

(PO_4^{3-})³⁻ იონის განსაზღვრა. ორთოფოსფატ-იონის განსაზღვრა ემყარება ვერცხლის (I) ორთოფოსფატის წყალში უხსნადი ყვითელი ნალექის წარმოქმნას (3):



1. რა არის მცდარი ფოსფორ(V)-ის ოქსიდისთვის P_2O_5 ?

- ა) თეთრი ფერის მყარი ნივთიერებაა;
- ბ) გამოიყენება აირთა გასშრობად;
- გ) შეიძლება მივიღოთ ფოსფორის დაწვით;
- დ) აქებ არამოლექულური ალნაგობა;
- ე) ტემპერატურისგან დამოკიდებულებით, წყალთან წარმოქმნის სამ მუავას.

2. რომელი გამონათქვამია მცდარი ორთოფოსფორმულურასთან მიმართებაში?

- ა) წყალში კარგად იხსნება;
- ბ) გაცხელებისას გარდაიქმნება პიროფოსფორმულურად;
- გ) წარმოქმნის მუავა და საშუალო მარილებს;
- დ) მის იონს PO_4^{3-} საზღვრავენ ვერცხლის იონით Ag^+ ;
- ე) უფერო სითხეა.

3. შეადგინეთ შესაძლებელი რეაქციების ტოლობები:



1. $P_2O_5 + H_2O \rightarrow$
2. $P_2O_5 + 3H_2O \xrightarrow{t} \dots$
3. $P + 5HNO_3(\text{ჰონ.}) \xrightarrow{t} \dots$
4. $P_2O_5 + 3CaO \xrightarrow{t} \dots$
5. $P_2O_5 + CaSiO_3 \xrightarrow{t} \dots$

4. დაასრულეთ სქემები. მიუთითეთ, რა თანმიმდევრობით წარმოიქმნება ორთო-, პიდრო- ორთო- და დიპიდრონორთოფოსფატები:

1. $KOH + H_3PO_4 \rightarrow$
2. $2KOH + H_3PO_4 \rightarrow$
3. $3KOH + H_3PO_4 \rightarrow$

5. როგორ განვასხვაოთ ვერცხლის (I) ორთოფოსფატი ვერცხლის (II) იოდიდისგან?

6. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები და განსაზღვრეთ X, Y და Z ანჰიდრიდების ფორმულები:




7. ჩამოთვალეთ ორთოფოსფორმულურასა და მისი მარილების გამოყენების სფეროები.

8. რამდენი გ კალიუმის პიდროქსიდია საჭირო 0,5 მოლი კალიუმის პიდრონორთოფოსფატის მისალებად? $M_r(KOH) = 56$.

9. რამდენი ტ ორთოფოსფორმულურა შეიძლება მივიღოთ 1,42 ტ ფოსფორ(V)-ის ოქსიდისგან? $M_r(P_2O_5) = 142$, $M_r(H_3PO_4) = 98$.

10. შეადგინეთ გარდაქმნათა ტოლობები:



29 პრაქტიკული დავალება – 2.

არაგაფალი და მათი ნართობის თვისებები

ც დ ა

1

ამიაკის მიღება, შეგროვება და განსაზღვრა

უზრუნველყოფა: ფაიფურის ჯამი, ჩაის კოვზი, NH_4Cl , $\text{Ca}(\text{OH})_2$, მინის ნკირი, 2 სინჯარა, ორი შტატივი, საცობი გაზგამყვანი მიღით, სპირტქურა, ფენოლურტალებინის ხსნარი, წყლიანი ჭურჭელი.

სამუშაოს მსვლელობა: ფაიფურის ჯამში გასრისეთ თითო კოვზი ამონიუმის ქლირიდი და კალციუმის ჰიდროქსიდი. ნარევი გადაიტანეთ სინჯარაში, დაახურეთ მას საცობი გაზგამყვანი მიღით და მიღის ბოლო ჩაუშვით მეორე მშრალ სინჯარაში, რომელიც შტატივზე დამგრებულია ღია ბოლოთი ქვემოთ. შემდეგ ნარევიანი სინჯარა ფრთხილად გააცხელეთ. მეორე სინჯარის ამიაკით ავსების შესამონებლად მის ღია ბოლოსთან დროდადრო მიიტანეთ ფენოლურტალებინის ხსნარით დასველებული ქალალდი. სინჯარის ამიაკით ავსების შემდეგ მოაცილეთ მას გაზგამყვანი მიღი, ღია ბოლოს დააფარეთ ცერა თითო და ამავე მდგომარეობაში ჩაუშვით ის წყლიან ჭურჭელში. წყალქვეშ სინჯარას მოაცილეთ თითო და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

შემდეგ სინჯარას წყალქვეშვე ისევ დააფარეთ ცერა თითო და ამოცილეთ წყლიდან. გადმოაბრუნეთ სინჯარა და დაუმატეთ 1-2 წვეთი ფენოლფტალებინის ხსნარი.

განიხილეთ შედეგები:

- რა შეამჩნიეთ ნარევის გახურებისას?
- რატომ შედის წყალი სინჯარაში, როდესაც მას წყალქვეშ თითს მოვაცილებთ?
- რა ემართება ხსნარს 1-2 წვეთი ფენოლფტალებინის დამატებისას?
- რატომ ხდება ეს?
- დაწერეთ განხორციელებული რეაქციების ტოლობები და დაახასიათეთ მათი გარეგნული ნიშნები.
- ამიაკის რა თვისებებს დააკვირდით ცდის განმავლობაში?

ც დ ა

2

ჩატარეთ შესაბამისი რეაქციები და დაამტკიცეთ, რომ დახურულ სინჯარებში თქვენთვის მოცემული ნივთიერებებია:

ა) ამონიუმის ქლოროდი; ბ) ამონიუმის ნიტრატი; გ) ნიშადურის სპირტი.

შეადგინეთ ამ რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

ც დ ა

3

ჩატარეთ რეაქციები, რომელთა შემოკლებული იონური ტოლობებია:



შეადგინეთ ამ რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

ც დ ა

4

მოცემულია სამი სინჯარა ხსნარებით. განსაზღვრეთ, რომელ სინჯარაშია მარილმჟავა, რომელში – გოგირდმჟავა და რომელში – ნატრიუმის ჰიდროქსიდი. შეადგინეთ ჩატარებული რეაქციების მოლეკულური და იონური ტოლობები.

30 გიცარალური სასუქები და მათი კლასიფიკაცია. აზოტიანი სასუქები



- როგორ ფიქრობთ, რატომ გაყვითლდა ხორბლის თავთავები (1)?
- რით განსხვავდება პურის ყანები (2) და როგორ ახსნით ამ განსხვავებას?
- ადასტურებს თუ არა მოცემული მცენარის ნორმალურ განვეოთარებას ფოთლის შეფერვა (3)?
- ყავილები (4) ერთდროულად დარგენ. რით შეიძლება აჩსნას მათი განვითარების სხვადასხვა სიჩქარე?



საქმიანობა

აზოტიანი სასუქის გამოცნობა

უზრუნველყოფა: 2 სინჯარა, ამონიუმის გვარჯილა, წყალი, NaOH -ის ხსნარი, სპილენზის მაგისტელი, კონცენტრირებული გოგირდმჟავა, სპირტურა, ლაკმუსის ქაღალდი.

სამუშაოს მსვლელობა: თითოეულ სინჯარაში მოათავსეთ ამონიუმის გვარჯილა 0,5 გ ოდენობით, დაასხით 2-3 მლ წყალი და გახსენით მარილი. პირველ მათვაზე დაუმატეთ მცირეოდენი NaOH -ის ხსნარი, მეორეს – კონცენტრირებული გოგირდმჟავა და სპილენზის მაგისტელის ნაჭერი, შემდეგ კი ორივე სინჯარა სუსტად გააცხელეთ და დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს.

ცოტა ხნის შემდეგ 1-ელი სინჯარის პირთან მიიტანეთ სველი წითელი ლაკმუსის ქაღალდი და ნახეთ, რა მოხდება.

განიხილეთ შედეგები:

- რა ცვლილებები მოხდა სინჯარებში გაცხელებისას?
- რა ფერის გახდა 1-ელი სინჯარის პირთან მიტანილი ლაკმუსის ქაღალდი?
- რაში მდგომარეობს თითოეულ სინჯარაში გამოყოფილი ნივთიერებების თავისებურებანი?
- გამეორდება თუ არა ორივე მოვლენა, თუ აზოტიანი სასუქის სახით ავილებთ KNO_3 -ს?
- შეადგინეთ რეაქციების ტოლობები, რომლებიც სინჯარებში წარმართა.

მცენარეთა შედგენილობაში შედის 70-ზე მეტი სხვადასხვა ელემენტი, მაგრამ მათი ნორმალური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია 16 ელემენტის როლი. ამ ელემენტების ნაწილს მცენარეები ითვისებს ფოტოსინთეზისას, ნაწილს კი – ნიადაგიდან.

მცენარეთა ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელ ელემენტებს **საკვები ელემენტები** ეწოდება.

ნივთიერებებს (ძირითადად, მარილებს), რომლებიც შეიცავს საკვებ ელემენტებს, **მინერალური სასუქები** ეწოდება.

ცოდნის ზარდახშა • ელემენტებს ($\text{C}, \text{O}, \text{H}, \text{N}, \text{P}, \text{K}, \text{Ca}, \text{Mg}, \text{Fe}, \text{S}$), რომლებიც მცენარეებს დიდი რაოდენობით ესაჭიროება, ენოდება მაკროელემენტები, ხოლო მათ შემცველ სასუქებს – მაკროსასუქები.

ელემენტებს ($\text{B}, \text{Cu}, \text{Co}, \text{Mn}, \text{Zn}, \text{Mo}$ და სხვ.), რომლებიც მცენარეებს უმნიშვნელო რაოდენობით ესაჭიროება, ენოდება მიკროელემენტები, ხოლო მათ შემცველ სასუქებს – მიკროსასუქები.

მაკროელემენტებს შორის მცენარეებს განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ესაჭიროება სამი ელემენტი: აზოტი, ფოსფორი და კალიუმი. მათ ძირითად საკვებ ელემენტებს უწოდებენ.

კლასიფიკაცია. ძირითადი საკვები ელემენტის მიხედვით გამოყოფენ აზოტიან, ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს. შედგენილობის მიხედვით სასუქები იყოფა მარტივ და კომპლექსურ სასუქებად.

სასუქს, რომელიც მხოლოდ ერთ საკვებ ელემენტს შეიცავს, ენოდება **მარტივი სასუქი:** მაგალითად, KCl , NaNO_3 , $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$, NH_4NO_3 და სხვ.

სასუქებს, რომლებიც ორ ან მეტ საკვებ ელემენტს შეიცავს, **კომპლექსური სასუქები** ენოდება. მაგალითად, კალიუმის ნიტრატი KNO_3 შეიცავს კალიუმსაც და აზოტსაც.

კომპლექსური სასუქები, თავის მხრივ, იყოფა რთულ და შერეულ სასუქებად. რთულ სასუქებს მიეკუთვნება: კალიუმის გვარჯილა KNO_3 , დიამოფონი $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$ და სხვ. შერეული სასუქები წარმოადგენს სხვადასხვა სასუქის მექანიკურ ნარევს, მაგალითად, ამოფოსკა – $[(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4 + \text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4 + \text{KCl}]$, ნიტროფოსკა $[(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4 + \text{NH}_4\text{NO}_3 + \text{KCl}]$.

წარმოშობის მიხედვით სასუქები იყოფა მინერალურ და ორგანულ (ნაკელი, ფრინველების სკორე) სასუქებად; აგრეგატული მდგომარეობის მიხედვით არსებობს მყარი (გვარჯილები, ფოსფატები) და თხევადი (თხევადი ამიაკი, ამიაკიანი ნიკალი) სასუქები.

თითოეული სასუქი ხასიათდება კვებითი ღირებულებით.

აზოტიანი სასუქების კვებითი ღირებულება განისაზღვრება სასუქში აზოტის მასური წილით (%). ფოსფორიანი სასუქების კვებით ღირებულებას, ანუ ამ სასუქებში ფოსფორის შემცველობას საზღვრავენ ფოსფორ(V)-ის ოქსიდზე გადათვლით (გვ. 118), ხოლო კალიუმიანი სასუქებისას – კალიუმის ოქსიდზე (K_2O) გადათვლით (გვ. 119).

აზოტიანი სასუქების კვებითი ღირებულების გამოვლა
გამოთვალეთ აზოტის მასური წილი (%) კარბამიდში. $M_r[\text{CO}(\text{NH}_2)_2] = 60$.

ამოხსნა:

$$\omega(\text{N}), \% = \frac{A_r(\text{N}) \cdot 2}{M_r[\text{CO}(\text{NH}_2)_2]} \cdot 100\% = \frac{28}{60} \cdot 100\% = 46,7\%$$

ამოცანა. გამოთვალეთ აზოტის მასური წილი (%) ამონიუმის ნიტრატში და შეადარეთ ის კარბამიდისთვის მიღებულ ამავე სიდიდეს. რომელი სასუქი უფრო მდიდარია აზოტით? $M_r[\text{NH}_4\text{NO}_3] = 80$.

აზოტიანი სასუქები

ცოდნის ზარდაში • აზოტი მცენარეთა კვებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს. ის შედის ქლოროფილისა და ცილების შედგენილობაში. მცენარეთა კვებისას აზოტის ნაკლებობა ანელებს მწვანე მასის წარმოქმნას, მცენარეები ცუდად ვითარდება, ფოთლები ყვითლდება.

მცენარეები აზოტს ითვისებს ძირითადად ამონიუმის $[\text{NH}_4]^+$ და ნიტრატიონების $[\text{NO}_3]^-$ სახით.




შენიშვნა. ნიადაგში ნიტრატების სიჭარბისას ისინი გროვდება მცენარეებში. ასეთი მცენარეებისა და მათგან დამზადებული პროდუქტების საკვებად გამოყენება უარყოფითად აისახება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

• სასუქებს, რომელიც საკვები ნივთიერების სახით აზოტს შეიცავს, აზოტიანი სასუქი ენოდება.

მარტივ აზოტიან სასუქებს მიეკუთვნება: ამონიუმის ნიტრატი NH_4NO_3 , ნატრიუმის ნიტრატი NaNO_3 , კალციუმის გვარჯილა $\text{Ca}(\text{NO}_3)_2$, ამონიუმის სულფატი $(\text{NH}_4)_2\text{SO}_4$, თხევადი ამიაკი, ამიაკიანი ნიჟალი, შარდოვანა $\text{CO}(\text{NH}_2)_2$ და სხვ.

აზოტს შეიცავს აგრეთვე ისეთი კომპლექსური სასუქები, როგორიცაა: ამონიუმის დიპიდროორთოფოსფატი (ამოფოსი) $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$, ამონიუმის ჰიდროორთოფოსფატი (დიამოფოსი) $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$, კალიუმის გვარჯილა KNO_3 და სხვ.

აზოტიანი სასუქების საწარმოებლად გამოიყენება ამიაკი, აზოტმჟავა და მისი მარილები, ზოგჯერ – აზოტის დოქსიდიც:



სასუქები ნიადაგში გარდაიქმნება მცენარეთა მიერ ათვისებად ფორმად, მაგალითად:



მინერალურ აზოტიან სასუქებთან ერთად გამოიყენება ორგანული აზოტიანი სასუქებიც (ნაკელი, ფრინველების სკორე და სხვ.).

ეს საინტერესოა

ყოველწლიურად ერთ ჰა-ზე მოწეულ სიმინდის მოსავალს ნაერთების სახით თან გამოიაქვს 80 კგ აზოტი. ამიტომ, აზოტის მარაგის ალსაფენად, აუცილებელია ნიადაგში პერიოდულად ორგანული და მინერალური აზოტიანი სასუქების შეტანა.

საკვანძო სიტყვები

- საკვები ელემენტები
- მინერალური სასუქები
- მარტივი, რთული და შერეული სასუქები
- სასუქების კვებითი ლირებულება

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. განსაზღვრეთ კომპლექსური (რთული) სასუქები:

1. NH_4NO_3 2. NaNO_3 3. KNO_3 4. $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$ 5. $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$

2. მიუთითეთ მარტივი სასუქები:

1. NaNO_3 2. KNO_3 3. $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$ 4. $\text{CO}(\text{NH}_2)_2$

3. რომელი სქემით იღებენ მრეწველობაში ამონიუმის გვარჯილასა და ამონიუმის სულფატს?


1. $\text{NH}_3 + \text{HNO}_3 \rightarrow$ 2. $\text{NH}_4\text{Cl} + \text{AgNO}_3 \rightarrow$ 3. $2\text{NH}_4\text{Cl} + \text{Ag}_2\text{SO}_4 \rightarrow$
 4. $2\text{NH}_3 + \text{H}_2\text{SO}_4 \rightarrow$ 5. $3\text{NH}_4\text{OH} + \text{Fe}(\text{NO}_3)_3 \rightarrow$

4. რამდენი გვ. (გ.კ.) ამიაკია საჭირო 2,3 ტ ამონიუმის დიპიდროორთოფოსფატის მისაღებად? $M_f(\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4) = 115$.

31 ცოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები



- რა შეიძლება იყოს სურ. 1-ზე გამოსახული კომპოსტოს ნელი განვითარების მიზეზი?
- რა განსხვავებას ამჩნევთ სურ. 2-ზე გამოსახულ ხორბლის თავთავების ორ ნაკრებს შორის? რით შეიძლება იყოს ეს განპირობებული?
- რას უნდა უკავშირდებოდეს სურ. 3-ზე და 4-ზე გამოსახული ბანანების გარეგნული სახის განსხვავებულობა?



საქმიანობა

სასუქების კლასიფიკაცია

ფოსფორიანი სასუქების (1-5) შედეგის მიხედვით, შეავსეთ ცხრილი:

1. $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$ 2. $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$ 3. CaHPO_4 4. $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$ 5. $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$

მარტივი სასუქი	კომპლექსური სასუქი	მაკროსასუქი	მიკროსასუქი	ისენება ნყალში	არ ისენება ნყალში

სოფლის მეურნეობაში ფოსფორიან სასუქებად გამოიყენება იონური ფოსფორიანი სასუქები სელს უწყობს ნაყოფის განვითარებას. მცენარეები მათ ითვისებს ნყალში ხსნადი $[\text{H}_2\text{PO}_4]^-$ და $[\text{HPO}_4]^{2-}$ იონების სახით.

განსაკუთრებით ფართოდ გამოყენებულ ფოსფორიან სასუქებს მიეკუთვნება:

- ფოსფორიტის ფქვილი. მას იღებენ ფოსფორიტების დაფქვით. ფოსფორიტის ფქვილის ძირითად ნაწილს შედგენს კალციუმის იონური $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$, რომელიც ნყალში მცირედ ხსნადია. მჟავების მოქმედებით ის გარდაიქმნება ხსნად ნაერთებად, ამიტომ მოცული სასუქი შეაქვთ მჟავა ნიადაგებში ან ისეთ სასუქებთან ერთად, რომელთა პიდროლიზისას მჟავა არე წარმოიქმნება (მაგ., NH_4NO_3).


2. მარტივი სუპერფოსფატი $[\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2 + 2\text{CaSO}_4]$. მარტივი სუპერფოსფატი მიიღება ფოსფორიტის (ან აპატიტის) გოგირდმჟავასთან ურთიერთების შედეგად. ის ნყალში ნაწილობრივ იხსნება. ნიადაგში შეაქვთ როგორც გრანულების, ისე ფხვნილის სახით.



3. ორმაგი სუპერფოსფატი $\text{Ca}(\text{H}_2\text{PO}_4)_2$. მარტივი სუპერფოსფატისგან განსხვავებით, ის არ შეიცავს ბალასტს CaSO_4 . ორმაგი სუპერფოსფატი ნყალში ხსნადია. მას იღებენ შემდეგი რეაქციებით:



4. პრეციპიტატი $\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$. ჩვეულებრივ, მას იღებენ ორთოფოსფორმჟავას ჩამქრალ კირთან ან კირქვასთან ურთიერთებულებით: $\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$.



პრეციპიტატი გამოიყენება ყველა სახის ნიადაგში და სხვადასხვა კულტურისათვის.

5. ძვლის ფევილი შედგება ძირითადად კალციუმის ორთოფოსფატისგან. მას იღებენ შინაური ცხოველების ძვლების დაფევით.

ფოსფორის შეიცავს აგრეთვე ამოფოსები და ნიტროფოსკები.

6. ამოფოსი $\text{NH}_4\text{H}_2\text{PO}_4$ და დიამოფოსი $(\text{NH}_4)_2\text{HPO}_4$ კომპლექსური სასუქებია, რომლებიც შეიცავს ორ საკვებ ელემენტს – აზოტსა და ფოსფორს:



7. ნიტროამოფოსკა (ნიტროფოსკა) შერეული სასუქია, რომელიც სამ საკვებ ელემენტს – N, P და K – შეიცავს:



ამგვარად, ფოსფორიანი სასუქების ნარმოებაში ნედლეულად ძირითადად გამოიყენება ფოსფორიტი $\text{Ca}_3(\text{PO}_4)_2$.

კალიუმიანი სასუქები

მცენარეთა ნორმალური განვითარებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე კალიუმიანი სასუქები. კალიუმი აჩქარებს ფოტოსინთეზის პროცესს და ხელს უწყობს ნახშირწყლების დაგროვებას. ამიტომ კალიუმის მოპოვებული მარილების 90% გამოიყენება სასუქებად. უმნიშვნელოვანეს კალიუმიან სასუქებს მიეკუთვნება:

1. დაფევილი ბუნებრივი მარილები. ძირითადად, ესენია მინერალები: სილვინი KCl , სილვინიტი $\text{NaCl} \cdot \text{KCl}$, კაინიტი $\text{KCl} \cdot \text{MgSO}_4 \cdot 3\text{H}_2\text{O}$, კარნალიტი $\text{KCl} \cdot \text{MgCl}_2 \cdot 6\text{H}_2\text{O}$ და სხვ.

2. ხის ან ტორფის ნაცარი (შეიცავს კალიუმის მარილს, K_2CO_3 -ს).

ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქების კვებითი ლირებულება

სასუქებში P_2O_5 -ის ან K_2O -ის მასური წილის გამოთვლას პირობითი ხასიათი აქვს, ვინაიდან სასუქები არ შეიცავს ამ ფოტომულების შესატყვის ნაერთებს. თითოეული ამ ოქსიდის მასურ წილს სასუქებში ითვლიან შემდეგი წესით: ოქსიდის ფარდობითი მოლეკულური მასა იყოფა სასუქის მოლეკულურ მასაზე, იმ პირობით, რომ საკვები ელემენტის ატომების რიცხვი იქსიდში და სასუქში ერთნაირი იყოს.

ფოსფორიანი სასუქების კვებითი ლირებულების გამოთვლა

(1) გამოთვალეთ ფოსფორ(V)-ის ოქსიდის P_2O_5 მასური წილი პრეციპიტატში ($\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$). $M_r(\text{P}_2\text{O}_5) = 142$, $M_r(\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}) = 172$.

ამოხსნა:

$$\omega(\text{P}_2\text{O}_5), \% = \frac{M_r(\text{P}_2\text{O}_5)}{M_r[\text{CaHPO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}]} \cdot 100\% = \frac{142}{344} \cdot 100\% = 41,3\%$$

ამოცანა 1. გამოთვალეთ ფოსფორ(V)-ის ოქსიდის P_2O_5 მასური წილი ორმაგ სუპერ-ფოსფატში $[Ca(H_2PO_4)_2]$ და განსაზღვრეთ, რამდენ კგ პრეციპიტატი უნდა შევიტანოთ ნიადაგში, რომ მან შეცვალოს 40 კგ ორმაგი სუპერფოსფატი.

$$M_r(P_2O_5) = 142, M_r(Ca(H_2PO_4)_2) = 234, M_r(CaHPO_4 \cdot 2H_2O) = 172.$$

კალიუმიანი სასუქების კვებითი ლირებულების გამოვლა

(2) გამოთვალეთ კალიუმის ოქსიდის K_2O მასური წილი კალიუმის ქლორიდში. $M_r(K_2O) = 94, M_r(KCl) = 74,5.$

ამოხსნა:

$$\omega(K_2O), \% = \frac{M_r(K_2O)}{M_r(KCl) \cdot 2} \cdot 100\% = \frac{94}{74,5 \cdot 2} \cdot 100\% = 63,1\%$$

ამოცანა 2. გამოთვალეთ კალიუმის ოქსიდის K_2O მასური წილი პოტაშში.

$$M_r(K_2O) = 94, M_r(K_2CO_3) = 138.$$

საკანძო
სიტყვები

- ფოსფორიტის ფერი და ორმაგი სუპერფოსფატი •
- პრეციპიტატი • სილვინიტი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი სქემით იღებენ მარტივ სუპერფოსფატს?

- $CaO + H_3PO_4 \rightarrow$
- $Ca_3(PO_4)_2 + 4H_3PO_4 \rightarrow$
- $Ca(OH)_2 + H_3PO_4 \rightarrow$
- $CaCO_3 + H_3PO_4 \rightarrow$
- $Ca_3(PO_4)_2 + 2H_2SO_4 \rightarrow$

2. რა არის მცდარი ორმაგი სუპერფოსფატის მიღებასთან მიმართებაში?

- მიღება იმავე საწყისი ნივთიერებებიდან, რომლებიდანაც ორმაგი სუპერფოსფატი;
- მიღება ორი რეაქციის შედეგად;
- I რეაქცია შეუქცევადი რეაქციაა;
- II რეაქცია შეუქცევადი რეაქციაა;
- ე) ორივე რეაქცია მიმოცვლის რეაქციაა.

3. რომელი ფორმით ითვისებს მცენარე ნიადაგიდან აზოტსა და ფოსფორს?

- N_2
- NH_3
- NO_2
- $[NH_4]^+$
- $[NO_3]^-$
- $[PO_4]^{3-}$
- $[H_2PO_4]^-$

4. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ ტოლობა, რომლითაც მრეწველობაში იღებენ კალიუმის გვარჯილას:

- | | | |
|------------------------------------|--|--------------------------------|
| 1. $K_2CO_3 + 2HNO_3 \rightarrow$ | 2. $KOH + NO_2 \rightarrow$ | 3. $K_2O + N_2O_5 \rightarrow$ |
| 4. $K_2SiO_3 + 2HNO_3 \rightarrow$ | 5. $KCl(\text{კონც. ხსნ.}) + NaNO_3(\text{კონც. ხსნ.}) \xrightleftharpoons{100^\circ C}$ | |

5. სასუქების შედენილობის ურთიერთშედარებით განსაზღვრეთ, რომელი მათგანი უფრო მდიდარია აზოტით:

$$A_r(K) = 39, A_r(N) = 14, A_r(Na) = 23, A_r(S) = 32, A_r(O) = 16, A_r(C) = 12, A_r(H) = 1.$$

- $NaNO_3$
- KNO_3
- NH_4NO_3
- $CO(NH_2)_2$
- $(NH_4)_2SO_4$


6. რამდენი ტ ორმაგი სუპერფოსფატი უნდა შევიტანოთ ნიადაგში, რომ შევცვალოთ 10 ტ პრეციპიტატი? $M_r(CaHPO_4 \cdot 2H_2O) = 172; M_r(Ca(H_2PO_4)_2) = 234.$

შემაჯამებელი დავალებები


1. მიუთითოთ სწორი გამონათქვამი. აზოტი...

- ა) წყალში ცუდად იხსნება;
- ბ) მყარ მდგომარეობაში აქვს მოლეკულური აღნაგობა;
- გ) წყალბადზე 14-ჯერ მძიმეა;
- დ) ჰაერში (6.3.) ორნავ მძიმეა;
- ე) თხევად მდგომარეობაში დუღს ძალიან დაბალ ტემპერატურაზე.

2. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ რეაქციების სქემები, რომელთა მიმდინარეობა მოცემულ პირობებში შესაძლებელია:



3. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ სქემები. მიუთითოთ ამიაკის ძირითადი თვისებების ამსახველი ტოლობები:



4. რა არის მცდარი ამიაკისა და აზოტმჟავასთვის?

- ა) ერთ მათგანში აზოტი აღმდგენია, მეორეში კი – მჟანგავი;
- ბ) 20°C-ზე ისნი იმყოფება სხვადასხვა აგრეგატულ მდგომარეობაში;
- გ) ერთ მათგანი ნარმოქმნება მეორის მეტალებით აღდგენისას;
- დ) მრეწველობაში ერთი გამოიყენება მეორის მისაღებად;
- ე) ჩვეულებრივ პირობებში ორივე არამდგრადი ნივთიერებაა.

5. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. ამონიუმის კატიონში...

- ა) არსებობს დინორულ-აცცეპტორული მექანიზმით ნარმოქმნილი ბმა;
- ბ) აზოტი ეპ³⁻-პიპრიდულ მდგომარეობაშია;
- გ) აზოტი 5 სავალენტო ელექტრონიდან ბმის ნარმოსაქმნელად იყენებს 4-ს;
- დ) აზოტის უანგვის რიცხვია -3;
- ე) აზოტის ვალენტობაა IV.


6. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ დაშლის რეაქციათა სქემები:



7. განსაზღვრეთ სწორი გამონათქვამები:

1. სქემით $\text{Na}_2\text{HPO}_4 + \text{H}_3\text{PO}_4 \rightarrow$ რეაქცია მიმდინარეობს;
2. სქემით $\text{Na}_3\text{PO}_4 + \text{H}_3\text{PO}_4 \rightarrow$ რეაქცია მიმდინარეობს;
3. 1 მოლი P_2O_5 და 1 მოლი წყალი ნარმოქმნის მჟავას HPO_3 ;
4. $\text{H}_4\text{P}_2\text{O}_7$ -ს ენოდება პიროფოსფორმჟავა;
5. HPO_3 -ს ენოდება მეტაფოსფორმჟავა.

8. მიუთითოთ ორმაგი სუპერფოსფატის ფორმება:



9. მარილთა შედგენილობის ურთიერთშედარებით განსაზღვრეთ, რომელი უფრო მდიდარია კალიუმით.

$$A_r(\text{K}) = 39, A_r(\text{Cl}) = 35,5, A_r(\text{Mg}) = 24, A_r(\text{Na}) = 23, A_r(\text{S}) = 32, A_r(\text{O}) = 16, A_r(\text{H}) = 1.$$

$$\text{ა) } \text{KCl} \cdot \text{NaCl} \quad \text{ბ) } \text{KCl} \quad \text{გ) } \text{K}_2\text{SO}_4 \quad \text{დ) } \text{MgCl}_2 \cdot \text{KCl} \cdot 6\text{H}_2\text{O} \quad \text{ე) } \text{MgSO}_4 \cdot \text{KCl} \cdot 3\text{H}_2\text{O}$$

10. რამდენი ლ (6.3.) აზოტი გამოიყოფა 16 გ ამონიუმის ნიტრიტის დაშლისას?

$$M_r(\text{NH}_4\text{NO}_2) = 64.$$

ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტები

32 ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტების ზოგადი დახასიათება. ნახშირბადი




- რა აქს საერთო კირქვას, ნახშირმჟავა აირს, ბუნებრივ აირს, ნავოობს, ნახშირს?
- რომელი ელემენტი წარმოქმნის ნაერთების უდიდეს რიცხვს?

ნახშირბადის ქვეჯგუფში შედის ნახშირბადი C, სილიციუმი Si, გერმანიუმი Ge, კალა Sn და ტყვია Pb.

საქმიანობა

ნახშირბადის ატომის ვალენტობის შესახებ

ნახშირბადის ატომის გარე ენერგეტიკული დონის აღნაგობის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:



- რა არის საერთო C, N, და F ატომების გარე ენერგეტიკული დონის აღნაგობაში?
- F, O და N ატომების $2s^2$ ელექტრონული ნივილისგან განსხვავებით, რატომ იხლიჩება ნახშირბადის ატომის $2s^2$ ელექტრონული ნივილი?
- რატომაა ერთნაირი და ჯგუფის ნომრის ტოლი ნახშირბადის ქვეჯგუფის ელემენტების ვალენტობა?

ამ ატომების გარე ენერგეტიკულ დონეზე იმყოფება 4 ელექტრონი (ns^2np^2), ამიტომ, როგორც მთავარი ქვეჯგუფის ელემენტები, ისინი ავლენს უანგვის უმაღლეს რიცხვს +4, აგრეთვე უანგვის რიცხვს +2 (SiO , CO , $PbCl_2$, $SnCl_2$).

რიგში C–Si–Ge–Sn–Pb ელემენტების არამეტალური თვისებები სუსტდება, ხოლო მეტალური თვისებები ძლიერდება. C და Si არამეტალებია, ხოლო Ge, Sn და Pb – მეტალები.

ცხრილი 32.1. ნახშირბადისა და სილიციუმის ზოგიერთი მახასიათებელი

ელემენტი	სავალენტო ელექტრონები	ატომის რადიუსი, ნმ	ფარდობითი ელექტროუარყოფითობა	უანგვის რიცხვი (ნაერთებში)
ნახშირბადი, C	$2s^22p^2$	0,077	2,5	$-4 \div +4$
სილიციუმი, Si	$3s^23p^2$	0,117	1,8	$-4, +2, +4$

ნახშირბადი

ალმოჩენა. ნახშირბადი უძველესი დროიდან არის ცნობილი. ქიმიურ ელემენტად ის აღიარეს 1775 წელს (ლავუაზიე, საფრანგეთი).

არაორგანულ ნაერთებში ნახშირბადის უანგვის რიცხვი ძირითადად +4-ია (CO -ში +2), ხოლო ორგანულ ნაერთებში იცვლება -4-დან +4-მდე (ნულის ჩათვლით).


მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. ნახშირბადი მოთავსებულია მე-2 პერიოდის IV ჯგუფის მთავარ ქვეჯგუფში. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^2$. ის ქიმიურ ბმებს წარმოქმნის აღგზნებულ მდგომარეობაში, ავლენს რა ამ დროს ოთხის ტოლ ვალენტობას.

ბუნებაში გავრცელება. ნახშირბადი ბუნებაში გვხვდება როგორც თავისუფალი (ძირითადად, ალმასი და გრაფიტი), ისე ნაერთების სახით. ჰედის კარბონატების შედგენილობაში, როგორიცაა: კალციტი (კირქვის, ცარცისა და მარმარილოს ძირითადი შემადგენელი ნაწილი) CaCO_3 , მაგნეზიტი MgCO_3 , დოლომიტი $\text{MgCO}_3 \cdot \text{CaCO}_3$, რკინის შპატი ანუ სიდერიტი FeCO_3 და სხვ. ორგანული ნივთიერებების სახით ნახშირბადს შეიცავს: ქვანახშირი, მურა ნახშირი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ბიტუმი და სხვ.

მიღება. ნახშირბადი ალმასისა და გრაფიტის სახით მოიპოვებენ დედამინის ნიაღლიდან. ალმასი და გრაფიტი შეიძლება მივიღოთ ხელოვნურადაც. ნახშირის სახით (კოქსი, ჭვარტლი, ხის ნახშირი) ნახშირბადი ნარმოიქმნება ორგანული ნივთიერებების თერმული დაშლისას (1000°C). ჰაერის მიწოდების გარეშე.

ფიზიკური თვისებები. **ალოტროპიული სახესხვაობები.** ნახშირბადი წარმოქმნის რამდენიმე ალოტროპიულ სახესხვაობას: ალმასს, გრაფიტს, კარბინსა და ფულერებს.

(1) ალმასის (1), გრაფიტის (2), კარბინის (3) და ფულერენის C_{60} (4) კრისტალური მესურები. ნახშირბადის ნანომილი (5). ის შეიძლება წარმოიდგინოთ ცილინდრულ დახვეული გრაფიტის ბრტყელი ფენის სახით.




1. ალმასი გამჭვირვალე, უფერო, კრისტალური ნივთიერებაა ატომური კრისტალური მესრით. ალმასში C ატომები sp^3 -ჰიბრიდულ მდგომარეობაშია, ამიტომ ნახშირბადის თითოეული ატომი ტეტრაედრულადაა შეერთებული ოთხ სხვა C-C -ატომთან, რომელთა შორის მანძილი ერთნაირია (ა - 1). C-C ბმა მტკიცე, არაპოლარულ-კოვალენტური ს-ბმაა. ამით აისანება ალმასის დიდი სიმაგრე და ძნელდნობადობა. ალმასი არ ატარებს ელექტრულ დენს. მას იყენებენ მინის საჭრელად, ქანების გასაბურღად.

2. გრაფიტი ნაცროსფერი რბილი ნივთიერებაა სუსტი მეტალური ბზინგარებით. გრაფიტში C -ატომები sp^2 -ჰიბრიდულ მდგომარეობაშია, ამიტომ მის კრისტალურ მესერში C -ატომები განლაგებულია წესიერი ექვსკუთხედებისგან შედგენილ ბრტყელ ფენებად (ა-2). ყოველი C -ატომის მეოთხე სავალენტო ელექტრონი, მეტალების სავალენტო ელექტრონების მსგავსად, ზემოხსენებული ფენების ფარგლებში მოძრავია. სწორედ ამით აისანება გრაფიტის თბო- და ელექტროგამტარობა, აგრეთვე მეტალური ბზინვარება.

გრაფიტი რბილია, ადვილად განშრევდება (ტოვებს რა კვალს ქალალდზე), ქიმიურად ალმასზე უფრო აქტიური, მაგრამ ძალზე ძნელდნობადია.

გრაფიტს ხელოვნურად იღებენ კოქსიდან. მას იყენებენ ელექტროდების, ფანქრების დასამზადებლად, საცხებ მასალად და ნეიტრონების მშთანთქმელად ბირთვულ რეაქტორებში.


ცოდნის ზოდაშეა კარბინი (ა-3) შავი ფერის წვრილდისპერსული ფენილია. არსებობს პოლიინისა და პოლიურეულენის სახით. ორივე ფორმაში ნახშირბადის ატომები sp-პიბრიდულ მდგომარეობაშია:




ფულერენები C_{60} , C_{70} , C_{84} მოლეკულებისგან წარმოქმნილი ნივთიერებებია (ა-4). მიღებულია ხელოვნურად.

ნახშირბადის ყველა ალოტროპიული სახესხვაობა მაგარი, ძნელდნობადი, უგემო და უსუნო ნივთიერებაა. ისინი არ იხსენება ჩვეულებრივ გამხსნელებში.


ქიმიური თვესებები. ჩვეულებრივ პირობებში ნახშირბადი ძალიან ინტრტულია. გაცხელებისას ის აქტიურდება. რეაქციებში ნახშირბადი ძირითადად აღმდგენ თვისებებს ავლენს. არ რეაგირებს ქლორთან, ბრომთან და იოდთან.



როგორც მუანგავი, ნახშირბადი რეაგირებს ზოგიერთ მეტალთან და წყალ-ბადთან. ნახშირბადის ნაერთებს მეტალებთან კარბიდები ენოდება.




კარბიდები წარმოქმნება აგრეთვე ზოგიერთი მეტალის ოქსიდის ნახშირბად-თან ურთიერთქმედებისას:



გამოყენება. ნახშირბადი (გრაფიტი, ჭვარტლი, კოქსი) გამოიყენება სინთეზური (ხელოვნური) ალმასების, შავი სალებავების (კარტრიჯების, ტიპოგრაფიული სალებავების), ფერხსაცმლის საცხის, რეზინის მისალებად. მას იყენებენ მეთილის სპირტის, სინთეზური ბენზინის, კალციუმის კარბიდის და სხვ. წარმოებაში. ნახშირბადის გამოყენების სფეროებს განეკუთვნება აგრეთვე ალმასისა და ხის ნახშირის გამოყენება.

ცოდნის ზარდაბშა. ხის ნახშირის ადსორბციული უნარი ხის ნახშირის დამახასიათებელი განსაკუთრებულობაა მისი უნარი, მოახდინოს ადსორბცია და დესორბცია. მოცემულ თვისებას განპირობებს მისი ფორმვანი სტრუქტურა. 1 გ ხის ნახშირს აქვს 800 მ² ფართობის ზედაპირი. მყარი ნივთიერების ზედაპირთ აირებისა და გასხილის ნივთიერებების შთანთქმას ადსორბცია ეწოდება, ხოლო შთანთქმული ნივთიერებების გამოყოფას – დესორბცია. ჩვეულებრივ, დესორბცია შეიმჩნევა ხის ნახშირის გაცურებისას.

ადსორბციული უნარის გაზრდის მიზნით ხის ნახშირს აძეტიურებენ. გააძტიურებული ნახშირი გამოიყენება შაქრის სიროფის, მცენარეული ზეთბისა და ცხიმების, ეთანოლის გასახმენდად; მედიცინაში, „კარბოლენის“ სახელწოდებით, ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოსაყვანად; აირნინალებში, როგორც მომნამღვივი ნივთიერებების მმთანთქმელი, აგრეთვე ზოგიერთი რეაქციის კატალიზატორად.



ხის ნახშირის ფორმვანი აღნაგობა

აზოტ(IV)-ის ოქსიდის ადსორბცია
გააძტიურებული ნახშირით



საკვანძო სიტყვები

- ალმასი • გრაფიტი • კარბინი • ფულერენი • ხის ნახშირი • ადსორბცია • კარბიდები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება


1. რა არის მცდარი ნახშირპადის ქვეჯგუფის ელემენტებისთვის?

- პ-ელემენტებია;
- ნარმოქმნის RH₄ ტიპის ნიუკლეარული განვითარება;
- ნარმოქმნის RO₂ შედგენილობის უმაღლეს რესიდებს;
- ავლენის +4-ის ტოლ უმაღლეს ჟანგვის რიცხვს;
- ყველა მათგანი არამეტალია.


2. ნახშირპადის რომელ ალორტროპულ სახესვაობას მიეკუთვნება გამონათქვამები:

1. ატარებს ელექტრულ დენსს; 2. რბილია;
3. აქვს მეტალური პზინვარება; 4. აქვს არამოლეულური აღნაგობა.
- ა) გრაფიტის; ბ) ალმასს; გ) კარბინს; დ) ფულერენს; ე) კარბინსა და ფულერენს.

3. დასრულეთ სქემები და მიუთითეთ რეაქციები, რომლებშიც ნახშირპადი ავლენს მუანგავ თვისებებს:



4. კოეფიციენტების გათვალისწინებით შეათვინეთ რეაქციათა ტოლობები:



5. შეადარეთ ალმასისა და გრაფიტის აღნაგობა, თვისებები და გამოყენების სფეროები.

6. რას ემყარენა გააძტიურებული ნახშირის აირნინალებში გამოყენება?

7. რამდენი მ³ (ნ.პ.) ნიულის აირი შეიძლება მივიღოთ 1,2 კგ გავარვარებული ნახშირის ნიულის ორთქლთან ურთიერთქმედებით?

8. შეადგინეთ გარდაქმნების ტოლობები: $C \xrightarrow{1} CH_4 \xrightarrow{2} CO_2 \xrightarrow{3} C \xrightarrow{4} CaC_2 \xrightarrow{5} C_2H_2$

33 ნახშირბადის ოქსიდაცი



– რომელი ნივთიერება გამოიყენება გადასატან მაცივრებში მალფუჭებადი პროდუქტების შესანახად?

ცნობილია ნახშირბადის ორი ოქსიდი: ნახშირბადის მონოოქსიდი CO და ნახშირბადის დიოქსიდი CO_2 .

საქმიანობა

ნახშირმჟავა აირის მიღება და თვისებები

უზუნველყოფა: მარმარილოს ნაფხვენი, მარილმჟავა, კირიანი წყალი, საცობი გაზგმივანი მილიო, 3 სინჯარა, ჭიქა, კვარი, დისტილირებული წყლი, ლაკმუსის ხსნარი.

სამუშაო მსვლელობა: სინჯარაში მოათავსეთ ცოტაოდენი მარმარილოს ნაფხვენი და დაუმატეთ 2-3 მლ მარილმჟავა. გამოყოფილი ნახშირმჟავა აირის ნანილი შეაგროვეთ ჭიქაში, მეორე ნანილი კი გაატარეთ სხვა სინჯარაში ჩასხმულ დისტილირებულ წყალში; აირის დარჩენილი ნანილი 2-3 წუთის განმავლობაში გაატარეთ მესამე სინჯარაში მოათავსებულ კირიან წყალში, რის შემდეგაც სინჯარიდან ამოიღეთ გაზგმივანი მილი. სინჯარას დისტილირებული წყლით დაამატეთ 1-2 წვეთი ლაქმუსის ხსნარი, ხოლო ჭიქაში შეიტანეთ ანთებული კვარი და დაკვირდით მიმდინარე მოვლენებს.

განიხილეთ შედეგები:

- საიდან ნარმოიქმნა ნახშირმჟავა აირი? მის რომელ თვისებებს აკვირდებოდით ცდის განმავლობაში?
- რა ხდება დისტილირებულ წყალში ნახშირმჟავა აირის გატარებისას? პასუხი დაასაბუთეთ.
- რატომ იმღვრევა ხსნარი კირიან წყალში ნახშირმჟავა აირის გატარებისას?

ნახშირბადის მონოოქსიდი CO (ნახშირბად(II)-ის ოქსიდი, მხუთავი აირი)

აღნაგობა. ნახშირბადის მონოოქსიდის აღნაგობა ასე გამოისახებს: $\text{C} \rightleftharpoons \text{O}^{+2} \leftarrow ^{-2}$


სამშაგი ბმიდან ერთი (\leftarrow) ნარმოიქმნება დონორულ-აქცეპტორული მექანიზმით: O-ატომი ელექტრონული წყვილის დონორია, ხოლო C-ატომი – აქცეპტორი. ნახშირბადის მონოოქსიდში ნახშირბადისა და უანგბადის ატომები სამვალენტიანია, ხოლო მათი უანგვის რიცხვებია, შესაბამისად, $+2$ და -2 .

მიღება. ლაბორატორიაში ნახშირბადის მონოოქსიდის იღებენ ძირითადად ჭიანჭველმჟავაზე კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოქმედებით:



მრეწველობაში CO მიღება გენერატორის აირისა და წყლის აირის სახით:

ცოდნის ზარდაშება • გავარაებულ ნახშირზე (1000°C) ჰაერის (O_2+4N_2) გატარებისას ნარმოიქმნება გენერატორის აირი, ხოლო წყლის ორთქლის გატარებისას – წყლის აირი:



მყარი სათბობის აირად სათბობად გარდაქმნას სათბობის გაზიფიკაცია ეწოდება.


სუფთა ნახშირბადის მონოოქსიდს იღებენ ტოლობით: $\text{CO}_2 + \text{C} \xrightarrow{t} 2\text{CO}$

ფიზიკური თვისებები. ნახშირბადის მონოქსიდი უფერო, უსუნო, ჰაერზე ოდნავ მსუბუქი აირია. ძლიერ მომნამლავია. წყალში ცუდად იხსნება. ნახშირბადის მონოქსიდის ჩასუნთქვისას, მისი ჰემოგლობინთან შეერთების გამო, უკიდურესად ძნელდება ორგანიზმის უანგბადით მომარავება, რასაც სასიკვდილო შედეგის გამოწვევა შეუძლია. CO არ შთაინთქმება გააქტიურებელი ნახშირით.

ქიმიური თვისებები. ნახშირბადის მონოქსიდი მარილარნარმომქმნელი ოქსიდია. რეაქციებში ავლენს ძლიერ აღმდგენ თვისებებს, მაგალითად, ჰაერზე იწვის ცისფერი ალით, ოქსიდებიდან აღადგენს ზოგიერთ მეტალს:



მიუხედავად იმისა, რომ ნახშირბადის მონოქსიდი მარილარნარმომქმნელი ოქსიდია, მაღალ წნევაზე ის ურთიერთქმედებს გამლვარ ტუტესთან:



გამოყენება. ნახშირბადის მონოქსიდი გამოიყენება მეტალების ალსადგენად მათი ნაერთებიდან, ხელოვნური აირადი საწვავის შემადგენელ ნაწილად და ორგანულ სინთეზებში.

ნახშირბადის დიოქსიდი CO_2 (ნახშირბად(IV)-ის ოქსიდი, ნახშირმჟავა არი)

აღნაგობა. ნახშირბადის დიოქსიდის ელექტრონულ და სტრუქტურულ ფორმულებს ასე გამოისახავენ:



C ატომი sp -ჰიბრიდულ მდგომარეობაშია. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე კოვალენტური ბერძნები (ორი σ - და ორი π -ბერძნები) პოლარულია, მთლიანად მოლეკულა, მისი წრფივი აღნაგობის გამო, არაპოლარულია.

ბუნებაში გავრცელება. ნახშირბადის დიოქსიდი გვხვდება ჰაერისა ($0,03\%$) და ბუნებრივი მინერალური წყლების (ბადამლი, ბორჯომი, ისტისუ, სირაბი) შედგენილობაში. პლანეტა ვენერას ატმოსფერის 90% ნახშირბადის დიოქსიდია. დედამინაზე ნარმოიქმნება წვისას, ლპბისას, ორგანული ნივთიერებების დულილისას, აგრეთვე მცენარეებისა და ცხოველების სუნთქვისას. მონაწილეობს ფოტოსინთეზის პროცესში.


მიღება. ლაპორატორიაში ნახშირბადის დიოქსიდს იღებენ მარმარილოზე ან ცარცულზე მარილმჟავას მოქმედებით:



მრეწველობაში ნახშირბადის დიოქსიდი მიღება კირქვის დაშლით ჩაუმქრალი კირის წარმოებისას და ნახშირნებლბადების სრული წვით:



აგრეთვე ბიოქიმიურ პროცესებში, მაგალითად, გლუკოზის სპირტული დუღილისას:



ფიზიკური თვისებები. ნახშირბადის დიოქსიდი უფერო, უსუნო, ჰაერზე 1,5-ჯერ მძიმე აირია. ხელს არ უწყობს წვასა და სუნთქვას. ნახშირმჟავა აირის

დაგროვებისას ადგილებში ადამიანი და ცხოველები ვერ სუნთქავენ. 20°C -ზე და $0,1$ მპა-ზე 1 ლ წყალში იხსნება 880 მლ CO_2 . გაზიანი წყალი ნახშირბადის დიოქსიდის წყალხსარია. 20°C -ზე და $5-6$ მპა წნევაზე ნახშირბადის დიოქსიდი თხევადდება. თხევადი ნახშირბადის დიოქსიდის აორთქლებას თან ახლავს სითბოს დიდი რაოდენობის შთანთქმა, რის შედეგადაც სითხის დარჩენილი ნაწილი (ცივდება რა -56 , 20°C -მდე) გარდაიქმნება თოვლისებრ მასად – „მშრალ ყინულად“.

„მშრალი ყინული“ ჩვეულებრივ პირობებში ენერგიულად სუბლიმირდება და გარემომცველ არეს აცივებს. ამ თვისების გათვალისწინებით, „მშრალი ყინული“ გამოიყენება მალიუტებადი საკვები პროდუქტების შესაბამად.

ქიმიური თვისებები. ნახშირბადის დიოქსიდი მუავა ოქსიდია. მას აქვს მუავა ოქსიდების დამახასიათებელი ზოგადი და სპეციფიკური თვისებები.


I. როგორც მუავა ოქსიდი, ის იხსნება წყალში არამდგრადი, სუსტი ნახშირ-მუავას წარმოქმნით. წონასწორობა გადანაცვლებულია მარცხნივ:



სხვა მუავა ოქსიდების მსგავსად, ნახშირბადის დიოქსიდი ურთიერთქმედებს ფუძე ოქსიდებთან და ტუტებთან. რეაქციათა შედეგად წარმოქმნება კარბო-ნატები და ჰიდროკარბონატები.


II. ნახშირბადის დიოქსიდის სპეციფიკურ თვისებებია:

1. ნახშირბადის დიოქსიდის კირიან წყალში გატარებისას ხსნარი იმღვრევა კალციუმის კარბონატის წარმოქმნის გამო (ტოლ. ა).



ეს რეაქცია გამოიყენება ნახშირბადის დიოქსიდის განსაზღვრისთვის.

ცოდნის ზარდაბება • მაღალ ტემპერატურაზე ნახშირბადის დიოქსიდი ავლენს მუავაგა თვისებებს (ტოლ. 1,2). მაგალითად, ანთებული მაგნიუმის ლენტი ნახშირბადის დიოქსიდის აგრძელებას (ტოლ. 2):



2. ნახშირბადის დიოქსიდი ამიაკთან წარმოქმნის ფასეულ სასუს – კარბამიდს:



3. ნახშირბადის დიოქსიდი მონანილეობს ფოტოსინთეზის პროცესში. **გამოყენება.** ნახშირბადის დიოქსიდი გამოიყენება სოდის, გამოეცხი საშუალებების, წამლების, მინერალური და შუშხუნისას მისამართის, კარბამიდის, „მშრალი ყინულის“ მისაღებად, ცეცხლსაქრობ მოწყობილობებში.

განსაზღვრა. ნახშირბადის დიოქსიდი საზღვრავენ კირიანი წყლის შემღვრევით (ტოლ. ა).

საკვანძო
სიტყვები

• გენერატორის აირი • წყლის აირი • „მშრალი ყინული“ • შუთავი აირი •

ცოდნის გამოყენება და შემონბება

1. რა არის მცდარი ნახშირბადის მონოქსიდისთვის?

- ა) უფერო უსური აირია;
- ბ) შედის გენერატორის აირის შედგენილობაში;
- გ) ძლიერ მომწამლავია;
- დ) არ შედის სინთეზ-აირის შედგენილობაში;
- ე) უკრთდება სისხლის ჰემოგლობინს.

2. რა არის მცდარი ნახშირმჟავა აირისთვის?
- საზღვრავენ კირიანი წყლით;
 - ლაპორატორიაში იღებენ სქემით $\text{CaCO}_3 + 2\text{HCl} \rightarrow$;
 - შექცევადად რეაგირებს წყალთან;
 - მრეწველობაში მიიღება მხოლოდ გლუკოზის სპირტული დუღილით;
 - ნარმოქმნის „მშრალ ყინულს“.
3. რა არის მცდარი ნახშირბადის მონომესიდისთვის?
- ძლიერი ალმდგენია;
 - ნახშირბადის არასრული წევის პროდუქტია;
 - შეიძლება იყოს მჟანგავი;
 - არ გამოიყენება მეთანოლის სინთეზში;
 - აირთა ზოგიერთი ხარევის შედგენილობაში გამოიყენება საწვავად.
4. რომელ რეაქციებშია ნახშირბადის მონომესიდი აღმდგენი?
- | | |
|---|--|
| $\text{CO} + \text{H}_2 \rightarrow \text{CH}_3\text{OH}$ | $2\text{CO} + \text{Fe}_3\text{O}_4 \rightarrow 3\text{Fe} + 4\text{CO}_2$ |
| $\text{CO} + \text{NaOH} \rightarrow \text{HCOONa}$ | $4\text{CO} + \text{O}_2 \rightarrow 2\text{CO}_2$ |
5. რომელ რეაქციებშია ნახშირბადის დიოქსიდი მჟანგავი?
- | | |
|--|---|
| $\text{CO}_2 + \text{C} \rightarrow 2\text{CO}$ | $2\text{CO}_2 + 2\text{Mg} \rightarrow 2\text{MgO} + \text{C}$ |
| $\text{CO}_2 + 2\text{NH}_3 \rightarrow \text{CO}(\text{NH}_2)_2 + \text{H}_2\text{O}$ | $4\text{CO}_2 + \text{Ca}(\text{OH})_2 \rightarrow \text{CaCO}_3 \downarrow + \text{H}_2\text{O}$ |
6. ნახშირბადის რომელი აქსიდია ჰაერზე მძიმე? პასუხი დაასაბუთეთ გაანგარიშებით.
7. 12 გ ნივთიერების სრული წევისას ნარმონიქმნა 11,2 ლ (6.პ.) CO_2 . გამოთვალეთ ნახშირბადის მასური წილი (%) საწყის ნივთიერებაში.
8. რამდენი კგ 96%-იანი კალციუმის კარბონატის შემცველი კირქვა უნდა დავშალოთ, რომ მივიღოთ 336 ლ (6.პ.) ნახშირმჟავა აირი? $M_r(\text{CaCO}_3) = 100$.

34 ნახშირმჟავა და მისი მარილები. ნახშირჩადის მიმოქცევა გუცებაში

 - რომელი ნივთიერებები გამოიყენება მინის, ცემენტის, სამშენებლო მასალებისა და საყოფაცხოვრებო გამრეცხი საშუალებების ნარმოებაში?

საქმიანობა

კარბონატების მჟავებთან ურთიერთქმედება

უზრუნველყოფა: ცარცის ფენილი, მარილმჟავა, კირიანი წყალი, სოდის ხსნარი, სინჯარა გაზგამყვანი მილით, 2 სინჯარა, სპირტქურა, ასანთი, კვარი.

საჭუშაოს მსვლელობა: ა) სინჯარაში მოათავსეთ დააბლოებით 0,5 გ ცარცის ფენილი და დაამატეთ 2-3 მლ მარილმჟავა. დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს, თან გამოყოფილი აირი 2-3 წუთის განმავლობაში გაატარეთ სინჯარაში ჩასხმულ კირიან წყალში, რის შემდეგაც იქიდან ამოილეთ გაზგამყვანი მილი. 2-3 წუთის შემდეგ იმავე სინჯარაში ისევ გაატარეთ ნახშირმჟავა აირი და გააგრძელეთ დაკვირვება.

ბ) სოდის ხსნარიან სინჯარას დაამატეთ 2-3 მლ მარილმჟავა და დააკვირდით, რა მოხდება.

განიხილეთ შედეგები:




- რა არის საერთო ცარცის ფენილზე და სოდის ხსნარზე მჟავს მოქმედებისას მოშედარ მოვლენებს შორის? კველა კარბონატი ასე იქცევა შარილმჟავას მოქმედებისას?
- როგორ შეიძლება დავამტკიცოთ, რომ ორივე სინჯარაში გამოიყოფილი აირი ნახშირმჟავა აირია?
- რა შეიძრნება კირიან წყალში ნახშირმჟავა აირის ხანგრძლივი გატარებისას? როგორ ახსნით ამას?

მიღება. ნახშირმჟავა მიიღება ნახშირმჟავა აირის წყალში გახსნით:



ფიზიკური თვისებები. ნახშირმჟავა არსებობს მხოლოდ ხსნარში – ძალიან არა-მდგრადია და ნარმოქმნისთანავე იშლება. მისი ხსნარი უფეროა, აქვს სუსტი მჟავე გემო.

ქიმიური თვისებები. ნახშირმჟავას აქვს მჟავების ზოგადი თვისებები: რეაგირებს აქტიურ მეტალებთან, ფუძე ოქსიდებთან და ფუქეებთან, ნარმოქმნის რანორმალურ და მჟავა მარილებს:



ნახშირმჟავას სპეციფიკური თვისებები დაკავშირებულია მის არამდგრადობასთან და სუსტად გამოხატულ მჟავურ თვისებებთან. წყალხსნარში უმნიშვნელოდ დისოცირდება:




ამ მიზეზით ნახშირმჟავა ლაკმუსის ქალალდს კი არ ანითლებს, არამედ – ავარდისფრებს. ნახშირმჟავა მარილებიდან აძვებს მეტასილიციუმის მჟავას.

ნახშირმჟავას მარილები. ნახშირმჟავა, როგორც ორფუძიანი მჟავა, ნარმოქმნის მარილების ორ რიგს: კარბონატებსა და ჰიდროკარბონატებს.

მიღება. კალციუმის კარბონატი გვხვდება ბუნებაში.

მრეწველობაში კარბონატებიდან ძირითადად ანარმოებენ უწყლო სოდას Na_2CO_3 , კრისტალურ სოდას $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ და საჭმელ სოდას NaHCO_3 . მათ იღებენ შემდეგი თანმიმდევრობით:

NH_3 და CO_2 აირების ნარევის NaCl -ის ცივ ხსნარში გატარებისას ნარმოქმნება ცივ წყალში ცუდად ხსნად ნატრიუმის ჰიდროკარბონატის ნალექი. ამ უკანასკნელის გახურებით მიღება უწყლო სოდა:



უწყლო სოდის წყალში გახსნისას და ხსნარის შემდგომი აორთქლებისას გამოიყოფა კრისტალური სოდა:




სოდის ხსნარის ნახშირბადის დიოქსიდით გაჯერებისას ნარმოქმნება საჭმელი სოდა:



ფიზიკური თვისებები. კარბონატები მყარი კრისტალური ნივთიერებებია. გარდა ნატრიუმის, კალიუმისა და ამონიუმის კარბონატებისა, ყველა დანარჩენი კარბონატი წყალში უხსნადია. ჰიდროკარბონატების ხსნადობა აღემატება კარბონატებისას. მხოლოდ ნატრიუმის ჰიდროკარბონატი უფრო ცუდად ხსნადია, ვიდრე Na_2CO_3 .

ქიმიური თვისებები. კარბონატებს აქვს მარილების ზოგადი და სპეციფიკური თვისებები.


I. სხვა მარილების მსგავსად, ისინი ურთიერთქმედებს მჟავებთან, ხოლო წყალში ხსნადი კარბონატები – ტუტების და მარილებთანაც. გახურებისას (მყარ მდგომარეობაში) კარბონატები იშლება (გარდა Na_2CO_3 -ისა და K_2CO_3 -ისა):



გახურებისას მეტალების ჰიდროკარბონატები გარდაიქმნება კარბონატებად. ჰიდროკარბონატების კარბონატებად გარდაქმნა შეიძლება ტუტის მოქმედებითაც:



პირიქით, კარბონატების ჰიდროკარბონატებში გადასაყვანად ხსნარში აჭარებენ ნახშირბადის დიოქსიდს CO_2 :



ეს პროცესი მიმდინარეობს ბუნებაში და შედეგად ჩნდება წყლის დროებითი (კარბონატული) სიხისტე.

II. კარბონატების სპეციფიკური თვისებები.

1. კარბონატებსა და ჰიდროკარბონატებზე ძლიერი მჟავებით ზემოქმედებისას, ნახშირბადის დიოქსიდის უზი გამოყოფის შედეგად, შეიმჩნევა დამახასიათებელი „დუღილი“:



ეს რეაქციები გამოიყენება კარბონატებისა და ჰიდროკარბონატების განსაზღვრისთვის, აგრეთვე მჟავების ნეიტრალიზაციისთვის.

2. ტუტე მეტალების წყალში ხსნადი კარბონატები განიცდის ჰიდროლიზს. მათ ხსნარებს აქვს ტუტე რეაქცია:



ნახშირმჟავას მარილებს აქვს მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება:

1. ნატრიუმის კარბონატი ანუ უნიველ სოდა გამოიყენება მინის, საპნის წარმოებაში, წყლის დასარბილებლად, აგრეთვე ყოფაში, როგორც გამრეცხი სამუალება.

2. ნატრიუმის ჰიდროკარბონატი ანუ საჭმელი სოდა გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში, ცეცხლსაქრობ მოწყობილობებში, ხელოვნური მინერალური წყლების წარმოებაში.

3. კალიუმის კარბონატი ანუ პოტაში გამოიყენება თხევადი საპნის, ოპტიკური და ძნელდნობადი მინის წარმოებაში.

4. კალიუმის კარბონატი მარმარილოსა და კირქვის სახით გამოიყენება სამშენებლო სამუშაოებში. კირქვიდან იღებენ აგრეთვე ჩაუმქრალ კირს CaO და ნახშირბადის დიოქსიდს.

5. დოლომიტი ($\text{CaCO}_3 \cdot \text{MgCO}_3$) გამოიყენება თუფისა და ფოლადის წარმოებაში.


$(\text{CO}_3)^{2-}$ -ით განსაზღვრა ეფუძნება დამახასიათებელ „დუღილს“ კარბონატებზე ძლიერი მჟავების მოქმედებისას:




ნახშირბადის მიმოქცევა პუნქტაში

დედამიწის ქერქში ნახშირბადი არსებობს კარბონატების, ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის სახით, შედის მცენარეებისა და ცოცხალი ორგანიზმების შედგენილობაში. ჰაერში ნახშირბადი იმყოფება ნახშირბადის დიოქსიდის CO_2 სახით. ბუნებაში ეს ნივთიერება განუწყვეტელ გარდაქმნებს განიცდის. მაგალითად, კირქვა იშლება, სათბობს წვავენ, ცოცხალი ორგანიზმები სუნთქვენ და სიკვდილის შემდეგ იხრნებიან.

ბუნებაში ნახშირბადის მიმოქცევისას მიმდინარე პროცესები მოცემულია (ა) სქემაზე:



ამ გარდაქმნათა უმრავლესობისას ატმოსფეროში CO_2 -ის დიდი რაოდენობა გამოიყოფა. მეორე მხრივ, ფოტოსინთეზის პროცესის მიმდინარეობისას ატმოსფეროდან ნახშირმჟავა აირი შთაინთქმება და უანგბადი გამოიყოფა. ამიტომ ატმოსფეროში CO_2 -ის რაოდენობა შესამჩნევად არ იცვლება ($\approx 0,03\text{-}0,035\%$).



საკვანძო
სიტყვები

• კარბონატები • ჰიდროკარბონატები • უნილო სოდა • საჭმელი სოდა • კრისტალური სოდა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. ნახშირმჟავა...

- ნარმოქმნის მჟავა და საშუალო მარილებს;
- ნარმოქმნება სქემით: $\text{H}_2\text{O} + \text{CO}_2 \rightleftharpoons$;
- სუსტი მჟავა;
- რეაგირებს Na_2SiO_3 -თან;
- ფერს არ უცვლის ლაქმუსა.

2. რა არის მცდარი ნახშირმჟავას მარილებისთვის?

- CaCO_3 შედის ბევრი მინერალის შედგენილობაში;
- სოდას და საჭმელ სოდას იღებენ მრეწველობაში;
- $\text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O}$ -ს ენოდება კრისტალური სოდა;
- NaHCO_3 -ს ენოდება უნილო სოდა;
- K_2CO_3 -ს ენოდება პოტაში.

3. დასარულეთ რეაქციათა სქემები და მიუთითოთ რეაქციათა ტოლობები, რომელთა მიხედვითაც ნორმალური მარილი ნარმოქმნება:

- $2\text{H}_2\text{CO}_3 + \text{Ca} \rightarrow$
- $2\text{H}_2\text{CO}_3 + \text{CaO} \rightarrow$
- $\text{H}_2\text{CO}_3 + \text{NaOH} \rightarrow$
- $\text{H}_2\text{CO}_3 + 2\text{KOH} \rightarrow$
- $\text{MgCO}_3 + \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2 \rightarrow$

4. შეადგინეთ რეაქციათა ტოლობები, რომელთა მიხედვითაც უწყლო სოდა ნარმოიქმნება:
- $$1. \text{NaHCO}_3 \xrightarrow{\text{t}} \quad 2. \text{K}_2\text{CO}_3 + \text{NaOH} \rightarrow \quad 3. \text{Na}_2\text{CO}_3 \cdot 10\text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{t}} \quad 4. \text{CaCO}_3 + \text{NaCl} \rightarrow$$
5. დაასრულეთ რეაქციათა სქემები, რომლებიც კარბონატების ზოგად თვისებებს ასახავს:
- $$\text{a. CaCO}_3 + \dots \rightarrow \dots + \text{CO}_2 \uparrow \quad \text{b. Na}_2\text{CO}_3 + \dots \rightarrow \dots \downarrow + 2\text{NaOH}$$
- $$\text{c. Na}_2\text{CO}_3 + \dots \rightarrow \dots \downarrow + \dots$$
6. რა პირობებში გარდაიქმნება კარბონატები ჰიდროკარბონატებად და პირიქით?
7. რამდენი მგ (6.3.) ნაეშირბადის დიოქსიდი ნარმოიქმნება 1,2 ტ კირქვის დაშლისას, რომელიც 5% გარეშე მინარევებს შეიცავს? $M_r(\text{CaCO}_3) = 100$.
8. რამდენი პროცენტით შემცირდება კალციუმის კარბონატის მასა მისი სრული დაშლისას? $A_r(\text{Ca}) = 40$, $A_r(\text{C}) = 12$, $A_r(\text{O}) = 16$.

35 სილიციუმი



– რომელი ელემენტი გამოიყენება მზის ბატარეებში?
– რა ფუნქციას ასრულებს ეს ბატარეები?

კრისტალური
სილიციუმი



საქმიანობა

C-H, C-C და Si-H, Si-C ბმების სიმტკიცის შესახებ

- 1-ელ და მე-2 ფუნქციებში გადმოცემული ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს:
1. მეთანი (CH_4) ჰაერზე ჩვეულებრივ პირობებში თავისითავად არ იწვის, მაშინ როცა სილანი (SiH_4) თვითნებურად აალდება.
 2. C-C ბმებს შეიცავს აღმასი – ყველაზე მაგარი ბუნებრივი ნივთიერება და ათეულ მილიონობით ორგანული ნაერთი. Si-Si ბმას ეს არ ახასიათება.
 - რა შეიძლება ითქვას მეთანისა CH_4 და სილანის SiH_4 მოლეკულების მდგრადიბაზე და C-H და Si-H ბმების შედარებით სიმტკიცეზე?
 - რომელი უფრო მტკიცეა C-C და Si-Si ბმებს შორის? პასუხი დაასაბუთეთ მე-2 ფუნქციის მონაცემებით.
 - გაითვალისწინეთ C და Si ატომების რადიუსების ზომა და ახსენით განსხვავება C-C და Si-Si ბმების სიმტკიცეს შორის.



აღმოჩენა. სილიციუმი მიიღეს მისი ფოთონიდის (SiF_4) კალიუმით აღდგენის გზით (1822 წ.). სახელწოდება „Silicium“ ნარმოდეგბა „Silex“ – კაუი.

ნაერთებში სილიციუმის უანგვის რიცხვი არის -4 და $+4$, იშვიათად $+2$ (SiO).

მდებარეობა პერიოდულ სისტემაში და ატომის აღნაგობა. სილიციუმი მე-3 პერიოდის IV ჯგუფის მთავარი ქარიზმატის ელემენტია. მისი ატომის ელექტრონული აღნაგობაა $1s^2 2s^2 2p^6 3s^2 3p^2$.

ბუნებაში გავრცელება. დედამინის ქერქში გავრცელების მიხედვით სილიციუმი, უანგბადის შემდეგ, მეორე ადგილზეა (27%). გვხვდება მხოლოდ ნაერთების სახით. მათგან უმნიშვნელოვანესია: კვარცის ქვიშა SiO_2 , თეთრი თიხა (კალინიტი) $\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$, მინდვრის შპატი (ორთოკლაზი) $\text{K}_2\text{O} \cdot \text{Al}_2\text{O}_3 \cdot 6\text{SiO}_2$ და სხვ. (გვ. 138).

მიღება. ლაბორატორიაში სილიციუმი მიიღება SiO_2 -ის (თეთრი ქვიშა) მაგნიუმით, ხოლო მრეწველობაში – ნახშირით აღდგენის გზით:







ფიზიკური თვისებები. სილიციუმს აქვს ორი ალოტროპიული სახესხვაობა – კრისტალური და ამორფული. კრისტალური სილიციუმი მუქი ნაცრისფერი, ძალიან მაგარი, ძნელდნობადი, მეტალურად ბზინვარე ნივთიერებაა. მისი აღნაგობა აღმასის აღნაგობის მსგავსია, ოღონდ $\text{Si}-\text{Si}$ σ-ბმა უფრო სუსტია, ვიდრე $\text{C}-\text{C}$ σ-ბმა. კრისტალური სილიციუმი ნახევარგამტარია, ხასიათდება უმნიშვნელო ელექტროგამტარობით. მის საფუძველზე დამზადებულ ფოტო-ელემენტებს შეუძლია, შთანთქმული მზის ენერგიის 10% გარდაქმნას ელექტრულ ენერგიად (ა).



(ა) სილიციუმიანი მზის ბატარეები

ქიმიური თვისებები. სილიციუმი, ნახშირიბადის მსგავსად, არამეტალია. მარტივი ნივთიერებებიდან ჩვეულებრივ პირობებში ამორფული სილიციუმი რეაგირებს მხოლოდ ფთორთან, გაცხელებისას კი – სხვა არამეტალებთანაც, ჰალოგენების ჩათვლით:






ერბორუნდი ანუ სილიციუმის კარბიდი


სილიციუმის კარბიდი

კარბორუნდი ანუ სილიციუმის კარბიდი (SiC) კრისტალური მესრის აგებულებითა და სიმაგრით აღმასს ჰგავს. მისგან ამზადებენ საშლილავ და სალეს ინსტრუმენტებს.

გაცხელებისას სილიციუმი რეაგირებს ბევრ აქტიურ მეტალთან (Mg , Ca და სხვ.), ნარმოქენის რა სილიციდებს. სილიციდებზე მარილმჟავას მოქმედებისას წარმოიქმნება სილანი (SiH_4). სილანი უფერო მომნამლავი აირია უსიამოვნო სუნით; ჰაერზე თვითაალდება. სილანი არ მიიღება სილიციუმიდან და წყალ-ბადიდან.



ცოდნის ზარდახში • სილიციუმი რეაგირებს ფთორნყალბადმჟავასთან.



ის ტუტის ხსნარიდან აძევებს წყალბადს:



გამოყენება. სილიციუმი გამოყენება მეტალურგიაში მაღალი ტემპერატურისა და მჟავებისადმი მდგრადი სილიციუმიანი ფოლადების სანარმოებლად, ხოლო ძლიერ სუფთა მდგომარეობაში – სილიციუმის ფოტოელემენტების დასამზადებლად, რომლებიც მზის ენერგიას ელექტრულ ენერგიად გარდაქმნის.

საკვანძო
სიტყვები


• კვარცის მინა • კრისტალური და ამორფული სილიციუმი • მზის ბატარეები • კარბორუნდი • სილიციდები • სილანი

ცოდნის გამოყენება და შემოწმება


1. რომელი ორი მინერალი არ შეიცავს სილიციუმს?

- ა) ორთოკლაზი, თეთრი თიხა; ბ) კალინიტი, ორთოკლაზი; გ) სილვინიტი, სილვინი; დ) ორთოკლაზი, კვარცის ქვიშა; ე) კვარცის ქვიშა, მინდვრის ქვატი.

2. რომელი სქემით ილუბენ სილიციუმს, შესაბამისად, მრეწველობაში და ლაბორატორიაში?



3. დაასრულეთ სქემები და მიუთითეთ ტოლობები, რომელთა მიხედვითაც წარმოქმნება, შესაბამისად, კარბორუნდი და სილანი:



4. დაასრულეთ სქემები:



5. შეადგინეთ კალციუმის სილიციდის მარილმჟავასთან ურთიერთქმედების რეაქციის ტოლობა.

6. შეადგინეთ სილინისა და მეთანის რეაქციისუნარიანობა და გამოვლენილი განსხვავება აცუკავშირეთ ნახშირბადისა და სილიციუმის ატომების აგებულების განსხვავებას.

7. რამდენი ლ (6.3.) წყალბადი გამოიყოფა 14 გ სილიციუმის კალიუმის ჰიდროქსიდის კონცენტრირებულ ხსნართან ურთიერთქმედებისას? $M_r(Si) = 28$.



36 სილიციუმის დიოქსიდი და მათასილიციუმის მუჟავა

 – რომელი ნივთიერება ანიჭებს სიმტკიცეს მცენარეთა ლეროებს, ცხოველების დამცავ საფარს?

სილიციუმის დიოქსიდი

საქმიანობა

საქმიანობა სილიციუმის დიოქსიდისა (ა) და ნახშირბადის დიოქსიდის (ბ) კრისტალური მესრები და მათი ზოგიერთი თვასება



■ ყანგბადი

■ ნახშირბადი

■ სილიციუმი

მესრების (ა) და (ბ) მოდელების საფუძველზე უპასუხეო კითხვები:

- რომელი ნაწილაკებია განლაგებული CO_2 -ისა და SiO_2 -ის კრისტალური მესრების კვანძებში?
- რომელ მესრეშია კვანძებში განლაგებულ ნაწილაკებს შერის კოვალენტური ბბა?
- როგორ ახსინით „მშრალი ყინულის“ სუბლიმაციას?
- რომელი ფორმულა – SiO_2 თუ $(SiO_2)_n$ – ასახავს სწორად სილიციუმის დიოქსიდის (ა) აგებულებას?

ჟუნებაში გავრცელება. სილიციუმ(IV)-ის ოქსიდი ანუ სილიციუმის დიოქსიდი (კაუმინა) ბუნებაში ძირითადად ქვიშის სახით არის გავრცელებული. სხვადასხვა მინარევი, მაგალითად, რკინის ოქსიდები ქვიშას ყვითელ ფერს აძლევს. სილიციუმის დიოქსიდის სუფთა კრისტალებს კვარცი ეწოდება. ბუნებაში გვხვდება

მისი სახესხვაობები: აქატი, ამეთვისტო, იასპი, ოპალი, აგრეთვე მთის ბროლად წოდებული დიდი კრისტალები.

ეს საინტერესოა

სილიციუმის დიოქსიდი **სიმტკიცეს** ანიჭებს მცენარეთა ღეროებს, ცხოველების დამცავ საფარის; ლერნმის, თვეზის ქერცლის, პეპლების ფრთების, ცხოველთა ბენვის სიმტკიცე განპირობებულია მათ შედგენილობაში სილიციუმის დიოქსიდის არსებობით. ადამიანის ორგანიზმში სილიციუმის ნაერთები მონაწილეობს ცხიმების მიმოცვლაში, იმუნიტეტის ფორმირებაში, კანის ელასტიურობის შენარჩუნებაში. ადამიანი სილიციუმს იღებს უმთავრესად მცენარეული საკვებიდან (ნინიბურა, ლობიო, ბარდა, სიმძინი, ოსპი, ხორბალი).



ფიზიკური თვისებები. სილიციუმის დიოქსიდი უფერო, წყალში უხსნადი, ძნელდნობადი მყარი ნივთიერებაა. გამლლვარი კვარცის გამყარებისას ნარმოიქმნება ამორფული მასა, რომელსაც კვარცის მინა ეწოდება.

ალნაგობა. სილიციუმის დიოქსიდის SiO_2 თვისებები მკვეთრად განსხვავდება ნახშირბადის დიოქსიდის CO_2 თვისებებისგან. მაგალითად, თუ სილიციუმის დიოქსიდი დნება 1728°C ტემპერატურაზე, მყარი CO_2 („მშრალი ყინული“) სუბლი-მირდება $-55,6^{\circ}\text{C}$ -ზე. ამის მიზეზია მათი კრისტალური აგებულების განსხვავებულობა: ნახშირბადის დიოქსიდს SiO_2 მყარ მდგომარეობაში აქვს მოლეკულური ალნაგობა (1), მაშინ როცა სილიციუმის დიოქსიდს აქვს ატომური კრისტალური აგებულება (2).

ამიტომ სილიციუმის დიოქსიდის შედგენილობა უნდა გამოისახოს ასე: $(\text{SiO}_2)_n$, მაგრამ სიმარტივისათვის ფორმულას წერენ SiO_2 -ის სახით.


ქიმიური თვისებები. სილიციუმის დიოქსიდი მჟავა ოქსიდა. მას აქვს მჟავა ოქსიდების ზოგადი თვისებები, აგრეთვე სპეციფიკური თვისებები.

I. როგორც მჟავა ოქსიდი, ის ტუტეებთან, ფუძე ოქსიდებთან შელლობისას ნარმოქმნის მეტასილიციუმის მჟავას მარილებს – სილიკატებს (მეტასილიკატებს):





II. სპეციფიკური თვისებები. 1. მრავალი სხვა მჟავა ოქსიდისგან განსხვავდით, სილიციუმის დიოქსიდი წყალთან არ რეაგირებს.

2. სილიციუმის დიოქსიდი რეაგირებს ფორმულაბადმჟავასთან. ეს რეაქცია გამოიყენება მინის ზედაპირზე სხვადასხვა მოხატულობის დასატანად:




ამავე მიზეზით ფორმულაბადმჟავას ინახავენ არა მინის, არამედ პლასტმასის ჭურჭელში.

3. როგორც არააქროლადი ოქსიდი, სილიციუმის დიოქსიდი მაღალ ტემპერატურაზე აძევებს მჟავა ოქსიდებს მარილებიდან:




მეტასილიციუმის მჟავა

ალნაგობა. მეტასილიციუმის მჟავას შედგენილობას პირობითად ასე გამოსახავენ: H_2SiO_3 . სინამდვილეში ხსნარში ის არსებობს უფრო რთული შედგენილობის სილიციუმის სხვადასხვა მჟავას ნარევის სახით: $n\text{SiO}_2 \cdot m\text{H}_2\text{O}$ ანუ $(\text{H}_2\text{SiO}_3)_n$.





მიღება. ვინაიდან სილიციუმის დიოქსიდი წყალში არ იხსნება და მასთან არ რეაგირებს, მეტასილიციუმის მჟავას იღებენ არაპირდაპირი გზით – მის ხსნად მარილებზე მჟავების მოქმედებით:




ფიზიკური თვისებები. შეიძლება ითქვას, რომ მეტასილიციუმის მჟავა წყალში არ იხსნება – ის წარმოქმნის უელესმაგვარ კოლოიდურ ხსნარს.

ქიმიური თვისებები. რაკი მეტასილიციუმის მჟავა წყალში არ იხსნება, შესაბამისად, არ წარმოქმნის H^+ იონებს. ამიტომ ის, როგორც ძალიან სუსტი მჟავა, ფერს არ უცვლის ინდიკატორებს. ის ნახშირმჟავაზეც კი სუსტია, ამიტომ ნახშირმჟავა ხსნადი სილიკატებიდან აძევებს მეტასილიციუმის მჟავას. გელის სახით გამოყოფილი მეტასილიციუმის მჟავა იხსნება მხოლოდ ტუტებში:





გაცხელებით ან გამოშრობით მეტასილიციუმის მჟავა თანდათანობით კარგავს წყალს და გარდაიქმნება ამორფულ სილიციუმის დიოქსიდად (სილიკაგელად):



სილიკაგელი, როგორც მაღალი ფორიანობით გამორჩეული ნივთიერება, გამოიყენება ადსორბენტად.

მეტასილიციუმის მჟავას მარილებს სილიკატები (მეტასილიკატები) ეწოდება. ბევრი სილიკატი ძნელდნობადია. გარდა ნატრიუმისა და კალიუმის სილიკატებისა, ისინი წყალში პრაეტიკულად არ იხსნება. ნატრიუმისა და კალიუმის სილიკატებს ხსნადი მინა ეწოდება, ხოლო მათ კონცენტრირებულ ხსნარებს – თხევადი მინა. როგორც სუსტი მჟავას მარილები, ისინი წყალსნარებში ჰიდროლიზდება და ავლენს ტუტე რეაქციას. სილიკატებს შორის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ნატრიუმის სილიკატს.

ცოდნის ზარდახში • მრეწველობაში ნატრიუმის სილიკატს იღებენ კვარცის ქვიშის სოდასთან შელლობით ან ამორფულ სილიციუმის დიოქსიდზე ტუტის მოქმედებით:



თხევადი მინა გამოიყენება უწვი ქსოვილების, ხის ნაკეთობებისა და ქადალდის მისაღებად. ის გამოიყენებულია აგრეთვე სილიკატური ნებოს სახით და მუავა-გამძლე ბეტონის დასამზადებლად.

საკვანძო
სიტყვები

• კვარცი • მეტასილიციუმის მუავა • სილიკატები • თხევადი მინა •

ცოდნის გამოყენება და შემონმება

- რა არის მცდარი სილიციუმის დიოქსიდისთვის?
 - შეადგენს ქვიშის მირითად ნაწილს;
 - იხსნება მლლობ მუავაში;
 - მის კრისტალებს კვარცი ეწოდება;
 - აქვს მოლეკულური ალნაგრძაბა;
 - დნება მაღალ ტემპერატურაზე.
- რომელი გამონათქვემი არ შეესაბამება მეტასილიციუმის მუავას?
 - გაცხელებისას იშლება ორ ოქსიდად:
 - მისი წყალხნარი ლაკმუსს ღებავს ნითლად;
 - ნახმირმჟავაზე უფრო სუსტია;
 - მის მარილებს ეწოდება სილიკატები;
 - წყალში წარმოქმნის კოლოიდურ ხსნარს.
- დაასრულეთ სქემები და მიუთითოთ უანგვა-ალდგენის რეაქციების მაგალითები:

1. $\text{SiO}_2 + \text{Mg} \xrightarrow{\text{t}}$	2. $\text{SiO}_2 + 3\text{C} \xrightarrow{\text{t}}$	3. $\text{SiO}_2 + 2\text{NaOH} \xrightarrow{\text{t}}$
4. $\text{SiO}_2 + 4\text{HF} \rightarrow$	5. $\text{SiO}_2 + \text{CaO} \xrightarrow{\text{t}}$	6. $\text{SiO}_2 + \text{Na}_2\text{CO}_3 \xrightarrow{\text{t}}$
- დაასრულეთ შესაძლებელი რეაქციების სქემები:

1. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + 2\text{HCl} \rightarrow$	2. $\text{CaSiO}_3 + \text{NaCl} \rightarrow$	3. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2 \rightarrow$
4. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{H}_2\text{O} \rightarrow$	5. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{CaCl}_2 \rightarrow$	
- დაასრულეთ შესაძლებელი რეაქციების სქემები:

1. $\text{SiO}_2 + \text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{t}}$		
2. $\text{K}_2\text{SiO}_3 + 2\text{HCl} \rightarrow$		
3. $\text{K}_2\text{SiO}_3 + \text{H}_2\text{CO}_3 \rightarrow$		
- ჩამოთვალეთ კვარცის ქვიშისა და სილიკაგელის საერთო და განმასხვავებელი თვისებები.
- განსაზღვრეთ X, Y და Z ნივთიერებები: $\text{Si} \xrightarrow[-\text{CO}_2]{+\text{X}, \text{t}} \text{SiO}_2 \xrightarrow[+\text{Y}, \text{t}]{} \text{Na}_2\text{SiO}_3 \xrightarrow{+\text{Z}} \text{H}_2\text{SiO}_3$.
- შეადგინეთ სილიციუმის დიოქსიდიდან კალიუმის სილიკატის ორი ხერხით მიღების რეაქციების ტოლობები.
- შეადგინეთ რეაქციების ტოლობები, რომლებიც მიმდინარეობს მინის ამოჭმისას (მინაზე მოხატულობის დატანისას).

37 სილიციუმის პუნქტივი ნართაგი და ტექნიკაში მათი გამოყენება



— სილიციუმის რომელი ბუნებრივი ნაერთიდან ამზადებოდნენ ადამიანები შრომის იარაღებს ჯერ კიდევ ქვის ხანაში?



საქმიანობა

ჩვეულებრივი მინის თვისებების შესწავლა

უზრუნველყოფა: 4 თხელევედლიანი 5-6 სმ სიგრძისა და 5-6 მმ დიამეტრის მინის მილი, იმავე სიგრძის ლურსმნები, სპირტურა ან გაზის ლამპა, კონცენტრირებული მარილმჟავა და NaOH-ის კონცენტრირებული სნანარი, წყლით 3/4-მდე შეესტული ჭიქა.


სამუშაოს მსვლელობა: ერთ-ერთი მინის მილი ჩაუშვით ბრილმჟავაში, მეორე – ტუტები და ერთო-ორო წუთის განმავლობაში დააკვრდით მათ. მესამე მილი ერთი ბოლოთი სელში დაიჭირეთ, მეორე ბოლო კი წითელ ვარვარებამდე გაახურეთ სპირტურაზე. შემდეგ ეს ბოლო ჩაუშვით წყლიან ჭიქაში.

აქვთვარადევე სცადეთ, ლურსმნის ერთი ბოლო გაახუროთ წითელ ვარვარებამდე. მეოთხე მინის მილი ორივე ბოლოთი სელში დაიჭირეთ და გაახურეთ მისი შუა ნაწილი, სანამ არ დარბილდება და არ ჩამოვკიდება.

განიხილეთ შედეგები:


- შეიძლება თუ არა, ცდების საფუძველზე ითქვას, რომ მინა ქიმიურად ინერტული ნივთიერებაა?
- რატომ განდა შესაძლებელი მინის წითელ ვარვარებამდე გაახურება, ხოლო ლურსმნისა – არა?
- რა დამართა მილის გავარვარებულ ბოლოს წყალში ჩაშვებისას? როგორ ახსნით ამ მოვლენას?
- ყველა ტიპის მინას იგივე დაემართებოდა წყალში ჩაშვებისას?
- გამოიყენება თუ არა ტექნიკაში მინის თვისება, დარბილდეს და გალლვეს გახურებისას?

სილიციუმის დიოქსიდი და სხვადასხვა სილიკატი შეადგენს დედამინის ქერქის 90%-ს. ბუნებრივ სილიკატებს აქვს რთული აღნაგლობა და მედგენილობა. ხშირად მათ შედგენილობას გამოსახავენ ოქსიდების სახით, მაგალითად,



სილიკატებს, რომელთა შედგენილობაში შედის ალუმინის ოქსიდი Al_2O_3 , ალუმინისილიკატები ეწოდება. მაგალითად, მინდვრის შპატი, კაოლინიტი ალუმინისილიკატებია. ქანები ძირითადად შედგება კვარცისგან, მინდვრის შპატისგან და სხვა ალუმინისილიკატებისგან.

ცოდნის ზარდასშა • ქანები, მაგალითად, მინდვრის შპატი, დროთა განმავლობაში, ტექ-პერატურის, ტენისა და ნახძირმჟავა აირის ზემოქმედებით იშლება:



დამლის მთავარი პროდუქტი, მინერალი კაოლინიტი თეთრი თიხის ძირითადი შემადგენლი ნაწილია. ქანების დამლისას წარმოქმნება აგრეთვე მარილები და ქვიშა.

ბუნებრივი სილიციუმის დიოქსიდი, სილიკატები და თიხა სილიკატური მრეწველობის ძირითადი ნედლეულია.

სილიკატური მრეწველობა

სილიკატური მრეწველობის პროდუქტებიდან უფიდესი მნიშვნელობა აქვს მინას, ცემენტს და კერამიკას (აგური, ფაიფური, ფაიანსი და მათი ნაკეთობები).


მინა. ფანჯრის მინის შედგენილობას გამოსახავენ ფორმულით $\text{Na}_2\text{O} \cdot \text{CaO} \cdot 6\text{SiO}_2$ ანუ $\text{Na}_2\text{SiO}_3 \cdot \text{CaSiO}_3 \cdot 4\text{SiO}_2$. მას იღებენ სოდის, კირქვისა და კვარცის ქვაშის (ქვიშის იღებენ ჭარბად) შელლობით 1500°C -ზე. თავდაპირველად წარმოიქმნება სილიკატები:





რომლებიც შემდეგ, ჭარბ სილიციუმის დიოქსიდთან შერევისას, წარმოქმნის მინას:




ცოდნის ზარდახება • ჩვეულებრივი მინის წარმოებისას, აუცილებლობის შემთხვევაში, სოდას ცვლიან ნატრიუმის სულფატისა და ნახშირის ნარევით. ამ შემთხვევაში ნატრიუმის სილიკატი წარმოიქმნება ტოლობით:



სპეციფიკური თვისებების მქონე მინის მისაღებად საწყისი ნარევის შედგენილობას ცვლიან. მაგალითად, თუ საწყის ნარევში სოდას შევცვლით პოტაშით, მიიღება $d_{\text{ნელდნობადი}}$ (ქიმიური, კალიუმიანი) მინა (ტოლ. 1). თუ, ამასთან ერთად, კირქვას შევცვლით ტყვია(III)-ის ოქსიდით, წარმოიქმნება სინათლის ძლიერი გარდატეხის უნარის მქონე, ე.წ. ბროლის მინა (ტოლ. 2).



ფერადი მინის მისაღებად (ა) და (ბ) საწყის ნარევს უმატებენ მეტალთა ოქსიდებს. მაგალითად, ქრომ(III)-ის ოქსიდი Cr_2O_3 მინას აძლევს მნვანე ფერს, კობალტ(III)-ის ოქსიდი CoO – ლურჯ ფერს, სპილენდ(II)-ის ოქსიდი CuO – მოლურჯო-მომწანო ფერს.



თუ გამღვარ მინას დავუმატებთ მცირე რაოდენობით წვრილად დაწილადებულ ოქროს, მიიღება კამკაშა წითელი ფერის ლალის მინა.

სუფთა კვარცისგან (SiO_2) მიღებულ მინას კვარცის მინა ეწოდება. ჩვეულებრივი მინისგან განსხვავებით, კვარცის მინა მცირედ იცვლის მოცულობას ტემპერატურის ცვლილებისას, ამიტომ მისგან ამზადებენ ლაბორატორიულ ჭურჭელს. კვარცის მინა კარგად ატარებს ულტრაიისფერ სხივებს. ეს თვისება გამოიყენება სამედიცინო დანიშნულების კვარცის ლამპებში.

მინა ამორფული მყარი ნივთიერებაა. გაცხელებისას მინა რბილდება და შეიძლება მივცეთ ნებისმიერი ფარმა. მისგან ამზადებენ ფანჯრის მინას, მინის ბოჭკოს, ქიმიურ ჭურჭელსა და სხვადასხვა ნაკეთობას.

C
R
E
C
6

ფანჯრის მინის შედგენილობასთან დაკავშირებული გამოთვლები
გამოთვალეთ ნარმოქმნილი ფანჯრის მინის მასა (ტ), თუ ცნობილია, რომ მის ნარმოებაზე დაიხარჯა 3,6 ტ ქვეშა. $M_r(\text{Na}_2\text{O} \cdot \text{CaO} \cdot 6\text{SiO}_2) = 478$, $M_r(\text{SiO}_2) = 60$.

ამოხსნა:

მინის ფორმულის $\text{Na}_2\text{O} \cdot \text{CaO} \cdot 6\text{SiO}_2$ საფუძველზე შეიძლება დავწეროთ:

თუ $(6 \cdot 60)$ კგ SiO_2 -დან — ნარმოქმნება 478 კგ მინა

მაშინ 3600 კგ SiO_2 -დან — ნარმოქმნება x კგ მინა

$$x = \frac{3600 \text{ კგ} \cdot 478 \text{ კგ}}{360 \text{ კგ}} = 4780 \text{ კგ} = 4,78 \text{ ტ}$$

ამოცანა. რამდენი კგ თითოეული საწყისი ნივთიერებაა (CaCO_3 , Na_2CO_3 , SiO_2) საჭირო 956 კგ ფანჯრის მინის დასამზადებლად? $M_r(\text{CaCO}_3) = 100$, $M_r(\text{Na}_2\text{CO}_3) = 106$, $M_r(\text{SiO}_2) = 60$.

ცემენტი. სილიკატური ანუ პორტლანდცემენტი უმნიშვნელოვანესი სამშენებლო მასალაა. ის მომწვანო-ნაცრისფერი ფერგნილია. ცემენტს იღებენ კირქვისა და თიხის გამოწვით სპეციალურ მბრუნავ ღუმელებში. გამოწვით მიღებულ პროდუქტს კლინკერი ეწოდება. გაცივების შემდეგ კლინკერს წვრილად ფქავავენ. მის შედგენილობაში შედის ძირითადად კალციუმის სილიკატები და ალუმინატები, რომლებიც ნარმოქმნება კირქვისა და თიხის დამლის პროდუქტების ურთიერთქმედების შედეგად:



ცემენტი გამოიყენება ბეტონისა და რკინაბეტონის ნარმოებაში.


ცოდნის ზარდახშა • ცემენტის გამყარება დაკავშირებულია ცემენტის შემადგენელი სილიკატებისა და ალუმინატების წყოლთან ურთიერთქმედებაზე, რასაც დროთა განმავლობაში ქვის მსგავსი მასის ნარმოქმნა მოსდევს.

კერამიკა. კერამიკულ ნაეკოლებებს ამზადებენ პლასტიკური მასისგან, რომელიც ნარმოქმნება თიხის მცირე რაოდენობის წყალთან შერევისას. პლასტიკურ მასას აძლევენ საჭირო ფორმას, აშრობენ და გამოწვავენ მაღალ ტემპერატურაზე. გამოწვისას ნაკეთობა სიმტკიცეს იძენს. თეთრი თიხისგან ამზადებენ ფაიფურისა და ფაინსის ნაკეთობებს (გ და დ).

(გ)



(დ)




საკვანძო
სიტყვები

• მინდვრის შპატი • კაოლინიტი • სილიკატური მრეწველობა • მინა •
ცემენტი • კერამიკა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

- რომელი ნივთიერება გამოიყენება ნედლეულად სილიკატურ მრეწველობაში?
 - $\text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$
 - Na_2CO_3
 - SiO_2
 - CaCO_3
 - $\text{CaSO}_4 \cdot 2\text{H}_2\text{O}$
- მიუთითოთ ჩვეულებრივი მინის ნარმოებაში გამოყენებული ნედლეული:
 - კვარცის ქვიშა, სოდა, კირქვა;
 - კვარცის ქვიშა, პოტაში, კირქვა;
 - კვარცის ქვიშა, სოდა, პოტაში;
 - თიხა, პოტაში, კირქვა;
 - კვარცის ქვიშა, თიხა, პოტაში.
- რომელი ნარევის გამოწვით იღებენ პორტლანდცემენტს?
 - $\text{CaCO}_3 + \text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$
 - $\text{K}_2\text{CO}_3 + \text{CaCO}_3 + \text{SiO}_2$
 - $\text{CaCO}_3 + \text{SiO}_2$
 - $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{CaCO}_3 + \text{Al}_2\text{O}_3 \cdot 2\text{SiO}_2 \cdot 2\text{H}_2\text{O}$
 - $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{CaCO}_3 + \text{SiO}_2$
- რომელი ნივთიერების შელლობით იღებენ ძნელდნობად მინას?
 - K_2CO_3
 - CaCO_3
 - SiO_2
 - Na_2SiO_3
- რომელი მრეწველობის პროდუქტებია მინა, ცემენტი და კერამიკა?
- სოდის არქონის შემთხვევაში, რომელი ნარევით ცვლიან მას ფანჯრის მინის ნარმოებისას? შეადგინეთ შესაბამისი რეაქციების ტოლობები.
- ჩამოთვალეთ ბროლისა და კვარცის მინის დამახასიათებელი თავისებურებანი.
- შეადგინეთ გარდაქმნასა ტოლობები:



შემაჯამებელი დავლებები

- რომელია მცდარი გამონათევაში ნახშირბადის მონოქსიდთან მიმართებაში?**
 - ა) ჰაერზე მსუბუქი აირია;
 - ბ) უფერო და უსუნო აირია;
 - გ) ძლიერ მომნამდავია.
 - დ) უფერო მომნამდავია.
- რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ სქემები:**

1. $\text{CO} + \text{NaOH} \rightarrow$	2. $\text{CO}_2 + \text{NH}_3 \rightarrow$	3. $\text{C}_{(\text{გარე})} + \text{H}_2\text{O}_{(\text{მრთე})} \xrightarrow{\text{t}}$
4. $\text{SiO}_2 + \text{Mg} \xrightarrow{\text{t}}$	5. $\text{SiO}_2 + 3\text{C} \xrightarrow{\text{t}}$	6. $\text{SiO}_2 + \text{NaOH} \xrightarrow{\text{t}}$
- რა არის მცდარი ნახშირბადის დიოქსიდისთვის?**
 - ა) საზღვრავენ კირანი წყლით;
 - ბ) რეაგირებს მაგნიუმთან;
 - გ) არ გამოიყენება მეტალთა ოქსიდების აღსადეგენად;
 - დ) ბუნებაში ნარმოქმნება ფოტოსინთეზის დროს;
 - ე) წყალთან შექცევადად ურთიერთქმედებს.
- რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ შესაძლებელი რეაციების სქემები:**

1. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + 2\text{HCl} \rightarrow$	2. $\text{CaSiO}_3 + \text{KCl} \rightarrow$	
3. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{H}_2\text{O} + \text{CO}_2 \rightarrow$	4. $\text{SiO}_2 + \text{H}_2\text{O} \xrightarrow{\text{t}} \rightarrow$	5. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{CaCl}_2 \rightarrow$
- რომელი გამონათევამები მიესადაგება ნახშირბადს?**
 - 1. ნარმოქმნის ყველაზე მაგარ ბუნებრივ ნივთიერებას;
 - 2. ნარმოქმნის ნახრთების უდიდეს რიცხვს;
 - 3. ძირითად მდგრადრობაში მის ატომს აქვს 2 გაუწყვილებელი ელექტრონი;
 - 4. აქვს რამდენიმე ალოტროპიული სახესხვაობა;
 - 5. აღადგენს მეტალთა ოქსიდებს;
 - 6. მეტალებთან ნარმოქმნის კარბიდებს.
- რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ რეაქციების სქემები, რომელთა მიხედვითაც ჰიდროკარბონატები გარდაიქმნება კარბონატებად:**

1. $\text{Mg}(\text{HCO}_3)_2 \xrightarrow{\text{t}}$	2. $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2 + \text{Ca}(\text{OH})_2 \rightarrow$
3. $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2 + \text{HCl} \rightarrow$	4. $\text{NaHCO}_3 + \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O} \rightarrow$
- მიუთითოთ გამონათევამები, რომლებიც მართებულია მეტასილიციუმის მუვასთან მიმართებაში:**
 - 1. გაცხელებით იშლება ორ ოქსიდად;
 - 2. ნახშირმჟავაზე სუსტია;
 - 3. წყალში ნარმოქმნის კოლოიდურ ხსნარს;
 - 4. ნატრიუმისა და კალიუმის ხსნად მარილებს მინები ეწოდება;
 - 5. ნარმოქმნება სილიციუმის დიოქსიდთან წყლის მიერთებით.
- რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ შესაძლებელი რეაციების სქემები:**

1. $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{H}_2\text{SiO}_3 \rightarrow$	2. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{H}_2\text{CO}_3 \rightarrow$	3. $\text{SiO}_2 + \text{HF} \rightarrow$
4. $\text{SiO}_2 + \text{CaO} \xrightarrow{\text{t}}$	5. $\text{SiO}_2 + \text{Na}_2\text{CO}_3 \xrightarrow{\text{t}}$	
- მიუთითოთ ჩვეულებრივი მინის შედგენილობა და რეაქციების სქემები, რომლებიც მიმდინარეობს მინის მილებისას:**

1. $\text{CaCO}_3 + \text{SiO}_2 \xrightarrow{\text{t}}$	2. $\text{CaSiO}_3 + \text{CO}_2 \xrightarrow{\text{t}}$	3. $\text{Na}_2\text{O} \cdot \text{CaO} \cdot 6\text{SiO}_2$
4. $\text{Na}_2\text{CO}_3 + \text{SiO}_2 \xrightarrow{\text{t}}$	5. $\text{Na}_2\text{SiO}_3 + \text{CO}_2 \xrightarrow{\text{t}}$	6. $\text{Na}_2\text{SiO}_3 \cdot \text{CaSiO}_3 \cdot 4\text{SiO}_2$
- რამდენი ლ (6.3.) ნახშირბადის მონოქსიდია საჭირო 400 გ სპილენდ(II)-ის ოქსიდის სრული აღდენისთვის? $M_r(\text{CuO}) = 80$.**

ორგანული ქიმიის შესავალი

III

ნაწილი

უმარტივესი ორგანული
ნივთიერებების გაცნობა

38 რა შეისავალის ორგანული ქიმია?



- რა აქვს საერთო საკვებ პროდუქტებს, სათბობს, ბუნებრივ ბოჭკოებს, სარეცხ საშუალებებს, ცხიმებს, ცილებს?
- არსებობს თუ არა კავშირი არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებს შორის?

ნივთიერებებს, რომლებსაც აქამდე სწავლობდით, არაორგანული ნივთიერებები ეწოდება. დღეიდან თქვენ ორგანულ ნივთიერებებს შეისწავლით.

ამჟამად ცნობილია 25 მილიონზე მეტი ორგანული ნივთიერება, რომლებიც რიცხობრივად ბევრად მეტია 1 მილიონამდე არაორგანულ ნივთიერებასთან შედარებით. განვიხილოთ ორგანული ნივთიერებების ერთ-ერთი თავისებურება.

საქმიანობა

ორგანული ნივთიერებების შედგენილობა

შეადარეთ არაორგანული და ორგანული ნივთიერებების შედგენილობა და უპასუხეთ კითხვებს:

არაორგანული ნივთიერებები											
H ₂ O	CaC ₂	NH ₃	CO ₂	NaCl	H ₂ SO ₄	HF	AlCl ₃	NaOH	SiO ₂	KI	H ₂ CO ₃

ორგანული ნივთიერებები

C ₁₂ H ₂₂ O ₁₁ (მაქარო)	CH ₃ COOH (ძმარმუავა)	CH ₄ (მეთანი)	C ₆ H ₁₂ O ₆ (გლუკოზი)	C ₂ H ₅ OH (ეთილის სპირტი)	(CH ₃) ₂ CO (აცეტონი)
---	-------------------------------------	-----------------------------	--	---	---

- შედის თუ არა ყველა არაორგანული ნივთიერების შედგენილობაში რომელიმე ერთი ელემენტი?
- რომელი ელემენტი შედის ყუველთვის ორგანული ნივთიერებების შედგენილობაში?
- რა შეიძლება ვუწოდოთ ორგანული ნივთიერებებს?
- აქვს თუ არა ორგანული ნივთიერებებს სხვა ზოგადი თავისებურებანი?

ბიოლოგის გაკვეთილებიდან იცით, რომ მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების შემადგენელი ნივთიერებები, ძირითადად, ორგანული ნივთიერებებია. ორგანულ ნივთიერებათა დღიდი რაოდენობა სინთეზირდება ხელოვნურადაც. მრეწველობაში, ორგანული ნივთიერებების საწარმოებლად, შემთხვევათა უმრავლესობაში საწყის ნედლეულად გამოიყენება: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ქვანახშირი, მერქანი, აგრეთვე სასოფლო-სამეურნო პროდუქტები და მათი ნარჩენები.

მერქანი, საკვები პროდუქტები (ხორცისა და ფქვილის ნაწარმი, კვერცხი და სხვ.), ბოჭკოები და ქსოვილები, სარეცხი და კოსმეტიკური საშუალებები, ბევრი სამკურნალო პრეპარატი, პლასტმასები, კაუჩუკი, სათბობი, ცხიმები, ნახშირნებები, ეთერზეთები და სხვ. ნარმოადგენს ორგანულ ნივთიერებებს ან მათგან მიღებულ პროდუქტებს, მასალებსა და ნაკეთობებს (3).

(ა) ორგანულ
ნივთიერებები,
მათგან
მიღებული
პროდუქტები,
მასალები და
ნაკეთობები.



- ორგანული ნივთიერებების შედგენილობას, აღნაგობას, თვისებებსა და მოღების ხერხებს შეისწავლის ქიმიის ნაწილი, რომელსაც **ორგანული ქიმია ენოდება**. ვინაიდან ორგანული ნივთიერებები ნახშირბადის ნაერთებია, ორგანულ ქიმიას შეიძლება ენოდოს აგრეთვე ნახშირბადის ნაერთების ქიმია.

ცოდნის ზარდახშა • ნახშირბადის ზოგიერთი ნაერთი – ოქსიდები, ნახშირმჟავა და მისი მარილები, მეტალთა კარბიდები – ავლენს არაორგანული ნივთიერებების თვისებებს, ამიტომ ისინი შეისწავლება არაორგანული ქიმიის ნაწილში.

ნარმოშობის მიხედვით ორგანული ნივთიერებები შეიძლება დავყოთ ბუნებრივ, ხელოვნურ და სინთეზურ ნივთიერებებად.

ცოდნის ზარდახშა

• **ბუნებრივ ორგანულ**
ნივთიერებებს
მიეკუთვნება მცენა-
რეული და ცხოვე-
ლური ცხიმები,
ნავთობი, ბუნებრივი
აირი, ბუნებრივი
კაუჩუკი და სხვ.
ისინი შედის აგრეთვე
შალის, ხორცის,
კვერცხის, ყველის,
ბერქნის, ხილისა და
ბოსტნეულის შეფე-
ნილობაში.

• **ხელოვნურ ორგანულ**
ნივთიერებებს იღებენ
ბუნებრივი ორგანული
ნივთიერებების ქიმიური
გადამუშავების შედეგად;
მაგლიოთად, აცეტატური
და ვისკოზური ბოჭ-
კობი, უწვი კინო-
და ფოტომასალები,
უკამლო დენთი –
ცელულოზის გარ-
დაქმნით მიღებული
ხელოვნური ორგანული
ნივთიერებებია.

• **სინთეზურ ორგანულ**
ნივთიერებებს იღებენ
სანთეზის ხერხით –
მარტივი მოლეკულების
უფრო რთულ
მორეკულებად
შეერთების გზით.
მაგალითად, რეზინი,
სარეცხი საშუალებები,
სინთეზური კაუჩუკი და
ბოჭკოები, პლასტმასები
– სინთეზური ორგანული
ნივთიერებებია.

ორგანული ნივთიერებების შედგენილობაში, ნახშირბადის ატომების გარდა, ყველაზე ხშირად შედის ნებლივადისა და უანგბადის ატომები. ორგანული ნივთიერებები შეიძლება შეიცავდეს აგრეთვე აზოტს, ფოსფორს, გოგირდს, პალოგენებს, მეტალებს და რიგ სხვა ელემენტს.

უმარტივესი შედგენილობის ორგანული ნივთიერებებია ნახშირწყალბადები – ნახშირბადისა და ნებლივადის ნაერთები, მაგალითად, მეთანი CH_4 , პროპანი C_3H_8 , ბუტანი C_4H_{10} და სხვ.

ორგანულ ნივთიერებებს, რომლებიც ნახშირბადის, ნებლივადისა და უანგბადისგან შედგება, მიეკუთვნება ეთოლის სპირტი $\text{C}_2\text{H}_5\text{OH}$, აცეტონი $(\text{CH}_3)_2\text{CO}$, ძმარმჟავა CH_3COOH , გლუკოზა $\text{C}_6\text{H}_{12}\text{O}_6$ და სხვ.

ამინმჟავები და ცილები ორგანული ნივთიერებებია, რომლებიც შეიცავს ძირითადად 4 ელემენტს: C, H, O და N.

ცოდნის ზარდახშა • XIX საუკუნემდე ნივთიერებებს, ნარმოშობის მიხედვით, ორგანულად და არაორგანულად ყოფილნენ. ითვლებოლა, რომ ორგანული ნივთიერებების ლაბორატორიაში სინთეზირება შეუძლებელია; რომ ისინი ცოცხალ ორგანიზმებში ნარმოიქმნება ე.წ. „სასიცოცხლო ძალის“ გავლენით (ვიტალისტური თეორია), მაგრამ გერმანელმა მეცნიერებმა ფ. ველერმა და ფ. კეპულემ, ფრანგმა ქიმიკოსმა მ. ბერთლომ და რუბა ა. ბუტლეროვმა, დაასინთეზეს რა არაორგანულიდან ორგანული ნივთიერებები, აჩვენეს მათი ურთიერთგადაქმნის შესაძლებლობა. ამით დადასტურდა იდეა, რომ არაორგანულ და ორგანულ ნივთიერებებს შორის მკვეთრი ზღვარი არ არსებობს.




პ. ბერთლომ
(1827-1907)
ფრანგი ქიმიკოსი

- სინთეზურად მიიღო ბევრი ორგანული ნივთიერება (მეთანი, აცეტილენი, ბენზოლი, ეთილის სპირტი, ჭიანჭველმჟავა, ცხიმები და სხვ.). აცეტილენთან წყალბადის მიერთებით მიიღო ეთოლენი, მისგან კი – ეთანი.



ფ. ველერმ
(1800-1892)
გერმანელი
ქიმიკოსი

- ატარებდა გამოკვლევებს ორგანული და არაორგანული ქიმიის სფეროში. ალმოაჩინა ციანნუალ ბადმჟავა (HCN), მიიღო ალუმინი, ბერილიუმი და იტრიუმი (Y).



ა. კოლბე
(1818-1884)
გერმანელი
ქიმიკოსი


- აჩვენა ნახშირბადის ოთხვალენტიანობა (ფ. კეპულესთან ერთად), სინთეზურად მიიღო რიგი ორგანული მჟავა, დაამტკიცა ნახშირწყალბადების მიღების შესაძლებლობა კარბონმჟავების მარილების ელექტროქიმიური დაუჯანვის შედეგად.

არაორგანულისგან განსხვავებით, ორგანული ნივთიერებები გამოირჩევა რიგი თავისებურებით, რომელთაგან ზოგიერთი ქვემოთაა ჩამოთვლილი:


1. ორგანულ ნივთიერებათა უმრავლესობა წვადია: მეთანის, ნავთობის, ბენზინის, სანთლის, მერქნის წვა თევენტვის კარგად არის (ცნობილი).

2. ორგანულ ნივთიერებათა უმრავლესობა მოლეკულური აღნაგობისაა და შეიცავს არაპოლარულ და მცირედ პოლარულ კოვალენტურ ბმებს.


3. ორგანულ ნივთიერებებში ნახშირბადის ატომები ერთმანეთს უერთდება, ნარმოქმნის რა ხაზოვან (ა და ბ), განშტოებულ (გ) და ჩაკეტილ (დ) ჯაჭვებს:




(ა)



(ბ)



(გ)



(დ)

ბოლო (მე-3) პუნქტი წარმოადგენს ორგანულ ნაერთთა აღნავობის თეორიის ერთ-ერთ დებულებას (გვ.147). ამ თეორიამ, დაეყრდნო რა ორგანულ ნაერთებში ნახშირბადის ოთხვალენტიანობას და ნახშირბადის ატომების მიერ ზემოხსენებული ჯაჭვების წარმოქმნის უნარს, ამითვე ახსნა ორგანულ ნაერთთა მრავალგვარობა.

4. ორგანული ნივთიერებები წარმოქმნის ჰომოლოგიურ რიგებს (გვ. 152).
5. ორგანული ნივთიერებებებისთვის დამახასიათებელია იზომერიის მოვლენა (გვ. 148).

საკვანძო
სიტყვები

• ორგანული ნივთიერებები • ორგანული ქიმია • ორგანულ ნაერთთა თავისებურებები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რას შეისწავლის ორგანული ქიმია?

2. განსაზღვრეთ ორგანული ნივთიერებები:

- | | |
|-----------------------------------|----------|
| 1. კირქვა, დოლომიტი; | ა) 1,2,3 |
| 2. შაქარი, ეთილის სპირტი; | ბ) 1,3 |
| 3. ბუნებრივი თაბაშირი, მარმარილო; | გ) 1,2 |
| 4. ცილები, ცხიმები. | დ) 2,4 |
| | ე) 2,3,4 |

3. მიუთითეთ ორგანულ ნივთიერებათა ფორმულები:

- | | |
|-----------------------------------|----------------|
| 1. Al_4C_3 | ა) 1,2,3,4,5,6 |
| 2. CH_3COOH | ბ) 1,2,3,5,6 |
| 3. $\text{C}_2\text{H}_6\text{O}$ | გ) 2,3 |
| 4. H_2CO_3 | დ) 2,3,6 |
| 5. CCl_4 | ე) 2,3,5,6 |
| 6. CH_4 | |

4. რატომ არ შეისწავლის ორგანული ქიმია ნახშირმჟავასა და მის მარილებს?

5. ჩამოთვალეთ ორგანული ნივთიერებების დამახასიათებელი თავისებურებები.

6. როგორ არის დაკავშირებული ორგანული ნივთიერებების მრავალფეროვნება ელემენტ ნახშირბადის თავისებურებებთან?

7. რომელი ორი ელემენტი შედის ორგანულ ნაერთთა უმრავლესობის შედგენილობაში?
რომელი ორი რთული ნივთიერება წარმოიქმნება ყოველთვის მათი წვისას?

8. ჩამოთვალეთ მეცნიერთა სახელები, რომელთაც XIX საუკუნეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორგანული ქიმიის განვითარებაში.

39

მრგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თაორია.

მრგანული ნივთიერებების კლასიფიკაცია




- რატომ აქვს განსხვავებული თვისებები ერთი და იმავე ქიმიური ფორმულის C_2H_6O მქონე ორგანულ ნივთიერებებს - ეთილის სპირტსა და დიმეთილის ეთერს?

საქმიანობა


იზომერის მოვლენა

უზრუნველყოფა: მოლეკულების ბურთულადეროვანი მოდელების დეტალების ნაკრები. შეადგინეთ C_4H_{10} მოლეკულის შესაძლებელი მოდელები და უპასუხეთ კითხვებს:

- რამდენი მოდელით შეიძლება გამოისახოს C_4H_{10} შედგენილობის ნახშირწყალბადი?
- რამდენვალენტიანია ნახშირბადი ან მოდელებში?
- ასახვს თუ არა თქვენ მიერ შედგენილი მოდელები და ბურთულებს?
- როგორ ფიქრობთ, ერთნაირი თვისებები აქვს ნ-ბუტანსა და იზობუტანს?



ნ-ბუტანი, $t_{\text{დან}} = -0,5^{\circ}\text{C}$




იზობუტანი, $t_{\text{დან}} = -11,7^{\circ}\text{C}$

XIX საუკუნის შუახანებში რუსმა მეცნიერმა ა. მ. ბუტლეროვმა წამოაყენა ორგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თეორია. განვიხილოთ ამ თეორიის ზოგიერთი დებულება:

1. ორგანულ ნივთიერებების მოლეკულებში ატომები შეერთებულია განსაზღვრული თანმიმდევრობით, მათი ვალენტობის შესაბამისად.

• მოლეკულებში ატომთა შეერთების თანმიმდევრობას ენოდება **ნივთიერების ქიმიური აღნაგობა**.




ა. მ. ბუტლეროვი
(1828-1886)
რუსი ქიმიკოსი

• ორგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თეორიის შემქმნელი. გამოიკვლია ბევრი ორგანული ნივთიერების იზომერია, განახორციელა რიგი ორგანული ნივთიერების სინთეზი.


მაგალითად, მეთანის CH_4 , პროპანის C_3H_8 და ბუტანის C_4H_{10} ქიმიური აღნაგობა გამოისახება შემდეგნაირად:

მეთანი CH_4


სრული სტრუქტურული ფორმულა



პროპანი C_3H_8



ბუტანი C_4H_{10}



შემოკლებული სტრუქტურული ფორმულა




$CH_3-CH_2-CH_3$ $CH_3-CH_2-CH_2-CH_3$

აღნაგობის თეორიის ამ დებულებიდან შეიძლება დავასკვნათ: ყოველ ორგანულ ნივთიერებას შეესაბამება ერთადერთი ქიმიური აღნაგობა.


2. ნივთიერებათა თვისებები დამოკიდებულია არა მხოლოდ მათ თვისებრივ და რაოდენობრივ შედგენილობაზე, არამედ ქიმიურ აღნაგობაზეც.

„საქმიანობის“ შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ თუ ნახშირწყალბადში C_4H_10 შევცვლით ნახშირბადის ატომების შეერთების თანმიმდევრობას, მიღება ორი განსხვავებული თვისებების მქონე ნივთიერება: ბუტანი და იზობუტანი. ასეთ ნივთიერებებს იზომერები ეწოდება.

იგვე შეიძლება ითქვას ეთილის სპირტისა C_2H_6O და დიმეთილის ეთერის შესახებ C_2H_6O :



დიმეთილის ეთერი C_2H_6O



სითხეა, დუღს 78°C-ზე,
წყალს ერევა ნებასმერი თანაფარდობით,
შედის რეაქციაში ნატრიუმთან

აირია (დუღს -24°C-ზე),
წყალში მცირედ ისნება,
არ შედის რეაქციაში ნატრიუმთან

შესაბამისად, ეთილის სპირტი (CH_3-CH_2-OH) და დიმეთილის ეთერი (CH_3-O-CH_3) ერთმანეთის იზომერებია.

- ნივთიერებებს, რომელთაც აქვს მოლეკულის ერთნაირი შედგენილობა, მაგრამ სხვადასხვა ქიმიური აღნაგობა და ამის გამო ერთმანეთისგან განსხვავდება თვისებებით, იზომერები ეწოდება, ხოლო თვით მოვლენას – იზომერია.

ამგვარად, ქიმიური აღნაგობის თეორიამ ორგანული ნივთიერებების მრავალგვარობა ახსნა არა მხოლოდ ოთხვალენტიანი ნახშირბადის უნარით, ნარმაქმნას ხაზოვანი, განშტოებული და ჩაკეტილი ჯაჭვები, არამედ იზომერის მოვლენითაც.

ცოდნის ზარდახშა • ამჟამად, აღნაგობის თეორიის მე-2 დებულებაზე დაყრდნობით, ცვლიან რა მოლეკულის აღნაგობას, სინთეზური გზით იღებენ საჭირო თვისებების მქონე ნივთიერებებს (წამლებს, სალებავებს და სხვ.).


ორგანული ნივთიერებების კლასიფიკაცია

შედგენილობის მიხედვით ყველაზე მარტივი ორგანული ნივთიერებებია ნახშირწყალბადები. იმისგან დამოკიდებულებით, შეკრულია თუ არა ნახშირბადოვანი ჯაჭვი, გამოყოფენ ციკლურ და აციკლურ (ალიფატურ) ნახშირწყალბადებს (სქემა1).

აციკლური ნახშირწყალბადები, თავის მხრივ, იყოფა ნაჯერად და უჯერად, ხოლო ციკლური – ალიციკლურად და არომატულად. ნაჯერი ნახშირწყალბადების მოლეკულებში არსებობს მხოლოდ მარტივი $C-C$ ბმები, ხოლო უჯერი ნახშირწყალბადების მოლეკულებში – ორმაგი $C=C$ და სამმაგი $C\equiv C$ ბმებიც.

სქემა 1

ნახშირნები



ყველა ორგანული ნივთიერება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნახშირნებადები და მათი ნაწარმები. ნივთიერებებს, რომლებიც ნარმოიქმნება ნახშირნებადების წყალბადის ატომების სხვა ატომით ან ატომთა ჯგუფით ჩანაცვლების შედეგად, ნახშირნებადების ნაწარმები ეწოდება. მაგალითად, 39.1 ცხრილის ბოლო სვეტში მოცემულია მეთანის – ნაჯერი ნახშირნებადების უმარტივესი ნაწარმადგენლის – ზოგიერთი ნაწარმის ფორმულა.

ცხრილი 39.1. ორგანული ნივთიერებების ძირითადი ფუნქციური ჯგუფები და კლასები

ფუნქციური ჯგუფი	კლასის ზოგადი ფორმულა	მაგალითები
$Hal = F, Cl, Br, I$ ჰალოგენები	$R^* - Hal$ ჰალოგენარმები	$CH_3 - Cl$ ქლორმეთანი
$-OH$ ჰიდროქსილის ჯგუფი	$R - OH$ სპირტები	$CH_3 - OH$ მეთანოლი
$\begin{matrix} \nearrow O \\ -C \\ \searrow H \end{matrix}$ ანუ $-CHO$ ალდეჰიდის ჯგუფი	$R - C \begin{matrix} \nearrow O \\ \searrow H \end{matrix}$ ალდეჰიდები	$CH_3 - CHO$ აცეტალდეჰიდი
$\begin{matrix} \nearrow O \\ -C \\ \searrow OH \end{matrix}$ ანუ $-COOH$ კარბოქსილის ჯგუფი	$R - C \begin{matrix} \nearrow O \\ \searrow OH \end{matrix}$ კარბონმჟავები	$CH_3 - COOH$ ძმარმჟავა
$-NH_2, -COOH$	$H_2N - R - COOH$ ამინომჟავები	$H_2N - CH_2 - COOH$ ამინომეთანომჟავა

ცხრილში მოტანილ ატომებსა და ატომთა ჯგუფებს: $-Cl$, $-OH$, $-CHO$, $-COOH$, $-NH_2$ ფუნქციურ ჯგუფებს უწოდებენ.

ფუნქციური ჯგუფი არის ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ნივთიერების დამახასიათებელ ქიმიურ თვისებებს და მის მიუზღვნებას მოცემული კლასისადმი.

* **R** (იკითხება რადიკალი)
ნაშთია, რომელიც ნარმოიქმნება ნახშირნებადის მოლეკულიდან H ატომის ატომების ჩამოცილების შედეგად. მაგალითად, CH_3 (მეთანის რადიკალი) მეთანის CH_4 ნაშთია.

- კლასი ნივთიერებათა ერთობლიობაა, რომლებიც, მათ შედგენილობაში განსაზღვრული ფუნქციური ჯგუფის არსებობის გამო, დამახასიათებელი ქიმიური თვისებებით გამოირჩევა.

39.1 ცხრილში მოცემულია ძირითადი ფუნქციური ჯგუფები და მათი შესაბამისი ორგანული ნივთიერებების კლასები.

ც
დ
რ
ი
ც
ხ


სტრუქტურული ფორმულები

რა შეიძლება ითქვას 1, 2 და 3 სტრუქტურული ფორმულების საფუძველზე?


1



2



3



პასუხი:

- 1, 2 და 3 C_5H_{12} ნახშირწყალბადის იზომერებია, რადგან აქვთ ერთი და იგივე შედგენილობა.

- ყოველ მოლეკულაში არის 4 C-C (არაპოლარული) და 12 C-H (მცირედ პოლარული) ბმბა.

- ყოველ მოლეკულაში ატომები და ატომთა ჯგუფები ბრუნავს C-C ს-ბმების გარძები.

დავალება. გაითვალისწინეთ $\text{C}-\text{C}-\text{C}$ კუთხის სიდიდე ($\approx 109^\circ$) და განსაზღვრეთ, პრტყელი თუ სამანზომილებისანი (სივრცული) აღნაგობა აქვს ამ სამ მოლეკულას. პასუხი დაასაბუთეთ.

საკვანძო
სიტყვები

• ორგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თეორია • ქიმიური აღნაგობა • იზომერია • ფუნქციური ჯგუფი • ნაერთთა კლასები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითეთ მცდარი გამონათქვამი. ქიმიური აღნაგობის თეორიის თანახმად...

- მოლეკულაში ატომები განსაზღვრული თანმიმდევრობითაა შეერთებული;
- ატომების შეერთების თანმიმდევრობა გავლენას ახდენს ნივთიერებათა თვისებებზე;
- C ატომების შეერთების თანმიმდევრობის შეცვლისას იცვლება ნივთიერების თვისებები;
- ნივთიერების თვისებები დამოკიდებული არ არის მის ქიმიურ აღნაგობაზე;
- მოლეკულაში ატომების შეერთების თანმიმდევრობა მისი ქიმიური აღნაგობაა.

2. განსაზღვრეთ იზომერები:

- | | | | |
|------------------------------------|------------------------------------|---------------------------------------|---|
| 1. $\text{C}_2\text{H}_5\text{OH}$ | 2. $\text{C}_3\text{H}_7\text{OH}$ | 3. $\text{CH}_3-\text{O}-\text{CH}_3$ | 4. $\text{C}_3\text{H}_7-\text{O}-\text{C}_3\text{H}_7$ |
| ა) 1,3 | ბ) 2,4 | გ) 1,2 | დ) 2,3 |
| | | | ე) 3,4 |

3. ჩამოთვალეთ რამდენიმე თავისებურება, რომლებიც იზომერებს ერთმანეთისგან განსხვავებს.

4. რომლებია იზომერების ორი ერთნაირი მახასიათებელი?

5. შეაფინეთ გოგირდნახშირების CS_2 , დიქლორმეთანისა CH_2Cl_2 და ბუტანის C_4H_{10} სტრუქტურული ფორმულები.

6. რით აისხება ნახშირწყალბადების მრავალრიცხოვნობა, შედგენილობისა და აღნაგობის მრავალფეროვნება?

7. დაწერთ სპირტების, ალფეპიდებისა და კარბონმჟავების ფუნქციური ჯგუფები.

8. რით განსხვავდება ციკლური ნახშირწყალბადები აციკლურისგან?

9. ვინ ნამოაყენა ორგანული ნივთიერებების ქიმიური აღნაგობის თეორია?

10. ნივთიერების მოლეკულური თუ სტრუქტურული ფორმულა მეტ ინფორმაციას იძლევა ამ ნივთიერების თვისებებზე?

40 ნაჯერი ნახშირწყალბადები (ალკანები). მეთანი



— ყოფაში და ტექნიკაში საწვავად გამოიყენება; ნედლეულია მრავალი ნივთიერების მისალებად. რომელ ნივთიერებაზეა ლაპარაკი?

საქმიანობა

მეთანის მიღება და ზოგიერთი ქიმიური თვისება

უზრუნველყოფა: შტატივი, საცობი გაზგამყვანი მილით, ნატრიუმის აცეტატი, NaOH , როდინი, KMnO_4 -ის ხსნარი, ბრომიანი წყალი, სპირტეურა, 3 სინჯარა, ასანთა.





სამუშაოს მსვლელობა: როდინში ერთად გააფხვირეთ ნატრიუმის აცეტატი და ნატრიუმის ჰიდროქსიდი, შემდეგ სარევა მოათავსეთ სინჯარაში. დაამაგრეთ სინჯარა შტატივზე ჰორიზონტულურ მდგომარეობაში, დაახურეთ მას საცობი გაზგამყვანი მილით და ნარევი გაასურეთ. აანოეთ გაზგამყვანი მილიდან გამომავალი აირი და დააკვირდთ ალს. შემდეგ ჩააქრეთ ცეცხლმოებული მეთანი და აირი მორიგეობით გაატარეთ ბრომიან წყალში და KMnO_4 -ის განზავებულ ხსნარში. დააკვირდთ მიმდინარე მოვლენებს.

განიხილეთ შედეგები:


- როგორი ალით იწვის მეთანი ჰაერზე?
- განიცდის თუ არა ცვლილებებს ბრომიანი წყალი და KMnO_4 -ის ხსნარი მეთანის გატარებისას?
- როგორ ფიქრობთ, რა ტიპის ქიმიურ რეაქციებში შეიძლება შევიდეს მეთანი?

ნახშირწყალბადები ნივთიერებებია, რომელთა მოლეკულები შედგება ნახშირბადისა და წყალბადის ატომებისგან.

• აციკლურ ნახშირწყალბადებს, რომელთა რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომები დაკავშირებულია მარტივი $C-C$ ბმებით, **ნაჯერი ნახშირწყალბადები** ეწოდება. მაგალითად:



ქვემოთ მოცემულია მეთანის, ეთანისა და ბუტანის მოლეკულების მოდელები (ა), (ბ), (გ). ამ მოდელებიდან გამომდინარეობს, რომ მეთანის მოლეკულას, ისევე როგორც ნახშირბადის ნებისმიერ ატომს სხვა ნაჯერი ნახშირწყალბადის მოლეკულაში, აქვს ტეტრაედრული აღნაგობა.



მეთანის (ა), ეთანის (ბ) და ბუტანის (გ) მოლეკულების ბურთულეროვნი და სფერული მოდელები

საერთაშორისო ნომენკლატურით ნაჯერ ნახშირწყალბადებს აღკანები ენოდება. წინა გვერდზე მოცემულია ზოგიერთი ალკანის ფორმულა. ალკანების პირველი წარმომადგენელია მეთანი CH_4 .

მეთანის (CH_4), ეთანის (C_2H_6), პროპანისა (C_3H_8) და სხვა ალკანების ფორმულების შედარებისას ვამჩნევთ, რომ შედგენილობის მხრივ თითოეული მათგანი წინასას განსხვავდება CH_2 – მეთილენის ჯგუფით. $-\text{CH}_2 -$ ჯგუფს ჰქონდობა გურიაშვილის სხვაობას უწოდებენ.

• ერთი და იმავე კლასის ნივთიერებებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ერთი ან რამდენიმე მეთილენის ჯგუფით, ჰომოლოგები ეწოდება.

მეთანი (CH_4), ეთანი (C_2H_6), პროპანი (C_3H_8), ბუტანი (C_4H_{10}), პენტანი (C_5H_{12}) და სხვ. ერთმანეთის ჰომოლოგებია. მოლეკულური მასის ზრდის მიხედვით განლაგებული ჰომოლოგები ჰომოლოგიურ რიგს წარმოქმნის. განხილული რიგი წარმოადგენს ნაჯერი ნახშირწყალბადების ჰომოლოგიურ რიგი.

ცოდნის ზარდაშება • ბერძნულად „homologos“ მსგავსს ნიშნავს.

ჰომოლოგიური რიგის ყველა წევრის შედგენილობა გამოისახება ერთი ზოგადი ფორმულით. მაგალითად, ალკანების შედგენილობა შეიძლება გამოვსახოთ ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n+2}$, ხოლო ფარდობითი მოლეკულური მასა – გამოსახულებით $M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+2}) = 14n + 2$ ($n \geq 1$), სადაც n ალკანის მოლეკულაში ნახშირბადის ატომების რიცხვს აღნიშნავს.

ალკანების შედგენილობასა და ალნაგობასთან დაკავშირებული გამოთვლები
ალკანის ფარდობითი მოლეკულური მასაა 44. დაასახელეთ ეს ალკანი და განსაზღვრეთ მის მოლეკულაში σ -ბმების $[\sigma(\text{C}-\text{C})$ და $\sigma(\text{C}-\text{H})]$ რიცხვი.

ამოხსნა:

(14 n + 2) გამოსახულებიდან ვპოულიბთ მოლეკულაში ნახშირბადის ატომების რიცხვს, ვადგენთ ალკანის სტრუქტურულ ფორმულას და ვსაზღვრავთ მოლეკულაში σ -ბმების რიცხვს.


$$M_r(\text{ალკანი}) = 14n+2 = 44; \quad 14n = 42; \quad n = 3.$$

ე. ი. ეს ალკანი პროპანია. მისი სტრუქტურული ფორმულადან

ვპოულიბთ: $\sigma(\text{C}-\text{C})$ -ბმების რიცხვი = 2,

$\sigma(\text{C}-\text{H})$ -ბმების რიცხვი = 8,

σ -ბმების საერთო რიცხვი = 10.



ამოცანა. აირადი ალკანის სიმკვრივე წყალბადის მიმართ არის 29. განსაზღვრეთ ალკანის მოლეკულური ფორმულა.

ჟუნებაში გავრცელება. მეთანი ბუნებაში წარმოიქმნება მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ნამთების უპაერო დამლისას (ჭაობებში, ქვანახშირის მაღაროებში), ამიტომ მას ზოგჯერ მადნის ან ჭაობის გაზს უწოდებენ. მეთანი შეადგენს ბუნებრივი აირის ძირითად ნანილს (80-97%). ის შედის ნავთობის თანმხლებ აირებშიც.




ფიზიკური თვისებები. მეთანი უფერო, უგემო, ჰერზე თითქმის ორჯერ მსუბუქი აირია. ეთანი, პროპანი და ბუტანი ასევე აირებია. ალკანების შემდეგი 11 წარმომადგენელი ($\text{C}_5\text{H}_{12} - \text{C}_{15}\text{H}_{32}$) სითხეებია, ხოლო დანარჩენები – მყარი ნივთიერებები. მეთანი წყალში პრაქტიკულად არ იხსნება.

პროპანი და ბუტანი ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, წნევის მოქმედებით ადვილად თხევადდება.

ქიმიური თვისებები. მეთანი ქიმიურად მცირედ აქტიურია. ჩვეულებრივ პირობებში ის მდგრადია მუკების, ტუტების, მუანგავების მოქმედების მიმართ; არ აუფერულებს ბრომიან წყალს და კალიუმის პერმანგანატის ხსნარს.


მეთანი შედის ჩანაცვლების, უანგვის და დაშლის რეაქციებში.

I. ჩანაცვლების რეაქციებში $C-H$ ბმა წყდება და H ატომი ჩაენაცვლება სხვა ატომით. მაგალითად, სინათლის დასხივებისას ($h\nu$) ან გაცხელებისას ქლორის ატომები თანმიმდევრულად ანაცვლებს მეთანის წყალბად-ატომებს, წარმოქმნის რა მეთანის სხვადასხვა ქლორნანარმის ნარევს:




ბრომი მეთანთან ანალოგიურად რეაგირებს.

II. მეთანი ინვის თითქმის უფერო ალით და დიდი რაოდენობის სითბოს გამოყოფით. ამ დროს წარმოიქმნება წყალი და ნახშირმჟავა აირი:



მეთანი პაერთან ფეთქებადსაშინ ნარევებს წარმოქმნის. მსგავსი ნარევები შეიძლება დაგროვდეს მაღაროებში და ქარხნების საქვაბებში, აგრეთვე საცხოვრებელ შენობებში.

მეთანის წყლის ორთქლთან კონვერსიით იღებენ სინთეზ-აირს:



III. მაღალ ტემპერატურაზე მეთანი იშლება. პირობებისგან დამოკიდებული ბით, მეთანისგან იღებენ ჭვარტლს, აცეტილენს (C_2H_2) და ეთილენს (C_2H_4):



ორგანული ნაერთებიდან წყალბადის მოლეკულის მოხლეჩის რეაქციებს დეტიდრორების რეაქციები ეწოდება.

გამოყენება. სათბობის სახით მეთანი ფართოდ გამოიყენება ყოფაში და მრეწველობაში. მისგან იღებენ ჭვარტლს, წყალბადს, აცეტილენს, სინთეზ-აირს და სხვ. ნედლეულის სახით მეთანი გამოიყენება მეთილის სპრატის, ქმარმჟავას, სინთეზური კაუჩუკის და სინთეზური ბენზინის წარმოებაში. მეთანის ჰალოგენ-ნახარმებს იყენებენ სამაცივრო დანადგარებში, მედიცინაში, ხანძრის ჩასაქრობად, აგრეთვე გამხსნელებად. პროპანი და ბუტანი გამოიყენება საწვავად, ზოგჯერ – ყოფაშიც.

ეს საინტერესო

საყოფაცხოვრებო (ბუნებრივი) აირის გაუნივერსალური ალმოჩნის მიზნით მას უმატებერ მცირე რაოდენობით მკვეთრსუნან აირს – ეთილმერკაპტანს (C_2H_5SH). სწორედ ის ანიჭებს ბუნებრივ აირს უსიამოვნო სუნს („გაზის სუნი“).

ამ ნივთიერებას უმატებენ აგრეთვე პროპან-ბუტანიან ბალონებს.

საკვანძო
სიტყვები

- ალკანები • ჰომოლოგიური რიგი • ჰომოლოგი • ჰომოლოგიური სხვაობა
- მეთანის კონვერსია • დეპიდრირება •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. განსაზღვრეთ მეთანის ჰომოლოგები:

- a) C_2H_4 , C_3H_6 b) C_2H_4 , C_3H_8 c) C_3H_8 , C_4H_8 d) C_3H_6 , C_4H_{10} e) C_3H_8 , C_4H_{10}


2. რომელი აირებიდან გამოყოფენ მეთანს მრეწველობაში?

1. ბუნებრივი აირი; 2. ნელის აირი; 3. ნავთობის თანმხლები აირები; 4. ბრძმედის აირი.
a) 1,2,3,4 b) 1,3 c) 1,4 d) 1,2,3 e) 1,3,4

3. მიუთითეთ რეაქციები, რომლებში შედის მეთანი:

1. მიერთება; 2. ჩანაცვლება; 3. უანგვა; 4. დაშლა.
a) 1,2 b) მხოლოდ 2 c) 2,3 d) 1,2,3 e) 1,2,3,4

4. განსაზღვრეთ დეპიდრირების რეაქციები:



5. რატომ არ შედის ალკანები მიერთების რეაქციებში?

6. შეადგინეთ სიმეტრიული ალნაგობის ბრომიანაცვლებული პროპანისა C_3H_7Br და ბრომ-ეთანის სტრუქტურული ფორმულები.

7. შეადგინეთ მეთანის ბრომირებით დიდრომეთანის მიღების რეაქციათა ტოლობები.

8. შეადგინეთ ნახშირწყალბადების სრული წევის რეაქციათა ტოლობები:
a) ეთანის; b) პროპანის; c) ბუტანის.


9. ჩამოთვალეთ ნივთიერებები, რომლებსაც მრეწველობაში მეთანიდან იღებენ.

10. გამოთვალეთ მეთანში წყალბადისა და ნახშირბადის მასური წილი (%).

11. რამდენი ლ (6.3.) ქლორო დაიხარჯება 10 ლ მეთანის სრული ქლორირებისთვის?


12. n -ის საშუალებით გამოსახეთ $\sigma(C-C)$ და $\sigma(C-H)$ -ბების რიცხვი ალკანში (C_nH_{2n+2}).

13. n -ის საშუალებით გამოსახეთ a , b და c კოეფიციენტები ტოლობაში:



41 უჯერი ნახშირწყალბადები. ეთილენერი რიგის ნახშირწყალბადები (ალკენები). ეთილენი

აციკლურ ნახშირწყალბადებს, რომელთა მოლეკულებში C -ატომებს შორის ორმაგი ან სამმაგი ბმა არ სებობს, უჯერი ნახშირწყალბადები ეწოდება.



ეთილენური რიგის ნახშირწყალბადები (ალკენები). ეთილენი

? – იცვლება თუ არა ნახშირბადის ვალენტობა მეთანისა და ეთანის ეთილენად გარდაქ-მნისას?



– როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა ეთილენს წყალბადის მიერთება? რატომ?

საქმიანობა

ეთილენის მიღება და ქიმიური თვისებები

უზრუნველყოფა: შტატივი, საცობი გაზგამყვანი მიღით, KMnO_4 -ის ხსნარი, ბრომიანი წყალი, ეთილის სპირტი, სპირტურა, Al_2O_3 -ის გრანულები.

სამუშაოს მსვლელობა: სინჯარაში ჩასხით 2-3 მლ ეთილის სპირტი და 5-6 მლ გოგირდმჟავა. თანაბარი დულილის უზრუნველასყოფად მასში მოათავსეთ აგრეთვე Al_2O_3 -ის რამდენიმე გრანულა. სინჯარას დაახურეთ საცობი გაზგამყვანი მიღით, დახრილად დაამაგრეთ შტატივზე და ნარევი ფრთხოად გააცხელეთ. გამოყოფილი აირი გაზგამყვანი მიღილის საშუალებით 1-2 ნუტის განმავლობაში მორიგეობით გაატარეთ 2-3 მლ ბრომიან წყალში და ამდენივე ძლიერ განზავებულ KMnO_4 -ის ხსნაში. დაკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

შემდეგ გაზგამყვანი მიღილის ბოლო ზემოთ შეატრიალეთ და გამომავალი აირი აანთეთ.

განიხილეთ შედეგები:

- რა შეამჩნიეთ ეთილის სპირტის გოგირდმჟავასთან გაცხელებისას?
- რას მოხდება KMnO_4 -ტრიორებული გოგირდმჟავა ორგანული ნივთიერებებიდან?
- შეიცვალა თუ არა ბრომიანი წყლისა და KMnO_4 -ის ხსნარის შეფერვა ეთილენის გატარებისას? რა დასკვნა გამოიგონეთ ამის საფუძველზე?
- როგორი ალიტი ინვის ეთილენი ჰაერზე? განხსნავდება თუ არა ეს ალიტიანის წვისას შემჩნეული ალისგან?

• აციკლურ ნახშირწყალბადებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის ერთი ორმაგი ბმა არსებობს, ეთილენური ნახშირწყალბადები ეწოდება.


საერთაშორისო ნომენკლატურით ეთილენური რიგის ნახშირწყალბადებს ალკენები ეწოდება. ალკენების ზოგადი ფორმულაა C_nH_{2n} ($n \geq 2$), ხოლო მათი ფარდობითი მოლეკულური მასა გამოითვლება გამოსახულებით: $M_n(\text{C}_n\text{H}_{2n}) = 14n$.

პირმოლოგიური რიგის პირველი ნარმომადგენელია ეთილენი $\text{CH}_2=\text{CH}_2$ (C_2H_4), მეორე – $\text{H}_2\text{C}=\text{CH}-\text{CH}_3$ (C_3H_6) პროპილენი. ეთილენის ერთვალენტიან ნაშთს $-\text{CH}=\text{CH}_2$ ვინილის ჯეუფს უწოდებენ.

(3) ეთილენის მოლეკულის ბურთულადეროვანი მოდელი

ეთილენის მოლეკულის მოდელიდან ჩანს, რომ მისი ყველა ატომი ერთ სიბრტყეშია განლაგებული. ეთილენის მოლეკულაში არის ოთხი $\sigma(\text{C}-\text{H})$, ერთი $\sigma(\text{C}-\text{C})$ და ერთი π -ბმა.

ალკენების მიღება, თვისებები და გამოყენება განვიხილოთ ეთილენის მავალითზე. მიღება. ლაბორატორიაში ეთილენის მიღება შეიძლება ეთილის სპირტიდან წყლის ჩამოცილებით:




დაშლის რეაქციას, რომელსაც თან ახლავს წყლის მოხლეჩა, დეპილატაციის რეაქცია ეწოდება.

ფიზიკური თვისებები. ეთილენი უვერო, უსუნო, ჰაერზე ოდნავ მსუბუქი აირია. წყალში პრაქტიკულად არ იხსნება. ჩვეულებრივ პირობებში რიგის პირველი ნარმომადგენლები (C_2H_4 , C_3H_6 , C_4H_8) აირებია.

ქიმიური თვისებები. ქიმიური თვისებების მხრივ, ეთილენი უფრო აქტიურია, ვიდრე მეთანი. ის შედის მიერთების, პოლიმერიზაციისა და უანგვის რეაქციებში.



I. მიერთების რეაქციები

1. კატალიზატორის თანაობისას ეთილენი იერთებს 1 მოლ წყალბადს და გარდაიქმნება ეთანად:




ორგანულ ნივთიერებებთან წყალბადის მიერთების რეაქციებს ჰიდრირების რეაქციები ეწოდება.

2. ეთილენი იერთებს ჰალოგენებს. მაგალითად, თუ მას გავატარებთ მურანითელი ფერის ბრომიან წყალში, ეთილენი მიიერთებს ბრომს და ხსნარი გაუფერულდება. ამ რეაქციას იყენებენ უჯერი ნახშირწყალბადების განსაზღვრისთვის (გამოცნობისთვის):



(გ) ბრომიანი წყლის გაუფერულება ეთილენით

3. კატალიზატორის თანაობისას ეთილენი იერთებს წყალს, გარდაიქმნება რა ეთილის სპირტი:



ც ა რ
ც ა რ
ც ა რ
ც ა რ

ალკენების ქიმიურ თვისებებთან დაკავშირებული გამოთვლები


1 მოლი რომელი ალკენის – ეთილენისა – თუ პროპილენის – სრული ჰიდრირებისთვის დაიხარჯება წყალბადის უფრო მეტი რაოდენობა?

ამოხსნა:

ვინაიდან თითო მოლი ეთილენი და პროპილენი შეიცავს მოლეკულების ერთნაირ რიცხვს (N_A), ხოლო თითოეულ მოლეკულაში თითო $\text{C}=\text{C}$ ბმაა, რომელიც ჰიდრირდება, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ორივე შემთხვევაში წყალბადის ერთნაირი რაოდენობა დაიხარჯება.

ამოცანა. რამდენი ლ ეთილის სპირტი შეიძლება მივიღოთ 11,2 ჭ (ნ.ჭ.) ეთილენის ჰიდრატაციისას 80% გამოსავლით? ეთანოლის სიმკვრივე მიიღეთ 0,8 გ/სტ ტოლად.



II. პოლიმერიზაციის რეაქციები. პოლიმერიზაცია არის მცირე ფარდობითი მოლეკულური მასის მქონე ერთნაირი მოლეკულების დიდი რიცხვის შეერთება მაღალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნით. ეთილენის პოლიეთილენად პოლიმერიზაცია შეიძლება გამოვსახოთ ტოლობით:



საწყის ნივთიერებას ეწოდება მონომერი, ხოლო მიღებულს – პოლიმერი.


III. უანგვის რეაქციები. ეთილენი ადვილად იუანგება. მაგალითად, თუ ეთილენს გავატარებთ კალიუმის ჰერმანგანატის ხსნარში, ხსნარის ისფერი შეფერილობა გაქრება. რეაქციის შედეგად წარმოქმნება ორატომიანი სპირტი – ეთილენგლიკოლი.

ეს რეაქცია აგრეთვე გამოიყენება უჯერი ნახშირწყალბადების განსაზღვრისთვის:



(გ) კალიუმის პერმანგანატის ხსნარის ეთილენით გაუფერულება

ანთებისას ეთილენი მნათი ალით იწვის:



გამოყენება. ალკენები გამოიყენება პოლიმერების (პოლიეთილენის, პოლიპროპილენის და სხვ.), გამხსნელების (სპირტი), ანტიფრიზების (გამა-ცივებელი სითხეები, რომლებიც არ იყინება დაბალ ტემპერატურაზე), ლავსანის ბოჭკოს, ფერებადი ნივთიერებების, აგრეთვე სინთეზური კაუჩუკების მისაღებად.

განსაზღვრა. ეთილენს, როგორც უჯერი ნახშირწყალბადს, საზღვრავენ ბრო-მიანი წყლისა და კალიუმის პერმანგანატის ხსნარის გაუფერულებით.

საკვანძო
სიტყვები

• ჰიდროტება • დეჰიდრირება • ჰიდრატაცია • პოლიმერიზაცია •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ალკენებისთვის?

- ა) რიგის პირველი ნარმომადგენელი ჰაერზე მსუბუქია;
- ბ) ეთილენი ცუდად იხსნება ნებალში;
- გ) ჩივეულებრივ პირობებში ეთილენი და პროპილენი აირებია;
- დ) ეთილენი ქიმიურად მეთანზე აქტიურია;
- ე) მათი სრული წვისას ნარმოიქმნება ერთი რთული ნივთიერება.

2. 1 მოლი რომელი ალკენის სრულ წვაზე დაიხარჯება მეტი ჰაერი?

- ა) C_2H_4
- ბ) C_5H_{10}
- გ) C_4H_8
- დ) C_6H_{12}
- ე) C_3H_6

3. რომელ ნივთიერებებს იერთებს ეთილენი?

- 1. H_2O
- 2. Br_2
- 3. H_2
- 4. C_2H_4

4. რომელი ნივთიერებების წყალსნარების დახმარებით შეიძლება, ეთილენი განვასხვაოთ ეთანისგან?

- 1. KOH
- 2. Br_2
- 3. NaOH
- 4. KMnO_4
- 5. KCl

5. რით არის განპირობებული ეთილენის უფრო დიდი ქიმიური აქტიურობა, ვიდრე მეთანისა?

6. n -ის საშუალებით გამოსახეთ $\sigma(\text{C}-\text{C})$ და $\sigma(\text{C}-\text{H})$ ბმების რიცხვი ალკენის (C_nH_{2n}) მოლეკულაში.

7. რამდენი ლ (ნ.პ.) წყალბადია საჭირო 2,24 ლ ეთილენის სრული ჰიდრირებისთვის?

8. განსაზღვრეთ წყალბადისა და ნახშირბადის მასური ნილები (%) ეთილენში.

9. გამოთვალეთ ეთილენის ჰიმოლოგიური რიგის მე-5 წევრის ფარდობითი მოლეკულური მასა.

10. გამოთვალეთ ნახშირბადის ატომების რიცხვი ალკენის მოლეკულაში, თუ ცნობილია, რომ ალკენის $1,204 \cdot 10^{24}$ მოლეკულა შეიცავს 24 გ წყალბადს. $\text{Ar}(\text{H}) = 1$.

42 პეტილენი და ღიანური ნახვის ფაზები. აცეტილი



რომელი აირის წვის სითბო გამოიყენება მეტალების ჭრისა და შედუღებისთვის?

საქმიანობა

აცეტილენის მიღება და ქიმიური თვისებები

უზრუნველყოფა: შტატივი, საცობი გაზგამყვანი მილით, კონც. გოგირდმჟავა, $KMnO_4$ -ის ხსნარი, ბრომიანი წყალი, 4 სინჯარა, ასანთი, ვერცხლისნებლის(II) სულფატი, ვიურცის კოლბა, კალციუმის კარბიდი, სუფრის მარილი, წყალი, საწვეთურიანი ძაბრი.

სამუშაოს მსვლელობა: შტატივზე დამაგრებულ, გაზგამყვანი მილით აღჭურვილ ვიურცის კოლბაზე მოათავსეთ კალციუმის კარბიდის 2-3 პატარა ნატეხი და ძაბრით ჩანვეთეთ სუფრის მარილის ნაჯერი ხსნარი (მარილი ხელს უშლის რეაქციის მძაფრ მიმდნარეობას).

- ზემოთ შეატრიალეთ გაზგამყვანი მილის ბოლო და აანთეთ გამომავალი აირი.
- გაზგამყვანი მილის ბოლო ჩაუშვით $KMnO_4$ -ის ხსნარში და დააკვირდით აირის ხსნარში გავლას.
- შემდეგ გაზგამყვანი მილის ბოლო ჩაუშვით სხვა სინჯარაში, რომელშიც მოთავსებულია 4-5 მლ წყალი, 1-2 წვეტი გოგირდმჟავა და ამდენივე ვერცხლისნებლის(II) სულფატის ხსნარი. დააკვირდით მომხდარს.


განიხილეთ შედეგები:

- რით განსხვავდება აცეტილენის ჰაერზე წვა მეთანის წვისგან?
- შეიცვლა თუ არა ბრომიანი წყლის და $KMnO_4$ -ის ხსნარის შეფერილობა აცეტილენის გატარებისას?
- რა შეამჩნიეთ აცეტილენის ვერცხლისნებლის მარილის ხსნარში გატარებისას?

• აციკლურ ნახშირნყალბადებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის ერთი სამაგი ბმა არ სებობს, აცეტილენური ნახშირნყალბადები ეწოდება.

საერთაშორისო ნომენკლატურით აცეტილენური რიგის ნახშირნყალბადებს ალკინები ეწოდება. ალკინების პირველი ნარმომადგენელია ეთინი (აცეტილენი) $HC \equiv CH$, მეორე – პროპინი (მეთილაცეტილენი) $HC \equiv C-CH_3$. ალკინების შედგენილობას გამოსახავენ ზოგადი ფორმულით C_nH_{2n-2} ($n \geq 2$), ხოლო მათი ფარდობით მოლეკულურ მასას გამოითვლიან გამოსახულებით: $M_r(C_nH_{2n-2}) = 14n - 2$.


აცეტილენის მოლეკულას $HC \equiv CH$ (C_2H_2) აქვს წრფივი აღნაგობა (ა და ბ):



(ა)

აცეტილენის მოლეკულის ბურთულა-ლეროვანი (ა) და სფერული (ბ) მოდელები

ალკინების მიღება, თვისებები და გამოყენება განვიხილოთ აცეტილენის მაგალითზე. მიღება. მრეწველობაში აცეტილენის იღებენ მეთანიდან და კალციუმის კარბიდიდან:



აცეტილენს კალციუმის კარბიდის ჰიდროლიზით იღებენ ლაბორატორიაშიც.

ფიზიკური თვასებები. აცეტილენი უფერო, უსუნო, ჰაერზე მსუბუქი აირია. წყალში მცირედ იხსნება.

ეს საინტერესოა

კალციუმის კარბიდიდან მიღებული აცეტილენის სპეციფიკური სუნი განპირობებულია მასში არსებული გოგორდებყალბადისა და არადი ფოსფინის (PH_3) მიხარევებით (ამიტომ ასეთი აცეტილენი მომნამდავია).

ქიმიური თვისებები. აცეტილენი, ეთილენის მსგავსად, შედის მიერთების, პოლიმერიზაციისა და უანგვის რეაქციებში.

I. მიერთების რეაქციები. აცეტილენი იერთებს წყალბადს, ჰალოგენებს, ჰალოგენყალბადებსა და წყალს.


1. წყალბადის მიერთება მიმდინარეობს ორ სტადიად: ჯერ წარმოიქმნება ეთილენი, შემდეგ კი – ეთანი:



ჰალოგენების მიერთება ძალიან ადვილად მიმდინარეობს; მაგალითად, თუ აცეტილენს გავატარებთ ბურა-ზითელი ფერის ბრომიან წყალში, ბრომის აცეტილენთან მიერთების შედეგად ხსნარი გაუფერულდება. მიერთება მიდის ორ სტადიად:




აცეტილენთან 1 მოლი ქლორწყალბადის მიერთებისას წარმოიქმნება უმნიშვნელოვანესი მონომერი – ვინილქლორიდი:




ვინილქლორიდის პოლიმერიზაციით იღებენ პოლივინილქლორიდს (გვ. 191).

აცეტილენთან წყლის მიერთებით იღებენ უსიამოებო სუნის ძმრის ალდეჰიდს (მ. კუჩეროვის რეაქცია):




II. პოლიმერიზაციის რეაქციები. კატალიზატორის თანაობისას აცეტილენი დი-მერიზდება ვინილაცეტილენად:



III. უანგვის რეაქციები. აცეტილენი, ისევე ორგორიც ეთილენი, ადვილად იუანგება. კალიუმის პერმანგანატის ხსნარში აცეტილენის გატარებისას ხსნარი უფერულდება. ამ დროს აცეტილენი იუანგება მჟაუნმჟავამდე:



მეთანისა და ეთილენისგან განსხვავებით, აცეტილენი ჰაერზე ჭვარტლიანი ალით იწვის. უანგბადში ის იწვის კაშკაშა დამაპრმავებელი ალით (გამოყოფს სითბოს დიდ რაოდენობას):



აცეტილენის ნარევები ჰაერთან და ჟანგპადთან ფეთქებადსაშიშია.

გამოყენება. აცეტილენი გამოიყენება მეტალების შედეულებისა და ჭრისათვის, ძმარმუავას, ეთილის სპირტის, სინთეზური კაუჩუკების, პოლივინილქლორიდური ფისების, წებოების, გამხსნელების ($\text{CHCl}_2-\text{CHCl}_2$, $\text{CHCl}_2-\text{CH}_2\text{Cl}$) წარმოებაში.

აცეტილენის განსაზღვრა. აცეტილენს, როგორც უჯერ ნახშირწყალბადს, საზღვრავენ ბრომიანი წყლისა და კალიუმის პერმანგანატის ხსნარის გაუფერულებით ამ აირის გატარებისას.


ალკენებისა და ალკინების აღნაგობასთან დაკავშირებული გამოთვლები
განსაზღვრეთ აცეტილენისა და ეთილენის მოლეკულების სივრცული აღნაგობა და თითოეულ მოლეკულაში σ - და π -ბმების რიცხვი.

ამოხსნა:

ა) ვინაიდან ეთილენის მოლეკულაში ყველა ატომი განლაგებულია ერთ სიბრტყეში, ხოლო აცეტილენის მოლეკულაში – ნერფის გასწვრივ, ეს ნიშნავს, რომ ეთილენის მოლეკულას აქვს ბრტყელი, ხოლო აცეტილენისას – ნერფივი აღნაგობა.


ბ) თუ გავითვალისწინებთ, რომ ორმაგი $\text{C}=\text{C}$ ბმა შედგება ერთი σ - და ერთი π -ბმისგან, ხოლო სამმაგი $\text{C}\equiv\text{C}$ ბმა – ერთი σ - და ორი π -ბმისგან, მაშინ ეთილენისა (ა) და აცეტილენის (ბ) სტრუქტურული ფორმულებიდან დავადგენთ, რომ ეთილენის მოლეკულაში არსებობს 5- და ერთი π -ბმა, ხოლო აცეტილენისში – 3- და ორი π -ბმა.

ამოცანა. n -ის საშუალებით გამოსახეთ $\sigma(\text{C}-\text{C})$ და $\sigma(\text{C}-\text{H})$ ბმების რიცხვი ალკინის ($\text{C}_n\text{H}_{2n-2}$) მოლეკულაში.



დიენური ნახშირწყალბადები

• აციკლურ ნახშირწყალბადებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომებს შორის ორი ორმაგი ბმა არსებობს, დიენური ნახშირწყალბადები ენოდება. მაგ:





საერთაშორისო ნომენკლატურით დიენურ ნახშირწყალბადებს ალკადიენები ენოდება. ალკადიენების პირველი ნარმომადენელია პროპადიენი $\text{H}_2\text{C}=\text{C}=\text{CH}_2$, მეორე – ბუტადიენ-1,3 $\text{CH}_2=\text{CH}-\text{CH}=\text{CH}_2$ (დივინილი). ალკადიენების შედგენილობას, ალკინების ანალოგიურად, გამოსახავენ ზოგადი ფორმულით $\text{C}_n\text{H}_{2n-2}$ ($n \geq 3$), ხოლო მათი ფარდობითი მოლეკულური მასა გამოითვლება გამოსახულებით: $M_r(\text{C}_n\text{H}_{2n-2}) = 14n - 2$.

ცოდნის ზარდახშა • დივინილი უფერო აირია, რომელიც ადვილად თხევადდება; იზოპრენი უფერო აქრილადი სითხეა.

ალკადიენებს ახასიათებს მიერთებისა და პოლიმერიზაციის რეაქციები.

ბუტადიენ-1,3-ისა და მისი ნაწარმების პოლიმერაზაციით მიიღება წარმოების-თვის მნიშვნელოვანი კაუჩუკები:





გამოყენება. დივინილი, იზოპრენი და ქლოროპრენი (2-ქლორბუტადიენ-1,3) მონომერებად გვევლინება შესაბამისი კაუჩუკების ნარმობისას. ეს კაუჩუკები გამოიყენება ავტომობილების საბურავებისა და კამერების, აგრეთვე რეზინის სხვა ნაკეთობათა დასამზადებლად.

საკვანძო
სიტყვები





- ძმრის ალდეჰიდი
- ვინილაცეტილენი
- მჟაუნმჟავა
- სინთეზური კაუჩუკები
- დიმერიზაციის რეაქცია
- ქლოროპრენი

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ალკინებისთვის?

- შეიცავს სამმაგ 叁 C ბმას;
- მათი და დიენების შედგენილობა გამოისახება ერთი ზოგადი ფორმულით;
- ფარადისით მოლეკულური მასა გამოითვლება ფორმულით: $14n - 2$.
- პირველი ნარმობადენლის მოლეკულაში ყველა ატომი წრფის განცვრივა განლაგებული;
- აცეტილენში ელემენტთა მასური თანაფარდობა $m(\text{C}):m(\text{H}) = 1:1$.

2. რომელი სქემით მიღება აცეტილენი მრეწველობაში და ლაბორატორიაში?



3. მოუთითეთ, შესაბამისად, ა, ბ და გ რეაქციებში ნარმოქმნილი ნივთიერებების სახელწოდებები:

- | | | |
|--|--|--|
| a. $\text{C}_2\text{H}_2 + 2\text{H}-\text{H} \rightarrow$ | b. $\text{C}_2\text{H}_2 + \text{C}_2\text{H}_2 \rightarrow$ | g. $\text{C}_2\text{H}_2 + 2\text{Br}-\text{Br} \rightarrow$ |
| 1. ეთილენი; | 2. ეთანი; | 3. ბენზოლი; |
| 4. ვინილაცეტილენი; | 5. ტეტრაბრომეთილენი; | 6. 1,1,2,2-ტეტრაბრომეთანი. |

4. რომელი ნივთიერებების მისაღებად გამოიყენება უშუალოდ აცეტილენი?

1. ძმრის ალდეჰიდის;
2. ძმარმჟავასი;
3. ვინილაცეტილენის;
4. ვინილელორიდის.

5. რა არის მცდარი ალკადიენისთვის $\text{CH}_2 = \text{CH} - \text{C} = \text{CH}_2$?

- CH₃
- ენოდება იზოპრენი;
 - დივინილის ჰომოლოგია;
 - ბურებრივი კაუჩუკის მონომერია;
 - ეთილენის ჰომოლოგია;
 - ნარმოქმნის (C_5H_8)_n შედგენილობის პოლიმერს.

6. რატომ მიღდინარეობს ორ სტადიად აცეტილენის პიტორება და ბრომირება?

7. რომელი ორი ნივთიერების საშუალებით შეიძლება, აცეტილენი განვასხვაოთ მეთანისგან?

8. გამოთვალეთ აცეტილენში ნახშირბადის მასური წილი (%)?

9. რით განსხვავდება აცეტილენის პაერზე წვა მეთანის წვისგან? რასთან არის ეს დაკავშირებული?

10. გამოთვალეთ ნახშირბადის 10 ატომის შემცველი ალკინის ფარდობითი მოლეკულური მასა.

11. რამდენი $\text{M}_3(\text{CaC}_2)$ აცეტილენი შეიძლება მიღილოთ 80% CaC_2 -ის შემცველი 80 კგ ტექნიკური კარბიდისგან? $\text{M}_3(\text{CaC}_2) = 64$.

12. ეთილენისა და აცეტილენის 10 ლ ნარევის (6.პ.) სრულ ჰიდრირებაზე დაიხარჯა 16 ლ წყალბადი. გამოთვალეთ ეთილენის მოცულობა (ლ) სანცის ნარევში.

43 ციკლური ნახშირნებალგადები – ციკლოპარაფინები და არომატული ნახშირნებალგადები

– ნახშირბადის ატომების რა მინიმალურ რაოდენობას უნდა შეიცავდეს ჩაკეტილი ნახშირბალგოვანი ჯაჭვის მქონე მოლეკულა?

ორგანული ნივთიერებების კლასიფიკაციის სქემიდან (გვ.149) ჩანს, რომ ციკლოპექსანი და ბენზოლი ციკლურ ნახშირნებალბადებს მიეკუთვნება.

საქმიანობა

ბენზოლისა და ციკლოპექსანის ზოგიერთი ქიმიური თვისება
(ცდები ბენზოლთან ჩაატარეთ ამწოვ კარადაში!)

უზრუნველყოფა: ფაიფურის 2 ჯამი, 4 სინჯარა, KMnO_4 -ის ხსნარი, ბრომიანი წყალი, ასანთი, ბენზოლი, ციკლოპექსანი.

სამუშაოს მსვლელობა:

ა) ერთ-ერთ სინჯარაში ჩასხით 5-6 მლ ბრომიანი წყალი და 2-3 მლ ბენზოლი, მეორეში კი – 5-6 მლ KMnO_4 -ის ხსნარი და ამდენივე (2-3 მლ) ბენზოლი. ორივე სინჯარა შეანჯღირეთ და დააკვირდით თითოეულის შიგთავს.

იგივე ცდები ჩაატარეთ ციკლოპექსანთან და ჩიანიშნეთ, რა მოხდა.

ბ) ერთ-ერთ ჯამში ჩასხით 2-3 მლ ციკლოპექსანი, მეორეში – ამდენივე ბენზოლი და ორივე სითხეს ცეცხლი მოუკიდეთ. დააკვირდით ალ.

განხილვის შედეგები:

- ციკლება თუ არა ბრომიანი წყლისა და KMnO_4 -ის ხსნარის შეფერვა ბენზოლის თანაობისას?
- როგორ გავლენას ახდენს ბრომიანი წყლისა და KMnO_4 -ის ხსნარის შეფერვაზე ციკლოპექსანი?
- რა განსხვავება შეამჩნიეთ ციკლოპექსანისა და ბენზოლის წვისას?
- მეთანისა თუ აცეტილენის წვას გაგონებთა ბენზოლის ჰაერზე წვა?

ციკლოპარაფინები



• ციკლურ ნახშირნებალბადებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადის ატომები ერთმანეთთან დაკავშირებულია მარტივი ბმებით, ციკლოპარაფინები ეწოდება.

საერთაშორისო ნომენკლატურით ციკლოპარაფინებს ციკლოალკანებს უწოდებენ. მათი პირველი ნარმომადგენელია ციკლოპროპანი C_3H_6 .



ციკლოალკანების შედგენილობა, ისევე როგორც ალკენებისა, გამოისახება ზოგადი ფორმულით C_nH_{2n} ($n \geq 3$), ხოლო ფარდობითი მოლეკულური მასა გამოითვლება გამოსახულებით: $14n$.

ცოდნის ზარდახშა • ციკლოპარაფინები გვხვდება ნავთობის შედგენილობაში, ამიტომ მათ ზოგჯერ ნაფთენებს უწოდებენ. პირველად ისინი ბაქოს ნავთობში აღმოაჩინა (1883) და თვისებები შეისწავლა კ. მარკოვინიოვმა.

ციკლოალკანების სახელწოდებები მიიღება იმდენივე ნახშირბადატომის შემცველი ალკანების სახელწოდებებიდან წინსართის „ციკლო“ დამატებით. მაგალითად,




(5) ციკლოპენტანისა და
ციკლოპენტანის
მოლეკულების
ბურთულალეროვანი
მოდელები



ფიზიკური თვისებებით ციკლოალკანები ჰგავს ალკანებს. ქიმიური თვისებების მხრივაც ციკლოალკანები, ალკანების მსგავსად, მცირედ აქტიურებია.

მიღება. მრეწველობაში ციკლოალკანებს გამოყოფენ ნავთობის ფრაქციიდან. ციკლოპენტანისა და მის ჰომოლოგებს იღებენ აგრეთვე არომატული ნახშირწყალ-ბადების ჰიდრირებით:






გამოყენება. ციკლოპენტანი და მეთილციკლოპენტანი გამოიყენება ბენზოლისა და ტოლუოლის მისაღებად, ხოლო ეს უკანასკნელი – სალებავებისა და სამუშაო-ნალო ნივთიერებების წარმოებაში. ციკლოპროპანი გამოიყენება ნარკოზულ საშუალებად.

არომატული ნახშირწყალბადები

• ნახშირწყალბადებს, რომელთა მოლეკულები შეიცავს ერთ ან რამდენიმე ბენზოლის რგოლს, **არომატული ნახშირწყალბადები** ანუ **არენები** ეწოდება.

არომატული ნახშირწყალბადების უმარტივესი ნახშირმადგენელია ბენზოლი C_6H_6 . ბენზოლის მოლეკულაში ნახშირბადის 6-ივე ატომი ერთ სიბრტყეშია განლაგებული და ნესიერ ექვსკუთხედს ნახშირჯენის (3-1). ნახშირბადის ატომები ერთმანეთთან შეერთებულია მარტივი σ -ბმებით, რომლებიც სქემაზე სწორი ხაზებითაა გამოსახული. გარდა ამისა, ნახშირბადის ყველა ატომი ერთმანეთთან შეერთებულია ერთიანი 6-ელექტრონიანი π -ბმით, რაც სქემაზე ექვსკუთხედის შიგნით ჩახაზული წრითაა გამოსახული (3-2).

(3) ბენზოლის
მოლეკულის
სტრუქტურული
ფორმულები და
სფერული
მოდელი



ბენზოლს იღებენ ნავთობის გადამუშავების პროდუქტებიდან და ქვანახშირიდან (ქვანახშირის ფისიდან, გვ. 167).



ფ. ა. კეკულე
(1829-1896)
გერმანელი
მეცნიერი.

• მისი გამოიცვლევები მოიცავს ორგანული სინთეზისა და თეორიული ორგანული ქიმიის სფეროებს. ის ნახშირბადს თვლიდა რთხვალენტიან ელემენტად. პირველმა შემოგვთავაზა ბენზოლის მოლეკულის აგებულება (3-3).

ცოდნის ზარდახშა • სახელწოდება არომატული ნივთიერებები მათ იმიტომ დაერქვა, რომ ამ კლასის პირველად აღმოჩენილ, ბენზოლის ბირთვის შემცველ წარმომადგენლებს სასიამოვნო სუნი ჰქონდა.

ბენზოლი უფერო, აქროლადი, ადვილად აალებადი სითხეა დამახასიათებელი სუნით. გაცივებისას ის გარდაიქმნება $5,5^{\circ}\text{C}$ დნობის ტემპერატურის მქონე თეთრ კრისტალურ მასად. დუღს $80,10^{\circ}\text{C}$ -ზე. ბენზოლი და მისი ორთქლი მომზამლავია. ჰაერზე ინვის ჭვარტლიანი ალით. არ აუფერულებს ბრომიან ნყალსა და კალიუმის პერმანგანატის ხსნარს.


გამოყენება. ბენზოლი გამოყენება ანილინის, საღებავების, გამხსნელების, მცენარეთა დაცვის საშუალებების წარმოებაში.

c
r
n
c
c
b

გამოვლები ციკლოალკანის წვის ტოლობის საფუძველზე
2 ლ (ნ.პ.) აირადი ნახშირწყალბადის დაწვისას დაიხარჯა 9 ლ უანგბადი. განსაზღვრეთ ნახშირწყალბადის ფორმულა, თუ ამ დროს ნარმოიქმნა 6 ლ CO_2 .

ამონია:

ვინაიდან რეაქციის მიმდნარეობისას აირების მოცულობითი თანაფარდობა მათი სტექიომეტრული კოეფიციენტების თანაფარდობის ტოლია, რეაქციის ტოლობა ასე შეიძლება ჩაიწეროს:



როცა $x = 3$ და $y = 6$, ნახშირწყალბადის ფორმულა იქნება C_3H_6 .

ამოცანა. რამდენი ლ უანგბადია საჭირო 1 ლ (ნ.პ.) ციკლობუტანის სრული წვისთვის?

საკვანძო
სიტყვები

• ციკლოალკანები • არენები • ბენზოლი • არომატული ნივთიერებები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ციკლოპარაფინებისთვის?

- ა) შედგენილობა შეესაბამება ზოგად ფორმულას C_nH_{2n} ;
- ბ) გვევდება ზოგიერთი ნავთობის შედგენილობაში;
- გ) ფარდობითი მოლეკულური მასა გამოითვლება ფორმულით $14n$;
- დ) ალკენების მსგავსად, მათი უმარტივესი ფორმულაა CH_2 ;
- ე) მათ მოლეკულებში იმდენივე $\text{C}-\text{C}$ ბმაა, რამდენიც შესაბამის აღკანებში.

2. მიუთითოთ გამონათქვამი, რომელიც არ მიეკუთვნება ბენზოლს:

- ა) გაცივებისას ის გარდაიქმნება თეთრ კრისტალურ მასად;
- ბ) იღებენ ქვანახშირის ფისიდან;
- გ) უფერო სითხეა; დ) წყალში არ იხსნება; ე) მომწამლავი არაა.

3. რა არის სწორი C_3H_6 შედგენილობის ციკლოპარაფინისთვის?

1. ენდება ციკლოპროპანი;
 2. პროპილენის იზომერია.
 3. ჰომოლოგური რიგის 1-ელი ნარმომადგენელია;
 4. მის მოლეკულაში 9 ბმაა;
 5. C ატომები ერთ სიბრტყეშია განლაგებული;
 6. გამოყენება საბარკოზო საშუალებად.
4. ციკლოპენანის დეპიდრირებით ნარმოიქმნა 39 გ ბენზოლი. რამდენი ლ წყალბადი (ნ.პ.) გამოიყო ამ დროს? $M_r(\text{C}_6\text{H}_6)=78$.
 5. გამოთვალეთ ნახშირბადის მასური წილი (%) ბენზოლში და შეადარეთ ის ნახშირბადის მასურ წილს მეთანისა და აცეტილენში. რა კავშირს ამჩნევთ ნახშირწყალბადში ნახშირბადის მასურ წილსა და ჰაერზე მისი წვის თავისებურებას შორის?

44

ნახშირწყალბადების პუნქტი ცენტრი და მათი გადამუშავება



- რატომ არ ითვლება ნავთობის, ნავთობის თანმხლები აირებისა და ქვანახშირის წვა მათი გამოყენების რაციონალურ მეთოდად?

ნახშირწყალბადების უმნიშვნელოვანესი წყაროებია: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ნავთობის თანმხლები აირები და ქვანახშირი.

ნავთობი


საქმიანობა

ნავთობის ფრაქციული გამოხდა

ცნობილია, რომ ნავთობის ფრაქციების დული-ლის ტემპერატურა იზრდება რიგში: ბენზი-ნი-ლიგროინი-ნავთი-გაზოილი.

დაადგნენთ მათი შესაბამისობა სქემაზე აღნიშნულ X , Y , Z და K ფრაქციებთან, უპასუხეთ აგრეთვე კითხვებს:

- ფიზიკური თუ ქიმიური მოვლენაა ნავთობის პირველადი გადამუშავება?
- რომელი შესაბამება ბენზინის ფრაქციას X , Y , Z და K ფრაქციებიდან?
- რომელი ფრაქციის მოლეკულებშია უდიდესი ნახშირბადის ატომების საშუალო რიცხვი?



ნავთობი სპეციფიკური სუნის მქონე წვადი სითხეა, რომლის შეფერვა მურადან შაგამდე იცვლება. ის წყალზე მსუბუქია ($0,73-0,97$ გ/მლ) და მასში არ ისხნება. ნედლი ნავთობი შედგება თხევადი, მყარი და აირადი ნახშირწყალბადებისაგან, ამიტომ ის დულს არა მუდმივ ტემპერატურაზე, არამედ განსაზღვრულ ტემპერატურულ ინტერვალში.

ნავთობის შედენილობა. სხვადასხვა საბადოდან მოპოვებული ნავთობის შედენილობაში შედის სამი ტიპის ნახშირწყალბადები: ალკანები, ციკლოალკანები (ნაფთენები) და არომატული ნახშირწყალბადები.

ცოდნის ზარდახშა • ამ სამი ტიპის ნახშირწყალბადების თანაფარდობა სხვადასხვა საბადოდან მოპოვებულ ნავთობში განსხვავებულია. მაგალითად, გროზნოსა და ფერლინის ნავთობი ალკანებითაა მდიდარი, ბაქოს ნავთობი – ციკლოალკანებით, თათრეთისა – არომატული ნახშირწყალბადებით.

ნავთობპროდუქტები და მათი გამოყენება

ცოდნის ზარდახშა • დღისათვის მოპოვებული ნავთობის 90% საწვავად გამოიყენება. ნავთობიდან ტექნიკურად ფასეული პროდუქტების მიღების მიზნით მას გადამუშავებენ.

მრეწველობაში ახორციელებენ ნავთობის ორგვარ – პირველად და მეორად – გადამუშავებას. ნავთობის პირველად გადამუშავებას ახდენენ სარექტიფიკაციო სკეტში. ამ დროს გამოყოფენ ბენზინის, ლიგროინის, ნავთისა და გაზოილის ფრაქციებს. გამოხდის შემდეგ რჩება ბლანტი მძიმე სითხე – მაზუთი.

დაბალ წნევაზე მაზუთის დისტილაციით მისგან იღებენ სოლარისა და საპოხ ზეთუბს, პარაფინსა და ვაზელინს, აგრეთვე გუდრონს (გუდრონი მაზუთის გამოხდის შემდეგ დარჩენილი შავი მყარი მასაა).

ნავთობის გადამუშავების პროცესების გამოყენების სფეროები
[...°C] ფრაქციების დუღილის ტემპერატურებია]



ბენზინი (40–200°C)	ლიგორონი (150–250°C)	ნაფთა (180–300°C)	გაზონი (>275°C)	პარაფინი	ვაზელინი	გუდრონი
როგორც საავაკუო და სავეტომობილო საწვავი	როგორც დინერის საწვავი	როგორც საავაკუო საწვავი	როგორც დინერის საწვავი	მაღალი რიგის კარბონულურების, ფანერების, ასანტისა და სანთლების ნარმოება	მედიცი- ნაში	გზების მისაფალტება

ნავთობის პირველადი გადამუშავებისას მიღებული ბენზინი საწყისი ნავთობის მხოლოდ 20%-ს შეადგენს. ბენზინის გამოსავლის გაზრდის მიზნით ახორცი-ელებენ მეორად გადამუშავებას.

მეორად გადამუშავებას ექვემდებარება ΔH_f° და ΔS° ფართოდ გამოიყენება თერმული და კატალიზური კრეკინგის მეთოდები.

• ნახშირბად-ატომების დიდი რიცხვის შემცველი ნახშირწყალბადის დაშლის შედეგად ნახშირბად-ატომების მცირე რიცხვის შემცველი ნახშირწყალბადების მიღების პროცესს კრეკინგი ეწოდება.

ორივე სახის კრეკინგისას $C_{10}-C_{20}$ შედგენილობის ნახშირწყალბადები იშლება C_5-C_{11} შედგენილობის ბენზინის ფრაქციის ნახშირწყალბადებად (1). შედეგად ბენზინის გამოსავალი იზრდება 70-80%-მდე. კატალიზური კრეკინგისას, დაშლის რეაქციებთან ერთად, მიმდინარეობს იზომერიზაციის რეაქციები (2):



ნავთობის პირველადი გადამუშავებისგან განსხვავებით, მეორადი გადამუშავებისას მიმდინარეობს ნახშირწყალბადების ქიმიური გარდაქმნები.

ეს საინტერესო

ოქტანური რიცხვი. ოქტანური რიცხვი რაოდენობრივად ახასიათებს ბენზინის დეტონაციურ შედეგობას. დეტონაცია ეწოდება ΔH_f° სანაცვლის ნაადრევად აალებას, თუ ბენზინის ოქტანური რიცხვი 95-ის ტოლია, ეს ნიმბავს, რომ ამ ბენზინის დეტონაციური შედეგობა ისეთივეა, როგორიც 95% იზოოქტანისა და 5% ნ-პენტანის ნარევის დეტონაციური შედეგობა. რაც დიდა საწვავის ოქტანური რიცხვი, მით დიდია ძრავის მარგი ქმედების კოეფიციენტი.

ცოდნის ზარდახშა • ნავთობის გადამუშავების პროცესის სრულყოფისა და ნავთობ-პროდუქტების სარისხის გაუმჯობესებაში დიდი როლი შეასრულეს აზერბაიჯანელმა მეცნიერებმა: იუსიფ მამედალიევმა, ალი ყულიევმა, მურთუზ ნალევმა, ვაჟაპ ალეევმა, სოლთან მეჰთიევმა, მარკ დალინმა, იზათ ხანუმ ორუკევამ და ბევრმა სხვამ.

ბუნებრივი აირი. ნავთობის თანმხლები აირები

ჩვენი რესპუბლიკა ფლობს ბუნებრივი და ნავთობის თანმხლები აირების დიდ მარაგს.

ბუნებრივი აირი შედგება ძირითადად მეთანისგან (80-90%) და მისი უახლოესი ჰომოლოგების: ეთანის, პროპანისა და ბუტანისგან. ის ყოფასა და მრეწველობაში საწვავად გამოიყენება, წარმოადგენს აგრეთვე ქიმიური მრეწველობის ნედლეულს (გვ. 153).

ნავთობის თანმხლები აირები ან წნევითაა გახსნილი ნავთობში, ან ნავთობის ფენის ზემოთ იმყოფება. მათ შედგენილობაში მეთანი ნაკლებია, ვიდრე ბუნებრივ აირში, მაგრამ მეთანის ჰომოლოგები (C_2-C_6) – მეტი. ეს აირები აგრეთვე გამოიყენება, როგორც საწვავი და ქიმიური ნედლეულის წყარო.

ქვანახშირი

ქვანახშირი, გვევლინება რა საწვავად, ერთდროულად ქიმიური ნედლეულის წყაროა. ქვანახშირის ძირითადი გადამუშავება მის კოქსვაში (პიროლიზმი) მდგომარეობს. ეს გულისხმობს უპაერო გახურებას $1000\text{--}1200^{\circ}\text{C}$ -ზე. კოქსვის პროცესში წარმოიქმნება შემდეგი ძირითადი ფრაქციები: კოქსი, ქვანახშირის ფისი, ამიაკიანი წყალი და კოქსის აირი.

საკვანძო
სიტყვები

• ფრაქციული დისტილაცია • კრეკინგი • კოქსვა •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. უპირატესად რომელ ნახშირწყალბადებს შეიცავს ბაქოს ნავთობი?
 - ალეანებს;
 - ალკენებს;
 - არენებს;
 - ალკინებს;
 - ციკლოპარაფინებს.
2. რა არის მცდარი ბუნებრივი აირისთვის?
 - აზერბაიჯანში მისა დიდი მარაგია;
 - ქიმიური მრეწველობისთვის ნედლეულის წყაროა;
 - გამოიყენება მარტენის ღუმელებში და ბრძელდებში;
 - გამოიყენება ყოფა-ცხოვრებში და საქვაბებში;
 - მეთანის გარდა, შეიცავს ეთანს, პროპანსა და ბუტანს.
3. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. ნავთობის პირველადი გადამუშავებისას...
 1. მიმდინარეობს ფიზიკური პროცესები;
 2. პროცესი ხორციელდება სარექტიფიკაციო სვეტში;
 3. ფრაქციები გადაიდენება სხვადასხვა ტემპერატურაზე;
 4. ნაშტომი რჩება მაზუთი;
 5. ბენზინის გამოსავალია $\approx 20\%$.
4. მიუთითოთ, რომელი გამონათქვამი ეხება კრეკინგის პროცესს:
 1. ხორციელდება ორი ხერხით:
 2. საშუალებას იძლევა, ბენზინის გამოსავალი გაიზარდოს $70\text{--}80\%$ -მდე;
 3. პროცესის მიმდინარეობისას წარიმართება დაშლის რეაქციები.
5. რა მიზნით ახდენენ ნავთობის მეორად გადამუშავებას?
6. რომელი ორი ნახშირწყალბადის ნარევი გამოიყენება ეტალონად საწვავის ოქტანური რიცხვის განსაზღვრისთვის?
7. დაწერეთ რეფერატი „ცოდნის ზარდახშაში“ მოხსენიებულ აზერბაიჯანელ ქიმიკოსებზე.

1. რა არის მცდარი მეთანისთვის?

- ა) გამოიყენება საწვავად;
- ბ) გამოიყენება გამხსნელების მისაღებად;
- გ) მის მოლეკულას აქც ტეტრაედრული აღნაგობა;
- დ) შეიცავს 25% H-ს და 65% C-ს (მასის მიხედვით)
- ე) მის მოლეკულაში არის 4 არაპოლარული კოვალენტური ბმა.

2. რა არის მცდარი ეთილენისთვის?

- | | |
|--------------------------------|--|
| ა) შეიძლება მივიღოთ ეთანისგან; | ბ) მოლეკულას არა აქც ბრტყელი აღნაგობა; |
| გ) ნარმოქმნის პოლიეთილენს; | დ) შედის ჰიდრატაციის რეაქციაში; |
| ე) უჯერი ნახშირნყალბადია. | |

3. განსაზღვრეთ ალკენის ფორმულა, რომლის ორთქლის სიმკვრივე ნყალბადის მიმართ 35-ია.

- | | | | | |
|-------------|----------------|----------------|-------------|----------------|
| ა) C_4H_8 | ბ) C_5H_{10} | გ) C_6H_{12} | დ) C_3H_6 | ე) C_7H_{14} |
|-------------|----------------|----------------|-------------|----------------|

4. რა არის სწორი აცეტილენისთვის?

- | | |
|--|-------------------------------------|
| 1. მის მოლეკულას აქც წრფივი აღნაგობა; | 2. ნყალთან ნარმოქმნის აცეტალდეჰიდს; |
| 3. მისი 1 მოლ H_2 -თან ნარმოქმნის ეთანს; | |
| 4. შეიძლება მივიღოთ კალციუმის კარბიდიდან; | |
| 5. ჰიდროზე ინვის ჭვარტლიანი ალით; | 6. შეიძლება მივიღოთ მეთანისგან. |

5. რა არის მცდარი ბენზოლისა და ციკლოპროპანისთვის?

- ა) მათ მოლეკულებში ჩაკეტილი ნახშირბადოვანი ჯაჭვია;
- ბ) ერთ-ერთი მათგანის შედგენილობა გამოისახება ზოგადი ფორმულით C_nH_{2n} ;
- გ) ერთ-ერთი მათგანის მოლეკულაში არსებობს მხოლოდ σ -ბმები;
- დ) ერთ-ერთი მათგანის მოლეკულაში მომდინარეობს ჰარიტონია;
- ე) ორივე მიეკუთვნება არომატულ ნახშირნყალბადებს.

6. განსაზღვრეთ სწორი გამონათქვამები:

1. ნავთობის პირველადი გადამუშავება ფიზიკური პროცესია;
2. ნავთობის მეორადი გადამუშავების პროცესში მიმდინარეობს ქიმიური მოვლენები;
3. კრეკინგისას დიდი მოლეკულები იშლება პატარა მოლეკულებად;
4. მეორადი გადამუშავების ძირითად მიზანია ბენზინის გამოსავლის გაზრდა;
5. ბენზინის ფრაქციას ნარმოქმნის $C_{12}-C_{18}$ შედგენილობის ნახშირნყალბადები.

7. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ სქემები:

1. $CH_4 + H_2O \xrightarrow{t, \text{ ჸატ.}}$
 2. $CH_2=CH_2 + H_2O \xrightarrow{t, P, \text{ ჸატ.}}$
 3. $CH_2=CH_2 + [O] + H_2O \xrightarrow{KMnO_4}$
 4. $CH\equiv CH + HCl \xrightarrow{t, \text{ ჸატ.}}$
 5. $CH\equiv CH + H_2O \xrightarrow{HgSO_4}$
 6. $C_6H_6 + 3H_2 \xrightarrow{t, P, \text{ ჸატ.}}$
8. 0,05 მოლი ალკანის სრული წვისას ნარმოქმნა 3,36 ლ (6.პ.) ნახშირმჟავა აირი. განსაზღვრეთ ალკანის ფორმულა.
9. რვეულში გადაწერეთ სქემა, გაატოვეთ ის და ყოველი ნივთიერების ფორმულას ქვეშ მიუწერეთ მისი მასა, გამოსახული მოლეკულაში C-ატომების რიცხვის (n) საშუალებით. $M_r(O_2) = 32$, $M_r(CO_2) = 44$, $M_r(H_2O) = 18$.
- $$C_nH_{2n} + O_2 \rightarrow CO_2 + H_2O$$
10. განსაზღვრეთ ალკინის მოლეკულური ფორმულა, თუ ცნობილია, რომ მისი 2,7 გ-ის სრულ ჰიდროკაზე დაიხარჯა 0,2 გ ნყალბადი.

თავი

9

ნახშირწყალბადების ჟანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნაწარმები

ამ თავში ნახშირწყალბადების ჟანგბადშემცველი ნაერთებიდან გაეცნობით სპირტებს, კარბონმჟავებს, რთულ ეთერებსა და ნახშირწყლებს, ხოლო აზოტ-შემცველი ნაერთებიდან – ამინმჟავებსა და ცილებს.

45 ნაჯერი საირტები. ეთანოლი. ეთილენოლი და გლიცერინი



- რაში ხსნიან იოდს იოდის ნაყენის მისალებად?
- რომელი ორგანული ნივთიერება მიიღება ხილის დუღილისას?

საქმიანობა


ეთილის სპირტის დაჟანგვა სპილენდ(II)-ის ექსიდით

უზრუნველყოფა: სპილენძის სპირალი, სპირტქურა, ასანთი, სინჯარა ეთილის სპირტით, შტატიგი.

სამუშაოს მსვლელობა: სპილენძის სპირალი სპირტქურაზე გაახურეთ მანამ, სანამ მისი ზედაპირი შავი ნაფიფქით არ დაიფარება და ცხელივე ჩაუჭვით ეთილის სპირტში. დააკვირდით მომზადარს.

განიხილეთ შედეგები:



- რატომ დაიფარა სპირალი შავი ნაფიფქით გახურებისას?
- რა ემართება შავ ნაფიფქს, როცა სპირალს სპირტში ჩაუშვებთ? რატომ ხდება ეს?
- რას გრძნობთ, როცა სიზვარის ღია ბოლოდან ჰაერის ნაკადს ხელით თქვენკენ მომართავთ?
- ქიმიური რეაქციის რომელი ნიშნები შეამჩნიეთ ეთილის სპირტის დაჟანგვისას?



- ნაჯერი ნახშირწყალბადების ნაწარმებს, რომელთა მოლეკულებში წყალბადის ერთი ან რამდენიმე ატომი ჩანაცვლებულია ჰიდროქსილის (OH) ჯგუფით, ნაჯერი სპირტები ეწოდება.

ერთატომიანი ნაჯერი სპირტები


ერთატომიანი ნაჯერი სპირტების შედგენილობაში ერთი OH ჯგუფია, ამიტომ მათ შედგენილობას გამოსახავენ $\text{R}-\text{OH}$ ანუ $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$ ზოგადი ფორმულით. მათი უმარტივესი ნარმომადგენლებია მეთილის სპირტი ანუ მეთანოლი – CH_3OH და ეთილის სპირტი ანუ ეთანოლი – $\text{C}_2\text{H}_5\text{OH}$:




- (a) მეთილისა და ეთილის სპირტის მოლეკულების სტრუქტურული ფორმულები და ბურთულალეროვანი მოდელები

თავი 9 • ნახშირწყალბადების ჟანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნაწარმები •

მიღება. ეთანოლს იღებენ ძირითადად ეთილენის ჰიდრატაციით კატალიზატორის თანაობისას:




ეთანოლს იღებენ გლუკოზის ან გლუკოზის ნაშთის შემცველი შაქროვანი ნივთიერებების დუღილით (საფუარის სოკოების თანაობისას):




ფიზიკური თვისებები. ეთანოლი (ლვინის სპირტი) უფერო სითხეა ალკოჰოლის დამახსათებელი სუნით; დუღს 78°C -ზე; ადვილად აალდება; ის წყალზე მსუბუქია და წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით; კარგად ხსნის ბევრ ორგანულ ნივთიერებას.

ეთანოლი ნარკოტიკული ზემოქმედების მქონე ნივთიერებაა. იმისათვის, რომ შინაგანი მიღებისთვის არ გამოიყენონ ტექნიკური მიზნებისთვის განკუთვნილი ეთილის სპირტი, მას უმატებენ ცუდი სუნის მქონე და შეფერილ ნივთიერებებს. ასეთ სპირტს დენატურატს უწოდებენ. ხსნარს, რომელიც 96% ეთილის სპირტსა და 4% წყალს შეიცავს, სამედიცინო სპირტი ეწოდება.


ქიმიური თვისებები. 140°C -ზე მეტ ტემპერატურაზე და კონცენტრირებული გოგირდმჟავას თანაობისას ეთანოლი დეპიდრატირდება ეთილენის ნარმოქმნით:



ჰაერზე ეთანოლი იწვის ძლიერშესამჩნევი მოლურჯო ალით:



სპილენდ(III)-ის ოქსიდთან სუსტი გახურებისას ეთანოლი იუანგება უსიამოვნო სუნის მქონე ძმრის ალდეჰიდად:



სპირტის შედგენილობასთან დაკავშირებული გამოთვლები

მოლექულაში ნახშირბად-ატომების რიცხვის (n) საშუალებით გამოსახეო $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}$ შედგენილობის სპირტების ფარდობითი მოლექულური მასა. $A_r(\text{C})=12$, $A_r(\text{O})=16$, $A_r(\text{H})=1$.

ამოხსნა:

ელემენტების ფარდობითი მასების (A_r) და $M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH})$ გამოსახულებაში მათი ინდექსების გათვალისწინებით, n -ის საშუალებით გამოვსახოთ სპირტების M_r :

$$M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{OH}) = 12 \cdot n + 1(2n+1) + 16 + 1 = 14n + 18$$

ამოცანა. განსაზღვრეთ ნაჯერი ერთატომიანი სპირტის ფორმულა, რომლის მასაა 23 გ.


გამოყენება. ეთილის სპირტი გამოიყენება სინთეზური კაუჩუკის, პლასტიკების, სუნამოების, წამლების, ლაქებისა და ალკოჰოლური სასმელების ნარმოებაში.

მას იყენენ ანატომიური პრეპარატების კონსერვაციისთვის, მედიცინაში – კანის სადეზინფექციოდ, ნაყენებისა და ექსტრაქტების დასამზადებლად.

მეთანოლი **ძლიერ მომნამდავი** ალკოჰოლის დამახასიათებელი სუნის მქონე უფერო სითხეა; დუღს 68°C -ზე; ადგილად აალდება; წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით.

მრავალატომიანი ნაჯერი სპირტები – ეთილენგლიკოლი და გლიცერინი

ნაჯერ სპირტებს, რომელთა მოლეკულები ორ და სამ OH ჯგუფს შეიცავს, შესაბამისად, ორატომიანი და სამატომიანი სპირტები ეწოდება. ორატომიანი სპირტების უმარტივესი წარმომადგენელია ეთილენგლიკოლი, სამატომიანისა კი – გლიცერინი:




(გ) ეთილენგლიკოლისა და გლიცერინის მოლეკულების სტრუქტურული ფორმულები და ბურთულდეროვანი მოდელები

ცოდნის ზარდახშა • ეთილენგლიკოლი უფერო, სიროფისებრი, ტებილი გემოს მქონე და ძლიერ მომნამდავი სითხეა; წყალსა და ეთანოლში კარგად იხსნება.

ვინაიდან ეთილენგლიკოლის წყალხსნარები 0°C -ზე მნიშვნელოვნად დაბალ ტემპერატურაზეც არ იყინება, ისინი ზამთრობით ავტომობილების, ტრაქტორებისა და სხვ. მექანიზმების რადიატორებში გამოიყენება ანტიფრიზების – არაგაყინვადი გამაცივებელი სითხეების სახით.

ცოდნის ზარდახშა • გლიცერინი უფერო, სიროფისებრი, ტებილი გემოს მქონე ბლანტი და ჰიგროსკოპული სითხეა. ეთილენგლიკოლისგან განსხვავებით, ის მომნამდავი არ არის.

გლიცერინი გამოიყენება ნიტროგლიცერინის (გლიცერინის ტრინიტრატის) და დინამიტის მისაღებად, აგრეთვე პარფუმერიასა და მედიცინაში (საცხის სახით) – კანის დასარბილებლად; ტყავის წარმოებაში – ტყავის გამოშრობისაგან დასაცავად და საპნის წარმოებაში. ნიტროგლიცერინის 1%-იან ხსნარს იყენებენ სისხლძარღვების გამაფართოებელ საშუალებად გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას.



(გ) კაშაპა ლურჯი ფერის ხსნარის
წარმოქმნა

განსაზღვრა. გლიცერინისა და ეთილენგლიკოლის, როგორც მრავალატომიანი სპირტების განსაზღვრა დამყარებულია მათ უნარზე, წარმოქმნას კაშაპა ლურჯი ფერის ხსნარი ახლად დალექილ სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან ურთიერთებისისას (ა). ერთატომიანი ნაჯერი სპირტები სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან არ რეაგირებს.

თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგპადშემცველი და აზოტშემცველი
ნანარმები •

საკვანძო
სიტყვები

• ეთანოლი • მეთანოლი • ეთანოლის დეპილრატაცია და დაუანგვა •
ეთილენგლიკოლი • გლიცერინი •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება


1. მიუთითეთ მცდარი გამონათქვამი:

- ა) მეთანოლი და ეთანოლი წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით;
- ბ) ეთანოლი დამეთილეთერის იზომერია;
- გ) მეთანოლი ძლიერ მომნამდავია;
- დ) მეთანოლი სუნით ძლიერ განსვავდება ეთანოლისგან;
- ე) ეთანოლი დუღს უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე მეთანოლი.

2. რომელი ნივთიერების საშუალებით ასხვავებენ მრავალატომიან სპირტებს ერთატომინისგან?

- ა) HOCH₂CH₂OH
- ბ) HOCH₂
|
OH
- გ) C₂H₅OH
- დ) CH₃OH
- ე) Cu(OH)₂

3. მიუთითეთ ეთილის სპირტის მიღების სქემები:



4. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:

- 1. C₂H₅OH $\xrightarrow{\text{T} > 140^\circ \text{C}, \text{H}_2\text{SO}_4 \text{(ჟონ.)}}$ 2. CaC₂ + H₂O \rightarrow
- 3. Al₄C₃ + H₂O \rightarrow 4. CH₃CH₂OH + CuO $\xrightarrow{\text{t}}$
- 5. შეადგინეთ ეთილენგლიკოლისა და გლიცერინის წევის რეაქციათა ტოლობები.
- 6. შეიძლება თუ არა, ეთანოლის მოლეკულებს შორის ნარმოიქმნას წყალბადური ბმები? პასუხი დაასაბუთეთ.
- 7. რატომ დუღს ეთილენგლიკოლი უფრო მაღალ ტემპერატურაზე, ვიდრე ეთანოლი?
- 8. ჩამოთვალეთ გლიცერინის გამოყენების სფეროები.
- 9. ერთატომიანი ნაჯერი სპირტის ფარდობითი მოლეკულური მასაა 88. განსაზღვრეთ ამ სპირტში ელემენტების მასათა თანაფარდობა (mC:mH:mO).
- 10. რამდენი კგ ეთილის სპირტი შეიძლება მივიღოთ 0,5 ტ ხილის დუღილისას, რომელიც 54% გლუკოზას შეიცავს? M_r(C₆H₁₂O₆) = 180, M_r(C₂H₅OH) = 46.

46 ნაჯერი ალდეჰიდები. ძმრის ალდეჰიდი




– რომელი ნივთიერება გამოიყენება ანატომიური პრეპარატების შესანახად?

საქმიანობა

ალდეჰიდის დაუანგვა სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდით

უზრუნველყოფა: შტატივი, სინჯარა, სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდი.







სამუშაოს მსვლელობა: ახლად დალექილ სპილენდ(III)-ის ჰიდროქსიდიან სინჯარაში ჩასხით იმდენი აცეტალდეჰიდი, რომ ნალექი სითხით დაიფარის, შემდეგ კი სინჯარა ფრთხილად გააცხელეთ და დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

განხილეთ შედეგები:

- რა ხდება სინჯარის შიგთავსის გაცხელებისას?
- ერთ თუ ორ სტადიად მიმდინარეობს ალდეჰიდის დაუანგვა? რატომ ფიქრობთ ასე?
- რომელ ფუნქციურ ჯგუფად იუანგება ალდეჰიდის ჯგუფი?
- ჩამოთვალეთ რეაქციის გარეგნული ნიშნები.

• ნაჯერი ნახშირწყალბადების ნანარმებს, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადის რადიკალი დაკაგშირებულია ალდეჰიდის ჯგუფთან ($\text{C} \equiv \text{O}$), ნაჯერი ალდეჰიდები ეწოდება. მაგალითად:




ჭიანჭველას ალდეჰიდი (ფორმალდეჰიდი)

ძმრის ალდეჰიდი (აცეტალდეჰიდი)

ალდეჰიდების ზოგადი ფორმულაა $\text{R}-\text{CHO}$; მხოლოდ ჭიანჭველას ალდეჰიდში ალდეჰიდური ჯგუფი დაკაგშირებულია H ატომთან: $\text{H}-\text{C}\begin{matrix} \nearrow \text{O} \\ \searrow \text{H} \end{matrix}$. $\text{H}-\text{C}\begin{matrix} \nearrow \text{O} \\ \searrow \text{H} \end{matrix}$ ჯგუფს კარბონილის ჯგუფი ეწოდება.

მიღება. აცეტალდეჰიდს იღებენ ეთილის სპირტის სპილენდ(III)-ის ოქსიდით დაუანგით, კურეროვის რეაქციით – აცეტილენის ჰიდრატაციით და სხვ. ხერხებით:





ფიზიკური თვისებები. აცეტალდეჰიდი უფერო, აქროლადი ($t_{\text{დუღ.}} = 21^{\circ}\text{C}$), მომწამლავი, მკვეთრი სუნის მქონე სითხეა.


ცოდნის ზორიახშია. ფიზიკურმალდეჰიდი მომწამლავი აირა. მის 40%-იან ხსნარს ფიზიკურმალინი ეწოდება.

თავი 9. • ნახშირწყალბადების უანგპადშემცველი და აზოტშემცველი ნანარმები •


ქიმიური თვისებები. აცეტალდეპიდი შედის უანგვისა და მიერთების რეაქტიულში. მაგალითად, ვერცხლის(I) ოქსიდის ამიაკური ხსნარის (Ag_2O ნებალში არ იხსნება) მოქმედებით აცეტალდეპიდი ადვილად იუანგება ძმარმუავამდე. ამ რეაქციას „ვერცხლის სარკის“ რეაქცია ეწოდება:




სუსტი გაცხელებისას ძმრის ალდეპიდი იუანგება ახლად დალექილი სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდითაც:



ორივე (ა, ბ) რეაქცია გამოიყენება ალდეპიდების განსაზღვრისთვის.
ალდეპიდები იწვის ნახშირმუავა აირისა და ნელის ნარმოქმნით:



ნებალბადის მიერთებისას ალდეპიდები აღდგება სპირტებამდე:



C
E
R
C

ალდეპიდების შედგენილობასთან დაკავშირებული გამოთვლები
გამოსახეთ ნაფერი ალდეპიდების $\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{CHO}$ ფარდობითი მოლეკულური მასა ალფილის რადიკალში ნახშირბად-ატომების რიცხვის (n) საშუალებით.

$$A_r(\text{C})=12, A_r(\text{O})=16, A_r(\text{H})=1.$$

ამოხსნა:

ელემენტების A_r -ის მნიშვნელობისა და $M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{CHO})$ გამოსახულებაში მათი ინდექსების გათვალისწინებით, n -ის საშუალებით გამოვსახოთ ალდეპიდების M_r :

$$M_r(\text{C}_n\text{H}_{2n+1}\text{CHO}) = 12 \cdot n + 1(2n+1) + 12 + 1 + 16 = 14n + 30$$

ამოცანა. განსაზღვრეთ ნაფერი ალდეპიდების ფორმულა, თუ მისი 0,2 მოლის მასაა 8,8 გ.

გამოყენება. ძმრის ალდეპიდიდან იღებენ ძმარმუას, პლასტმასებსა და სამკურნალო პრეპარატებს.

ფორმალდეპიდი გამოიყენება სხვადასხვა ფისის, საღებავების, სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში. მას იყენებენ ტყავის თრიმვლისთვის, ანატომიური პრეპარატების დასაკონსერვებლად, ქირურგიული ინსტრუმენტების საღეზინფექციოდ, აგრეთვე დათესვის წინ თესლის შესანამლად.

განსაზღვრა. ალდეპიდების განსაზღვრა ემყარება მათ ჟანგვას „ვერცხლის სარკისა“ და ახლად დალექილ სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან რეაქციებში.

საკვანძო
სიტყვები

- ალდეპიდური და კარბონილის ჯგუფი • ალდეპიდების თვისებითი რეაქციები • „ვერცხლის სარკის“ რეაქცია

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რომელი ნივთერების გამოცნობა შეიძლება სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით?
 - მეთანალის, აცეტილენის, ბენზოლის;
 - გლიცერინის, აცეტილენის, ეთანოლის;
 - გლიცერინის, ეთანალის, ეთილენგლიკოლის;
 - ეთანოლის, გლიცერინის, მეთანალის;
 - მეთანალის, ეთანალის, პროპანოლის.
2. დაასრულეთ სქემები და განსაზღვრეთ ალდეპიდების ალდგენის რეაქციები:
 1. $\text{CH}_3\text{CHO} + \text{Cu(OH)}_2 \xrightarrow{\text{t}}$
 2. $\text{HCHO} + \text{Ag}_2\text{O} \xrightarrow{\text{t, NH}_3}$
 3. $\text{CH}_3\text{CHO} + \text{Ag}_2\text{O} \xrightarrow{\text{t, NH}_3}$
 4. $\text{HCHO} + \text{H}_2 \xrightarrow{\text{t, კატ.}}$
3. რა არის სწორი ძმრის ალდეპიდის სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდით ალდგენის რეაქციასთან მიმართებაში?
 1. წარმოიქმნება წითელი ნალექი;
 2. წარმოიქმნება კარბონმჟავა;
 3. მიმდინარეობს მიერთების რეაქცია;
 4. მიმდინარეობს ჟანგვის რეაქცია;
 5. წარმოიქმნება მეტალური სპილენდი.
4. რატომ შედის ძმრის ალდეპიდი მიერთების რეაქციებში?
5. ჩამოთვალეთ ჭიანჭველისა და ძმრის ალდეპიდების გამოყენების სფეროები.
6. რამდენი გ ძმრის ალდეპიდი შეიძლება მივიღოთ 78 გ აცეტილენიდან კურეროვის რეაქციით? $M_r(\text{C}_2\text{H}_2) = 26$, $M_r(\text{CH}_3\text{CHO}) = 44$.
7. რამდენი გ ძმარმჟავა შეიძლება მივიღოთ 66 გ ძმრის ალდეპიდის დაუანგვით? მჟავას გამოსავალია 90%. $M_r(\text{CH}_3\text{CHO}) = 44$, $M_r(\text{CH}_3\text{COOH}) = 60$.

თავი 9 • ნაშირწყალბადების ჟანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნანარმები •

47 პარკონებავაში. ძმარმზავა და უგაღლესი კარპონებავაში



- რომელი ნივთიერება გამოიყენება ყოფაში მინადულის მოსაცილებლად?
- რომელი ნივთიერება გამოიყენება საჭმლის შესაკაზმად და კონსერვანტად?

საქმიანობა

ძმარმჟავას ქიმიური თვისებები

უზრუნველყოფა: 5 სინჯარა, ლაკუმუსის ხსნარი, მაგნიუმის ლენტი, თუთიის გრანულები, ფენოლფტალეინი, NaOH-ის ხსნარი, ცარცის ფენილი, მარმჟავა, სპირტქურ.

საჭურაოს მსვლელობა: ხუთ სინჯარაში, რომელთაგან 1-ელი შეიცავს ლაკუმუსის ხსნარს, მე-2 – მაგნიუმის ლენტს, მე-3 – თუთიის 1-2 გრანულას, მე-4 – NaOH-ის ხსნარს, რომელსაც დამატებული აქვს 1-2 წვეთი ფენოლფტალეინი, მე-5 – ცარცის ფენილს, ჩაასხით 1-2 მლ ძმარმჟავა (თუ თუთიის გრანულები მუჟვასთან არ რეაგირებს, შეიძლება ხსნარი აღნავ გააცხელოთ). დააკვირდით ყველა მომზადარ ცვლილებას.


განიხილეთ შედეგები:

- რა ფერს იღებს ლაკუმუსი 1-ელ სინჯარაში? რატომ არ იღებს ის წითელ ფერს?
- რაზე მიუთითებს ფენოლფტალეინის ფერის ცვლილება NaOH-ის ხსნარზე მუჟვას დამატებისას?
- როგორ ახსნით განსხვავებას Mg-ისა და Zn-ის მუჟვასთან ურთიერთქმედებაში?
- რეაციის რომელი ნიშნები შეამჩნიეთ ძმარმჟავას ცარცითან ურთიერთქმედებისას?
- ძმარმჟავას რომელი წყალბაზ-ატომი მონაწილეობს ამ რეაციებში? რატომ?
- რომელია შეუქცევადი ბოლო ოთხ რეაქციას შორის? რატომ?


• ორგანულ ნივთიერებებს, რომელთა მოლუსულებში ნახშირწყალბადის რადიკალი დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე კარბოქსილის ჯგუფთან ($-COOH$), კარბონმჟავები ენოდება.

ნაჯერი კარბონმჟავები — ძმარმჟავა

ნაჯერი კარბონმჟავების უმარტივესი წარმომადგენლებია ჭიანჭველმჟავა (მეთანმჟავა) HCOOH და ძმარმჟავა (ეთანმჟავა) CH₃COOH.




ჭიანჭველმჟავა (მეთანმჟავა)



ძმარმჟავა (ეთანმჟავა)

(ა) ჭიანჭველისა და ძმრის მუჟვების სტრუქტურული ფორმულები და ბურთულდეროვანი მოდელები

მიღება. მრეწველობაში ძმარმჟავას იღებენ ბუტანის ჰაერის ჟანგბადით დაჟანგვით კატალიზატორის თანაობისას:



ფიზიკური თვისებები. ძმარმჟავა (ეთანმჟავა) ჩვეულებრივ ტემპერატურაზე უფერო, მკვეთრი სუნის მქონე სითხეა. წყალს ერევა ნებისმიერი თანაფარდობით. მის 3-9%-იან ხსნარს სუფრის ძმარი ენოდება, ხოლო 70-80%-იან ხსნარს – ძმრის ესენცია.

ქიმიური თვისებები. ძმარმჟავას ახასიათებს მინერალური მჟავების ზოგადი თვისებები: წყალში ნაწილობრივ დისოცირდება; რეაქციაში შედის აქტიურ მეტალებთან, ტუტებთან, ფუძე ოქსიდებთან და უფრო სუსტი მჟავების მარილებთან:



გამოყენება. ძმარმჟავა გამოიყენება პლასტმასების, სხვადასხვა საღებავის, სამკურნალო პრეპარატების, აცეტატური ბოჭკოების, უწვი კინოფირებისა და სხვ. წარმოებაში. მას იყენებენ აგრეთვე ბოსტნეულის დაკონსერვებისას და სუფრის ძმრის სახით.


განსაზღვრა. ძმარმჟავას გამოცნობა შეიძლება დამახასიათებელი სუნით.

უმაღლესი (C₁₀–C₂₁) კარბონმჟავები – პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავები

ნაჯერი ერთფუძიანი უმაღლესი კარბონმჟავების უმნიშვნელოვანესი წარმომადგენლებია პალმიტინის მჟავა (ჰექსადეკანმჟავა) და სტეარინის მჟავა (ოქტა-დეკანმჟავა).



C₁₈H₃₆COOH
სტეარინის მჟავა




C₁₆H₃₂COOH
სტეარინის მჟავა

(გ) პალმიტინისა და სტეარინის მჟავების მოლეკულების ბურთულლეროვანი მოდელები

ისინი გლიცერიდების – გლიცერინის რთული ეთერების სახით შედის მცენარეული და ცხოველური ცხიმების შედგენილობაში. პალმიტინისა და სტეარინის მჟავები წყალში უსხსადი მყარი თეთრი ფერის ნივთიერებებია. მათი ნარევი, რომელსაც სტეარინი ეწოდება, გამოიყენება სტეარინის სანთლების წარმოებაში. პალმიტინისა და სტეარინის მჟავების ნატრიუმის მარილები – მყარი საპნის, ხოლო კალიუმის მარილები – თხევადი საპნის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია.

ნახშირწყალბადოვან რადიკალში ერთი C=C ბმის შემცველი უკვერი კარბონმჟავებიდან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ოლეინის მჟავას C₁₇H₃₃COOH:



ოლეინის მჟავას მოლეკულის ბურთულ-დეროვანი მოდელი

ოლეინის მჟავა უსუნო უგემო სითხეა, დიდი რაოდენობით შედის ზეითუნის, სიმინდის, ნუშის ზეთის შედგენილობაში.

კარბონმჟავების შედგენილობასთან დაკავშირებული გამოთვლები

ალკილის რადიკალში ნახშირბად-ატომების რიცხვის (n) საშუალებით გამოსახეთ ნაჯერი კარბონმჟავების $C_nH_{2n+1}COOH$ ფარდობითი მოლეკულური მასა. $A_r(C)=12$, $A_r(O)=16$, $A_r(H)=1$.

ამოხსნა:



ელემენტების A_r -ის მნიშვნელობებისა და $M_r(C_nH_{2n+1}COOH)$ გამოსახულებაში მათი ინდექსების გათვალისწინებით, n-ის საშუალებით გამოვსახოთ კარბონმჟავების M_r :

$$M_r(C_nH_{2n+1}COOH) = 12 \cdot n + 1 \cdot (2n+1) + 12 + 16 \cdot 2 + 1 = 14n + 46$$

ამოცანა. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას ნატრიუმის მარილის 0,05 მოლის მასაა 4,1 გ. განსაზღვრეთ მჟავას ფორმულა. $A_r(Na)=23$.

ცოდნის ზარდაბში • ლიმონმჟავა

სამფუძიანი კარბონმჟავა. შედის, ძირითადად, ლიმონში და სხვა, ციტრუსოვან მცენარეებში. გამოიყენება კვების მრეწველობაში, გამავრილებელი სასმელებისა და კარამელის ნაწარმების დასამზადებლად, აგრეთვე ფარმაციაში. მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალორგანიზმებში ნივთიერებათა ცვლაში.



საკვანძო სიტყვები

- ძმარმჟავა • პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითეთ ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას ფარდობითი მოლეკულური მასა, თუ მისი ნახშირწყალბალოვანი რადიკალი შეიცავს ნახშირბალის 2 ატომს:

ა) 46	ბ) 30	გ) 60	დ) 74	ე) 58
-------	-------	-------	-------	-------
2. რომელი გამონათევამები შეესაბამება ძმარმჟავას?

1. მარილებს ენიდება ფორმიატები;	2. მარილებს ენიდება აცეტატები;
3. წყალში კარგად ისხნება;	4. გამოიყენება საჭრის შესაკაზმად;
5. არ არის პომილოგიური რიგის 1-ელი ნარმობადგენელი;	6. სუსტი ელექტროლიტია.
3. რომელ რეაქციაში გამოიყოფა აირი?

1. $CH_3COOH + Ca \rightarrow$	2. $CH_3COOH + MgO \rightarrow$
3. $CH_3COOH + Na_2CO_3 \rightarrow$	4. $CH_3COOH + NaOH \rightarrow$
4. მიუთითეთ, შესაბამისად, პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავების ფორმულები:

1. $C_{17}H_{33}COOH$	2. $C_{15}H_{31}COOH$	3. $C_{17}H_{35}COOH$
-----------------------	-----------------------	-----------------------
5. დაასრულეთ რეაქციათა სქემები:

ა. ... + ... $\rightarrow CH_3COONa + H_2O$	ბ. $CH_3COOH + NH_3 \rightarrow ...$
გ. ... + $NaHCO_3 \rightarrow CH_3COONa + H_2O + ...$	
6. რამდენი კგ ძმარმჟავა შეიძლება მივიღოთ 89,6 მ³ (ნ.პ.) ბუტანის კატალიზური დაუანგვით? მჟავას გამოსავალია 50%. $M_r(CH_3COOH) = 60$.
7. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას 6 გ შეიცავს 3,2 გ უანგბადს. განსაზღვრეთ მჟავას ფორმულა. $A_r(H)=1$, $A_r(C)=12$, $A_r(O)=16$.
8. ნაჯერი ერთფუძიანი კარბონმჟავას მაგნიუმის მარილის 8,5 გ შეიცავს 1,2 გ მაგნიუმს. განსაზღვრეთ მჟავას ფორმულა. $A_r(Mg)=24$.

48 რთული ეთერები. ცხიმის.

საპონი და სხვა სარეცეს საშუალებები



- აქლემს შეუძლია, ოვენახევარი გაძლის უწყლოდ. რასთანაა ეს დაკავშირებული?
- რომელი ნივთიერებები განაპირობებს ზილის, სუნამოების, ოდეკოლონის სასიამოვნო სუნს?

საქმიანობა

საპნის დალექვა ხისტ წყალში და ცხიმის ჰიდროლიზი
ტუტე არეში

უზრუნველყოფა: 3 სინჯარა, საპონი, წყალი, NaOH, ფენოლფტალეინი, კალციუმისა და მაგნიუმის ხსნადი მარილები, ფაიფურის ჯამი, სპირტქურა, NaCl, მინის ნკირი.

საშუალოს მსვლელობა:


- ა) ორ სინჯარში მოამზადეთ საპნიანი ხსნარები. ერთ მოთგანს დაუმატეთ 1-2 წვეთი ფენოლფტალეინის ხსნარი; მეორე სინჯარიდნ საპნიინი ხსნარი წვეთწვეთობით ჩასხით მე-3 სინჯარაში, რომელიც შეიცავს 4-5 მლ წყალს მაშინ გახსნილი კალციუმისა და მაგნიუმის მარილებით. დაკვირდით ორივე სინჯარაში მიმდინარე მოვლენებს.
- ბ) 1-2 გ კარაქის შემცველ ფაიფურის ჯამში ჩაასხით 7-10 მლ ტუტის ხსნარი და ნარევი ადულეთ 15-20 წუთის განმავლობაში. პერიოდულად მოურიეთ ნარევს და, აორთქლებულის ნაცვლად, დაამატეთ წყლის ახალი ულუფები. გასაპვნის დამთავრების შემდეგ ჯამში ჩაამატეთ NaCl-ის ხსნარი და ისევ ადულეთ 1-2 წუთის განმავლობაში. დააკვირდით მომხდარ ცვლილებებს.

განიხილეთ შედეგები:

- რა ფერს იღებს ფენოლფტალეინი საპნის ხსნარში? რატომ?
- რა ხდება საპნის ხსნარის ხისტ, ანუ Ca^{2+} და Mg^{2+} იონების შემცველ წყალში ჩასხმისას? რატომ?
- რომელი ნივთიერება გროვდება წყლის ზედაპირზე ზ ცდაში?
- რატომ ენოდება გასაპვნა ცხიმის ჰიდროლიზს ტუტე არეში?

რთული ეთერები

• ორგანულ ნივთიერებებს, რომლებიც წარმოიქმნება კარბონმჟავების სპირტებთან ურთიერთქმედების შედეგად, რთული ეთერები ეწოდება, ხოლო თვით რეაქციას - **ეთერიფიკაციას რეაქციას**.



ეთერიფიკაციის რეაქცია შექცევადი რეაქცია და მიმდინარეობს კონცენტრირებული გოგირდმჟავას თანაობისას.




რთული ეთერების ზოგადი ფორმულა ასე შეიძლება გამოვსახოთ: $\text{R}-\overset{\text{O}}{\underset{\text{||}}{\text{C}}}-\text{O}-\text{R}'$

მცირე მოლეკულური მასის მქონე ეთოფუძიანი კარბონმჟავების რთული ეთერები წყალში მცირედ ხსნადი, წყალზე მსუბუქი აქროლადი ნივთიერებებია. მრავალ რთულ ეთერს აქვს სასიამოვნო სუნი. ისინი შედის ყვავილებში, ხილში, კენკრაში. ამ მცენარეების სპეციფიკური სუნი მათ შედგენილობაში რთული ეთერების არსებობითაა გამოწვეული (ა, ბ, გ).

თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნანარმები •

ეს საინტერესოა


ბმარმეული გამოიყენება ცელულოზის ეთერების გამხსნელად. რთული ბუტანმეული გეთილეთერს – ვაშლის სუნი (გ), ხოლო ბუტანმეული ეთილეთერს – ანანასის სუნი (ა).



რთული ეთერები გამოიყენება ცელულოზის ეთერების გამხსნელად. რთული ეთერები, ხილის ესენციური გეთილეთერის სახით, სხვა სურნელოვან ნივთიერებებთან ერთად, გამოიყენება ხილის წვერების, გამაგრილებელი სასმელების, კარაბელის ნაწარმების წარმოებაში, აგრეთვე სუნამოებისა და ოდეკოლონების დასამზადებლად.

ცხიმები

- **ცხიმები** გლიცერინისა და ერთფუძიანი ($\text{D}_{10} \text{R}_{10}$) უმაღლესი) კარბონმჟავების რთული ეთერებია. მათი ზოგადი სახელწოდებაა ტრიგლიცერიდები. ცხიმების შედგენილობაში შედის ძირითადად პალმიტინის, სტეარინისა და ოლეინის მჟავები. პირველად სტეარინის მჟავას ტრიგლიცერიდი (გ) დაასინთეზა მ. ბერთლომ 1854 წელს:



როგორც წესი, მყარი ცხიმები წარმოქმნილია ნაჯერი უმაღლესი მჟავებით, თხევადი ცხიმები (ზეთები) – უჯერი უმაღლესი მჟავებით. თხევად ცხიმებში არსებული $\text{C}=\text{C}$ ბერების ჰიდრინებისას ისინი მყარ ცხიმებად გარდაიქმნება. ეს რეაქცია საფუძვლად უდევს მარგარინის სამრეწველო მიღებას.

ცხოველური წარმოშობის ცხიმები (ლორის, ცხვრის ქინი), ჩვეულებრივ, მყარია, ხოლო მცენარეული ცხიმების უმრავლესობა (მზესუმზირის, სიმინდის, ზეითუნის ზეთი) – თხევადი.




ტექნიკაში ცხიმის ჰიდროლიზი ([გ]) რეაქციის შეპრუნებული რეაქცია] ფართოდ გამოიყენება გლიცერინის, კარბონმჟავების, საპნის, სტეარინის მისაღებად. გვევლინება რა საკვების შემადგენელ ნაწილად, ცხიმები დიდ როლს ასრულებს ადგინანტისა და ცხოველების ცხოვრებაში. ისინი ორგანიზმის ენერგიის ძირითადი წყაროა.

საპონი და სხვა სარეცხი საშუალებები


- უმაღლესი კარბონმჟავების ნატრიუმისა და კალიუმის მარილებს **საპნები** ეწოდება. ნატრიუმის მარილები წარმოქმნის მყარ საპონს, ხოლო კალიუმისა – თხევად საპონს.

წინათ საპონს იღებდნენ მცენარეული ან ცხოველური ცხიმების ჰიდროლიზით ტუტის ან სოდის თანაობისას. ამიტომ ცხიმის ჰიდროლიზს ტუტის თანაობისას გასაპვნა ეწოდება.

დღეს საპნის წარმოებაში გამოყენებულ კარბონმჟავებს ნავთობის პარაფინების დაუკანგვით იღებენ:



ყოფაში და წარმოებაში, საპნის ნაცვლად, გამოიყენება სინთეზური სარეცხი საშუალებები, მაგალითად, სარეცხი ფენილები. სინთეზური სარეცხი საშუალებების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი, საპნისგან განსხვავებით, რეცხვით უნარს არ კარგავს ხისტ წყალშიც. ზოგადი სახით საპნისა და სინთეზური სარეცხი საშუალებების ფორმულები შეიძლება შემდეგნაირად გამოისახოს:



საკვანძო
სიტყვები

- ეთერიფიკაციის რეაქცია • შესაპვნა • რთული ეთერები • ტრიგლიცერიდები • საპნები • სინთეზური სარეცხი საშუალებები •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი რთული ეთერის წარმოქმნის რეაქციისთვის?
 - ა) ენოდება ეთერიფიკაციის რეაქცია;
 - ბ) ჩვეულებრივ, მიმდინარეობს კატალიზატორის თანაობისას;
 - გ) შექცევადი პროცესია;
 - დ) მიმდინარეობს სუსტი ელექტროლიტის წარმოქმნით;
 - ე) მიმდინარეობს ძლიერი ელექტროლიტის წარმოქმნით.
2. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. ცხიმები...
 1. წარმოქმნება გლიცერინისა და უმაღლესი კარბონმჟავებისგან;
 2. მიეკუთვნება რთულ ეთერებს;
 3. ორგანიზმში დაუკანგვისას გამოყოფს ენერგიას;
 4. არის ბობის მყარ და თხევად მდგომარეობაში.
3. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. თხევადი ცხიმები...
 1. ძირითადად შეიცავს უვერი კარბონმჟავების ნაშთებს;
 2. ძირითადად შეიცავს ნაჯერი კარბონმჟავების ნაშთებს;
 3. ძირითადად მცენარეული წარმოშობისაა;
 4. ჰიდრირებისას გარდაიმება მარგარინად.
4. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები. საპნები...
 1. ძირითადად პალმიტინისა და სტეარინის მჟავების ნატრიუმისა და კალიუმის მარილებია;
 2. წარმოქმნება სქემით: $\text{C}_{17}\text{H}_{35}\text{COOH} + \text{NaOH} \rightarrow$
 3. წარმოქმნება სქემით: $\text{C}_{15}\text{H}_{31}\text{COOH} + \text{K}_2\text{CO}_3 \rightarrow$
 4. სინთეზური სარეცხი საშუალებების მსგავსად, არ კარგავს რეცხვით თვისებებს ხისტ წყალში.
5. შეადგინეთ ოლეინის მჟავას გლიცერინთან ურთიერთქმედების რეაქციის ტოლობა.

თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნაწარმები •

49 ნახილცელები

- რა აქვს საერთო ფქვილს, ხის ნახერსს,
შაქარს, კარტოფილს, ვაშლს,
ყურძენს?



საქმიანობა

სახამებლის რეაქცია იოდთან

უზრუნველყოფა: ჭიქა, სინჯარა, მინის წყირი, სახამებელი, იოდის ნაყენი.

სამუშაოს მსვლელობა: 20 მლ მდუღარე წყალში ჩაყარეთ 2 გ სახამებელი და მიღებულ სუსტენზიას მოურიეთ გამჭვირვალე ხსნარის ნარმოქმნამდე. გაცივების შემდეგ ამ ხსნარის 2-3 მლ-ს დაუმატეთ 2-3 წევთი იოდის განზავებული ნაყენი. რაღაც დროის შემდეგ ნარევი გააცხელეთ. ორივე ცდაში თვალყური ადევნეთ მომხდარს.

განხილეთ შედეგები:


- რა შეიმჩნევა სახამებელზე იოდის ხსნარის დამატებისას?
- რომელი ნივთიერებების განსაზღვრისთვის შეიძლება ამ რეაქციის გამოყენება?
- რა ხდება ნარევის გაცხელებისას? როგორ შეიძლება ამ მოვლენის ახსნა?

• **ნახშირწყლები** ორგანული ნივთიერებებია ზოგადი ფორმულით $C_n(H_2O)_m$ (n და $m \geq 4$).

ნახშირწყლები იყოფა მონოსაქარიდებად, დისაქარიდებად და პოლისაქარიდებად. მონოსაქარიდები ჰიდროლიზს არ განიცდის. მათ მიეკუთვნება გლუკოზა, ფრუქტოზა და სხვ. დისაქარიდები ნახშირწყლებია, რომელთა ერთი მოლეკულიდან ჰიდროლიზისას ნარმოიქმნება მონოსაქარიდის ორი მოლეკულა. დისაქარიდებს ნარმოადგენს საქაროზა, მალტოზა და სხვ. პოლისაქარიდები ნახშირწყლებია, რომელთა ჰიდროლიზისას ერთი მოლეკულიდან ნარმოიქმნება მონოსაქარიდის ბევრი მოლეკულა. პოლისაქარიდებია სახამებელი, ცელულოზა და სხვ.

მონოსაქარიდები — გლუკოზა და ფრუქტოზა

გლუკოზა დიდი რაოდენობით შედის ყურძნის წევნში (ამიტომ მას ყურძნის საქარს უწოდებენ), თაფლში, მწიფე ხილსა და კენკრაში. ადამიანის ორგანიზმი გლუკოზას შეიცავს კუნთები და სისხლი ($0,1\%-მდე$). მცენარეებში გლუკოზა ნარმოიქმნება ფოტოსინთეზის პროცესში:



ფრუქტოზა ($C_6H_{12}O_6$) შედის ბევრი ხილის შედგენილობაში, ამიტომ მას ხილის შაქარს უწოდებენ. ფრუქტოზა თაფლის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია (50%). ის გლუკოზაზე ტკბილია და ამით აიხსნება, რატომაა თაფლი ამდენად ტკბილი.


ვინაიდან გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლეკულური ფორმულები ერთნაირია, ისინი ერთმანეთის იზომერებია.

გლუკოზა გამოიყენება მედიცინაში, სისხლის დასაკონსერვებლად და დასუსტებული ორგანიზმის მოსამაგრებლად. ის გამოიყენება აგრეთვე კარამელის ნარმოებაში (კრამელის, მარმელადის, პომბალის და სხვ. დასამზადებლად), საფეირო მრეწველობაში, ქსოვილებზე მოხატულობის დატანისას, C ვიტამინის (ასკორბინის მჟავას) სინთეზში. ტექნიკაში გლუკოზის დუღილით იღებენ ეთილის სპირტს.

ცოდნის ზარდახში • გამოთქმა „ნახშირწყალი“ ნიშნავს „ჰიდრატირებულ ნახშირბადს“.

დისაქარიდი — საქაროზა

საქაროზა, როგორ დისაქარიდი, ჰიდროლიზის ექვემდებარება. ამ დროს ნარმოიქმნება ორი მონოსაქარიდის – გლუკოზისა და ფრუქტოზის მოლექულები:




საქაროზას ძირითადად შეიცავს შაქრის ჭარხალი (12-20%) და შაქრის ლერწამი (14-26%). ამიტომ მას ჭარხლის ანუ ლერწმის შაქარს უზოდებენ. საქაროზა შაქრის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მას გამოყოფენ უპირატესად შაქრის ჭარხლიდან და შაქრის ლერწმიდან.

პოლისაქარიდები — სახამებელი და ცელულოზა

ნახშირწყლებს შორის შედარებით რთული აღნაგობა აქვს სახამებელსა და ცელულოზას.


სახამებელი ($\text{C}_6\text{H}_{10}\text{O}_5$)_n გლუკოზის ნაშთებისგან შედგენილი პოლიმერია. ის ნარმოიქმნება მცენარეებში ფოტოსინთეზის შედეგად: ჯერ მიიღება გლუკოზა, მისგან კი – სახამებელი:



სახამებელს ძირითადად იღებენ კარტოფილიდან, აგრეთვე ბრინჯიდან და სიმინდიდან.

სახამებელი თეთრი ფენილისებრი უგემო ნივთიერებაა. ცივ წყალში არ იხსნება, მაგრამ ცელ წყალში გაჯირჯვდება, წარმოქმნის რა კოლოიდურ ხსნარს, რომელსაც მწებავთ თვისებები აქვს (სახამებლის ბუბკო).

სახამებელი განიცდის ჰიდროლიზს, რის შედეგადაც საბოლოოდ მიიღება α-გლუკოზა*:




სახამებელი გამოიყენება დექსტრინების, ბადაგის (დექსტრინების გლუკოზას-თან ნარევის) მისაღებად, კარამელის ნაწარმის, გლუკოზისა და ეთილის სპირტის წარმოქმაში. მას იყენებენ, როგორც მწებავ ნივთიერებას, აგრეთვე ქსოვილების გასახამებლად. მედიცინაში სახამებელი გამოიყენება მისაფრენევი ფხვნილების, პასტების, წამლების ტაბლეტებისა და კაფსულების დასამზადებლად.

სახამებლის **განსაზღვრა** ემყარება იოდთან ურთიერთ-ქმედებისას ლურჯი შეფერვის წარმოქმნას ().


ცელულოზა, სახამებელთან შედარებით, უფრო გავრცელებული ნახშირწყალია. ის წარმოქმნის ყველა მცენარეული უჯრედის კედლებს. მერქანი შეიცავს 50% ცელულოზას, ხოლო ბამბის ბოჭკოები და ფილტრის ქაღალდი – 98%-მდე.

ცელულოზა, სახამებლის მსგავსად, ($\text{C}_6\text{H}_{10}\text{O}_5$)_n შედგენილი ბუნებრივი ნახშირწყალია. მას იღებენ ბამბიდან და სხვ.



(*) კარტოფილში არსებული სახამებლის გაღურვება იმდის ზემოქმედებით

ცელულოზა თეთრი მყარი ნივთიერებაა, წყალში და ჩეულებრივ ორგანულ გამხსნელებში (სპირტი, ეთერი, აცეტონი) არ იხსნება. ისევე როგორც სახამებელი, ცელულოზა განზავებულ მჟავებთან გაცხელებით ჰიდ-როლიზდება, წარმოქმნის რა β -გლუკოზა*:



* α-გლუკოზის მოლე-კულა β -გლუკოზის მოლეკულისგან (ციკლურ ფორმაში) განსხვავდება მხოლოდ ნახშირბადის C₁ და C₂ ატომებთან დაკავშირებული OH-ჯგუფების სივრცული განლაგებით.

ცელულოზა სელისა და ბამბის სახით გამოიყენება ქსოვილების წარმოებაში. მისი დიდი რაოდენობა იხარჯება ქაღალდისა და ეთილის სპირტის წარმოებაში. ეთილის სპირტს იღებენ ცელულოზის ჰიდროლიზისას წარმოქმნილი გლუკოზის დუღილით:




ამ გზით მიღებულ ეთილის სპირტს ჰიდროლიზურ სპირტს უწოდებენ. ცელულოზის ქიმიური გარდაქმნით იღებენ ვისკოზურ და აცეტატურ აბრეშუმს, ბლასტრმასებს, უწვევ კინო- და ფოტომასალებს, აგრეთვე უკვამლო დენთს.

C
E
R
C
E

სახამებლის ჰიდროლიზთან და გლუკოზის დუღილთან დაკავშირებული გამოთვლები
რამდენი კგ გლუკოზის მიღება შეიძლება 324 კგ სახამებლის ჰიდროლიზით? გლუკოზის გამოსავალია 80%. M_r(C₆H₁₂O₆) = 180, M_r(C₆H₁₀O₅)_n = n · 162.

ამოსსნა:

ჯერ განვსაზღვროთ 324 კგ სახამებლის ჰიდროლიზისას თეორიულად მოსალოდნელი გლუკოზის მასა:



$$m_{\text{თეორ.}} = \frac{324 \text{კგ} \cdot n \cdot 180 \text{კგ}}{n \cdot 162 \text{კგ}} = 360 \text{კგ}$$

ვინაიდან გლუკოზის გამოსავალი (η) 80%-ია (ანუ 0,8), ვრაქტიგულად მიღებული მისი მასა (m_{თეორ.}) იქნება:

$$m_{\text{თეორ.}}(\text{გლუკ.}) = m_{\text{თეორ.}}(\text{გლუკ.}) \cdot \eta (\text{გლუკ.}) = 360 \text{კგ} \cdot 0,8 = 288 \text{კგ.}$$

ამოცანა. გლუკოზის დუღილით მიღებულის 9,2 გ ეთილის სპირტი. გამოთვალეთ დუღილისას წარმოქმნილი ნახშირმჟავა აირის მოცულობა (6.3.). M_r(C₂H₅OH) = 46.

საკვანძო
სიტყვები

- ფოტოსინთეზი • ჰიდროლიზი • მონოსაქარიდი • დისაქარიდი •
- პოლისაქარიდი • სპირტული დუღილი.

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. რა არის მცდარი ნახშირნყლებისთვის?

- ა) უმრავლესობის შედგენილობა შეესატყველება ფორმულას $C_n(H_2O)_m$;
- ბ) მათი ბუნებაში ზარმოქმნა ფოტოსინთეზის პროცესთანაა დაკავშირებული;
- გ) ყველა მათგანი განიცდის ჰიდროლიზს;
- დ) იყოფა მონოსაქარიდებად, დისაქარიდებად და პოლისაქარიდებად;
- ე) გამოთქმა „ნახშირნყალი“ ნიშნავს „ჰიდრატირებულ ნახშირბადს“.

2. მიუთითეთ გლუკოზასთან მიმართებაში მცდარი გამონათევამი:

- ა) აქვს ტებილი გემო;
- ბ) შეიცავს ადამიანის სისხლი;
- გ) ენოდება ყურძნის შაქარი;
- დ) არ იხსნება წყალში;
- ე) გამოიყენება სისხლის დასაკონსერვებლად.


3. რომელი გამონათევამი არ ეხება ცელულოზას?

- ა) მისი შედგენილობა იმავე ფორმულით გამოსახება, რომლითაც სახამებლისა;
- ბ) განზავებულ მეურებთან გაცხელებისას ჰიდროლიზდება;
- გ) გამოიყენება ვისკოზური და აცეტატური აბრეშუმის მისაღებად;
- დ) არ ნარმოადგენს ადამიანის საკვებ პროდუქტს;
- ე) ჰიდროლიზისას ნარმოქმნის ფრუქტოზას.

4. მიუთითეთ სწორი გამონათევამები. სახამებელი...

1. იხსნება ცივ წყალში;
 2. ცხელ წყალში ნარმოქმნის სახამებლის ბუპოს;
 3. გამოიცნობენ იოდით;
 4. არ ნარმოადგენს საკვებ პროდუქტს;
 5. ჰიდროლიზისას ნარმოქმნის გლუკოზას.
- ა) 1,2,3,4,5 ბ) 2,3,4,5 გ) მხოლოდ 2 დ) 1,2,3,4 ე) 1,2,3,5

5. რომელი სქემით იღებენ გლუკოზას მრეწველობაში და რომელი სქემით ნარმოიქმნება ის ბუნებაში?



6. მიუთითეთ ნახშირნყლები, რომელთა შედგენილობა შეესაბამება ფორმულას (CH_2O)_n:

1. გლუკოზა;
2. ფრუქტოზა;
3. საქაროზა.

7. ტოლია თუ არა საქაროზის ფარდობითი მოლეკულური მასა გლუკოზისა და ფრუქტოზის ფარდობითი მოლეკულური მასების ჯამისა? თუ არა, როგორია განსხვავება?

8. გლუკოზის დუღილით მიიღეს 18,4 გ ეთილის სპირტი. რა მასის გლუკოზამ განიცადა დუღილი, თუ გამოსავალი 80%-ია? $M_r(C_2H_5OH) = 46$. $M_r(C_6H_{12}O_6) = 180$.

9. გამოთვალეთ 17,1 კგ საქაროზის ჰიდროლიზისას ნარმოქმნილი გლუკოზისა და ფრუქტოზის ჯამური მასა. $M_r(C_{12}H_{22}O_{11}) = 342$, $M_r(C_6H_{12}O_6) = 180$.

– რა აერთიანებს კვერცხს, რძეს, ბუმბულს?

საქმიანობა

ცილების დამახასიათებელი ზოგიერთი რეაქცია

უზრუნველყოფა: 2 სინჯარა, სპირტქურა, NaOH-ისა და შაბიამნის ხსნარები, ცილის ხსნარი.

სამუშაოს მსვლელობა:

- სინჯარაში მოთავსებულ 2-3 მლ ცილის ხსნარს დაუმატეთ ამდენივე ტუტის ხსნარი და შემდეგ, წვეთობით, 1-2 მლ შაბიამნის ხსნარი. დააკვირდით მომხდარს.
- 4-5 მლ კვერცხის ცილის წყალხსნარი გააცხელეთ აღულებამდე და დააკვირდით მიმდინარე მოვლენებს. გაცივების შემდეგ ხსნარი განაზავეთ იმავე რაოდენობის წყლით.


განიხილეთ შედეგები:

- რა ხდება ცილის ა ხსნარზე შაბიამნის ხსნარის დამატებისას?
- რა შეიმჩნევა ცილის ბ ხსნარის დუღილისას? რა ენოდება ამ პროცესს?
- რატომ არ იხსნება ნალექი ცილის ანადუღარი ხსნარის განზავებისას?

• **ცილები (პოლიპეპტიდები)** ამინმჟავების ნაშთებისგან წარმოქმნილი ორგანული ნივთიერებებია.

• **ამინმჟავები** ორგანული ნივთიერებებებია, რომელთა მოლეკულები შეიცავს ამინო ($-NH_2$) და კარბოქსილის ($-COOH$) ჯგუფებს.

ამინმჟავა შეიძლება განვიხილოთ, როგორც კარბონმჟავას ნაწარმი, რომლის ნახშირწყალბადოვან რადიკალში H-ატომი ჩანაცვლებულია $-NH_2$ ჯგუფით. მაგალითად:



ამინმჟავები თავისი ფუძე ($-NH_2$) და მჟავა ($-COOH$) ფუნქციური ჯგუფების მეშვეობით ურთიერთქმედებს ერთმანეთთან და და ნარმოქმნის პოლიმერებს – ცილებს:



ამინმჟავას მოლეკულების რიცხვი – n



• დაპალმოლეკულური ნივთიერებიდან მალალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნის რეაქციას, რომელსაც თან ახლავს თანაური პროდუქტის, მაგალითად, წყლის გამოყოფა, პოლიკონდენსაციის რეაქცია ეწოდება.


რეაქციის მიმდინარეობისას ნარმოქმნილ $\text{C}=\text{N}-\text{H}$, ჯგუფს პეპტიდური ანუ ამიდური ჯგუფი ეწოდება, ხოლო C—N ბმას – პეპტიდური (ამიდური) ბმა.

პოლიმერის მოლეკულაში ეს ბმა მრავალჯერ მეორდება, ამიტომ პოლიმერს პოლიპეპტიდს უწოდებენ.

ცილების აგებულება და თვისებები


ცილებს რთული აგებულება აქვს. განასხვავებენ ცილის მოლეკულის პირველად, მეორეულ, მესამეულ და მეოთხეულ სტრუქტურას.

- ამინმჟავების ნაშთების თანმიმდევრობას პოლიპეპტიდურ ჯაჭვში ცილის პირველად სტრუქტურას უწოდებენ. მაგალითად, ქვემოთ მოცემული ცილის პირველადი სტრუქტურა განისაზღვრება ამინმჟავების ნაშთების $\text{R}_1-\text{R}_2-\text{R}_3-\text{R}_4\dots$ თანმიმდევრობით (3).



(3) ცილის პირველადი სტრუქტურა (პოლიპეპტიდური ჯაჭვი)

- ცილის მეორეული სტრუქტურა არის პოლიპეპტიდური ჯაჭვის სივრცული ფორმა მის ცალკეულ უბნებზე. ცილების უმრავლესობაში პოლიპეპტიდურ ჯაჭვს აქვს სპირალისებრი ფორმა (3). მეორეული სტრუქტურის ამ ფორმას ეწოდება α -სპირალი.



(3) ცილის
მოლეკულის
მეორეული
სტრუქტურა



(3) პეპტიდურის ერთ-ერთი
პოლიპეპტიდური ჯაჭვის
მესამეული სტრუქტურა

- ცილის მესამეული სტრუქტურა არის ფორმა, რომელსაც სპირალი იღებს სივრცეში. უმარტივეს შემთხვევაში ცილის მესამეული სტრუქტურა შეიძლება ნარმოვიდგინოთ გორგლად დახვეეული სპირალის სახით, მაგალითად, როგორც პეპტიდურის ერთ-ერთი პოლიპეპტიდური ჯაჭვის შემთხვევაში (3).



ა. ნ. დანილოვსკი
(1838-1923)
რუსი ბიოქიმიკოსი


- ჩაატარა გამოკვლევები ცილებისა და ფერმენტების ქიმიის დარგში. წამოაყენა ცილის მოლუკულის აღნაგობის თეორია (1888).



გ. ფესენკო
(1852-1919)
გეომნელი
ქიმიკოს-
ორგანიკოსი და
ბიოქიმიკოსი

- ნობელის პრემიის (1902) ლაურეატი. გამოკვლევები მიუძღვნა ნახშირნყლებისა და ცილების ქიმიას. დაასინთეზა რიგი ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერება.

ცილების მახასიათებელი ქიმიური თვისებები განისაზღვრება მათი უნარით, განიცადოს ჰიდროლიზი, დენატურაცია და შევიდეს ფერად რეაქციების. ცილების ჰიდროლიზით მიღებულია დაახლოებით 20 სხვადასხვა ამინმჟავა:




ცილების ჰიდროლიზი წარმოადგენს საჭმლის მონელების პროცესის საფუძვლს.

- **დენატურაცია** ეწოდება ცილის მეორეული და მესამეული სტრუქტურის რღვევას.

კვერცხის მოხარშვისას, საჭმლის მომზადებისას, სისხლის შედედებისას ან რძის ამჟავებისას და სხვ. საქმე გვაქვს ცილების დენატურაციასთან.

ცილების განსაზღვრა. ცილების განსაზღვრა ემყარება ფერად რეაქციებში შესვლის უნარს და დამწვარი ბუმბულის სუნის გაჩენას მათი ძლიერი გახურებისას ან წვისას. მაგალითად, ტუტე არემი ცილაზე სპილენდ(III)-ის სულფატის ხსნარით მოქმედებისას ხსნარი იღებს მონითალო-ისფერ შეფერვას (დ).



(დ) ცილების
პეპტიდური ბმის
განსაზღვრა
(ბიურეტის
რეაქცია)

ეს რეაქცია (რომელსაც ბიურეტის რეაქცია ეწოდება) ადასტურებს საკვლევ ნივთიერებაში პეპტიდური ბმების არსებობას.

ცილების მნიშვნელობა

ცილები-არეგულირებს ცოცხალი ორგანიზმების დამახასიათებელ ნიშნებსა და ფუნქციებს: ზრდას, მოძრაობას, გრძნობათა ორგანოების მუშაობას, იმუნიტეტის მოვლენებს და სხვ. საკვებში ცილების ნაკლებობას სერიოზული დავადებების გამოწვევა შეუძლია.

მრეწველობაში ცილები გამოიყენება ბუნებრივი ბოჭკოების (აბრეშუმი, შალი), ტყავის, პლასტმასებისა და წებოების სახით.


დღეისათვის მრავალ ცილოვან ნივთიერებას – ჰიორმონებს, ფერმენტებს, ანტიბიოტიკებს – იღებენ ბიოტექნოლოგიური მეთოდებით, მიკროორგანიზმების დახმარებით.

ნაცი

ამინმჟავას პოლიკონდენსაცია და პოლიპეპტიდის პიდროლიზი
ამინმჟავას პოლიკონდენსაციისას წარმოიქმნა 7,2 გ წყალი და 30,3 გ პენტაპეპტიდი.
გამოიანგარიშეთ ამინმჟავას M_r .

ამოხსნა:

ვიპოვთ რა რეაქციაში შესული ამინმჟავას მასას: $30,3 + 7,2 = 37,5$ გ, რეაქციის ტოლობიდან გამოვთვლით ამინმჟავას M_r -ს:



ამოცანა. რამდენჯერ მეტია 1 მოლი პენტაპეპტიდის პიდროლიზისას დახარჯული წყლის რაოდენობა 1 მოლი ტრიპეპტიდის პიდროლიზისას დახარჯული წყლის რაოდენობაზე?


საკვანძო
სიტყვები

• პეპტიდური ბმა • პოლიპეპტიდი • პირველადი, მეორეული და
მესამეული სტრუქტურა • დენატურაცია •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. ცილები...

- ა) წარმოქმნილია ძირითადად 20 სხვადასხვა ამინმჟავას ნაშთისგან;
- ბ) შეიცავს პეპტიდურ ჯგუფს;
- გ) წარმოიქმნება პოლიკონდენსაციის რეაქციით;
- დ) ბუნებაში წარმოიქმნება ფოტოსინთეზისას;



2. განსაზღვრეთ ცილების მასასიათებელი ქმითური თვისებები:

1. ფერად რეაქციებში შესვლის უნარი;
2. დენატურაცია;
3. პიდროლიზი.

3. რომელი რეაქციით წარმოქმნება ცილები ამინმჟავებისაგან?

4. ამინმჟავების რომელი ფუნქციური ჯგუფები მონაბილურის ცილების წარმოქმნაში?

5. დაასახელეთ NH_2CH_2-COOH შედგენილობის ამინმჟავა:

1. ამინომარმჟავა;
2. ამინოეთამინმჟავა;
3. გლიცინი.

6. მიუთითოთ ამინმჟავებთან მიმართებაში მცდარი გამონათქვამი:

- ა) შეიცავს ორ ფუნქციურ ჯგუფს;
- ბ) ბოლიმერიზაციისას წარმოქმნის ცილებს;
- გ) მიიღება ცილების პიდროლიზით;
- დ) შედის პოლიკონდენსაციის რეაქციებში;
- ე) წარმოადგენს კარბომეტავების ნაწარმებს.

7. როგორ რეაქციას ეწოდება პოლიკონდენსაციის რეაქცია?

8. გამოთვალეთ $H_2N-R-COOH$ შედგენილობის ამინმჟავას მოლეკულური მასა, თუ ცნობილა, რომ m გ მისი ტრიპეპტიდის პიდროლიზისას მიიღეს $(m+6)$ გ ამინმჟავა.

- თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნაწარმები •

51 გაღალეოლექულური ნივთიერებები – პოლიმერები

რა აქვს საერთო აბრეშუმს, ბამბას, მერქანს, ფილებს, ნუკლეინის მჟავებს, საბავშვო სათამაშოებს?

საქმიანობა

პოლიმერ პოლიეთილენის თვისებები

უზრუნველყოფა: 3 სინჯარა, პოლიეთილენის გრანულები, ასანთი, KMnO_4 -ის ხსნარი, ციკალი, მწინის წყირი, სპირტები.

სამუშაოს მსვლელობა: 1. პოლიეთილენის გრანულები მოათავსეთ წყლიან სინჯარაში და წერილ მოურიეთ. 2. მეორე სინჯარაში გააცხელეთ პოლიეთილენის გრანულები და მინის წყირით შეამონეთ მათი სიმაგრე. 3. პოლიეთილენის გრანულებან სინჯარაში ჩაასხით KMnO_4 -ის ხსნარი. 4. პოლიეთილენის გრანულები შეიტანეთ სპირტების ალში. ყოველი ცდის ჩატარებისას დააკვირდით მომხდარ მოვლენებს.

განიხილეთ შედეგები:

- რა დასკვნა გამოიტანეთ პირველი ცდიდან?
- რა ემართება პოლიეთილენის გრანულებს სინჯარაში სუსტი გაცხელებისას?
- რა განსხვავებაა პოლიეთილენისა და ეთილენის დამოკიდებულებაში KMnO_4 -ის ხსნართან? რით ახსნით ამ განსხვავებას?
- რა ემართება პოლიეთილენს სპირტების ალში? რა ემართება ცეცხლმოკიდებულ პოლიეთილენს, როცა მას ალიდან გამოვიტან?


• ნივთიერებებს, რომლებიც შედგება მრავალჯერადად გაანმეორებადი ატომთა ჯგუფებისგან, პოლიმერები ანუ მაღალმოლექულური ნივთიერებები ეწოდება.

ცოდნის ზარდაზძა • პოლიმერული ნივთიერებების მოლეკულებს (მაკრომოლეკულებს) აქვს დიდი მოლეკულური მასა ($M_r > 5000$).

პოლიმერები მიიღება პოლიმერიზაციისა და პოლიკონდენსაციის რეაქციებით.



• მონომერების მოლეკულების ერთმანეთთან მრავალჯერადი შეერთების შედეგად მაღალმოლექულური ნივთიერებების წარმოქმნის რეაქციებს პოლიმერიზაციის რეაქციები ეწოდება.

პოლიმერიზაციის რეაქცია დამახასიათებელია ძირითადად უჯერი ნაერთების ბისთვის და მიმდინარეობს საწყის მოლეკულებში ორმაგი ან სამმაგი ბმების განწყვეტის ხარჯზე. მაგალითად, ეთილენის პოლიმერიზაციის რეაქცია სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:






პოლიმერების წარმოქმნელ დაბალმოლექულურ ნივთიერებებს ეწოდება მონომერები; მაკრომოლექულაში მრავალჯერ განმეორებულ ატომთა ჯგუფებს ეწოდება პოლიმერის სტრუქტურული ერთეულები; მაკრომოლექულაში სტრუქტურული ერთეულების რიცხვს პოლიმერიზაციის ხარისხს (n) უწოდებენ. თუ სტრუქტურული ერთეულის „ფარდობით მოლეკულურ მასას“ აღვნიშნავთ M_r -ით, მაშინ პოლიმერის ფარდობითი მოლეკულური მასა $M_{(პოლიმერი)} = M_r \cdot n$.


ცოდნის ზარდახშა • გაშლილი სახით და ბურთულლეროვანი მოდელის დახმარებით ეთილენის პოლიმერი ზაციის რეაქცია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



ცოდნის ზარდახშა • უმნიშვნელოვანეს პოლიმერებს, რომელიც პოლიმერიზაციის რეაქციით მიღება, პოლიეთილენთან და პოლიპროპილენთან ერთად, მიეკუთვნება აგრეთვე პოლივინილქლორიდი, ტეფლონი (პოლიტეტრაფორორეთილენი) და პოლისტიროლი:



პოლიკონდენსაციის რეაქციებით წარმოიქმნება ცილები, მრეწველობაში იღებენ კაპრონისა და ლავსანის ბრჭყალებს (გვ. 193). ფორმალდეპიდისა და ფენოლის თანაპოლიკონდენსაციის მრეწველობაში მიღება ფენოლფორმალდეპიდური ფისი, რომელსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ფენოლფორმალდეპიდური ფისის წარმოქმნის რეაქცია ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:



წარმოშობის მიხედვით პოლიმერებს ყოფენ 3 ჯუფად: ბუნებრივ (ბიოპოლიმერებად), ხელოვნურ და სინთეზურ პოლიმერებად.

ცოდნის ზარდახშა • **ბუნებრივ** პოლიმერებს მიეკუთვნება ცელულზა, სახამებელი, ბუნებრივი კაუჩუკი, ცილები, ნუკლინის მჟავები; **ხელოვნურს** – ტრი- და დიაცე- ტრილცელულზა, ტრი- და დინიტროცელულზა, ვულკანიზებული ბუნებრივი კაუჩუკი; **სინთეზურს** – პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, ლავსანი, კაპრონი, ბუტა-დიონური კაუჩუკი.

მაკრომოლეკულის აგებულების მიხედვით განასხვავებენ წრფივ (ა), გან- შტოებულ (ბ) და ბადისებრ (გ) პოლიმერებს. წრფივი პოლიმერებია: დაბალი წნევის პოლიეთილენი, ცელულზა, ლავსანი, კაპრონი, ბუნებრივი კაუჩუკი, პოლისტიროლი; განშტოებული პოლიმერებია: გლიკოგენი, მაღალი წნევის

პოლიეთილენი; ბადისებრი პოლიმერებია: ფენოლფორმალდეპიდური ფისები, რეზინი (ვულკანიზებული კაუჩუკი) და სხვ.



(ა) წრფივი აგებულების
პოლიმერი



(ბ) განშტოებული აგებულების
პოლიმერი



(გ) ბადისებრი აგებულების
პოლიმერი

ც ი ა ც ხ ი


პოლიმერის ფარდობით მოლეკულურ მასასთან დაკავშირებული გამოთვლები
გამოთვალეთ პოლიეთილენის პოლიმერზაფის ხარისხი, თუ პოლიმერის ფარდობითი მოლეკულური მასაა $56\ 000$. $M_r(CH_2=CH_2) = 28$.

ამოხსნა:

თუ გავითვალისწინებთ, რომ m , ანუ $M_r(-CH_2-CH_2-)$ 28-ის ტოლია, $M_r = m \cdot n$ გამოსახულებიდან ადვილად ვიპოვთ პოლიმერზაფის ხარისხს – n :

$$56\ 000 = 28 \cdot n; \quad n = 56\ 000 : 28 = 2000.$$

ამოცანა. გამოთვალეთ $(-CH_2-\underset{|}{CH}-)_n$ პოლიმერის ფარდობითი მოლეკულური მასა.



პლასტმასები და ბოჭკოვები

• **პლასტმასები** პოლიმერული მასალებია, რომლებსაც უნარი აქვს, გაცხელებისას მიიღოს მოცემული ფორმა და გაცივებისას შეინარჩუნოს ის.

სიმსუბუქს, დიდი მექანიკური სიმტკიცის, მაღალი ქიმიური მედეგობის, კარგი თბო- და ელექტროსაიზოლაციით თვისებების გამო პლასტმასებს ფართო პრაქტიკული გამოყენება აქვს.

მაგალითად, ისეთი პლასტმასები, როგორიცაა: პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლივინილქლორიდი, პოლისტიროლი და მისი თანაპოლიმერები, ფენოლ-ფორმალდეპიდური ფისები და სხვ. გამოიყენება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მედიცინაში, ყოფაში და ა.შ.

• **ბოჭკოვები** გრძელ დრეკად ძაფებად განელვის უნარის მქონე ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერებია, რომელთაგანაც ამზადებენ ნართს და სხვა საფეიქრო ნაწარმს.

ასევავებენ ბუნებრივ და ქიმიურ ბოჭკოებს. ბუნებრივი ანუ ნატურალური ბოჭკოები, მაგალითად, ბამბა, სელი, შალი და აბრეშუმი იყოფა მცენარეული და ცხოველური ნარმოშობის ბოჭკოებად (ც).

ქიმიური ბოჭკოები იყოფა ხელოვნურად და სინთეზურად.

ხელოვნურ აცეტატურ და ვისკოზურ ბოჭკოებს იღებენ ცელულოზის ქიმიური გარდაქმნით. სინთეზურ ბოჭკოებს ამზადებენ სინთეზური პოლიმერებისგან, მაგალითად, კაპრონისგან, ნეილონისგან, ლაცსანისგან.

გუნდრივი

პოლიმერი

პიმიური

მცენარეული
ნარმოშობის
ბამბა, სელი და სხვ.

ცხოველური
ნარმოშობის
შალი, აბრეშუმი და სხვ.

ხელოვნური
აცეტატური, ვისკოზური

სინთეზური
ლაცსანი, კაპრონი და სხვ.

(ც) ბოჭკოების კლასიფიკაცია

ბოჭკოების შედგენილობა და მიღების მეთოდები განხილული იქნება შემდეგ კლასებში.

საკვანძო
სიტყვები

- მონომერი • მაკრომოლეკულა • პოლიმერიზაციის ხარისხი • სტრუქტურული ერთეული •

ცოდნის გამოყენება და შემოწმება

1. მიუთითოთ მცდარი გამონათქვამი. პოლიმერი...
 - ა) წარმოქმნება პოლიმერზაფისა და პოლიკონდენსაციის რეაქციებით;
 - ბ) მიღება მონომერებიდან, რომლებიც $C=C$ და $C\equiv C$ ბმებს შეიცავს;
 - გ) როგორ წესი, მისი $M_r = 5000$ -ზე მეტია;
 - დ) შეიძლება ჰქონდეს ისეთივე თვისებრივი შედგენილობა, როგორიც მონომერს;
 - ე) შედგება მონომერის მრავალჯერადად განმეორებადი მოლეკულებისგან.
2. მიუთითოთ, შესაბამისად, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის სტრუქტურული ერთეული:

1. $CH_2=CH_2$	2. $-CH_2-CH-$	3. $-CH=C-$	4. $-CH_2-CH_2-$	5. $-CH_2-CH=CH-$
CH ₃	CH ₃	CH ₃		
ა) 1,3	ბ) 1,5	გ) 4,2	დ) 4,3	ე) 4,5
3. მიუთითოთ, შესაბამისად, პოლიმერზაფისა და პოლიკონდენსაციის რეაქციებით წარმოქმნილი პოლიმერები:
 1. ფენოლფორმალდეჰიდური ფისი;
 2. ტეფლონი;
 3. პოლიეთილენი;
 4. ცილები;
 5. პოლისტიროლი.
4. განსაზღვრეთ ნირფივი აგებულების პოლიმერები:
 1. დაბალი წნევის პოლიეთილენი;
 2. რზინი;
 3. ცელულოზა;
 4. გლიკოგენი;
 5. კაპრონი;
 6. პოლისტიროლი.
5. მიუთითოთ ხელოვნური პოლიმერები:
 1. ცელულოზა;
 2. ბუნებრივი კაუჩუკი;
 3. ტეფლონი;
 4. პოლიეთილენი;
 5. აცეტატური ბოჭკო;
 6. ვისკოზური ბოჭკო.
6. განსაზღვრეთ ქმიური ბოჭკოები:
 1. შალი;
 2. აცეტატური ბოჭკო;
 3. სელი;
 4. ლავსანი;
 5. კაპრონი;
 6. ბუნებრივი აბრეშუმი.
7. რით განსხვავდება ხელოვნური ბოჭკოები სინთეზურისგან?
8. გამოთვალეთ პოლიეთილენის ფარდობითი მოლეკულური მასა, თუ მისი პოლიმერიზაციის ხარისხია 500. $M_r(CH_2=CH_2) = 28$.

თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნანორმები •

52 პრაეტიკული საშუალო — 3. ორგანულ ნივთიერებათა თვისებები

ც დ ა

1 მრავალატომიანი სპირტების ურთიერთქმედება სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდთან

სინჯარაში მოთავსებულ 1-2 მლ სპილენდ(II)-ის სულფატის ხსნარს ფრთხილად, ნალექის ნარმოქმნამდე დაუმატეთ ტუტის 1 მლ ხსნარი. გადააქციეთ სითხე და დარჩენილ ნალექს დაუმატეთ 0,5-1 მლ გლიცერინი. დააკვირდით მომხდარს.

განიხილეთ შედეგები:

- რა ფერის ნალექი წარმოიქმნა სპილენდ(II)-ის მარილზე ტუტის ხსნარის დამატებისას?
- რომელი ფორმულით შეიძლება გამოვსახოთ ნალექის შედგენილობა?
- რა დაუმართა ნალექს გლიცერინის დამატებისას? რატომ?
- რომელ ორგანულ ნივთიერებებს გამოიცნობენ ჩატარებული რეაქციით?

ც დ ა

2 აცეტილენის მიღება და თვისებები

სინჯარაში, რომელშიც 2 მლ წყალია, მოათავსეთ კალციუმის კარბიდის ბარდის მარცვლისტოლა ნატეხი. სინჯარას მოარგეთ საკობი გაზგამყვანი მილით და მილის ბოლო ჩაუშვით მეორე სინჯარაში გამზადებულ კალციუმის პერმანგუნატის ხსნარში.

- რა სახის ცვლილებები შეამჩნიეთ? რას ადასტურებს ისინი?
- შეადგინეთ განხორციელებული რეაქციების ტოლობები.

ც დ ა

3 აცეტალდეპიდის დაუანგვა

- ა) სინჯარაში მიღეთ სპილენდ(II)-ის ჰიდროქსიდის ნალექი და, ნალექსზემოთა ხსნარს გადაქცევის გარეშე, ჭურჭლის შიგთავს დაუმატეთ 1 მლ აცეტალდეპიდი.
- ბ) მეორე სინჯარაში Ag_2O -ს 1 მლ ამიაკურ ხსნარს ფრთხილად, სინჯარის კედლის ჩაყოლებით დაუმატეთ 1 მლ აცეტალდეპიდი. ორივე სინჯარა ჩაუშვით მდუღარეწყლიან ჭიქაში და დააკვირდით მომხდარს.
- შეადგინეთ განხორციელებული რეაქციების ტოლობები.
- რომელ ორგანულ ნივთიერებებს გამოიცნობენ ჩატარებული რეაქციებით?

ც დ ა

4 ძმარმჟავას ზოგიერთი თვისება

- ა) სინჯარაში მოათვსეთ 1 მლ ძმარმჟავა და დაუმატეთ რამდენიმე წვეთი მეთილნარინგი. რა ფერის გახდა მეთილნარინგი ძმარმჟავაში? მიღებულ ხსნარს ფრთხილად დაუმატეთ ტუტის 1 მლ ხსნარი. რას ამჩნევთ ამ დროს?
- ბ) მეორე სინჯარაში ცარცის ნატეხებს დაასხით 1 მლ ძმარმჟავა. რა ხდება?
- შეადგინეთ ორივე სინჯარაში მიმდინარე რეაქციების ტოლობები.

შემაჯამებელი დავალებები

1. განსაზღვრეთ მცდარი გამონათქვამი.

ეთანოლი...

- მიეკუთვნება ნაჯერი ერთატომიანი სპირტებს;
- მოლეკულაში შეიცავს მხოლოდ σ-ბებებს;
- უფრო მაღალ ტემპერატურაზე დუღს, ვიდრე მეთანოლი;
- შედგენილობით შეესაბამება ზოგად ფორმულას $C_nH_{2n+1}OH$;
- არ შედის დეპიდრატაციის რეაქციაში.

2. რა არის მცდარი ძმარმჟავასთვის?

- ნაჯერი ერთფუძიანი მჟავაა;
- მრეწველობაში ილებენ ბუტანის დაჟანგვით;
- ამჟღავნებს მინერალური მჟავების ზოგად ქიმიურ თვისებებს;
- შეუქცევადად რეაგირებს Mg -თან, CaO -თან და Na_2CO_3 -თან;
- ფერს არ უცვლის ლაქმუსს.

3. განსაზღვრეთ მცდარი გამონათქვამი:

რთული ეთერები...

- მიიღება ეთერიფიკაციის რეაქციებით;
- ნარმოიქმნება კატალიზური რეაქციებით;
- შეიძლება შეესაბამებოდეს ფორმულას $R_1-COO-R_1$ ან $R_1-COO-R_2$;
- ნარმოიქმნება მიმოცვლის რეაქციით;
- ნარმოიქმნება შეუქცევადი რეაქციით.

4. მიუთითოთ სწორი გამონათქვამები.

ძმრის ალდეჰიდი...

- ნარმოიქმნება ნაჯერი ერთატომიანი სპირტის დაჟანგვით;
- დაჟანგვისას გარდაიქმნება კარბონმჟავად;
- შედის „ვერცხლის სარკის“ რეაქციაში;
- არ იქანება სპილენძ(II)-ის ჰიდროქსიდით.

5. რვეულში გადაწერეთ და დაასრულეთ სქემები:

- $CH_3CH_2OH + CuO \xrightarrow{t}$
- $CH_3CHO + Cu(OH)_2 \xrightarrow{t}$
- $C_4H_{10} + O_2 \xrightarrow{\text{კატ., } P, T}$
- $CH_3COOH + C_2H_5OH \xrightarrow{t, H_2SO_4}$
- $HCOOH + Mg \rightarrow$
- სახამებელი $\xrightarrow{\text{ჰიდროლიზი}} \dots \xrightarrow{\text{შპროლი დედალი}} \dots$

6. რომელი გამონათქვამები ეხება ფრუქტოზას?


- გლუკოზის იზომერია;
- გლუკოზაზე ტებილია;
- მიეკუთვნება ნახშირწყლებს;
- ნარმოიქმნება საქართვის ჰიდროლიზით;
- უნიდებენ ყურძნის შაქარს.

თავი 9 • ნახშირწყალბადების უანგბადშემცველი და აზოტშემცველი ნანარმები •

7. დაადგინეთ შესაბამისობა ცილის I, II, III სტრუქტურასა და 1,2,3-ს შორის.

- | | |
|---------------|---|
| I სტრუქტურა | 1. პოლიპეპტიდური სპირალის სივრცული ფორმა |
| II სტრუქტურა | 2. პოლიპეპტიდური ჯაჭვის სპირალური ფორმა |
| III სტრუქტურა | 3. ამინმჟავების ნაშთების თანმიმდევრობა მოლეკულაში |

8. რვეულში შეადგინეთ ნაჯერი ერთატომიანი სპირტის ($C_nH_{2n+2}O$) წვის ტოლობა ზოგადი სახით და განსაზღვრულ სპირტის ფორმულა, რომლის 1 მოლის წვაზე ისარჯება 6 მოლი აირადი ჟუნგბადი.



9. რამდენი გრამი ძმარმჟავას მიღება შეიძლება 22 გ ძმრის ალდეპიდის დაუანგვით? მჟავას გამოსავალია 80%. $M_r(CH_3CHO) = 44$, $M_r(CH_3COOH) = 60$.

10. პოლიმერის ფარდობითი მოლეკულური მასაა 33 600, პოლიმერიზაციის ხარისხი – 800. რომელი ალკენია გამოყენებული მონომერად? $A_r(C) = 12$, $A_r(H) = 1$

ტერმინები და ქიმიური ცნებები

5

ადვილდნობადი მეტალი – მეტალი, რომელის დნობის ტემპერატურა 1000°C -ზე დაბალია. ადსორბცია – მყარი ნივთიერების ზედაპირით აირებისა და გახსნილი ნივთიერებების შთანთქმა.

აზოტინი სასუქები – სასუქები, რომელთა შედგენილობაში შედის აზოტი. ალფეპიდები – ორგანული ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებში ნახშირწყალბადოვანი რადიკალი და კავშირებულია ალფეპიდის (CHO) ჯგუფთან.

ალკალინები – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადატომებს შორის არსებობს ორი ორმაგი ბმა.

ალკანები – ნახშირწყალბადები, რომელთა შედგენილობა შეესაბამება ზოგად ფორმულას $\text{C}_n\text{H}_{2n+2}$.

ალკენები – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადატომებს შორის არსებობს ერთი ორმაგი ბმა.

ალკინები – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადატომებს შორის არსებობს ერთი სამშაგი ბმა.

ალუმინთერმია – ოქსიდებიდან მეტალების ალფეგენა ალუმინით.

ალუმინილიკატები – სილიკატები, რომლებიც შეიცავს ალუმინის ოქსიდს.

ამალგამა – მეტალის ვერცხლისწყალში გახსნით წარმოქმნილი შენადნობი.

ამიაკინი წყალი ანუ ნიშალურის სპირტი – ამიაკის წყალსხნარი.

ამინმჟავები – ორგანული ნივთიერებები, რომელთა შედგენილობაში შედის ამინო- ($-\text{NH}_2$) და კარბოქსილის ($-\text{COOH}$) ჯგუფები.

ანდოდი – დაბევრითად დამუხტული ელექტროდი.

არაკარბონატული (მუდმივი) სიხისტე – წყლის სხისტე, გამოწვეული მასში მაგნიუმისა და კალციუმის ქლორიდებისა და სულფატების არსებობით.

არომატული ნახშირწყალბადები – ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულები შეიცავს ერთ ან რამდენიმე ბენზოლის რგოლს.

აცეტატები – ძმარმჟავას (CH_3COOH) მარილები.

6

ბერილიუმის ქვეჯგუფის ელემენტები – IIა ჯგუფის ელემენტები.

ბორის ქვეჯგუფის ელემენტები – IIIა ჯგუფის ელემენტები.

ბოჭკოვები – გრძელ დრეკად ძაფებად განელვის უნარის მქონე ბუნებრივი და სინთეზური პოლიმერები, რომელთაგან ამზადებენ ნართს და სხვა საფეიქრო ნანარმს.

7

გარდამავალი მეტალები (ელემენტები) – მე-4–მე-7 პერიოდების თანაური ქვეჯგუფების ელემენტები.

გვარჯილები – ნატრიუმის, კალიუმის, ამონიუმისა და კალციუმის ნიტრატები.

გოგირდწყალბადმჟავა – გოგირდწყალბადის წყალსხნარი.

გოგირდვანი მჟავა – გოგირდის დიოქსიდის წყალსხნარი, რომელიც შეესაბამება შედგენილობას H_2SO_3 .

8

დენატურაცია – ცილის მეორეული და მესამეული სტრუქტურის რღვევა.

9

ეთერიფიკაციის რეაქციები – კარბონმჟავებსა და სპირტებს შორის მიმდინარე რეაქციები.

ელექტროლიზი – უანგვა-ალტენითი პროცესები, რომლებიც ელექტროდებზე მიმდინარება ელექტროლიტის ნალლობში ან ხსნაში მუდმივი ელექტრული დენის გატარებისას.

ელექტრომეტალურია – მეტალების მიღება მათი ნაერთების ნალლობის ელექტროლიზით.

1

თერმიტი – 8:3 მოლური თანაფარდობით აღებული ალუმინის ფხვნილისა და რკინის ხენჯის ნარევი.

თუჭი – რკინის შენადნობი, რომელიც 2-დან 4%-მდე ნახშირბადს, აგრეთვე სილიციუმს, მანგანუმს, ფოსფორსა და გოგირდს შეიცავს.

თევევადი მინა – ნატრიუმის ან კალიუმის სილიკატის კონცენტრირებული ხსნარი.

2

იზომერები – ნივთიერებები, რომელთაც აქვს მოლეკულის ერთნაირი შედგენილობა, მაგრამ განსხვავებული ქიმიური აღნაგობა და, ამის გამო, განსხვავდება თვისებებით.

3

კარბონატები – ნახშირმჟავას (H_2CO_3) მარილები.

კარბონატული (ფროებითი) სიხისტე – წყლის სიხისტე, გამონვეული მასში მაგნიუმისა და კალციუმის ჰიდროკარბონატების არსებობით.

კარბონმჟავები – ორგანული ნივთიერებები, რომელთა მოლეკულებში ნახშირნყალბადონგანი რადიკალი დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე კარბოქსილის ($COOH$) ჯგუფთან (გამონაკლისია ჭიანჭველას მჟავა $H-COOH$).

კათოდი – უარყოფითად დამუხტული ელექტროდი.

კვარცი – სილიციუმის დიოქსიდის სუფთა კრისტალები.

კომპლექსური სასუქე – სასუქე, რომელიც შეიცავს ორ ან მეტ საკვებ ელემენტს.

კოროზია – მეტალებისა და მათი შენადნობების დაშლა გარემომცველი არის ზემოქმედებით.

კრევნგი – ნახშირბადატომების მცირე რიცხვის შემცველი ნახშირნყალბადებს წარმოქმნა ნახშირბადატომების დიდი რიცხვის შემცველი ნახშირნყალბადების დაშლის შედეგად.

4

მადნები – მეტალთა სამრეწველო მიღებისთვის ვარგისი ბუნებრივი ნივთიერებები.

მარტივი სასუქები – სასუქები, რომლებიც ერთ საკვებ ელემენტს შეიცავს.

მეტალების ძაბვათა ელექტროჟიმოური რიგი – წყალში აქტიურობის კლების მიხედვით განლაგებულ მეტალთა თანმიმდევრობა.

მეტალურგია – მრეწველობის დარგი, რომელიც ანარმონებს მეტალებსა და მათ შენადნობებს.

მინერალური სასუქები – ნივთიერებები (ძირითადად მარილები), რომლებიც საკვებ ელემენტებს შეიცავს.

მსუბუქი მეტალი – მეტალი, რომლის სიმკვრივე 5 г/сმ^3 -ზე ნაკლებია.

მძიმე მეტალი – მეტალი, რომლის სიმკვრივე 5 г/сმ^3 -ზე მეტია.

5

ნახშირნყალბადები – ნივთიერებები, რომელთა მოლეკულები შედგება მხოლოდ ნახშირბადისა და წყალბადის ატომებისგან.

ნახშირნყლები – ორგანული ნივთიერებები, რომელთა შედგენილობა შეებამება ფორმულას $C_n(H_2O)_m$ (n და $m \geq 4$).

ნიტრატები – აზოტმჟავას (HNO_3) მარილები.

6

ოლეატები – ოლეინის მჟავას ($C_{17}H_{33}COOH$) მარილები.

ოლეუმი – გოგირდის ტრიოქსიდის ხსნარი კონცენტრირებულ გოგირდმჟავაში.

ორგანული ქიმია – ქიმიის ნანილი, რომლიც შეისავლის ორგანულ ნივთიერებათა შედგენილობას, ალნაგობას, თვისებებსა და მიღების მეთოდებს.

ორთოფოსფატები – ორთოფოსფორმჟავას (H_3PO_4) მარილები.

7

ჰალიტატები – ჰალიტინის მჟავას ($C_{15}H_{31}COOH$) მარილები.

ჰერქლორატები – ჰერქლორმჟავას ($HClO_4$) მარილები.

პიროლიზი – ნივთიერების უჰაერო გახურება $1000-1200^\circ C$ -ზე.

პირომეტალურგია – მაღნებიდან მეტალების მიღება მაღალ ტემპერატურაზე აღდგენის გზით.

პლასტმასები – პოლიმერული მასალები, რომლებსაც უნარი აქვს, გაცხელებისას მიიღოს მოცემული ფორმა და გაცივებისას შეინარჩუნოს ის.

პოლიმერები ანუ მაღალმოლეკულური ნივთიერებები – ნივთიერებები, რომელთა მოლეკულები შედგება მრავალჯერადად განმეორებადი ატომთა ჯგუფებისგან.

პოლიკონდენსაციის რეაქციები – დაბალმოლეკულური ნივთიერებიდან მაღალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნის რეაქციები, რომელთაც თან ახლავს თანაური პროდუქტის, მაგალითად, წყლის გამოყოფა.

პოლიმერიზაციის რეაქციები – მონომერების მოლეკულების ერთმანეთან მრავალჯერადი შეერთების შედეგად მაღალმოლეკულური ნივთიერების წარმოქმნის რეაქციები.

პოლიმერიზაციის ხარისხი – პოლიმერის მაკრომოლეკულაში სტრუქტურული ერთეულების რიცხვი.

ჟ

ჟაველის წყალი – ქლორის ურთიერთქმედების პროდუქტი KOH -ის ან $NaOH$ -ის ხსნარებთან ჩვეულებრივ პირობებში (გაცხელების გარეშე).

რ

რთული ეთერები – ორგანული ნივთიერებები, რომლებიც წარმოიქმნება კარბონმჟავებისა და სპირტების ურთიერთქმედების შედეგად.

ს

საკვები ელემენტები – მცენარეთა ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი ელემენტები.

საპნები – უმაღლესი კარბონმჟავების ($C_{10}-C_{21}$) ნატრიუმისა და კალიუმის მარილები.

სილიკატები (მეტასილიკატები) – მეტასილიკიუმის მჟავას (H_2SiO_3) მარილები.

სილიკოდები – სილიკიუმის ნაერთები მეტალებთან.

სიხისტის ხარისხი – 1 ლიტრ წყალში არსებული Ca^{2+} და Mg^{2+} იონების მილიმოლების საერთო რაცხვი.

სპირტები (ნავერი) – ალკანების ნანარმები, რომელთა მოლეკულებში ერთი ან რამდენიმე წყალადის ატომი ჩანაცვლებულია ჰიდროქსილის (OH) ჯგუფით.

სტერკატები – სტერკინის მჟავას ($C_{17}H_{35}COOH$) მარილები.

სტრუქტურული ერთეული – მაკრომოლეკულაში მრავალჯერადად განმეორებადი ატომთა ჯგუფი.

სულფატები – გოგირდმჟავას (H_2SO_4) მარილები.

სულფიდები – გოგირდზებულბადმჟავას (H_2S) მარილები.

სულფიტები – გოგირდოვანმჟავას (H_2SO_3) მარილები.

ტ

ტუტე მეტალები – Iა ჯგუფის ელემენტები.

ტუტემინა მეტალები – IIა ჯგუფის ელემენტები: Ca, Sr, Ba და Ra (რადიუმი).

ჟ

ჟენოლი – ორგანული ნივთიერება, რომელიც შედგება ჰიდროქსილის ჯგუფთან უშუალოდ დაკავშირებული ბერზოლის რეალისგან (C_6H_5-OH).

ჟეროქრომი – რკინის შენადნობის ქრომთან.

ჟოთორის ქვეჯგუფის ელემენტები – VIIა ჯგუფის ელემენტები.

ჟოლადი – რკინის შენადნობი, რომელიც 0,1-დან 2%-მდე ნახშირბადსა და მცირე რაოდენობით სხვა მინარევებს (Si, Mn, S, P) შეიცავს.

ჟორმიატები – ჭიანჭველმჟავას ($HCOOH$) მარილები.

ჟოსფიდები – ფოსფორის ნაერთები მეტალებთან.

ჟუნქციური ჯგუფი – ატომი ან ატომთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ნივთიერების დამახასიათებელ ქიმიურ თვისებებს და მის მიერთებული კლასისადმი.

đ

ქალკოგენები – VIIa ჯგუფის ელემენტები.

ქრომიური ალნაგობა – მოლეკულაში ატომთა შეერთების თანმიმდევრობა.

ქლორატები – ქვექლორმჟავას (HClO_3) მარილები.

ქლორიანი კირი – ჩამქრალი კირის ნარევი ქლორთან, წარმოქმნილი ჩვეულებრივ პირობებში (გასურების გარეშე).

ქლორიანი წყალი – ქლორის წყალსნარი.

ѓ

შენადნობები – სისტემები, რომლებიც შედგება ორი ან მეტი მეტალისგან ან მეტალისგან და არამეტალისგან.

გ

ციკლოპარაფინები – ჩაკეტილჯაჭვიანი ნახშირწყალბადები, რომელთა მოლეკულებში ნახშირბადატომები ერთმანეთთან მარტივი ბმებითაა დაკავშირებული.

ცილები (პოლიპეტიდები) – ამინმჟავების ნაშთებისგან შედგენილი ორგანული ნივთიერებები.

ცხიმები – გლიცერინისა და ერთფუძიანი (უპირატესად, მაღალი რიგის) კარბონმჟავების რთული ეთერები.

đ

ძნელდნობადი მეტალი – მეტალი 1000°C -ზე მაღალი დნობის ტემპერატურით.

ჸ

სისტი წყალი – წყალი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს Ca^{2+} და Mg^{2+} იონებს. სხნადი მინა – ნატრიუმის ან კალიუმის სილიკატი.

ჵ

ჰალოგენები – VIIa ჯგუფის ელემენტები.

ჰალოგენიდები – ჰალოგენწყალბადმჟავების მარილები.

ჰალოგენწყალბადები – ჰალოგენების წყალბადნაერთები.

ჰიდრომეტალურგია – მეტალების მიღება მათი ნაერთების წყალსნარებიდან უფრო აქტიური მეტალით ალდგენის გზით.

ჰიპოქლორიტები – ქვექლოროვანმჟავას (HClO) მარილები.

ჰომოლოგები – ერთი და იმავე კლასის ნივთიერებები, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება ერთი ან რამდენიმე (CH_2) ჯგუფით.

დანართები

სახელმძღვანელოში მოტანილი ამოცანების ამოხსნისას გამოყენებული ფორმულები

მასა (m)	$m = m_0 \cdot N; \quad m = v \cdot M; \quad m_{(ხსნ.)} = V \cdot \rho_{(ხსნ.)}$
ნივთიერების რაოდენობა (v)	$v = \frac{m}{M}; \quad v = \frac{N}{N_A}; \quad v_{(აირ)} = \frac{V_{აირ}}{V_M}$
ნაწილაკის მასა (m₀)	$m_0 = \frac{M}{N_A}; \quad m_0(AB) = M_r(AB) \cdot 1 \text{ მაგ}$
მოლური მასა (M)	$M = \frac{m}{v}; \quad M_{(აირ)} = V_M \cdot \rho_{(აირ)}; \quad M = m_0 \cdot N_A$
ფარდობითი მოლეკულური მასა (M_r)	$M_r(აირ) = 2 \cdot D_{H_2}; \quad M_r(აირ) = 29 \cdot D_{ჰერი}$
ერთი აირის (1) მოცულობითი წილი (φ) აირთა ნაერვში	$\varphi_1 = \frac{V_1}{V_{ნაერ}} \text{ ან } \varphi_1(\%) = \frac{V_1}{V_{ნაერ}} \cdot 100\%$
A ელემენტის მასური წილი [ω(A)] ნაერთში A_xB_y	$\omega(A) = \frac{A_r(A) \cdot x}{M_r} \text{ ან } \omega(A)\% = \frac{A_r(A) \cdot x}{M_r} \cdot 100\%;$
ინდექსთა თანაფარდობა (x:y) ფორმულაში A_xB_y	$x:y = \frac{\omega(A)}{A_r(A)} : \frac{\omega(B)}{A_r(B)}; \quad x:y = \frac{m(A)}{M(A)} : \frac{m(B)}{M(B)}$
რეაქციის პროცეციების მასური (η) და მოცულობითი (θ) წილი	$\eta(\%) = \frac{m_{პრაქტ.}}{m_{თეორ.}} \cdot 100\%; \quad \theta(\%) = \frac{V_{პრაქტ.}}{V_{თეორ.}} \cdot 100\%$
გახსნილი ნივთიერების მასური წილი (ω) ხსნარში	$\omega(\%) = \frac{m_{ხსნ.}}{m_{ხს.}} \cdot 100\% \text{ ან}$ $\omega = \frac{m_{ხსნ.}}{m_{ხს.}} = \frac{m_{ხსნ.}}{m_{ხსн.} + m_{ე.}} = \frac{m_{ხსნ.}}{V_{ხს.} \cdot \rho_{ხს.}}$

მეტალების ძაბვათა ელექტროემიური რიგი

$\xleftarrow{\text{ატომთა აომდგრნი თვისებები (M}^0 - n\bar{e} \rightarrow M^{n+}) \text{ იზრდება}}$															
Li	K	Ca	Na	Mg	Al	Mn	Zn	Cr	Fe	Pb	H ₂	Cu	Hg	Ag	Au

ელემენტთა ფარდობითი ელექტროუარყოფითობა

F	O	N	Cl	Br	S	C	P	H	Si	Al	Ca	Li	Na	K
4,0	3,5	3,0	3,0	2,8	2,6	2,5	2,2	2,1	1,8	1,5	1,04	1,0	0,9	0,8

ნახშირბადატომების რიცხვის (*n*) საშუალებით გამოსახული ზოგიერთი ორგანული ნივთიერების ფარდობითი მოლეკულური მასა

ალკანები	$M_r(C_nH_{2n+2}) = 14n + 2$
ციკლოალკანები	$M_r(C_nH_{2n}) = 14n$
ალკენები	$M_r(C_nH_{2n}) = 14n$
ალკინები	$M_r(C_nH_{2n-2}) = 14n - 2$
ალკადიენები	$M_r(C_nH_{2n-2}) = 14n - 2$
ნაჯერი ერთატომიანი სპირტები	$M_r(C_nH_{2n+1}OH) = 14n + 18$
ნაჯერი ალდეჰიდები*	$M_r(C_nH_{2n+1}CHO) = 14n + 30$
ერთფუძიანი ნაჯერი კარბონმჟავები*	$M_r(C_nH_{2n+1}COOH) = 14n + 46$

* – ალდეჰიდებსა და კარბონმჟავებში *n* გვიჩვენებს ნახშირწყალბადოვან რადიკალში არსებულ C-ატომების რიცხვს.

უმნიშვნელოვანესი ორგანული ნაერთების ფორმულები და სახელწოდებები

CH_4 მეთანი	$H_2C=CH_2$ ეთილენი	$HC\equiv CH$ აცეტილენი	$H_2C=CH-CH=CH_2$ ბუტადიენ-1,3
 ციკლოალკენი C_6H_{12}	 ბენზოლი C_6H_6	 ეთილენგლიკოლი	 გლიცერინი
CH_3-CH_2-OH ეთოლის სპირტი	CH_3-CHO ძმრის ალდეჰიდი	CH_3-COOH ძმარმჟავა	$C_{15}H_{31}-COOH$ პალმიტინის მჟავა
$C_{17}H_{35}-COOH$ სტერინის მჟავა	$C_{17}H_{33}-COOH$ ოლეინის მჟავა	$C_6H_{12}O_6$ გლუკოზა, ფრუქტოზა	$C_{12}H_{22}O_{11}$ საქაროზა
$(C_6H_{10}O_5)_n$ სახამებელი, ცელულოზა	$C_{17}H_{35}COOM$ თხევალი საპონი; M = K მყარი საპონი; M = Na	 ცილა	$(-CH_2-CH=C(CH_3)-CH_2-)_n$ სინთეზური იზოპრენის კაუჩუკი
$(-CH_2-CH_2-)_n$ პოლიეთილენი	$(-CF_2-CF_2-)_n$ ტეფლონი (პოლიტეტრაფოთორ -ეთილენი)	$(-CH_2-\overset{ }{CH}-)_n$ პოლივინილილო- რიდი	$(-CH_2-CH=CH-CH_2-)_n$ ბუტადიენის კაუჩუკი

ზოგიერთი ორგანული ნივთიერების განსაზღვრა

ნივთიერება	რეაქტივი	ცვლილებები
უჯერი ნახშირწყალბადები	KMnO ₄ -ის სსნარი ბრომიანი წყალი	KMnO ₄ -ის სსნარი უფერულდება ბრომიანი წყალი უფერულდება
$\text{CH}_2=\text{CH}_2$ ეთილენი	KMnO ₄ -ის სსნარი ბრომიანი წყალი	ნარმოიქმნება $\text{CH}_2\text{OH}-\text{CH}_2\text{OH}$ და სსნარი უფერულდება ნარმოიქმნება $\text{CH}_2\text{Br}-\text{CH}_2\text{Br}$ და სსნარი უფერულდება
$\text{CH}\equiv\text{CH}$ აცეტილენი	KMnO ₄ -ის სსნარი ჭარბი ბრომიანი წყალი	ნარმოიქმნება მჟაუნმჟავა ($\text{HCOO}-\text{COOH}$) და სსნარი უფერულდება ნარმოიქმნება ტეტრაბრომეთანი ($\text{CHBr}_2-\text{CHBr}_2$) და სსნარი უფერულდება
$\begin{matrix} \text{CH}_2 & - \text{CH} & - \text{CH}_2 \\ & & \\ \text{OH} & \text{OH} & \text{OH} \end{matrix}$ გლიცერინი (ეთოლენგლიკოლი)	$\text{Cu}(\text{OH})_2$	ნარმოიქმნება კაშკაშა ლურჯი ფერის სსნარი
$\begin{matrix} \text{R} & - \text{C} & \text{O} \\ & \diagup & \diagdown \\ & \text{H} & \end{matrix}$ ალდეჰიდები	$\text{Cu}(\text{OH})_2, t$ Ag_2O , ამიაკიანი წყალი	ნარმოიქმნება წითელი ფერის ნალექი Cu_2O მიმდინარეობს „ვერცხლის სარკის“ რეაქცია
CH_3COOH ძმარმჟავა	ლაკმუსი	სსნარი წითლდება იგრძნობა ძმარმჟავას სუნი
$\text{C}_{17}\text{H}_{35}\text{COONa}$ საპნის სსნარი	მჟავას სსნარი (H^+)	ნარმოიქმნება მჟავას $\text{C}_{17}\text{H}_{35}\text{COOH}$ თეთრი ფერის ფანტელები
$(\text{C}_6\text{H}_{10}\text{O}_5)_n$ სახამებელი	იოდის სსნარი	სახამებელი ლურჯდება
კვერცხის ცილის სსნარი	კონ(ვ), HNO_3 OH^- , CuSO_4	ნარმოიქმნება ყვითელი ფერის ნალექი სსნარი იფერება მონითალო-იასამნისფრად.

KİMYA – 9

Ümumtəhsil məktəblərinin 9-cu sinfi üçün Kimya fənni üzrə dərslik
Gürcü dilində

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:

İltifat Urşan oğlu Lətifov
Şükür Əli oğlu Mustafa

Tərcümə

L.Metreveli

Elmi redaktoru

B.Nəbiyev, kimya üzrə fəlsəfə doktoru

Redaktor

T.Dadianidze

Bədii redaktor

T.Məlikov

Texniki redaktor

Z.İsayev

Dizayner

N.Esartiya

Rəssamlar

M.Hüseynov, E.Məmmədov

Korrektor

N.Mçedlisvili

Dərsliyin gürcü dilində nəşri “Deogene” nəşriyyatı ilə birgə həyata keçirilmişdir.

Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin 03.06.2016-cı il
tarixli 369 №-li əmri ilə təsdiq olunmuşdur.

© Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri
və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək,
surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi 10,55. Fiziki çap vərəqi 12,75. Səhifə sayı 204.
Kağız formatı 70×1001/16. Ofset kağızı. Məktəb qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017

“Bakı” nəşriyyatı
Bakı Az1001, H.Seyidbəyli küç. 30